შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

ნოდარ ბარამიძე

# აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა

NODAR BARAMIDZE

# THE ACCELERATION AND THE REMOTE MOTIVATIONAL BEHAVIOR

გამომცემლობა " შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY PRESS
ბათუმი – 2008 – BATUMI

კრებული გათვალისწინებულია პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური სფეროს მუშაკებისათვის, მაგრამ იგი დაინტერესებს სხვა სპეციალობის მკითხველსაც, რომელიც მასში გაეცნობა საყურადღებო ექსპერიმენტულ მონაცემებს, ზოგიერთი საკითხის ახლებურად დაყენების ცდას და ავტორის საკმაოდ ორიგინალურ მოსაზრებებსაც.

*რედაქტორი:* *პროფ. ირაკლი იმედაძე*

*რეცენზენტები:* *პროფ. მიხეილ მახარაძე*
*პროფ. გურამ ჩაგანავა*

ISBN 99940-25-58-9

გამომცემლობა
"შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
2008

## რედაქტორისაგან

პროფ. ნოდარ ბარამიძე ნაყოფიერი მკვლევარია. იგი არაერთი წიგნის (მონოგრაფიისა თუ სამეცნიერო კრებულის) ავტორია. მის წინამდებარე კრებულში შეტანილია ბოლო პერიოდში შესრულებული ნაშრომები, რომელთა ნაწილი სხვადასხვა ფორმით და მოცულობით დაბეჭდილია პერიოდულ სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. ზოგიერთი ნაშრომი შევსებულია, ზოგიც – ახალი და ამ სახით პირველად ქვეყნდება. იმის გამო, რომ ნაშრომები შესრულებულია სხვადასხვა დროს (და სხვადასხვა მიზანდასახულობითაც), ზოგიერთ მათგანში შეინიშნება უმნიშვნელო გამეორების ფაქტი, რაც ამგვარი კრებულებისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს.

კრებული თემატიკურად არაა ერთფეროვანი, მაგრამ მასში მაინც სჭარბობს შორეული მოტივაციის პრობლემასთან მიმართებაში განხილული საკითხები. სათაურის არჩევანიც ამითაა განპირობებული. თუმცა, ვფიქრობთ, არა მხოლოდ ამით. იგი გამართლებულია წიგნის ავტორის სამეცნიერო ინტერესების გათვალისწინებითაც.

პროფ. ნ.ბარამიძე მრავალმხრივი მკვლევარია, მაგრამ შორეული მოტივაციური ქცევის საკითხებს ცენტრალური ადგილი უკავია მის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. ამ პრობლემაზე მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიული ექსპერიმენტული გამოკვლევაც. შეიძლება ითქვას, რომ იგი ფაქტობრივად შორეული მოტივაციის პრობლემის ერთადერთი (და თვალსაჩინო) მკვლევარია. ამიტომაც აღნიშ-

ნულ პრობლემასთან დაკავშირებულ მის ნაშრომებს მკითხველი ინტერესითა და ერთგვარი სიახლის მოლოდინით ხვდება.

დარწმუნებული ვართ, ასეთივე ინტერესით მიიღებს მკითხველი ამ კრებულსაც, რომელშიც, შორეულ მოტივაციასთან მიმართებაში განხილული თემების გარდა, შეტანილია სხვა საყურადღებო მასალებიც: პედაგოგიური, წმინდა ფსიქოლოგიური და პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ნაშრომები, როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული გამოკვლევები. და, რაც მთავარია, წიგნში მკითხველი გაეცნობა ავტორის ერთობ ორიგინალურ მოსაზრებებსაც, რომლებიც შეიძლება სპეციალისტთა მსჯელობისა და დავის საგანი გახდეს. ეს კი წიგნის კიდევ ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ასე რომ, პროფ. ნ.ბარამიძის წინამდებარე კრებული, ყველა შესაძლებელ შემთხვევაში, სასარგებლო იქნება შესაბამისი საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

**პროფ. ირაკლი იმედაძე,**
**დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის**
**დირექტორი, საქართველოს ფსიქოლოგთა**
**საზოგადოების პრეზიდენტი**

*ეუძღვნი აკად. შოთა ნადირაშვილს – ახალგაზრდების ჭეშმარიტ აღმზრდელსა და დამრიგებელს, გამოჩენილ მეცნიერსა და მამულიშვილს – დაბადებიდან 80 წლის შესრულების გამო.*

## სიტყვა იუბილარს!

2007 წლის 7 თებერვალს საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა აკად. შ.ნადირაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც აკადემიის პრეზიდიუმის წევრებთან და სხვა ცნობილ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლებიც. კონფერენციის მუშაობას წარმართავდა აკადემიის პრეზიდენტი აკად. თ.გამყრელიძე. წინამდებარე წიგნის ავტორს, როგორც შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, წილად ხვდა საპატიო მისია ბათუმელი ფსიქოლოგების (და არა მხოლოდ) სახელით გულითადად მისალმებოდა იუბილარს. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, თუ იუბილარისადმი მიძღვნილი წიგნის მკითხველსაც შევთავაზებთ აღნიშნულ მისასალმებელ სიტყვას გასაცნობად.

ბატონო შოთა, მე უნდა შევასრულო ჩემთვის მეტად საპატიო მისია და გადმოგცეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, აკადემიური საბჭოს და პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ალერსი თქვენი დაბადების 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მასში მოცემულია თქვენი დიდი სამეცნიერო, აღმზრდელობითი, საზოგადოებრივი და ორგანიზატორული მოღვაწეობის ჩვენეული ხედვა და შეფასება და ბათუმელების კეთილი სურვილები თქვენდამი.

ბატონო შოთა, თქვენ ბრძანდებით დიმიტრი უზნაძის ღირსეული მემკვიდრე. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში თქვენი მოღვა-

წეობა იყო და არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი ზოგადად ფსიქოლოგიური მეცნიერებისა და, განსაკუთრებით, განწყობის ფსიქოლოგიის განვითარებაში. ის ფაქტი, რომ განწყობის უზნაძისეულმა თეორიამ დროსა და შემოტევებს გაუძლო, მსოფლიოს სამეცნიერო ასპარეზზე გავიდა და არსებულ ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა, მნიშვნელოვანწილად თქვენი ძალისხმევისა და ამ თეორიის დიდი შესაძლებლობების თქვენეული გააზრების შედეგია.

ბევრ სხვა დამსახურებასთან ერთად, თქვენ ხართ სოციალური ფსიქოლოგიის მეცნიერული დარგის ფუძემდებელი საქართველოში და ფაქტობრივად შექმენით ახალი სკოლა, რომელიც ფართოდ იყენებს განწყობის თეორიის ტრადიციულ და ახალ მეთოდებს კვლევა-ძიებაში.

თქვენ თავიდანვე გახასიათებდათ მეცნიერებისადმი არაკონსერვატორული, დემოკრატიული მიდგომა, რამაც განსაზღვრა ქართული ფსიქოლოგიის ბევრი ახალი მონაპოვარი. მაშინ, როდესაც მეცნიერებაში უცხოური ლიტერატურის არათუ გამოყენება, არამედ მოპოვებაც კი პრობლემა იყო, თქვენი შორსმჭვრეტელობის წყალობით ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ეს სირთულეს არ წარმოადგენდა. ამის გამო, ახალ რეალიებთან დაკავშირებული ე.წ. გარდამავალი ეტაპი ამ თვალსაზრისით ქართული ფსიქოლოგიისათვის მტკივნეული არ ყოფილა.

ჩვენ, ბათუმელი ფსიქოლოგები, ვამაყობთ, რომ თქვენი სახით ქართულ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას (და არა მარტო ქართულს) ჰყავს ჭეშმარიტი ლიდერი, ვამაყობთ, რომ ბევრი ბათუმელი ფსიქოლოგი თქვენი აღზრდილია. ჩვენ ყოველთვის ვგრძნობდით და ვგრძნობთ თქვენს ყურადღებასა და დახმარებას. თქვენი უშუალო დამსახურებაა, რომ ბათუმში ჩამოყალიბდა ფსიქოლოგთა შემოქმედებითი ჯგუფი, რომელიც ნაყოფიერ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა რეგიონში.

ამის კარგი გამოხატულება იყო, მაგალითად, ჩვენი დეპარტამენტის თაოსნობით, 2006 წლის ნოემბერში, დ.უზნაძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის გამართვა ბათუმის უნივერსიტეტში და საკონფერენციო მოხსენებების წინასწარ დაბეჭდილი სოლიდური კრებულიც.

ბატონო შოთა, თქვენ ახალგაზრდების ჭეშმარიტი მეგობარი და დამრიგებელი ბრძანდებით. თქვენ აღზარდეთ ყველაზე მეტი მეცნიერი-ფსიქოლოგი და კიდევ ბევრს გაუკვალავთ გზას. თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობა გამოირჩევა განსაკუთრებული ნაყოფიერებით. თქვენს ნაშრომებს კარგად იცნობენ უცხოეთში და მათზე დისერტაციებსაც იცავენ. პირადად თქვენ არაერთხელ ღირსეულად წარმოადგინეთ თქვენი და თქვენი კოლეგების ექსპერიმენტული თუ თეორიული კვლევის შედეგები საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე. ფსიქოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე იყავით განწყობის ფსიქოლოგიის სიმპოზიუმების თავმჯდომარე. ხართ ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ამერიკის საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელი საბჭოს წევრი... ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერება, დიმიტრი უზნაძის შემდეგ, უპირველესად, თქვენს სახელთან ასოცირდება.

უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. თქვენ კალმით, სიტყვით და საქმით ფხიზლად დგახართ ქართული სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე. თქვენი გაბედული, უკომპრომისო და გაწონასწორებული პოზიცია დიდ როლს ასრულებს საზოგადოებრივი ვითარების დაბალანსებაში, მეტადრე, კრიტიკულ სიტუაციებში.

ბატონებო, როდესაც ამ საიუბილეო ღონისძიებაზე მოვდიოდი, ზემოაღნიშნულთან ერთად მინდოდა გამეხსენებინა ბატონ

შოთას პიროვნებასთან დაკავშირებული ყველაზე ორიგინალური მომენტი. არ ვიცი რამდენად მიზანშეწონილია ასეთ აკადემიურ შეხვედრაზე ამის გახმოვანება, მაგრამ თქვენი ნებართვით მინდა ამის გაკეთება.

ბატონი შოთა არა მარტო დიდი მეცნიერი, ჭეშმარიტი აღმზრდელი და გულანთებული ქართველი მამულიშვილია, არამედ მან მოლხენაც, თუ გნებავთ, ღვინის სმაც ქართული, გამორჩეული იცის. მახსენდება, ერთ-ერთ, უფრო ახალგაზრდული შემადგენლობის, დაახლოებით 9-10 კაციან სუფრასთან მან მოითხოვა განსხვავებული, ერთობ არაორდინალური სასმისი და ბოლომდე გამოცალა იგი. ეს განსხვავებული სასმისი კი გახლდათ ჩვეულებრივი ლამფის შუშა, არც მეტი, არც ნაკლები – ლამფის შუშა. აბა წარმოიდგინეთ ბატონი შოთა ღვინით სავსე ლამფის შუშით ხელში. ხომ ძნელი წარმოსადგენია? კიდევ უფრო ძნელია ამ "სასმისის" გამოცლა. ასეთი რამ მე კი მსმენოდა, მაგრამ ბატონ შოთას მაგალითზე პირველად ვნახე რეალურად. ახალგაზრდებმა გამოწვევა მივიღეთ, მაგრამ ბევრმა ჩვენთაგანმა ეს უმტკივნეულოდ და, როგორც იტყვიან, დანაკარგების გარეშე ვერ მოახერხა. ბატონი შოთა კი ამას დღესაც, თავის საიუბილეო 80 წლის ასაკშიც, მშვენივრად მოახერხებს. ასე რომ, იუბილარი სრულად პასუხობს სოფიკო ჭიაურელის კარგად ცნობილ სატელევიზიო სარეკლამო გამონათქვამს: კარგი კაცი სულ უნდა შრომობდეს, ქალები უნდა უყვარდეს და ღვინოსაც უნდა ეტანებოდეს. როგორც ვხედავთ, ბატონი შოთა ამ მხრივაც სრული კაცი, კარგი კაცია.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ბატონო შოთა სახელოვან იუბილეს და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი მეცნიერებისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

## კიდევ ერთხელ განწყობის თეორიის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ

განწყობის უზნაძისეულმა თეორიამ თავისი განვითარებისა და ჩამოყალიბების საკმაოდ გრძელი და რთული გზა განვლო. ეს გზა, ცხადია, დაიწყო დ. უზნაძის სიცოცხლეში და დღესაც გრძელდება. განწყობის თეორიის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ამ თეორიის წინაშე სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ასპექტით იდგა და მეტ-ნაკლებად დღესაც დგას შემდეგი ძირითადი საკითხები: პირველადი და ფიქსირებული განწყობების მოქმედების კანონზომიერებების ახსნის, განწყობის შემუშავების ფაქტორების, განწყობის სტრუქტურის, განწყობის ცნობიერება-არაცნობიერობის, განწყობის ე.წ. საშენი მასალის პრობლემის და აღქმისა და განწყობის ურთიერთმიმართების საკითხები. ა.ფრანგიშვილის შეფასებით, "განწყობის ფსიქოლოგიის შესწავლისას ადგილი ჰქონდა გადახვევებს, შეცდომებს, დაუზუსტებელ პოზიციებზე დგომას". თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შეფასება ყოველთვის საქმის რეალური ვითარების ამსახველი როდი იყო. იგი მაშინდელი იდეოლოგიისადმი ხარკის გაღებასაც წარმოადგენდა. იქნებ ამიტომაც ა.ფრანგიშვილი თავის ნაშრომებში არაერთხელ მიუთითებს, რომ "განწყობა ფსიქოლოგიური ფორმაა ფსიქიკური აქტივობის განსაზღვრულობისა მოქმედების მატერიალური პირობებით" (ხაზგასმა ჩვენია – ნ.ბ.) და განმარტავს, რომ ამ უკანასკნელში იგი გულისხმობს მოთხოვნილებასა და გარემოს. მაგრამ პრობლემის თავი და თავი სწორედ ისაა, თუ როგორ გარდაიქმნება ეს მატერიალური განწყობის ფორმით მოცემულ წმინდა ფსიქიკურ მოვლენად?

ყველაზე მეტი დისკუსია და კამათი იყო განწყობისა და ცნობიერების მიმართების პრობლემასთან დაკავშირებით. დ. უზნაძის, მისი მოწაფეებისა და თანამშრომლების (ა. ბოჭორიშვილი, რ. ნათაძე, ვლ. ნორაკიძე, ზ. ხოჯავა, ი. ბჟალავა, ბ. ხაჭაპურიძე, ალ.ფრანგიშვილი, შ. ჩხარტიშვილი, შ. ნადირაშვილი, ა. შეროზია...) ნაშრომების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს საკითხი ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფარგლებშიც კი არაა ერთმნიშვნელოვნად გაგებული და გადაწყვეტილი. თითქმის ანალოგიური ვითარებაა განწყობის "საშენი მასალის" პრობლემის მიმართაც. ეს საკითხები შემდგომ დამუშავებას მოითხოვენ უპირველესად განწყობის თეორიის ჩამოყალიბების ეტაპების გათვალისწინებისა და დ. უზნაძის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის ავტორისეული გააზრების ნიადაგზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას საშიშროება ავცდეთ დ. უზნაძის განწყობის თეორიის ფარგლებსა და მიზანდასახულობას.

თავიდანვე განწყობის თეორია მოწოდებული იყო აეხსნა ადამიანის ქცევისა და მისი ცნობიერების შინაარსების მიმდინარეობის მიზანშეწონილი ხასიათი, რაც ვერ იყო ახსნილი მექანისტური და ვიტალისტური შეხედულებებით. ქცევის მიზანშეწონილობის საკითხი ვერ აიხსნა ფსიქოფიზიკური პარალელიზმისა და ურთიერთზემოქმედების თეორიებითაც.

მექანისტურ შეხედულებას ორგანიზმის მოქმედება დაჰყავდა წმინდა მექანიკურ კანონზომიერებამდე, მანქანის თუ ავტომატის მოქმედების პრინციპებამდე, რომლის მუშაობაც დამოკიდებულია გარეგან ზემოქმედებაზე (დეკარტე). ფაქტობრივად იგივეს იმეორებდა შემდეგში კლასიკური ბიჰევიორიზმიც (თორნდაიკი, უოტსონი...).

ვიტალისტური შეხედულება ყოველ ცოცხალ ორგანიზმში იმთავითვე უშვებდა არამატერიალურ სასიცოცხლო ძალას, ფსიქოიდს თუ ენტელექიას, რომელიც თითქოსდა შიგნიდან თავისთავად განსაზღვრავს ორგანიზმის მიზანშეწონილ ქცევას (მიულერი, დრიში).

ქცევის მიზანშეწონილობის საკითხის ასახსნელად თავიდანვე საჭირო შეიქმნა მატერიალურისა და სულიერის, ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის გარკვევა. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთს დაუპირისპირდა ფსიქოფიზიკური პარალელიზმისა და ურთიერთზემოქმედების თეორიები.

ფსიქოფიზიკური პარალელიზმის თეორიის მიხედვით, ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენები ვერასდროს შეხვდებიან ერთმანეთს, ისევე როგორც პარალელური გეომეტრიული ხაზები, რაც არ უნდა გავაგრძელოთ ისინი. ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთზემოქმედებას ხელს უშლის მათი არსებითი განსხვავება. ისინი ურთიერთგამომრიცხველი ნიშნებით ხასიათდებიან. ფიზიკურს, მატერიალურს განფენილობა ახასიათებს, ხოლო ფსიქიკურს, სულიერ სუბსტანციას – მხოლოდ ცნობიერება. ამიტომ შეუძლებელია სხეულისა და განცდის ურთიერთზემოქმედება. მაგრამ თუ ფიზიკურ (ფიზიოლოგიურ) ცვლილებებს ტვინში პარალელურად მოჰყვება სათანადო ცვლილებები განცდაშიც, თუ საგნების ზემოქმედება იწვევს შესაბამის შერძნებებს, ეს უზენაესის, ღმერთის მოქმედების შედეგია.

ურთიერთზემოქმედების თეორიის მიხედვით, მატერიალური და ფსიქიკური, მატერია და სული ორი თანასწორუფლებიანი, დამოუკიდებელი რეალობაა. თუმცა ისინი სრულიად სხვადასხვა ბუნებისანი არიან, ერთმანეთისა არაფერი სცხიათ, მაინც ახდენენ ერთმანეთზე უშუალო ზემოქმედებას და ფიზი-

კური პროცესების მსგავსად იწვევენ ცვლილებებს ერთი-მეორეში. ე.ი. ისევე როგორც ფიზიკური საგნები და მოვლენები უშუალო მიზეზ-შედეგობრივ კავშირში იმყოფებიან ურთიერთთან, ასეთივე ვითარებას აქვს ადგილი მატერიალურსა და ფსიქიკურს შორის, რაც სრულიად გაუგებარია თუნდაც ენერგიის მუდმივობის კანონიდან გამომდინარე. კერძოდ, თუ ფიზიკურს უშუალოდ შეუძლია ფსიქიკური მოვლენების აღძვრა, მაშინ უნდა ხდებოდეს ფიზიკური ენერგიის დაკარგვა ფსიქიკურის აღმოცენებისათვის. ასევე, პირიქით, ფსიქიკურ მოვლენებს (სურვილს, მისწრაფებას, იდეას) თუ შეუძლია გარკვეული ცვლილებების შეტანა მატერიალურ სინამდვილეში, მაშინ ფიზიკურ სფეროში უნდა გაჩნდეს ის ენერგია, რომელიც მასში მანამდე არ იყო. ურთიერთზემოქმედების თეორიის მიხედვით, ფსიქიკურ პროცესებს შორისაც ანალოგიური დამოკიდებულებაა. ისინიც უშუალოდ იწვევენ და განსაზღვრავენ ერთმანეთს ისე, რომ არსად ჩანს რაიმე შუალედური რგოლი, ფსიქიკური აქტივობის სუბიექტი, პიროვნება. ერთი სიტყვით, სინამდვილე - ფიზიკური იქნება იგი, თუ ფსიქიკური, პირდაპირ მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე, სინამდვილესთან უშუალო კავშირშია ფსიქიკა და არა ადამიანი. ცხადია, ასეთი შეხედულებაც სრულიად მიუღებელია. ფსიქიკა ჩაისახა და განვითარდა ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობის პროცესში. სინამდვილესთან ფსიქიკა კი არა, სუბიექტი ამყარებს ურთიერთობას, რომელიც ამისათვის იყენებს ფსიქიკას, როგორც იარაღს, როგორც თავის "ორგანოს".

აღნიშნული შეხედულებებიდან ჩანს, რომ ისტორიულად ფიზიკურისა და ფსიქიკურის, სხეულისა და სულის ურთიერთობის, მათი ურთიერთშეხების პრობლემა ფსიქოლოგიური

ცოდნისა და ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების ყველა ეტაპზე იყო აქტუალური. იგი აქტუალურია დღესაც. დ. უზნაძე თავისი თეორიით შეეცადა გადაეწყვიტა ეს პრობლემა ქცევის მიზანშეწონილობის საკითხის ახსნის კონტექსტში. მეტი სიცხადისათვის ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ თვით განწყობის თეორიის ძირითად მომენტებზე.

იმას, რასაც შემდეგში დ. უზნაძემ "განწყობა" უწოდა, ადრე, 1923-25 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში იგი უწოდებდა "სინამდვილის დღემდე მიუკვლეველ სფეროს", "ჯერ კიდევ უცნობ ქვეფსიქიურ არეს". "ქვეფსიქიური" აქ აღნიშნავს მხოლოდ ფსიქიკურის ქვემოთ მოთავსებულ არეს, რომელზედაც დაშენდება ფსიქიკური, რომელიც განსაზღვრავს ფსიქიკური ცხოვრებისა და მოქმედების ბუნებას. ა. ბოჭორიშვილი განმარტავს: "განწყობის ცნება თავიდანვე შემოტანილი იყო იმ მიზნით, რომ მას აეხსნა ფსიქიკური სინამდვილე. ის (განწყობა) საფუძვლად ედო ფსიქიკურს, მის "ქვემოთ" იყო მოთავსებული და ამიტომაც მან მიიღო სახელწოდება "ქვეფსიქიკური". რადგანაც ფსიქიკურის ქვემოთ ბიოლოგიური სინამდვილე იგულისხმება, ნახმარი იყო ტერმინი "ბიოსფერო". ამ ქვეფსიქიკურს ("რაც ჩენს ცნობიერებაში ფსიქიკურ პროცესთა სახით ითარგმნება" და თავისებური ნეგატივის გამჟღავნების მსგავსად "ხილული ხდება") დ. უზნაძე 1925 წელს გამოცემულ "ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლებში" ახასიათებს როგორც "არაცნობიერ არაფსიქიკურს". მივაქციოთ ყურადღება, იმას, რასაც შემდგომში "განწყობა" ეწოდა, დ. უზნაძის მიერ კვალიფიცირებულია როგორც არაცნობიერი არაფსიქიკური და არა არაცნობიერი ფსიქიკური. აქედანაც შეიძლება დავასკვნათ: თუ არაფსიქიკურია, მაშასადამე, იგი ყოფილა ბიოლოგიური, ფი-

ზიოლოგიური, ე.ი. ფიზიკური რიგის მოვლენა ფართო გაგებით. სხვანაირად არ შეიძლება, სხვაგვარ სინამდვილეს ჩვენ არ ვიცნობთ. ამ რიგის მოვლენა უნდა იყოს ან ფსიქიკური, ან ბიოლოგიური. მაგრამ არა. დ. უზნაძე ამბობს, რომ ეს არის სინამდვილის "დღემდე მიუკვლეველი სფერო". ამ სფეროს (ამ სფეროში ნაგულისხმევი მოვლენის), ე.ი. ქვეფსიქიკურის სინონიმებად დ. უზნაძე იყენებს შემდეგ ტერმინებს: სიტუაცია (რომელშიც ორგანიზმის შინაგანი მდგომარეობა იგულისხმება და არა ობიექტური გარემოს თავისებურება), ბიოსფერო, განწყობილება, ბიოსფერული განწყობილება, ქვეფსიქიკური განწყობილება, ურთიერთშეგუება, გაერთმთლიანებული განწყობილება.

ქვეფსიქიკური სინამდვილისათვის, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს ერთგვარი შუამავლის როლი ფსიქიკურსა და ფიზიკურს შორის, რომლის მეშვეობითაც ფიზიკური და ფსიქიკური ურთიერთშეხებაში მოდიან, დ. უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "სრულიად უცხოა სუბიექტურისა და ობიექტურის საწინააღმდეგო პოლუსები". ის თავისებური მდგომარეობაა, რომელშიც სუბიექტური (მე, ჩემი მდგომარეობა) და ობიექტური (გარე აგენტი) ურთიერთს ხვდება და ურთიერთში ილესება, რომელშიც სუბიექტურისა და ობიექტურის განსხვავებული ასპექტები ისპობა, გამოუსადეგარი ხდება და რაღაც თავისებური განუწევრელი მთლიანობის სახით გვევლინება. ამ სპეციფიკური მთლიანობის, არაცნობიერი არაფსიქიკურის, ან კიდევ ბიოსფერული სინამდვილის ფუნქციაა იკისროს შუამავლის როლი სუბიექტურსა და ობიექტურს შორის, ფსიქიკასა და მატერიალურს შორის. მათ კონტაქტს იგი განაპირობებს, ვინაიდან მათი უშუალო ურთიერთზემოქმედება შეუძლებელია. ეს "სასწაული იქნებოდაო" - წერს დ. უზნაძე.

აი, სწორედ ასეთი სასწაულის მოსახსნელად, ორ, ძალზე დაშორებულ სინამდვილეს შორის ხიდის გასადებად შეიმუშავა დ. უზნაძემ თავისი ბიოსფერული თეორია, რომელსაც შემდეგში მან განწყობის თეორია უწოდა. ამ თეორიის მიხედვით, აღნიშნული მთლიანობითი მდგომარეობა სუბიექტში იქმნება მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის ერთიანობის ნიადაგზე. ამ მთლიანობით მდგომარეობაში ერთდროულად ასახულია ჩემი მდგომარეობაც და შესატყვისი გარე აგენტის რაობაც. უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "იგი გარე აგენტის ჩემში გადმოტანილი მდგომარეობაცაა". ამასთან დაკავშირებით დ. უზნაძეს ასეთი მაგალითი მოჰყავს: როდესაც წყალში ქვას ვისვრით, მისი ზედაპირი თავისებურად ატივტიეედება. როდესაც ქვა დიდია, მაშინ წყალში ერთგვარი ტალღები ჩნდება; როდესაც იგი პატარაა, მაშინ – სხვაგვარი; როდესაც ტალღებს ქარის ძალა ამოძრავებს, მაშინ იგი ერთია და, როდესაც ამას გემის მოძრაობა იწვევს, მაშინ იგი მეორეა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში წყლის მდგომარეობის უბრალო ცვლილებასთან როდი გვაქვს საქმე, არამედ სრულიად განსაკუთრებულ ცვლილებებთან, რომელშიც მისი გამომწვევი "აგენტის" რაობაც ჩანს. ამის მიხედვით, წყლის ტალღათა მოძრაობაში ორივე მომენტი – თვით მისი მდგომარეობაც და მისი აგენტისაც – ერთადაა შედუღებული. შეიძლება ითქვას, რომ წყლის მდგომარეობა რეალურად განუწევრებელი მთლიანობაა, რომელშიც მისი სახეც ჩანს და გარე აგენტისაც. ის, რაც წყლის შესახებ ითქვა, გაცილებით უფრო მეტი უფლებით შეიძლება განმეორდეს ცოცხალი ორგანიზმის შესახებაც – ამბობს დ. უზნაძე.

რაც შეეხება განწყობის მიმართებას ცნობიერებასთან, 1949 წელს გამოქვეყნებულ თავის ფუნდამენტურ ნაშრომშიც – "გან-

წყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები" – დ. უზნაძე წერს, რომ "განწყობა არაა ცნობიერების ფენომენი"... ცნობიერი განცდები შეიძლება ჩვენი განწყობის გარკვეული ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, განწყობისა, რომელიც თავის მხრივ არავითარ შემთხვევაში ჩვენი ცნობიერების შინაარსად არ ჩაითვლება". შ. ჩხარტიშვილი მთლიანად იზიარებს განწყობის თეორიის ამ პრინციპულ დებულებას და მიაჩნია, რომ განსხვავებული შეხედულების მქონე ავტორებს, მაგალითად, შ. ნადირაშვილს, როცა იგი განწყობაზე, როგორც ცნობიერების ფენომენზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს სოციალური განწყობა, რომელიც ატიტუდის სახელით იხსენიება. მაგრამ ეს საკითხი სხვა მიმართულების მსჯელობას მოითხოვს. დავუბრუნდეთ ისევ უზნაძისეული განწყობის ფენომენს, ამ უაღრესად სპეციფიკურ მთლიანობით მდგომარეობას.

ისმება კითხვა: როგორი ბუნებისა უნდა იყოს ეს მთლიანობითი მდგომარეობა? ე.წ. მესამე ინსტანცია? როგორია მისი საშენი მასალა? იგი ფიზიოლოგიური კატეგორიის მოვლენაა, ფსიქიკურის, ორივესი ერთად, თუ მას სულ სხვა ბუნება გააჩნია? თვითონ დ. უზნაძე, ადრე, განწყობას ბიოლოგიური რიგის მოვლენად თვლიდა, ხოლო თეზისი განწყობის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ მან სიცოცხლის ბოლო პერიოდში წამოაყენა ისე, რომ მისი საგანგებო დასაბუთება არ მოუცია.

ა. ბოჭორიშვილის აზრით, უფრო გამართლებულია დ. უზნაძის ადრინდელი შეხედულება, რომლის მიხედვითაც განწყობა არაფსიქიკურ, ბიოლოგიური რიგის მოვლენას წარმოადგენს. ამიტომაა იგი (განწყობა) პრინციპულად არაცნობიერი მოვლენა. ხოლო ფსიქიკური ამ ავტორისთვის მხოლოდ და მხოლოდ ცნობიერი შეიძლება იყოს. არაცნობიერი ფსიქიკური ბოჭორიშვილის მიხედვით შეუძლებელია არსებობდეს ისევე, როგორც

უაზრობაა ისეთ ტკივილზე ლაპარაკი, რომელიც ვინმეს არ სტკივა, ვინმეს მიერ არ განიცდება. მაშასადამე, მისთვის ყველა ფსიქიკური ცნობიერია და, პირიქით, ცნობიერი მხოლოდ ფსიქიკურია.

ა. ბოჭორიშვილი კითხულობს: როდესაც ვამბობთ განწყობა ბიოლოგიური (ფართო გაგებით ფიზიკური) კატეგორიის მოვლენაა, რას ვგულისხმობთ ამაში? ტრადიციულად ჩვენ ვიცნობთ ორგვარ სინამდვილეს: ფიზიკურს და ფსიქიკურს. პირველს სუბსტანციური არსებობა გააჩნია, მეორეს - ფენომენოლოგიური. თუ გავითვალისწინებთ დ. უზნაძის სიტყვებს, რომ განწყობის სახით მან აღმოაჩინა "სინამდვილის ჯერ უცნობი, დღემდე მიუკვლეველი სფერო", მაშინ ლოგიკურად გამოდის, რომ განწყობა არ ყოფილა არც ფიზიკური და არც ფსიქიკური, არც ობიექტური და არც სუბიექტური მოვლენა თუ სინამდვილე. წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორი მას ვერ დაახასიათებდა როგორც ახალ, აღმოჩენილ სინამდვილეს. რომ გავიზიაროთ დ. უზნაძის ბოლოდროინდელი შეხედულება და დავუშვათ, რომ განწყობა ფსიქოლოგიური კატეგორიის მოვლენაა, ამბობს ა. ბოჭორიშვილი, მაშინ ისევ აღმოვჩნდებით სუბიექტურისა და ობიექტურის, ფსიქიკურისა და ფიზიკურის კონტაქტის პრობლემისა და "უშუალობის პოსტულატის" დაძლევის ამოცანის წინაშე. უზნაძეს განწყობა ესმოდა როგორც ერთგვარი "საზღვარი" ფსიქიკურსა (სუბიექტურსა) და ფიზიკურს (ობიექტურს) შორის, რომელიც არა მხოლოდ აშორიშორებს, არამედ აერთიანებს მოვლენათა ამ რიგებს (და აკავშირებს ფსიქიკურს ფსიქიკურთანაც). აქედანაც ჩანს, რომ განწყობაში შეუძლებელია დ. უზნაძეს ეგულისხმა წმინდა ფსიქოლოგიური რიგის მოვლენა. ა. ბოჭორიშვილის მოწაფე პროფ. შ. ჩხარტიშვილი სვამს კითხ-

ვას: "ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორმა (დ. უზნაძემ - ნ.ბ.) არსებითად შეცვალა თავისი აზრი და ის, რასაც წინათ ბიოლოგიური რიგის მოვლენად თვლიდა, შემდეგში ფსიქიკურ წარმონაქმნად მიიჩნია?" - და პირდაპირ პასუხობს: "ჩვენი აზრით, ასეთ რამეს არ უნდა ჰქონდეს ადგილი". ფაქტობრივად, ა. ბოჭორიშვილიც ლოგიკური დასაბუთების გზით ამასვე ამტკიცებს, ე.ი. იმას, რომ შეუძლებელია განწყობაში დ. უზნაძეს ეგულისხმა წმინდა ფსიქოლოგიური მოვლენა. ამას ადასტურებს დ. უზნაძის ასეთი გამონათქვამებიც: "სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში პირველ რიგში სუბიექტში, როგორც მთელში, ჩნდება გარკვეული ცვლილებები და არა მის ფსიქიკაში..." მეცნიერის მიერ აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ განწყობა მხოლოდ ფსიქიკურ სფეროს არ მოიცავს. შემდეგ იგი განმარტავს: "ეს მთლიანობითი ცვლილება (ე.ი. განწყობა - ნ.ბ.), მისი ბუნება და მიმდინარეობა იმდენად სპეციფიკურია, რომ მის შესასწავლად არც ფსიქიკურის ჩვეულებრივი ცნებები და კანონზომიერებები გამოდგება და არც ფიზიოლოგიურის".

ანგია ბოჭორიშვილის აზრით, განწყობა არაა არც ფსიქიკური და არც ფიზიკური (ფიზიოლოგიური სინამდვილე). იგი "ამათგან სრულიად განსხვავებულია და ამის გამო უფლებამოსილი – შეასრულოს შუამავლის როლი ამ ორი სინამდვილის კონტაქტისათვის". ითვალისწინებს რა დ. უზნაძის დებულებას (თითქმის კატეგორიულ გამონათქვამს) იმის შესახებ, რომ განწყობა "ვერავითარ შემთხვევაში არაფსიქიკურ, მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოვლენად ვერ ჩაითვლება", ა. ბოჭორიშვილი ასკვნის: მაშასადამე, განწყობა ფიზიოლოგიურიც არის და ფსიქიკურიც.

როგორაა შესაძლებელი, რომ მოვლენა ერთსა და იმავე დროს ფიზიოლოგიურიც იყოს და ფსიქიკურიც? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ა. ბოჭორიშვილი ამ საკითხში სოლიდარულია შ. ჩხარტიშვილის შეხედულებისა, უფრო სწორად, ავტორები ავითარებენ ერთ საერთო შეხედულებას, რომლის მიხედვითაც მეცნიერებაში მოქმედი ფიზიოლოგიურისა და ფსიქიკურის ცნებები ისეთ შინარსებს შეიცავენ, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება, ხელოვნური ძალდატანების გარეშე, შეუძლებელი ხდება. მაგრამ მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცნებები მიღებულნი არიან პირველადი, რეალურად გაუნაწევრებელი სინამდვილის ორი სხვადასხვა რიგის თვისებების აბსტრაქციის გზით, ეს სიძნელე მაშინვე მოიხსნება. საქმე იმაშია, რომ რეალურად არსებობს და ცხოვრების მიმდინარეობას საფუძვლად ედება არა აბსტრაქციის გზით მიღებული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცნებების "იზოლაციაქმნილი" შინაარსები, არამედ ის პირველადი, ფაქტიურად გაუნაწევრებელი, უმაღლესი რიგის მთლიანობა, რომლისგანაც ამ შინაარსების აბსტრაქცია მოხდა. გასაგებია, რომ აქ ლაპარაკია განსაკუთრებულად ორგანიზებული მატერიის, ტვინის შესახებ, რომლის ყველაზე ახალი თავისებურება ფსიქიკურ პროცესებში, სულიერ ცხოვრებაში გამოიხატება. ა. ბოჭორიშვილის მიხედვითაც, რეალურად არსებობს არა ორი იზოლირებული, არამედ ერთი მთლიანი პროცესი, რომელსაც ორი მხარე აქვს – ტვინი (მატერია) და განცდა (ფსიქიკა). ფსიქიკური მოვლენები ასეთი მატერიის შინა ბუნებას, მის არსს წარმოადგენს. ამიტომ შეუძლებელია ფსიქიკურისა და იმ უმაღლესი მატერიალური პროცესების ურთიერთობაზე ვილაპარაკოთ, რომელთა არსებით თავისებურებას თვითონ ფსიქიკური

წარმოადგენს. შ.ჩხარტიშვილის გონებამახვილური მაგალითით, როგორ შეიძლება მაგნიტისა და მისი მიზიდულობის ძალის ურთიერთობაზე ვიმსჯელოთ, როდესაც ამ ძალის, მიზიდულობის თვისების გარეშე მაგნიტი იქნებოდა ჩვეულებრივი რკინა. მაგნიტს მაგნიტად აქცევს სწორედ ეს თვისება. სხვა მხრივ მაგნიტსა და რკინას შორის არაა განსხვავება.

იმის გამო, რომ ყველაზე უმაღლესი მატერიალური პროცესის, ყველაზე ძირითადი და სპეციფიკური ნიშანი არის ფსიქიკური, შეიძლება მას ფსიქიკური ვუწოდოთ. ამ სახელწოდებით ჩვენ მოვლენის არსებით ნიშანს გამოვხატავთ. შ. ჩხარტიშვილის აზრით, ასე იქცევა დ. უზნაძეც, როცა განწყობას თვლის ფსიქიკურ ფაქტად, რომელიც იმავე დროს ფიზიოლოგიურიცაა. (საგულისხმოა, რომ ივ.პავლოვიც რეფლექსს თვლიდა ფსიქიკურ მოვლენად, რომელიც იმავდროულად არის ფიზიოლოგიურიც). ამრიგად, ზემოაღნიშნულის მიხედვით, განწყობის ცნებაში იგულისხმება პირველადი, ფსიქოფიზიოლოგიურად გაუნაწევრებელი "ნივთიერი" ბუნების მქონე მოვლენა. განწყობის "საშენ მასალას" სწორედ ასეთი პირველადი მთლიანობა წარმოადგენს, რომელიც შესაბამის პირობებში განიცდის რა სათანადო მოდიფიკაციას, საფუძვლად ედება ადამიანის ქცევას, მისი ცნობიერების შინაარსების მიმდინარეობას და განსაზღვრავს მათ მიზანშეწონილ ხასიათს. ვფიქრობთ, ასეთი შეხედულების მართებულობაზე თავისებურად უნდა მიუთითებდეს ი.იმედაძის მსჯელობაც, რომელიც ლაპარაკობს რა განწყობის ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიურ სტატუსზე, აცხადებს, რომ ეს კონცეფცია მიეკუთვნება საბუნებისმეტყველო ტიპის ფსიქოლოგიურ სისტემებს.

ქართველ ფსიქოლოგებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა განწყობის სტრუქტურის შესახებაც. მაგალითად, შ.

ჩხარტიშვილის აზრით, განწყობას აქვს არა სტატიკური (როგორც ეს ლიტერატურაშია დამკვიდრებული), არამედ მიმდინარე სტრუქტურა. განწყობა, რომელიც ქცევის დაწყების წინ იქმნება, ქცევის მიმდინარეობის მთელს მანძილზე უცვლელი, პირვანდელი სახით არასოდეს რჩება. "იგი აქტივობის მთელს მანძილზე უცვლელად ინარჩუნებს ქცევის ძირითად კარკასს, რაც, თავის მხრივ, სიტუაციის ძირითად სქემას ეფუძნება, ხოლო სიტუაციაში შემავალ კონკრეტულ სტიმულთა შესატყვის სტრუქტურასა და მიზანშეწონილი ქცევის კონკრეტული აქტების განხორციელების შესაძლებლობას იძენს გზადაგზა, ქცევის მიმდინარეობაში, დრო და სივრცის კოორდინატებზე გაშლილი სიტუაციის ყოველ ცალკე სტრუქტურულ მონაკვეთში, როცა მასში სიტუაციის ამ მონაკვეთის სტიმულაციური სტრუქტურა აისახება. ამიტომ კონკრეტული ქცევის აქტების განწყობა შედარებით მყარი და მუდამ ცვალებადი (დინებადი) სტრუქტურული მომენტების ერთიანობას წარმოადგენს".

ჩვენ ვიზიარებთ ასეთ შეხედულებას და მივიჩნევთ, რომ თუკი ყოველი კონკრეტული ქცევის განწყობას მიმდინარე სტრუქტურა აქვს, მაშინ ეს მით უფრო ითქმის შორეული მოტივაციური ქცევის განწყობაზე, ქცევისა, რომელიც შეიძლება დროში (და სივრცეშიც) ფართოდ გაშლილ, ერთმანეთისადმი დაქვემდებარებულ მოქმედებათა მთელ სისტემას შეიცავდეს. თავისი "მექანიზმის" და შედეგების თვალსაზრისით კი შორეულ მოტივაციურ ქცევას ჩვენ ადამიანის ისეთ აქტივობას ეუწოდებთ, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს აქტუალურ მოთხოვნილებებთან. ეს ქცევა არასდროს ეყრდნობა იმ მოთხოვნილების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილების პირობებსაც თვითონ ქმნის. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევაში კი არ მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ამასთანავე, შორეული მოტივაციური ქცევის

შედეგი შეიძლება გამიზნული იყოს როგორც თვით მისი სუბიექტის მოშავლისათვის, ისე სხვა ადამიანების, კოლექტივის, ან საზოგადოების ინტერესებისათვისაც. ამ ქცევის ძირითადი წარმმართველი და მაორგანიზებელი ძალა არის თვითონ პიროვნება, როგორც ნებისყოფის სუბიექტი, რომელიც ყოველთვის ობიექტური თუ საზოგადოებრივი ღირებულებებით ხელმძღვანელობს.

ჩვენ ვერ მივიღებთ თეზისს შორეული მოტივაციური ქცევის განწყობით განსაზღვრულობის შესახებ, თუ არ ვაღიარებთ განწყობის სტრუქტურის ცვალებადობის შესაძლებლობას ქცევის მიმდინარეობაში. და მართლაც, შორეული მოტივაციური ქცევის განწყობა, რომელიც ამ ქცევის წინ იქმნება და მთელი განსახორციელებელი აქტივობის ძირითად კარკასს ასახავს, პრინციპულად შეუძლებელია თავისი დეტალებითურთ აღნიშნული აქტივობის მთელს მანძილზე უცვლელი იყოს. შეუძლებელია მასში თავიდანვე მოცემული იყოს ყველაფერი ის, რაც უშუალოდ ქცევის პრაქტიკული მიმდინარეობის დროს იჩენს ხოლმე თავს. ამრიგად, დროით გაშუალებული სტრუქტურის მქონე ქცევის არსებობა, ერთის მხრივ, და ამ ქცევის განწყობით განსაზღვრულობის ფაქტი, მეორეს მხრივ, თავისთავად ნათლად მეტყველებს იმ მოსაზრების მართებულობაზე, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს განწყობის აგებულების ცვლილებას ქცევის მიმდინარეობაში, რაც თავის მხრივ ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული.

უკანასკნელ პერიოდში განწყობის სტრუქტურის შესახებ საინტერესო მოსაზრებები განავითარა პროფ. გ.ჩაგანავამ. კერძოდ, იგი ლაპარაკობს განწყობის სტრუქტურაში სიერცობრივი პარამეტრების, ასევე ცნობიერი და არაცნობიერი, უფრო გაცნობიერებული და ნაკლებად გაცნობიერებული ნაწილების შესახებ. ვფიქრობთ, სივრცობრივი პარამეტრების არსებობა

განწყობაში რეალურია. იგი შეესაბამება ჩვენს მოსაზრებასაც შორეული მოტივაციური ქცევის განწყობის შესახებ. რაც შეეხება მსჯელობას განწყობის "ნაწილებზე", აქ გარკვეული სირთულეები იჩენს თავს. ეს დაკავშირებულია უზნაძისეული განწყობის ძირითად მახასიათებლებთან, პირველ რიგში კი მის მთლიანპიროვნულ და არაცნობიერ ბუნებასთან.

## ლიტერატურა:


1. ბოჭორიშვილი ა., ჩხარტიშვილი შ., ფსიქოლოგია, თბ., 1950.
2. ბოჭორიშვილი ა., ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიისათვის, თბ., 1966.
3. ბოჭორიშვილი ა., თხზულებები, ტ. I, თბ., 1991.
4. ბჟალავა ი., ცნობიერებისა და არაცნობიერი ფსიქიკურის პრობლემა განწყობის ფსიქოლოგიაში, თბ., 1976.
5. ბარამიძე ნ., შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათ., 1995.
6. კაკაბაძე ვ., სიღრმის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 1979.
7. კაკაბაძე ვ., გამოკვლევები ფსიქოლოგიაში, ქუთ., 1993.
8. ნადირაშვილი შ., განწყობის ფსიქოლოგია, ნაწ. I, თბ., 1983.
9. ნადირაშვილი შ., განწყობის ფსიქოლოგია, ნაწ. II, თბ., 1985.
10. ნადირაშვილი შ., განწყობის ანტროპული თეორია, თბ., 2001.
11. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998.
12. უზნაძე დ., შრომები, ტ. II, თბ., 1960.
13. უზნაძე დ., შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
14. უზნაძე დ., შრომები, ტ. IX, თბ., 1986.
15. უზნაძე დ., ფილოსოფიური შრომები, ტ. II, თბ., 1986.
16. ფსიქოლოგია, ტ. XIII, თბ., 1962.

17. ფსიქოლოგიური გამოკვლევები (დ.უზნაძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები), რედ. პროფ. ნ.ბარამიძე, ბათ., 2006.
18. ხოჯავა ზ., განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი დ.უზნაძის განწყობის თეორიაში, თბ., 1964.
19. ჩხარტიშვილი შ., განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975.
20. ჩაგანავა გ., განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები, ბათ., 2001.
21. ცინცაძე გ., ფსიქოლოგიის ფილოსოფიური პრობლემები, ჟურნ. "მაცნე", № 5, 1967.
22. Имедадзе И.В., Категория поведения в теории установки, Тб., 1991.
23. Натадзе Р.Г., Установочное действие воображения, Тб., 1970.
24. Норакидзе В.Г., Типы характера и фиксированная установка, Тб., 1966.
25. Прангишвили А.С., Исследования по психологии установки, Тб., 1967.
26. Хачапуридзе Б.И., Проблемы и закономерности действия фиксированной установки, Тб., 1976.
27. Ходжава З.И., Проблема навыка в психологии, Тб., 1960.
28. Чхартишвили Ш.Н., Некоторые спорные проблемы психологии установки, Тб., 1971.
29. Шерозия А., К проблеме сознания и бессознательного психического, Тб., 1969.
30. Шерозия А., Психика. Сознание. Бессознательное, Тб., 1979.
31. Большой психологический словарь, М., 2005.

## ნებისყოფა, როგორც შორეული მოტივებით და მაღალი იდეალებით მოქმედების საფუძველი

მთელი ჩვენი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, რითაც ამაყობს დღეს კაცობრიობა, ადამიანის აზროვნებისა და ნებისყოფის შედეგია. არაფერი ღირებული არ შექმნილა ქვეყნად ამ ორი ადამიანური ფაქტორის მონაწილეობის გარეშე. "გენიოსი – ეს გენიალური ნებისყოფაა" – ბრძანებს გოეთე, და მართლაც, აზროვნების ტიტანებისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო მტკიცე ნებისყოფა, რომელიც უწინარესად შემოქმედებით შრომაში, ბრძოლაში, საკუთარი ემოციების ფლობაში, თუ საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებაში ვლინდებოდა. დიახ, ინტელექტი და ნებისყოფა სამყაროს ჭეშმარიტი მბრძანებლებია. სამყაროს გვირგვინი კი ამ უნარების მფლობელი ადამიანია, რომლის პიროვნებაც, ძირითადად, ფასდება იმით, თუ როგორ ახერხებს იგი აწმყოს წუთიერ ინტერესებზე ამაღლებას და მაღალი იდეალებით, საქვეყნო და პირადი ცხოვრების პერსპექტივებით, ე.წ. შორეული მოტივებით მოქმედებას. ადამიანის ასეთი მოქმედების მთავარი წარმმართველი და მაორგანიზებელი ძალა კი არის ნებისყოფა. ამიტომ, იქ, სადაც არაა ნებისყოფა, არც პიროვნებაა. ნებისყოფის სუბიექტი ყოველთვის მაღალი იდეალების, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების დაცვის, შექმნისა და გამრავლების სადარაჯოზე დგას (2; 3; 5; 6).

ნებისყოფით განსაზღვრული შორეული მოტივაციური ბუნების მქონე პიროვნული ქცევა ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოიცავს, მაგრამ, ვფიქრობთ, განსაკუთრებით შთამბეჭდავია იგი ისეთ პირობებში, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება სიყვარულის უმაღლესი ადამიანური გრძნობა და მაღალი სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულების

აუცილებლობის შეგნება. აი, ზოგიერთი დამახასიათებელი მაგალითი (4):

ნაპოლეონ ბონაპარტე (1769-1821), დიდი ნაპოლეონი, სიყვარულშიც დიდი და არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. "სიყვარული ჩემთვის აბსოლუტური ბედნიერებაა" – წერდა იგი ულამაზეს ჟოზეფინას და განაგრძობდა: "რა ჯადოთი შესძელი დაგემორჩილებინა მთელი ჩემი უნარი და მთელი ჩემი სულიერი ცხოვრება მხოლოდ შენზე შეგეჩერებინა?.. ჩემო ერთადერთო... სულზე უტკბესო, იმ დღეს, როცა ჩემი აღარ იქნები, სამყარო ჩემთვის მთელ თავის მშვენიერებას დაჰკარგავს. არასოდეს იეჭვიანო. შენი ცრემლი გონებას მაკარგვინებს, მწვავს. გჯეროდეს ჩემი, რომ ახლა არ შეიძლება მქონდეს არც ერთი ფიქრი, არც ერთი აზრი, რაც შენ არ გეკუთვნის... იმედი მაქვს, მალე გულში ჩაგიკრავ და მილიონჯერ გაკოცებ".

მიუხედავად ასეთი მგზნებარე, ამაღლებული და ვნებიანი სიყვარულისა, ნაპოლეონს, საჭიროების შემთხვევაში, უსაყვარლესი ადამიანისათვის შეეძლო მიეწერა (და შესაბამისად ემოქმედა კიდეც): – "არსებობს წუთები, როცა მაღალი მდგომარეობა მთრგუნავს – ამას ვგრძნობ ახლა. როგორ დავიკმაყოფილო გულის სწრაფვა, რომელიც თქვენს ფერხთით მოფრენას ლამობს. მაგრამ უმძიმესი "მაღალი" მოსაზრებანი ყველაზე მგზნებარე სურვილს აფერხებს?"

რა მშვენიერი და დიდებული სიტყვებია! მაღალი, სახელმწიფოებრივი მდგომარეობა, ერისა და ქვეყნის ინტერესები არ მაძლევს საშუალებას, რომ გულის სწრაფვა დავიკმაყოფილოო – ამბობს უძლეველი მხედართმთავარი და ლამის მსოფლიოს მბრძანებელი ხელმწიფე-იმპერატორი. მეორე წინადადებაშიც ფაქტობრივად იგივე აზრია გამოხატული. მაგრამ მივაქციოთ ყურადღება, ამჯერად სიტყვა "მაღალი" ნაპოლეონს ბრჭყალებში აქვს ჩასმული. დიახ, უაღრესად განათლებული და საფუძვ-

ლიანი ცოდნის მქონე ნაპოლეონი ამით უსაყვარლეს ქალს აგრძნობინებს, რომ მართალია, მისთვის სიყვარულზე უმაღლესი გრძნობა არ არსებობს, მაგრამ რა ქნას, მაღალი იდეალები მის ყველაზე მგზნებარე სურვილს აფერხებს და იძულებულია უმძიმესი სახელმწიფოებრივი მოსაზრებების მიხედვით იმოქმედოს. მართლაც, გრძნობის, ცოდნის, ნიჭისა და ნებისყოფის როგორი შენადნობია, სწორედ რომ ნაპოლეონის სადარი! ალბათ, ანალოგიურ შემთხვევებს, ადამიანის ასეთ შესაძლებლობებს ითვალისწინებდა უპირველესად მაქსიმ გორკი, როდესაც საყოველთაო გასაგონად ამბობდა (წერდა) თავის ცნობილ ფრაზას: როგორ ამაყად ჟღერს სიტყვა – "ადამიანი".

დიდი კორსიკელის ასეთი ფსიქოლოგია, მისი მტკიცე ხასიათი, დამოკიდებულება საკუთარი მოვალეობისადმი და უძლიერეს ადამიანურ გრძნობებზე ამაღლების უნარი რომ რჩეულთა შორისაც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, ეს კარგად ჩანს მრავალთაგან ერთ ასეთ დამახასიათებელ მაგალითზე: ნაპოლეონის თანამედროვე ცნობილი ფრანგი მწერალი, საფრანგეთის აკადემიის წევრი ალფრედ მიუსე (1810-1857) არაფერს არ (თუ ვერ) უწევდა ანგარიშს და თავდავიწყებამდე მისული ასეთი წერილით მიმართავდა შეყვარებულს: "...ჩემო თოვლის ფიფქო, ჯანდაბის გზას გავუყენე დიპლომატიაც და პატივმოყვარეობაც. პოლიტიკა უჩემოდ იოლად გავა. ხოლო რაც ჩემს მომავალს შეეხება – მე მხოლოდ ერთ დღეს ვეკედრები – როდესაც თქვენს გულისცემას ჩემს მკერდზე ვიგრძნობ...".

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. ადამიანთა უნარებში განსხვავება დიდია, მით უფრო, როდესაც შედარების საზომი, ობიექტი, თუ ეტალონი შეუდარებელი ნაპოლეონია. შეუძლებელია აქ არ გაგვახსენდეს მრავალი ანალოგიური მაგალითი ქართული სინამდვილიდან, პირველ რიგში კი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებიდან ("ხევისბერი გოჩა"). ყველაფერი

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ყველას ყოველთვის როდი შეუძლია აწმყოს მდგომარეობაზე ამაღლება და ნებისყოფით განსაზღვრული უფრო მიზანშეწონილი მოქმედება.

გამოჩენილი ამერიკელი ფსიქოლოგი როლო მეი თავის წიგნში "სიყვარული და ნებისყოფა" ლაპარაკობს ამ ორი ადამიანური უნარის მტკიცე ურთიერთკავშირის შესახებ, მაგრამ ამასთანავე ყურადღებას ამახვილებს მათ განსხვავებულ გენეტიკურ ძირებზეც და ფიქრობს, რომ სიყვარულისა და ნებისყოფის ურთიერთშემაკავებელი, მაბლოკირებელი მოქმედება ისტორიულად ამითაცაა განსაზღვრული. რ.მეის აზრით, სიყვარულიც და ნებისყოფაც წარმოშობს ძალას, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს სხვებზე და სამყაროზეც სასურველი პასუხის მიღწევისა თუ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილების მიზნით (7, 153). ასე რომ, ნაპოლეონის შემთხვევაში ხდებოდა ამ ძალების ცნობიერი რეგულაცია უფრო მაღალი იდეალების სასარგებლოდ, რაც მხოლოდ მისი მტკიცე ნებისყოფის საფუძველზე იყო შესაძლებელი.

სამშობლოსათვის, მაღალი იდეალებისათვის თავგანწირვის, მეტადრე, ჩვენი ქვეყნის დღევანდელი დღისა და მისი მომავლისათვის ბრძოლის თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებოა იტალიის სახალხო გმირის ჯუზეპე გარიბალდის (1807-1882) არა მარტო ლეგენდებით მოსილი ცხოვრება, არამედ მისი წერილებიც უსაყვარლესი მეგობარი ქალის – ანიტასადმი. ასეთ ინტიმურ წერილებში ხშირად უფრო კარგად ვლინდება ადამიანის პიროვნება, მისი იდეალები, ღირებულებითი ორიენტაციები. საგულისხმოა, რომ ასეთი პირადული ხასიათის წერილებშიც გარიბალდი ეროვნულ ინტერესებზე მსჯელობს.

მაგალითად, ანიტასადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში იგი აღშფოთებით ლაპარაკობს იტალიელთა იმჟამინდელ (1849 წ.) მდგომარეობაზე, ღალატზე, სიცრუესა და ორპირობაზე, ხალ-

ხის სულიერ დეპრესიაზე. მაგრამ იქვე დასძენს: "...არ იფიქრო, რომ ჩემი სამშობლოს მომავლის თაობაზე სასოწარკვეთილი ვარ. პირიქით, მეტი იმედი მაქვს, ვიდრე ოდესმე. დაუსჯელად შეიძლება ერთ ადამიანს აჰყარო პატივი, მაგრამ არ შეიძლება პატივი აჰყარო ხალხს – მოღალატეები ცნობილი არიან. იტალიის გული ფეთქავს და თუმცა იგი სრულიად ჯანსაღი არ არის, მაინც ძალა შესწევს დასნეულებული ნაწილები უკუაგდოს, რომლებიც მას აავადმყოფებენ.

რეაქციამ ღალატით და თაღლითობით შეძლო ხალხი დაეშინებინა, მაგრამ... ხალხი არასოდეს დაივიწყებს რეაქციის ღალატსა და თაღლითობას. თუკი იგი თავისი შიშისაგან განთავისუფლდა, საშინელი გააფთრებით აღდგება და ამჯერად თავისი შერცხვენის მიზეზს გაანადგურებს".

დიახ, გარიბალდი უსაყვარლესი მეგობარი ქალისადმი მიწერილ წერილებშიც პირადულზე კი არა, სამშობლოზე, იტალიაზე ფიქრობს და ლაპარაკობს. სწორედ ასეთი პატრიოტიზმი გაიყვანს ჩვენს სამშობლოს – საქართველოს სამშვიდობოზე.

ვინაიდან ნაშრომში ლაპარაკია საქვეყნო თუ საკაცობრიო ღირებულებებისადმი მიმართული ქცევის განხორციელების უნარზე, რომელიც რიგ შემთხვევაში საკუთარ მოთხოვნილებებზე, ემოციებზე და გრძნობებზე ამაღლებას, საკუთარი თავის ფლობას გულისხმობს, ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი ადამიანური ცხოვრების სხვა სფეროებიდანაც.

ცნობილია ერთი თქმულება მარშალ ტიურენზე, რომელსაც ნერვული ჟრჟოლა იპყრობდა ტყვიის გასროლის ხმაზე. ერთხელ, ბრძოლის დაწყების მომენტში, ასეთი შიშის ჟრუანტელის დროს, ის ზიზღით მიუბრუნდა თავის თავს და უთხრა: - "შენ ძრწი, ჩონჩხო? შენ კიდევ უფრო მეტად შეძრწუნდები, რომ

იცოდე სად წაგიყვან ახლა!" და გასაგებია თუ როგორ ბრძოლაში აღმოჩნდებოდა მხედართმთავარი ასეთი სიტყვების შემდეგ.

სუვოროვიც კი აღტაცებაში მოჰყავდა ტიურენის ნებისყოფის სიმტკიცეს, რომლითაც იგი საკუთარ ემოციებზე მბრძანებლობდა (6, 215).

როგორ არ გავიხსენოთ აქ ჩვენი დიდი (და არა დიადი) თანამემამულე იოსებ სტალინი, რომლის რკინისებური ნებისყოფა და უდიდესი მიზანსწრაფვა საყოველთაოდ ცნობილია. ამ უნარს იგი ავლენდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ, ცხადია, განსაკუთრებული სიმტკიცით და სიდიადით გამოავლინა ეს მაშინ, როდესაც უარი განაცხადა დატყვევებული შვილის გამოხსნის შესაძლებლობაზე ლეგენდად ქცეული სიტყვებით: - "მე ჯარისკაცს ფელდმარშალზე არ ვცვლი" (ითქვა თუ არა ზუსტად, ან საერთოდ, ეს სიტყვები, ამას მნიშვნელობა არ აქვს. აქ ლაპარაკია ადამიანის ასეთი მოქმედების ზოგად თავისებურებაზე). ამ შემთხვევაშიც გასაგებია, თუ როგორი შინაგანი ძალისხმევის ფასად იტყოდა სტალინი ამ სიტყვებს, მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, სტალინი გამონაკლისი როდი იყო. გიორგი სააკაძემაც ხომ სრულიად შეგნებულად შესწირა თავისი შვილი (პაატა) სამშობლოს ინტერესებს. საბედნიეროდ, საქართველოს ისტორია მდიდარია ასეთი მაგალითებით. სწორედ ამან, ქართველი კაცის გაუტეხელმა სულმა შეგვინახა და მოგვიყვანა ჩვენ დღემდე და ამავე უნარმა უნდა გაგვიყვანოს დღევანდელი მდგომარეობიდან სასურველ მერმისამდეც.

დაბოლოს, კიდევ ერთი ორიგინალური მაგალითი ქართული სინამდვილიდან, რომლის განზოგადებაც, ვფიქრობთ, მნიშვნელობას მოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი გადასახედიდან, განსაკუთრებით ახალგაზრდობის სწავლა-განათლების თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, დიმიტრი უზნაძე, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის 1905 წელს გარიცხეს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამამთავრებელი კლასიდან. იმავე წელს იგი გაემგზავრა გერმანიაში და შევიდა ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. გერონტი ქიქოძე, რომელიც დ. უზნაძესთან ერთად სწავლობდა ლაიპციგის უნივერსიტეტში, იგონებს: "დიტო ლაიპციგში მთლიანად საუნივერსიტეტო ცხოვრებაში იყო ჩაბმული. იგი ძალიან მოსწონდათ ქალებს, ისინი მას ყველგან დაეძებდნენ, მაგრამ დიმიტრი ბოჰემურ ცხოვრებას არ მისდევდა. იგი პირველ რიგში იმ საქმეს აკეთებდა, რისთვისაც იყო ჩამოსული", თუმცა, ქალებსაც არ აკლებდა ყურადღებას (1).

ეს მართლაც შესაშური მიზანდასახულობა და პასუხისმგებლობაა ახალგაზრდა სტუდენტისა, რომელიც თავის ქცევას, უწინარეს ყოვლისა, შორეული მოტივებით, საქვეყნო ინტერესებით და პირადი ცხოვრების პერსპექტივებით ზომავს, აფასებს და წარმართავს. ასეთი ქცევა, მართალია, აწმყოს მომენტალური მოთხოვნილებების გონივრულ დაქვედებარებას და გარკვეული "მსხვერპლის" გაღებას მოითხოვს, მაგრამ 19-20 წლის ჭაბუკი შეგნებულად მიდის ასეთ მსხვერპლზე – პიროვნულად, ეროვნულად და საზოგადოებრივად უფრო ღირებული ქცევის სასარგებლოდ. როგორც ვხედავთ, დ. უზნაძე უკვე ადრეული ჭაბუკობიდან ჩამოყალიბებულ პიროვნებად, სრულფასოვანი ნებისყოფის სუბიექტად გვეელინება. ეს უთუოდ მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს ჩვენი დღევანდელი სტუდენტებისათვისაც.

დ. უზნაძე რომ იშვიათი ეროვნული ორიენტაციით გამოირჩეოდა და თავიდანვე სახელმწიფოებრივად აზროვნებდა, ეს განსაკუთრებით კარგად დადასტურდა მაშინ, როდესაც იგი პირველ დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოში ხელმძღვანელობდა მუშაობას განათლების სისტემის რეფორმას-

თან დაკავშირებით. ითვალისწინებდა რა ქართველი ერის მცირერიცხოვნობას, ამ საკითხებისადმი მიძღვნილ 1920-21 წლების მასალებში დ. უზნაძე ბრძნულად აღნიშნავდა: სიმცირის საკომპენსაციოდ მას სხვა რამ უპირატესი პირობების შექმნა ესაჭიროება და ასეთი სხვა პირობა, უპირველეს ყოვლისა, სწავლა-განათლებაში, სულიერი ცხოვრების გაფართოებასა და გაღრმავებაში უნდა ვეძებოთ.

მივაქციოთ ყურადღება, როგორ შორსმჭვრეტელობას იჩენს, როგორ აზროვნებს ახალგაზრდა კაცი. მას ქართველი ერის სიმცირე აფიქრებს და ამ სიმცირის საკომპენსაციოდ განსაკუთრებული გზების ძიების საჭიროებაზე მიუთითითებს. ერთ-ერთ უმთავრეს გზად კი თვითონ სწავლა-განათლებას, მეცნიერების დაუფლებას, სულიერი ცხოვრების გაფართოებას მიიჩნევს. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ 80 წელზე მეტი გავიდა და დღესაც ვრწმუნდებით, რომ ჩვენი მთავარი სიმდიდრე მართლაც ქართული მეცნიერება, ქართული კულტურა, ქართული ხელოვნება, საზოგადოდ, ჩვენი სულიერებაა. ყოველივე ამას დაცვა, განმტკიცება და გამრავლება სჭირდება. დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში ეს არცთუ ისე ადვილი საქმეა, მაგრამ ქართული ფენომენის შენარჩუნებისათვის სხვა უკეთესი გზა ძნელად თუ მოიძებნება.

დ. უზნაძე ჯერ კიდევ 1920-იან წლებში გვთავაზობდა ამ გზის ეფექტური რეალიზაციის ერთ მთავარ საშუალებასაც. კერძოდ, მისი აზრით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ისე უნდა წარემართოთ, რომ ჩამოვაყალიბოთ მთლიანი პიროვნება, ჭეშმარიტი მოქალაქე, საზოგადოებრივი ადამიანი, რომელიც თვითონვე შესძლებს თავისი მოთხოვნილებების მიზანშეწონილ რეგულირებას და საკუთარი ინტელექტუალური ძალების საჭირო მიმართულებით განვითარება-გამოყენებას. ამიტომაც, პედაგოგიკა, სასკოლო ცხოვრება ორიენტაციას უნდა

ახდენდეს მოზარდის ნებისყოფაზეც. როგორც დავრწმუნდით, ნებისყოფა არის ადამიანის შემოქმედების, მთელი მისი ცხოვრების ძირითადი წამყვანი და მაორგანიზებელი ძალა. იქ, სადაც არაა ნებისყოფა, ძნელია ვილაპარაკოთ ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების, პირადი პერსპექტივების, შორეული მოტივების შესაბამისად მოქმედი პიროვნების არსებობაზეც. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენს ინტელექტუალურად მომზადებულ და მრავალმხრივი ინტერესების მქონე ახალგაზრდობას დღეს ხშირად ნებისყოფა ღალატობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, ქართულ (და არა მარტო ქართულ) სკოლებში მოსწავლეების სასწავლო-შემეცნებითი ინტერესების აქტივაციასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათი ნებისყოფის აღზრდა-განვითარება-განმტკიცებაზე ზრუნვას. დღესდღეობით კი ამ მხრივ თითქმის არაფერი კეთდება. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში არსებული საკმაოდ მწირი მასალებიც კი არ გამოიყენება ამ მიზნისათვის. ეს გარემოება ხშირად საკმაოდ მწვავედ გვახსენებს ხოლმე თავს და ჯეროვნად თუ არ გავისარჯეთ, მომავალშიც მრავალი პრობლემის წინაშე დაგვაყენებს.

ლიტერატურა:


1. ნ. ბერულავა, დიმიტრი უზნაძე, თბ., 1967.
2. ნ.ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, 1995.
3. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1977.
4. სიყვარულო, სიყვარულო... (გამოჩენილ ადამიანთა სატრფიალო ბარათები), თბ., 1992.
5. შ.ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958.
6. შ.ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974.
7. Ролло Мей, Любовь и воля, М., 1997.

## 1. განსახილველი ცნებები, საყურადღებო ფაქტები და მოსაზრებები

აქსელერაცია – ბავშვთა და მოზარდთა დაჩქარებული ფსიქო-ფიზიკური განვითარება, რომლის შესახებაც თითქმის 100 წელია ლაპარაკობენ, ბევრი ასპექტით კვლავ გამოცანად რჩება. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე პრობლემის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართველმა ფსიქოლოგებმა, პირველ რიგში კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა მ. ზარანდიამ. ეს წვლილი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი ეხება პრობლემის ურთულეს მხარეს – ფსიქიკურ სფეროში აქსელერაციის ფაქტს.

მართლაც, მაშინ, როდესაც ფიზიკური, ბიოლოგიური აქსელერაციის შესახებ საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს და ფიზიკური აქსელერაციის კვლევას აადვილებს წინა პერიოდების ახალგაზრდების ანთროპომეტრიული მონაცემების გაზომვის შედეგების არსებობა, რაც დაკავშირებულია წარსულში ახალგაზრდების არმიაში გაწვევასთან, ამას ვერ ვიტყვით ფსიქიკურ სფეროში აქსელერაციაზე (4; 5; 11; 3). თავისთავად ბავშვის სხეულის სიმაღლისა და წონის მომატება და ნაადრევი ბიოლოგიური მომწიფება კი, შ. ჩხარტიშვილის სამართლიანი შენიშვნით, არსებითად არაფერს გვეუბნება მისი ინტელექტუალური ძალების აქსელერაციის შესახებ.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოკლედ შეეჩერდებით მ. ზარანდიას მიერ შესრულებულ ექსპერიმენტულ გამოკვლევაზე (მისი შედეგები მოხსენდა საბჭოთა კავშირის

ფსიქოლოგთა მესამე ყრილობას მოსკოვში 1968 წ. მოსასმენად შეტანილი იყო ფსიქოლოგთა ლონდონის XIX საერთაშორისო კონგრესის დღის წესრიგში 1969 წ. გამოკვლევა დაიბეჭდა ჟურნალ „Вопросы психологии"-ს 1971 წლის მეხუთე ნომერში (12) და დადებითად იქნა შეფასებული).

მ.ზარანდიამ 1967 წელს ზუსტად გაიმეორა ის ცდები, რომელიც 1927-1928 წლებში დ. უზნაძემ ჩაატარა 5-6-7 წლის ბავშვებზე მათი ცნებითი აზროვნების განვითარების დონეების შესასწავლად. დ. უზნაძის გამოკვლევის შედეგები დეტალურადაა ასახული მის შრომაში: დაჯგუფების ცდები სკოლის წინარე ასაკში (7). მ. ზარანდიას ცდებით გამოირკვა, რომ ახლა (იგულისხმება 1967 წელი, მაგრამ შედეგები უფრო დიდი ალბათობით შეიძლება განვაზოგადოთ დღეანდელ პერიოდზეც) ინტელექტუალურ ოპერაციებს ექვსი წლის ბავშვი გაცილებით უფრო მაღალ დონეზე ასრულებს, ვიდრე 1928 წელს 7 წლის ბავშვი. ზოგიერთი ოპერაციის შესრულების მიხედვით ახლანდელი 5 წლის ბავშვებიც კი მაშინდელ შვიდწლიანებს სჯობნიან. მ. ზარანდია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ახლა ექვსი წლის ბავშვის ინტელექტუალური განვითარების დონე წლინახევრით უსწრებს 1928 წელს მცხოვრები თანატოლების ინტელექტუალურ დონეს.

მ.ზარანდიას მონაცემებით, განზოგადებისა და განსაზღვრების ინტელექტუალური ოპერაციები ახლანდელ ბავშვთა მნიშვნელოვან ნაწილს 5-7 წლის ასაკში ისე აქვთ მომწიფებული, რომ მათ შეუძლია დაეუფლონ ცნებას. დ.უზნაძის ცდებში კი ამგვარ უნარს ამჟღავნებდა მხოლოდ ზოგიერთი ბავშვი. "ბავშვების გონებრივი განვითარება 40 წლის მანძილზე წინ არის წაწეული თითქმის ორი წლით, რაც ნიშნავს, რომ რისი გაკეთებაც 40 წლის წინათ 7 წლის ბავშვს შეეძლო, იმის გაკეთება დღეს 5 წლის ბავშვს შეუძლია" (4, 180) – აღნიშნავს

მ.ზარანდია და მიიჩნევს, რომ ინტელექტუალურ უნარებში ასეთი სხვაობა განპირობებულია ბავშვების მიერ თავიანთი გარემოდან მიღებული ინფორმაციის იმ რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებებით, რაც ამ ორი ექსპერიმენტის ჩატარების დროთა შუალედში მოხდა.

მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე მ.ზარანდია ასკვნის: "ეს შედეგები სრულად ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ იმაზე, რომ აქსელერაციის ფაქტი სახეზეა, რაც მიგვაჩნია ამ მოვლენის საყოველთაობის დამამტკიცებელ საბუთად" (4, 181). მართლაც, სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საყოველთაოდ აღიარებული გონებრივი განვითარების აქსელერაციის ფაქტი ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ექსპერიმენტულად პირველად დადგენილი იქნა ქართველი ფსიქოლოგის მიერ.

არსებული გამოკვლევების მიხედვით, აქსელერაცია მეტნაკლებად შეეხო მოზარდთა განვითარების სხვადასხვა ასპექტს. მაგრამ ჯერჯერობით არავის უკვლევია, თუ რამდენად შეეხო იგი შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევის შესაძლებლობებს. ჩვენ მიზნად დავისახეთ ექსპერიმენტულად შეგვესწავლა სწორედ ეს საკითხი, ე. ი. საკითხი იმის შესახებ, შეეხო თუ არა, ან რამდენად და როგორ შეეხო აქსელერაცია შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების შესაძლებლობებს. ვიდრე ამის შესახებ ვიმსჯელებთ, ცხადია, ჯერ უნდა დავაზუსტოთ თვით შორეული მოტივაციური ქცევის ცნება (1; 2).

**შორეული მოტივაციური სტრუქტურის ქცევას** ჩვენ ადამიანის ისეთ აქტივობას ვუწოდებთ, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს აქტუალურ მოთხოვნილებებთან. ეს ქცევა არასდროს ეყრდნობა იმ მოთხოვნილების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილების პირობებსაც თვითონ ქმნის. იგი მიმართულია ისეთი

შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევაში კი არ მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ამასთანავე, შორეული მოტივაციური ქცევის შედეგი შეიძლება გამიზნული იყოს, როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისათვის, ისე სხვა ადამიანების, კოლექტივის ან საზოგადოების ინტერესებისათვისაც. მაგრამ გასაგებია, რომ ის, რაც ადამიანის მომავალი ცხოვრების ამოცანებს შეესაბამება და საზოგადოების მოთხოვნებსაც პასუხობს, აუცილებლად ობიექტური (საზოგადოებრივი) ღირსეულების მატარებელი უნდა იყოს, ქცევის სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად უნდა იაზრებოდეს, იქმნებოდეს და არსებობდეს, რომ ყოველთვის აღნიშნული ფუნქცია შეასრულოს. მაშასადამე, შორეული მოტივაციური ქცევა მხოლოდ ისეთი შედეგისაკენ შეიძლება იყოს მიმართული, რომელსაც გარკვეული ობიექტური ღირებულება გააჩნია. მაგრამ რადგანაც ობიექტური ღირებულება (განსხვავებით აქტუალურ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული სუბიექტური ღირებულებისაგან, რომელიც იმპულსურ ქცევას ედება საფუძვლად) ჩვენთვის ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს (11), ცხადია, რომ შორეული მოტივაცია, არსებითად, ნებისმიერი ქცევის მოტივაცია ყოფილა, შორეული მოტივაციური ქცევა კი – ნებისმიერი ქცევა. მაგრამ, თუკი ეს ასეა, მაშინ აღნიშნული სტრუქტურის მქონე ქცევის განხორციელება ძირითადად დამოკიდებული უნდა იყოს ნებისყოფაზე, მისი განვითარების დონეზე. და მართლაც, ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტმა (მათ შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი) გვიჩვენა, რომ ეს სინამდვილეშიც ასეა.

ვინაიდან შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელება არსებითად დამოკიდებულია ნებისყოფაზე, ვიდრე უშუალოდ შევეხებოდეთ აქსელერაციის მიმართებას კონკრეტულად შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევასთან, მიზან-

შეწონილი იქნება ჯერ ვიმსჯელოთ აქსელერაციაზე საერთოდ ნებისყოფის განვითარების სფეროში (ნებისყოფა ხომ სხვანაირადაც შეიძლება გამოვლინდეს).

პროფ. შ.ჩხარტიშვილი 1975 წელს გამოქვეყნებულ შრომაში – "ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების პრობლემა" (6), აგრეთვე წიგნში - "ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები" (11), თეორიული მსჯელობისა და ექვსწლიანთა სასკოლო სწავლებასთან დაკავშირებული ფაქტების ანალიზის საფუძველზე გამოთქვამს მეტად საყურადღებო მოსაზრებებს. მისი აზრით, უკანასკნელი ოთხი-ხუთი ათეული წლის მანძილზე მოზარდთა ცხოვრების პირობებში, ინტელექტუალური გარემოსაგან განსხვავებით, არ მომხდარა ისეთი ცვლილებები, რომელსაც მათი სოციალურ-პიროვნული მომწიფების პროცესის აჩქარება შეეძლო გამოეწვია. პირიქით, ახლა უფრო შესამჩნევი ხდება ისეთი მოვლენების შემოსვლა ბავშვის ცხოვრებაში, რომელთაც მისი სოციალური განვითარების პროცესის შენელება შეუძლიათ.

მკვლევარს მხედველობაში აქვს შემდეგი გარემოება: წინათ (მეორე.მსოფლიო ომამდე და მით უფრო ადრეც) მოსახლეობის ძირითადი მასა გაჭირვებაში ცხოვრობდა. უფროსები დღედაღამე ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ოჯახისათვის მინიმალური საარსებო პირობები შეექმნათ. პატარები მოკლებული იყვნენ მშობლების ისეთ ზრუნვას, რომელსაც დღეს აქვს ადგილი. ხუთი-ექვსი წლის ბავშვებს საჩუქრებს არ პირდებოდნენ იმისათვის, რომ რაიმე ეჭამა, არ ანებივრებდნენ, რადგან ამისათვის არც დრო ჰქონდათ და არც საშუალება. ბავშვს თვითონ უნდა ეჭამა, ჩაეცვა და დაეხურა. ამასთან, პატარა და-ძმების მოვლაზეც უნდა ეზრუნა და მშობლების მცირე დავალებებიც უნდა შეესრულებინა.

ასეთ პირობებში ბავშვს ადრე უვითარდებოდა ისეთი სოციალურ-პიროვნული თვისებები, როგორიცაა პასუხისმგებლობის გრძნობა და ცხოვრების მოვლენებისადმი სერიოზული დამოკიდებულება, სხვანაირად რომ ვთქვათ, ნებისყოფითი ქცევის უნარი.

სოციალურად უზრუნველყოფილ და მცირეშვილიან ოჯახებში, მეტადრე, ბავშვებისადმი გადაჭარბებული მზრუნველობის პირობებში, მოზარდის სოციალურ-პიროვნული მომწიფების საქმე ფერხდება. შეიძლება ბავშვში ისეთი ცვლილებებიც მოხდეს, რომელმაც მისი პიროვნების შემდგომ განვითარებაზეც მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა.

შ.ჩხარტიშვილის აზრით, ოჯახური აღზრდის პირობებში, სკოლამდელი ასაკის საზღვრებში, სოციალური მომწიფების აქსელერაციას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მოზარდის, როგორც სოციალური პიროვნების, როგორც ნებისყოფის სუბიექტის მომწიფების პროცესი, სასკოლო სწავლის დაწყებამდე, შეიძლება ახლა წინანდელზე უფრო შენელებული ტემპით მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული მოსაზრება შ.ჩხარტიშვილს გამოთქმული აქვს 1970-იან წლებში, ზოგიერთი გარემოების გათვალისწინებით, იგი შეიძლება განვაზოგადოთ დღევანდელ საქართველოზეც.

აქსელერაციის საკითხთან დაკავშირებით (თუმცა სხვა მიზანდასახულობასთან მიმართებაში) საინტერესო მონაცემები აქვს მოტანილი ი. იმედაძეს თავის სადისერტაციო ნაშრომში (13). ი. იმედაძემ 1977-78 წლებში შ. ჩხარტიშვილის "ალბომის მეთოდის" (9) გამოყენებით შეისწავლა ექვსწლიანთა მოტივაციურ-ნებისყოფითი მზაობა სასკოლო სწავლებისადმი. ალბომის მეთოდიკა ეფუძნება აქტუალური მოთხოვნილების იმპულსისა და ნებისყოფითი ქცევის შესრულების განზრახვის ურთი-

ერთდაპირისპირებას. ნებისყოფის ძალა და ხასიათი ვლინდება აქტუალური მოთხოვნილების იმპულსების დაძლევისაკენ მიმართულ შინაგან აქტივობაში, კონკრეტულად კი მოზარდის მოთმინებასა და თავშეკავებაში (10).

ი.იმედაძემ თავისი შედეგები შეადარა შ.ჩხარტიშვილის მიერ 30-32 წლის წინათ მიღებულ ექსპერიმენტულ მონაცემებს და დაადასტურა, რომ აქსელერაციას ნებისყოფის განვითარების სფეროში (სკოლისადმი მზაობის გათვალისწინებით) არ ჰქონია ადგილი. მაშასადამე, ფაქტობრივად დადასტურდა შ.ჩხარტიშვილის ზემოაღნიშნული მოსაზრება.

ახლა უშუალოდ გადავიდეთ ჩვენი ძირითადი საკითხის განხილვაზე. საკითხი კი ასე დგას: შეეხო თუ არა, რამდენად, ან როგორ შეეხო აქსელერაცია კონკრეტულად შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობებს? რაიმე სპეციფიკურმა თავისებურებამ ხომ არ იჩინა თავი ასეთი ქცევისათვის საჭირო ნებისმიერი ძალისხმევის უნარში?

## 2. შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობების კვლევის მეთოდი

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განსხვავებით მ.ზარანდიასა და ი.იმედაძისაგან, რომლებმაც სხვა ავტორების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები გაიმეორეს შესაბამისად 40 და 30 წლის შემდეგ, მოცემულ შემთხვევაში წინამდებარე შრომის ავტორმა (თავის თანამშრომელთან ერთად) გაიმეორა 32 წლის წინათ ჩატარებული თავისივე ცდები. ბუნებრივია, ასეთ პირობებში რაიმე გაუგებრობა თუ გადახრები ექსპერიმენტების მიმდინარეობასა და ცდების ჩატარების სიზუსტეში ფაქტობრივად გამორიცხულია.

პირველად შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობები ვიკვლიეთ 1972-73 წლებში. იგივე ექსპერიმენტი გავიმეორეთ 2004-2005 წლებში. მართალია, 32-წლიანი ინტერვალი იქნებ არცთუ ისე დიდი დროა მოზარდის ფსიქო-ფიზიკური განვითარების აქსელერაციის ამა თუ იმ ასპექტის შესასწავლად, მაგრამ, ვფიქრობთ, ისევე როგორც ი.იმედაძის ცდებში, ჩვენს შემთხვევაშიც შეიძლება საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციის დადგენა.

ჩვენი ცდის პირები იყვნენ თბილისისა და ბათუმის საბავშვო ბაღების 4-5 და 5-6 წლის აღსაზრდელები და პირველი კლასის (6-7 წლის) მოსწავლეები.

**ექსპერიმენტის ჩატარების ზოგადი პრინციპი.** ჩვენი ექსპერიმენტი აგებულია ისე, რომ შესაძლებლობას აძლევს ცდის პირს თავისუფალი არჩევანის საფუძველზე იმოქმედოს ერთ-ერთი მიმართულებით ორი განსხვავებული მიმართულებიდან, რომელთაგან ერთი შეესაბამება იმპულსური ხასიათის ახლო მოტივაციური ქცევის მიმართულებას, მეორე კი - ნებისყოფითი ბუნების შორეული მოტივაციური ქცევისას. იმის მიხედვით, თუ რომელს აირჩევს ცდის პირი, რა მიმართულებით მოქმედების გადაწყვეტილებას გამოიტანს იგი, შეინახავს თუ არა ამ გადაწყვეტილებას დროში და რამდენად მოახერხებს შემდეგში მის რეალიზებას, ჩვენ ვმსჯელობდით შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობაზე შესაბამის ასაკში.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შორეული მოტივაციური ბუნების ქცევა შეიძლება გამიზნული იყოს როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისათვის, ისე სხვა სუბიექტის ინტერესებისათვისაც. ჯერ ვიმსჯელოთ აღნიშნული ქცევის შესაძლებლობაზე სკოლამდელი ასაკის (4-6 წლის) ბავშვებთან იმ პირობებში, როდესაც ქცევის შედეგი პასუხობს თვით ამ ქცევის სუბიექტის მომავალს.

ცდის აღწერა. ბავშვის წინ მაგიდაზე დალაგებულია კანფეტები – ერთი ცალი ცალკე და ხუთი – ცალკე. ბავშვს ეძლევა ასეთი ინსტრუქცია: "აი, შენს წინ, მაგიდაზე დალაგებულია კანფეტები. ერთი ცალი ცალკე და ბევრი ცალკე. ერთ ცალ კანფეტს მე ვიძლევი ახლა, ბევრს (ხუთს) კი – მხოლოდ სადილის შემდეგ (ცდები ტარდებოდა დილით). მე იმას მოგცემ, რომელსაც შენ აირჩევ და შეგიძლია შეჭამო იგი. მაგრამ იცოდე, რომ თუკი შენ ახლა წაიღებ ერთ კანფეტს, მაშინ სადილის შემდეგ ვერ მიიღებ ბევრს, ხოლო თუ ახლა არაფერს არ წაიღებ, მაშინ შეგიძლია ნასადილევს მოხვიდე ჩემთან, მე ვიქნები ამავე ოთახში და წაიღო ბევრი (ხუთი ცალი) კანფეტი".

ასეთია ინსტრუქცია, რომელსაც ჩვენ რამდენიმეჯერ ვუმეორებდით თითოეულ ბავშვს. როდესაც ბავშვი შეძლებდა მისი შინაარსის გადმოცემას, ე. ი. დავრწმუნდებოდით, რომ ბავშვმა კარგად გაიგო იგი, მხოლოდ მაშინ ვაძლევდით მას უფლებას გამოეტანა გადაწყვეტილება, მოეხდინა მისთვის მიზანშეწონილი ქცევის არჩევანი. ინსტრუქციიდან გასაგებია, რომ ყველა ბავშვი როდი გამოდგებოდა ცდის პირად. კერძოდ, აზრი არ ჰქონდა ცდის ჩატარებას იმ ბავშვებზე, რომლებიც საერთოდ უარს აცხადებდნენ კანფეტების მიღებაზე, ან წინასწარ, სანამ ინსტრუქციას გავაცნობდით, ამბობდნენ, რომ მათთვის საკმარისი იყო ერთი ცალი კანფეტის ახლა მიღება. ცდებს ვატარებდით მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებიც გამოთქვამდნენ ბევრი კანფეტის მიღების სურვილს, რასაც ვაელენდით მათთან წინასწარი გასაუბრებით.

ისმება კითხვა: რა უფლება გვაქვს აღნიშნული ცდების საფუძველზე ვილაპარაკოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის _ შორეული მოტივაციის, ე.ი. ისეთი მოტივაციის შესახებ, რომელიც ჩვენი გაგებით დამახასიათებელია მხოლოდ ნებისმიერი ქცევისათვის და ყოველთვის ნებისყოფის სუბიექტი რომ

ახორციელებს? ვფიქრობთ, საქმის ვითარება აქ შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: მართალია, ზემოთ აღწერილ ცდებში ბავშვი ფაქტობრივად თავის აქტუალურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს და ამ უკანასკნელისაკენ მიმართული ქცევაც ჩვენს მიერ აღიარებულია, როგორც იმპულსური ქცევა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე ბავშვი წყვეტს გარკვეულ ამოცანას. კერძოდ, ახლა დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება არასრულად, თუ შემდეგში უფრო სრულად? მოთხოვნილების იმპულსი, მისი ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ბავშვს უბიძგებს მოთხოვნილების დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება სწრაფად დაკმაყოფილებისაკენ. თუკი ბავშვმა მოახერხა ამ იმპულსის შეკავება, თუკი მან შეძლო უარის თქმა მოთხოვნილების ახლა, მაგრამ ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე და მცირე სიამოვნებაზე შემდეგისათვის (მომავლისათვის) მისი უფრო სრული დაკმაყოფილების და ხანგრძლივი სიამოვნების მიღების მიზნით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვის ქცევა განსაზღვრა გაცილებით მეტი ღირებულების მქონე შორეულმა მოტივმა, რომ მან მოახდინა შორეული მოტივაცია. ე.ი. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში ბავშვი ამაღლდა მომენტური აწმყოს ინტერესებზე და მოქმედებდა როგორც ნებისყოფის სუბიექტი. მაგრამ თუკი ბავშვი, მიუხედავად თავისი სურვილისა, ვერ გაექცა აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს, მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, მაინც მისი ნაწილობრივი, ოღონდ ახლა დაკმაყოფილება არჩია, ანდა ვერ შეასრულა ადრე მიღებული გადაწყვეტილება, მაშინ ყოველგვარი საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ მან ვერ მოახდინა შორეული მოტივაცია და იგი მოქმედებდა როგორც იმპულსური ხასიათის ახლო მოტივაციური ქცევის სუბიექტი.

რაც შეეხება 6-7 წლის ასაკის ბავშვებს, რომლებიც უკვე პირველი კლასის მოსწავლეები არიან, 1972-73 წლებში მათი შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობები ვიკვლიეთ არა ზემოაღნიშნული ცდებით, არამედ ამ ცდების ერთგვარი მოდიფიცირებული ვარიანტით, რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ "ექსპერიმენტი დავალებით". ცხადია, ამ ასაკში აქსელერაციაზე მსჯელობისათვის აუცილებელი იყო აღნიშნული ვარიანტის გამოყენება და გამეორება დღევანდელ ბავშვებზეც.

**ექსპერიმენტის ეს ვარიანტი კი შემდეგში მდგომარეობდა:** ამჯერად შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობებს ვიკვლევდით ისეთ პირობებში, როდესაც ქცევის შედეგი გათვალისწინებული იყო სხვა სუბიექტისათვის. ცდის პირს ეძლეოდა ასეთი ინსტრუქცია: "მანანა (ნათელა, მამუკა), მე სულ ახლახან შემატყობინეს, რომ დედაშენი გამხდარა ავად. იგი ისედაც მორჩება, მაგრამ თუ გინდა, რომ დედიკო მალე მორჩეს, წაუღე ეს კანფეტი ("დათუნია"). შენ შეგიძლია თვითონვე შეჭამო კანფეტი, მაგრამ თუ არ შეჭამ და დედიკოს მისცემ, იგი მალე მორჩება. როგორც გინდა ისე მოიქეცი: გინდა შენ შეჭამე ეს კანფეტი, გინდა დედას შეუნახე. ოღონდ გახსოვდეს, თუ ამ კანფეტს არ შეჭამ და დედიკოს მიუტან, იგი მალე მორჩება"

ასეთი ინსტრუქციის შემდეგ ბავშვს ვაძლევდით კანფეტს და ვუშვებდით კლასში. ამით მთავრდებოდა ექსპერიმენტის ე.წ. პირველი ნაწილი. მეორე ნახევარში ჯგუფის მასწავლებელთან ერთად ვაკვირდებოდით ცდის პირების ქცევას და ვინიშნავდით ჩვენთვის საინტერესო მომენტებს. დაკვირვება გრძელებოდა დაახლოებით 2 საათის განმავლობაში. ბავშვი, რომელიც დროის ამ მონაკვეთში არ შეჭამდა მისთვის ესოდენ სასურველ კანფეტს და შეუნახავდა დედას, ჩვენ ვთვლიდით, რომ მოქმედებდა

როგორც შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევის სუბიექტი.

შორეული მოტივაციური ქცევის ფსიქოლოგიური ბუნებისა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შორეულ მოტივაციასთან საქმე გვაქვს ყოველთვის, როდესაც: 1. ახლა უარს ვამბობთ შედარებით მცირე და ხანმოკლე სიამოვნებაზე მომავალში უფრო დიდი და ხანგრძლივი კმაყოფილების მიღების მიზნით; 2. ვასრულებთ ჩვენთვის არასასურველ მოქმედებას იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრების ხვალინდელი დღე, მომავალი გვქონდეს გარანტირებული. მაგალითად, თამაშსა და მიმზიდველ გართობაზე უარს ვამბობთ და მოცემულ მომენტში ნაკლებად სასიამოვნო სწავლის ან შრომის აქტებს ვახორციელებთ, რომ საზოგადოებრივი აღიარება მოვიპოვოთ და მომავალი ცხოვრების ბედნიერება უზრუნველვყოთ; 3. უარს ვამბობთ ისეთ საგანსა ან მოქმედებაზე, რომელიც პირად სიამოვნებას გვანიჭებს, იმისათვის, რომ სხვებს, ჩვენი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ჩვენს კოლექტივს თუ მთლიანად საზოგადოებას რაიმე სიკეთე მოვუტანოთ.

შეიძლებოდა ამ ჩამონათვალის გაგრძელება, მაგრამ, ვფიქრობთ, შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობების ჩვენეული მეთოდიკა, ამ ქცევის განხორციელების შემთხვევები, პირობები და პრინციპები ჩვენთვის უკვე ნათელია. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს მოვახდინოთ ჩვენს მიერ სხვადასხვა დროს (32 წლიანი ინტერვალით) მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების შედარებითი ანალიზი და პასუხი გავცეთ თავიდანვე დასმულ კითხვაზე: როგორია აქსელერაციის მიმართება შორეულ მოტივაციურ ქცევასთან? რაიმე სპეციფიკურმა თავისებურებამ ხომ არ იჩინა თავი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში?

## 3. ექსპერიმენტული მონაცემების შედარებითი დახასიათება

სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ჩვენს ცდებში შექმნილ ექსპერიმენტულ სიტუაციაზე, ე. ი. იმაზე, თუ როგორ პიროებებში უხდებოდათ ცდის პირებს გადაწყვეტილების მიღება, ახლო ან შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელება და შესაბამისი უნარების გამოვლენა, მოვიტანთ სხვადასხვა ასაკის რამდენიმე ბავშვის სიტყვიერ გამონათქვამს და მათ ქცევაზე დაკვირვების მასალებს ორივე ვარიანტის მიხედვით:

ცდის პირი ზ.ო. (4 წლისა და 5 თვის) ინსტრუქციის მოსმენის შემდეგ ძალიან ღელავს, პირზე ნერწყვი ადგება. თუმცა, ბევრი კანფეტის მიღების სურვილს აცხადებს, გარეგნულად ეტყობა, რომ ახლა ერთი ცალი კანფეტი ყველაფერს ურჩევნია, რასაც იგი ამბობს კიდეც.

ცდის პირი ი.გ. (4 წლისა და 9 თვის). დიდხანს ვერ გამოაქვს გადაწყვეტილება, წვალობს, თითებს იმტვრევს, ბოლოს აცხადებს, რომ ახლა ურჩევნია ერთი ცალი კანფეტი.

ცდის პირი მ.ჯ. (5 წლისა და 6 თვის). ერთ ცალ კანფეტს კიდებს ხელს, მაგრამ ჩანს, რომ ბევრი ურჩევნია. ძალიან მერყეობს, დიდხანს ვერ გადაუწყვეტია, ახლა წაიღოს ერთი ცალი კანფეტი, თუ მერე _ ბევრი. ბოლოს ამბობს, რომ სადილის შემდეგ მოვა და წაიღებს ბევრ კანფეტს. ნასადილევს იგი ჩვენთან არ მოსულა. ეტყობა მიღებული გადაწყვეტილება დროში ვერ შეინახა, დაავიწყდა. ვერ იმოქმედა განზრახვის მიხედვით.

ცდის პირი პ.ბ. (6 წლის). ამბობს, რომ სადილის შემდეგ წაიღებს ბევრ კანფეტს და აქვე მეკითხება: "თქვენ აქ იქნებით? დამიძახებთ თუ მე თვითონ მოვიდე?". დამატებითი ახსნა-განმარტების შემდეგ იგი მიდის. ნასადილევს პაატა სიხარულით მოვიდა ჩვენთან და წაიღო კანფეტები.

ცდის პირი მ.ბ. (6 წლისა 6 თვის). ავუხსენი საქმის ვითარება. აიღო კანფეტი და წავიდა შესვენებაზე მყოფ ამხანაგებთან. ერთ ხანს წყნარადაა. შემდეგ კანფეტი ჩაიდო შარვლის ჯიბეში და გაერია ბავშვებში. ცოტა ხნის შემდეგ ამოიღო კანფეტი, ჩუმად მოაცილა ქაღალდი და ხარბად ათვალიერებდა მას, თუმცა, მალე ისევ შეახვია ქაღალდში და შეინახა. შემდეგ ისევ ამოიღო, ისევ შეინახა, მაინც ვერ მოისვენა... ხან ხელში ათამაშებს, ხან ჰაერში აიქნევს და დაიჭერს, ხანაც ქაღალდიანად მიაქვს პირთან. ბოლოს ვერ ითმენს, ენერგიულად აცლის ქაღალდს და ჭამს. ჩვენს დანახვაზე – "შოკოლადი შემეჭამაო" – გვიცხადებს.

ასეთია, ძირითადად, აღნიშნული ასაკის ბავშვების სიტყვიერი გამონათქვამები და მოთხოვნილებისა და ნებისყოფის სუბიექტის ბრძოლის, ქცევის ორი მთავარი წყაროს ურთიერთდაპირისპირების დამახასიათებელი მაგალითები.

1972-1973 წლებში ჩატარებულ ექსპერიმენტებში მონაწილეობდა სულ 90 ცდის პირი (30-30 ცდის პირი თითოეული ასაკიდან), 2004-2005 წლის ცდებში კი – 78 (26-26 ცდის პირი ყოველი ასაკიდან).

*ცხრილი №1*

| ც.პ. ასაკი | 1972-73 წლებში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები | | | | 2004-2005 წლებში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გადაწყვეტილების მიხედვით | | შესრულების მიხედვით | | გადაწყვეტილების მიხედვით | | შესრულების მიხედვით | |
| | ახლო მოტივაც. | შორეული მოტივაც. | ახლო მოტივაც. | შორეული მოტივაც. | ახლო მოტივაც. | შორეული მოტივაც. | ახლო მოტივაც. | შორეული მოტივაც. |
| 4-5 წ. | 60 % | 40 % | 86,7 % | 13,3 % | 68,7 % | 31,3 % | 93,7 % | 6,3 % |
| 5-6 წ. | 33,3 % | 66,7 % | 53,3 % | 46,7 % | 61 % | 39 % | 61 % | 39 % |
| 6-7 წ. | ექსპერიმენტი დაეალებით → | | 25 % | 75 % | ექსპერიმენტი დავალებით → | | 46 % | 54 % |

როგორც ცხრილი №1 გვიჩვენებს, შორეული მოტივაციური ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება და მისი განხორციელება გარკვეულ დამოკიდებულებაშია ბავშვის ასაკთან. ეს კანონზომიერება ძალაში დარჩა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვარიანტით ჩატარებულ ცდებში, რაც მის ზოგად ხასიათზე უნდა მიუთითებდეს. კერძოდ, რაც უფრო პატარა ასაკისაა ბავშვი, მით უფრო ძნელია მისთვის ასეთი სტრუქტურის მქონე ქცევის განხორციელება და პირიქით, ასაკის ზრდასთან ერთად შესამჩნევად იზრდება ამ ქცევის განხორციელებისათვის საჭირო უნარიც. თუ გავიხსენებთ შორეული მოტივაციური ქცევის ჩვენეულ განსაზღვრებას, გასაგები იქნება, რომ ეს ასეც იყო მოსალოდნელი. იმის გამო, რომ შორეული მოტივაცია მხოლოდ ნებისმიერი ქცევისათვის არის დამახასიათებელი და ასეთი ბუნების ქცევას  მხოლოდ ნებისყოფის სუბიექტი ასრულებს, ცხადია, რამდენადაც განუვითარებელია ნებისყოფა, იმდენად უფრო ძნელია მისი განხორციელება. სწორედ ამის გამოა ის ძნელად მისაწვდომი უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის. სასკოლო ასაკის მიჯნაზე კი ბავშვები საკმაოდ წარმატებით ახერხებენ ელემენტარული ხასიათის შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელებას. ეს გარემოება შემდეგში მათი სწავლაში წარმატებების ერთ-ერთ საფუძველად იქცევა, ვინაიდან სწავლა, ჩვენი აზრით, არსებითად, შორეული მოტივაციური ბუნების ქცევას წარმოადგენს.

მართალია, შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელება გარკვეულ კავშირშია ბავშვის ასაკთან, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იგი მხოლოდ ასაკის ფუნქციას წარმოადგენს. ცხადია, არა. შორეული მოტივაციური ქცევის უნარში ასაკით, ასაკის შინაარსით ფაქტობრივად გაშუალებულია

როგორც აღზრდის, ისე ბავშვის სოციალური გარემოს როლიც და ნებისყოფის განვითარების დონეც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უკვე ნათელი ხდება, რომ საეჭვოა ვილაპარაკოთ აქსელერაციაზე შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების სფეროშიც. მართლაც, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ არავითარ აქსელერაციას ამ ქცევისა და შესაბამისი უნარის განვითარების სფეროში არა აქვს ადგილი. პირიქით, შორეული მოტივაციური ანუ ნებისყოფითი ქცევის უნარი უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე საკმაოდ შემცირდა. ეს ეხება როგორც შორეული მოტივაციური ქცევის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, ისე მისი შესრულების მაჩვენებლებსაც. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ვინაიდან ერთ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებისა და მისი შესრულების მაჩვენებლები ემთხვევა ერთმანეთს (მხედველობაში გვაქვს 5-6 წლის ცდის პირთა ახლანდელი მონაცემები), ეს გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა ექსპერიმენტის ამ ნაწილის ორგანიზების თვალსაზრისით. შეიძლება ბავშვებმა ერთმანეთს შეახსენეს ან დაინახეს, რომ სადილის შემდეგ მათი თანაჯგუფელი მიდიოდა ექსპერიმენტატორთან დანაპირები კანფეტის მისაღებად და დანარჩენებმაც იგივე გააკეთეს... ამიტომ, მეტი დამაჯერებლობისათვის საკმარისი იქნება, თუ მოცემულ შემთხვევაში ჩვენს საკითხზე ვიმსჯელებთ მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით (გავიხსენოთ, რომ დ. უზნაძე გადაწყვეტილების მიღების აქტს ნებისყოფის არსად მიიჩნევდა (8). თუმცა, ამის გათვალისწინების გარეშეც საერთო სურათი იგივე რჩება.

ეს სურათი კი ასეთია: თუ 1973 წელს ჩატარებულ ცდებში შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების სასარგებ-

ლოდ გადაწყვეტილება მიიღო 4-5 წლიანი ცდის პირების 40 %-მა, 2005 წელს ეს გააკეთა 31%-მა; 5-6 წლიანებში, შესაბამისად, 67-მა და 39%-მა; 6-7 წლის ასაკში კი ცდის პირთა 75-მა და 54%-მა. იგივე დინამიკა იკვეთება შორეული მოტივაციური ქცევის შესრულების მიმართულებითაც. კერძოდ, 1973 წელს ჩატარებული ცდების მონაცემების მიხედვით შორეული მოტივაციური ქცევა განახორციელა 4-5 წლიანი ცდის პირების 13%-მა, 2005 წელს ეს შეძლო 6%-მა; 5-6 წლიანებში, შესაბამისად, 47-მა და 39% -მა (თუ გავითვალისწინებთ ზემოაღნიშნულ შენიშვნას, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი 39%-ზე კიდევ უფრო ნაკლები უნდა ყოფილიყო). რაც შეეხება 6-7 წლის ბავშვებს, მათთან, ჩატარებული ექსპერიმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობებზე ვმსჯელობდით მხოლოდ ასეთი ქცევის შესრულების მაჩვენებლების მიხედვით. ეს მაჩვენებლები კი, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, შეადგენს შესაბამისად 75 და 54%-ს.

როგორც ვხედავთ, შორეული მოტივაციური ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება და მისი განხორციელება, რომელიც ნებისყოფის განვითარების შესაბამის დონეს მოითხოვს, კიდევ უფრო ძნელი მისაწვდომი აღმოჩნდა დღევანდელი ბავშვებისათვის. მაშასადამე, ნებისყოფის ფუნქციასთან დაკავშირებული ტენდენცია, რომლის შესახებაც თავიანთი ვარაუდები და მოსაზრებები ჰქონდათ გამოთქმული შ.ჩხარტიშვილსა და ი.იმედაძეს, ფაქტობრივად ამ სახით პირველად ექსპერიმენტულადაც იქნა დადასტურებული. ეს ტენდენცია ძალაში დარჩა დღევანდელ პირობებშიც. ამასთანავე, ჩვენს მიერ ჩატარებულმა სისტემატურმა ექსპერიმენტულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ნებისყოფითი ძალისხმევის გამოვლენა ისეთ პირობებში, როდესაც საჭიროა ახლა უარი ვთქვათ შედარებით მცირე სიამოვნე-

ბაზე მომავალში უფრო დიდი კმაყოფილების მიღებისა და ობიექტურად უფრო მეტი ღირებულების მქონე ქცევის განხორციელების მიზნით, გაცილებით უჭირთ დღევანდელ ბავშვებს ადრინდელ თანატოლებთან შედარებით. ჩვენი ბავშვების უმრავლესობას (და იქნებ, არა მხოლოდ ბავშვებისა!) "ხვალინდელ გარანტირებულ ქათამს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია". სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენი ბავშვები უფრო ახლო მოტივაციურები გახდნენ, აქსელერაცია არათუ არ შეეხო შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების შესაძლებლობებს, არამედ პირიქით, ასეთი ქცევის უნარი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შესამჩნევად შემცირდა. სწორედ ეს მიგვაჩნია ჩვენ მოზარდების სოციალურ-პიროვნული მომწიფებისა და ნებისყოფის განვითარების სფეროში ადრე შემჩნეული ზოგადი ტენდენციის სპეციფიკურ თავისებურებად, რომელიც გამოვლინდა შორეულ მოტივაციურ ქცევასთან მიმართებაში.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ერთმნიშვნელოვნად დავასკვნათ: თუ აქამდე არსებული მონაცემების მიხედვით ცნობილი იყო, რომ აქსელერაცია შეეხო მოზარდების ფიზიკური, ბიოლოგიური და ინტელექტუალური განვითარების სფეროებს, ხოლო ნებისყოფის განვითარებაში ამას არ ჰქონია (ან საეჭვოა ჰქონოდა) ადგილი, ამიერიდან ექსპერიმენტულად დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ნებისყოფის განვითარების სფეროში თავი იჩინა აქსელერაციის საწინააღმდეგო ტენდენციამ – რეტარდაციამ. კერძოდ, ნებისყოფით განსაზღვრული შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობების ექსპერიმენტულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ნებისმიერი ძალისხმევის უნარი ბოლო 30-35 წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ დაქვეითდა.

როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტი? განსაკუთრებულად რატომ იჩინა თავი აქსელერაციის საწინააღმდეგო ტენდენციამ

შორეულ მოტივაციური ქცევის განხორციელებასთან მიმართებაში? ეს საკითხი, ცხადია, შემდგომ შესწავლას მოითხოვს, მაგრამ ზოგიერთი რამ ახლაც შეიძლება ითქვას:

რა თქმა უნდა, დღევანდელ პირობებშიც ძალაში დარჩა შ.ჩხარტიშვილის მიერ თავის დროზე მითითებული და ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მთელი რიგი ფაქტორებისა. მაგრამ ამას დაემატა ჩვენი ქვეყნის არაორდინალური სოციალურ-ეკონომიკური (და არა მარტო!) მდგომარეობა და უკანასკნელ ათწლეულებში შემჩნეული აღზრდის აშკარა დეფიციტი.

ჭარბმა და მზამზარეულმა ინფორმაციამ, შინაარსით და ფორმით მეტად ჭრელმა პრესამ, თითქმის ყოველმხრივ თავისუფალმა ტელევიზიამ, ღვთაებრივი სიყვარულის გრძნობის ერთგვარმა დევალვაციამ და თვალისა და ყურის მომჭრელი ბიწიერი სიტყვა "სექსის" (და არა მარტო სიტყვის) სულ უფრო დამკვიდრებამ, არათუ სწავლის პროცესის, თვით თამაშების კომპიუტერიზაციამაც კი... რამდენადაც განავითარა ჩვენი მოზარდების თვალსაწიერი და გააფართოვა მათი ინტერესების სფერო, იმდენად შეასუსტა და შეზღუდა ჯანსაღი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის საჭირო დამოუკიდებელი აქტივობისა და ნებისმიერი ძალისხმევის უნარი. აწმყოზე ორიენტაციის თავისებური აქტივაციის ფონზე და ასეთი ორიენტაციის გამოც შესუსტდა ხვალინდელ დღეზე, მომავალზე ფიქრი და ზრუნვა. უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნა მოთხოვნილების სუბიექტის ფორმირებისათვის და გაცილებით არახელსაყრელი – პიროვნების, ნებისყოფის სუბიექტის ფორმირება-ჩამოყალიბებისათვის. როგორც ჩანს, დღევანდელი სასკოლო სწავლებაც რამდენადმე მნიშვნელოვან როლს ვერ ასრულებს ნებისყოფის

განვითარებისათვის. ყოველივე ამან კი, საბოლოო შედეგში, ასახვა ჰპოვა ჩვენს ექსპერიმენტულ მონაცემებშიც.

როგორ გვესახება მდგომარეობა ამ მხრივ მომავალში? ჯერ ერთი, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული მენტალიტეტისათვის უცხო და ჩვენი ბავშვების აღზრდისათვის შეუსაბამო ელემენტები თანდათანობით მაინც გამოიდევნება რეალური სინამდვილიდან. მეორეც (ეს უარეს შემთხვევაში), აღნიშნული ხასიათის ინფორმაციისა და ასეთი მიკრო თუ მაკრო გარემოსადმი შეჩვევა-შეგუება-ადაპტაციის კვალობაზე, შესაბამისად შემცირდება ამ ფაქტორების უარყოფითი გავლენაც მოზარდების ფსიქიკაზე და ნებისყოფის (პიროვნების) ფორმირებასთან მიმართებაში დადასტურებული ტენდენციაც მნიშვნელოვნად შესუსტდება. (წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ანალოგიურ პირობებში უცხოეთის შესაბამის ქვეყნებში მოზარდების პიროვნების სასურველი მიმართულებით ფორმირების შესაძლებლობა). დასაწყის ეტაპზე კი, როგორც ჩანს, ახალი, უჩვეულო გარემოსა და გარემოებების ზემოქმედების ძალა თუ ეფექტი საკმაოდ მაღალია, რაც ფსიქოლოგიურად სავსებით კანონზომიერ (თუმცა ამ შემთხვევაში უარყოფითი შედეგების მომტან) მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურა:


1. ნ.ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათ.,1995
2. ნ.ბარამიძე, ც.ტუღუში, შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარის მიმართებისათვის ოპერაციამდელ სტადიაში, ბათ., 2006.
3. თ. გოგიჩაიშვილი, განვითარების ფსიქოლოგია, თბილისი, 2005.

4. მ.ზარანდია, ბავშვის განვითარების აქსელერაციის კანონზომიერებანი, თბ., 1985.
5. ი.კეჭაყმაძე, აქსელერაცია და ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები, თბ., 1979.
6. პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწილი I, თბ., 1975.
7. დ. უზნაძე, შრომები, ტ. I, თბ., 1956.
8. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998.
9. ფსიქოლოგია, ტ. V, თბ., 1948.
10. რ.ქვარცხავა, თავშეკავების აღზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ., 1969.
11. შ.ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958.
12. შ.ჩხარტიშვილი, ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები, თბ., 1980.
13. М.Зарандия, К вопросу о развитии умственных операций у детей дошкольного возраста, ж. "Вопросы психологии", 1974, №5.
14. И.Имедадзе, Изучение мотивационно-волевой готовности шестилеток к школьному обучению, канд. диссертация, Тб., 1978.

## გაბრიელ ეპისკოპოსის, "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" ავტორის, ილიასეული შეფასების შესახებ

სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში სტუდენტობისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, 1964-1965 სასწავლო წელს გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაში მოსმენილი აკაკი შანიძის სიტყვის ის ფრაგმენტი, როდესაც მან დაასახელა ყველა დროის საქართველოს ყველაზე გამორჩეული შვილების ოთხეული: დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი. შეიძლება გაჩნდეს სხვა აზრიც, მაგრამ ამ ოთხეულის ადგილი, როლი და მნიშვნელობა რომ მართლაც შეუცვლელია საქართველოს ისტორიისთვის, მისი დღევანდელი დღისა და მომავლისთვის, ეს უდავოა.

დიდ ილიას (რომელსაც დაბადებიდან 170, ხოლო გარდაცვალებიდან 100 წელი შეუსრულდა 2007 წელს) თავისი ავტორიტეტული აზრი აქვს გამოთქმული გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებაც. გაბრიელ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე) იყო ილია ჭავჭავაძის თანამედროვე სასულიერო, სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწე. მან თავისი ღვთისმოსაობით, სიბრძნით, სამართლიანობით, შრომისმოყვარეობით, ღრმა სერიოზულობითა და მამულის უსაზღვრო სიყვარულით იმთავითვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. თუკი ამას დავუმატებთ მის ენციკლოპედიურ ცოდნა-განათლებას, გასაგები იქნება მისი დიდი ავტორიტეტი როგორც საქართველოში, ისე მთლიანად რუსეთის იმპერიაში (და არა მხოლოდ). ამიტომაც, გაბრიელ ეპისკოპოსის შრომებს, სასულიერო თუ სამეცნიერო ხასიათის მქონე მის თეორიულ ნააზრევს არ დაკლებია შესაბამისი მიმართულების შეფასე-

ბები და ავტორიტეტული შემფასებლებიც. საკმარისია გავიხსენოთ ნ.დობროლიუბოვის, ი.ჭავჭავაძის, ი.გოგებაშვილის სახელები. გაბრიელ ქიქოძის მეცნიერული მემკვიდრეობის, მეტადრე, მისი "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" კრიტიკული შეფასება დღესაც გრძელდება (ა.ბოჭორიშვილი, 1991).

გაბრიელ ქიქოძე დაიბადა 1825 წლის 15 ნოემბერს გურიის სოფელ ბახვში. სწავლობდა თბილისის, ფსკოვის და პეტერბურგის სასულიერო სემინარიებში. ღრმად დაეუფლა ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკას, ფიზიკას. 1848 წელს დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია, მიიღო მაგისტრის ხარისხი. დაქორწინების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და თბილისის სასულიერო სემინარიაში დაიწყო მუშაობა ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ. 1851 წლიდან ის ფიზიკისა და მათემატიკის პროფესორია. 1856 წელს დიდი ოჯახური უბედურება დაატყდა თავს (მოკლე დროში გარდაეცვალა მეუღლე და 5 შვილი), რის გამოც ბერად აღიკვეცა და იმ წლიდან გაბრიელის სახელს ატარებს. იყო დავით გარეჯის არქიმანდრიტი. 1860 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსია. გარდაიცვალა 1896 წელს. დაკრძალულია გელათის მონასტერში.

საყოველთაოდ ცნობილია გაბრიელ ქიქოძის მოღვაწეობა ქართული ეკლესიის განმტკიცებისათვის. მან დიდი ამაგი დასდო "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". იყო მისი დამფუძნებელი და საპატიო წევრი. საკუთარი სახსრებით გახსნა რამდენიმე სკოლა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი ბრძოლა ქართველი ერის ძირეული ინტერესებისათვის. თავგამოდებით იცავდა ქართულ ენას, ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობასა და კულტურას ყოველგვარი გამოხტომებისაგან. სწორედ ამან ათქ-

მევინა ილია ჭავჭავაძეს გაბრიელზე: "იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა, და, მაშასადამე, იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს" (ი.ჭავჭავაძე, 1955). ეს სიტყვები დიდმა ილიამ თქვა გელათში, 1896 წლის 25 დეკემბერს, გაბრიელის დასაფლავებაზე. ვფიქრობთ, გელათში წარმოთქმულ სიტყვაში შეკუმშული სახით მოცემულია გაბრიელ ეპისკოპოსის მრავალმხრივი მოღვაწეობის უაღრესად ორიგინალური, ჭეშმარიტად ილიასეული დახასიათება. სწორედ ეს სიტყვა გვექნება ჩვენ მხედველობაში გაბრიელ ეპისკოპოსის ილიასეული შეფასების შესახებ საუბრისას.

1858 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა გაბრიელ ქიქოძის კაპიტალური ნაშრომი "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები". იგი მხოლოდ 1993 წელს ითარგმნა ქართულ ენაზე (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1993). ეს წიგნი დიდხანს გამოიყენებოდა რუსეთის სემინარიებში ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოდ. ნ.დობროლიუბოვი სწორედ ამ ნაშრომს აძლევდა უპირატესობას სხვებთან შედარებით ("მნათობი", 1943, 7). ამ წიგნში იმდენად ჭარბადაა მოცემული მატერიალიზმის (მეცნიერული მატერიალიზმის) ელემენტები, რომ იგი, მისი ავტორისადმი იდეალიზმისა და რელიგიის ღალატის ბრალდებით, ერეტიკულ ნაწარმოებადაც კი გამოაცხადეს. საფუძველი? მართალია, თავის წიგნში ავტორი სულ ღმერთზე და სულის უკვდავებაზე ლაპარაკობს, მაგრამ წიგნის შესავალშივე აცხადებს, რომ "ფსიქოლოგია ბევრს მოიგებდა, თუ უარს იტყოდა უნაყოფო გონებაჭვრეტაზე და მიმართავდა ზუსტ ცდას, მიუკერძოებელ დაკვირვებას, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს (ე.ი. გამოიყენებდა ბუნებისმეტყველურ მეთოდს და გადაიქცეოდა ნამდვილ ცდისეულ მეცნიერებად - ნ.ბ.)... ჩვენ ვცდილობდით სუ-

ლის შესახებ ყველა მსჯელობა ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე დაგვემყარებინა, რომლებიც ფიზიოლოგიაში და ფიზიკაში საკმაოდ დამტკიცებული და ახსნილია" (გაბრიელ ეპისკოპოსი, 1993:9). ავტორის ეს მიზანი უკვე წიგნის სათაურშივე ("ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები") არის გაცხადებული, შემდეგ კი მისი შინაარსით (განსაკუთრებით ხელშესახებად შეგრძნება-აღქმისა და მეხსიერების ფსიქოლოგიის პრობლემატიკის ავტორისავე გაგებით) დადასტურებული.

საგულისხმოა, რომ ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, ფაქტობრივად სათავეს იღებს 1879 წლიდან, როდესაც ვილჰელმ ვუნდტმა გერმანიის ქალაქ ლაიფციგში დააარსა ფსიქოლოგიის პირველი ექსპერიმენტული ლაბორატორია. "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" გამოცემის თარიღის (1858 წ.) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი არათუ ჩამორჩებოდა, არამედ ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტის გამოყენების აუცილებლობის იდეის თვალსაზრისით იქნებ უსწრებდა კიდეც ვუნდტს.

ილია ჭავჭავაძე, მართალია, თავის სიტყვაში არსად ახსენებს გაბრიელის "ფსიქოლოგიას", მაგრამ მის დიდ დამსახურებაზე მსჯელობისას, როდესაც იგი ეხება მეცნიერებისა და სარწმუნოების მიმართების საკითხს გაბრიელ ეპისკოპოსის ნააზრევში, ვრწმუნდებით, რომ მას ეს ნაშრომიც აქვს მხედველობაში. მოვიყვანოთ ამონარიდები ამ სიტყვიდან:

"საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი.

თითოეული წამი მისის ცხოვრებისა – მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისთვის. ერ-

თად - კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მა-ღალ-სათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმა-რიტებისა, მადლისა და მოწყალებისა. მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი...

მე მსურს მხოლოდ აქ აღვნიშნო იმისთანა მხარე ამ დიდებულ კაცისა, რომელშიაც არის, ჩემის ფიქრით, სხვათა მრავალთა შორის, ერთი მისი დიდი მნიშვნელობაცა. მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, - საერო, თუ სამღვდელო, რომ-ლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებუ-ლის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეც-ნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და იმოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამცთუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოუ-რიგებელი და მოუთავსებელი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა" (ი.ჭავჭავაძე, 1955:251-253).

ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებში კარგად იგრძნობა "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" პათოსი და სულისკვეთება. ამასვე ადასტურებს, ჩვენი აზრით, მისი სიტყვის ის ნაწილი, რომელშიც ეხება მეცნიერებისა და სარწმუნოების "სამფლობელოებს" შორის კავშირს. ამ კავ-შირზე ილია ჭავჭავაძე ლაპარაკობს როგორც გაბრიელ ეპისკოპოსის მთლიანი პიროვნების, ისე მისი თეორიული ნააზრევის მიხედვით.

"ამ ორს სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუ-თისოფელში, რომლითაც ასე სავსე იყო განსვენებული მღვდელ-მთავარი, და რომელიც, ჩემის ფიქრით, სხვა არა არის-რა, გარდა მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმა-

ნეთში ბედნიერად მორიგებისა, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად. ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორც ნიუტონი და სხვანი მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი.

მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის, სახელოვანის მღვდელ-მთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა" (ი.ჭავჭავაძე, 1955:251-253).

მართლაც ორიგინალური, ჭეშმარიტად ილიასეული შეფასებაა, რომელიც განმტკიცებულია ნიუტონთან პარალელის გავლებითაც. ეს შეიძლება გადაჭარბებული მოგვეჩვენოს, მაგრამ ამით ილია ჭავჭავაძეს უნდოდა ეჩვენებინა: ისევე როგორც ნიუტონის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული შეხედულებები უთავსდებოდა მის რელიგიურობას, ღვთისმოსაობას, თუმცა იგი მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთიასგან მეცნიერებასა და რელიგიას, ასევეა გაბრიელ ეპისკოპოსის შემთხვევაშიც, მასთანაც ადგილი აქვს "მეცნიერებისა და სარწმუნოების ერთმანეთში ბედნიერად მორიგებას". ამაში იყო ილია ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული შედარების ძირითადი აზრი.

თავისი სიტყვის დასასრულს, ილია ჭავჭავაძე, მისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების გამოყენებით, კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის, მისი პიროვნების სიდიდესა და სიდიადეს:

"მე რომ მისნი მადლით სავსე საქმენი და სიტყვანი მაგონდებიან, თვალ-წინ წარმომიდგება ხოლმე შარავანდედით მოსილი ახლად დაბადებული გაბრიელ და მგონია, რომ თავს წამოსდგომია ახლად შობილს ყრმას ფრთებგაშლილი

მთავარანგელოზი, სიყვარულით დასცქერის და ლოცვა-კურთხევით ეუბნება ამ ბრძენთაგან თქმულს:

"პატარავ, როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანაში, შენ სტირი და შენს გარშემო-კი ყოველს სიხარულს ღიმილი მოსდის: ჰქმენ ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვებოდე, ყველანი სტიროდენ და მარტო შენ-კი ღიმილი მოგდიოდეს"... და აჰა ჰქმნა ისე, რომ როცა ქვეყანას ეთხოვება საუკუნოდ, ყველანი მის გარშემო სტირიან. დიდება სახელსა მისსა!" (ი.ჭავჭავაძე, 1955:256).

ასეთია გაბრიელ ეპისკოპოსის მრავალმხრივი მოღვაწეობის ილიასეული შეფასება-დახასიათება, რომელშიც თავის მხრივ კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის სიტყვის ძალაც და მისი მსოფლმხედველობაც.

როგორც ვხედავთ, გაბრიელ ეპისკოპოსის მთელი ცხოვრების გზა, მისი ილიასეული, უაღრესად ორიგინალური შეფასების გათვალისწინებით, წარმოადგენს ერის, მეცნიერებისა და სარწმუნოებისადმი თავდადებული სამსახურის იშვიათ ნიმუშს, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოდგენილი დახასიათების (ეპისკოპოსის დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვის) ერთი უმთავრესი მიზანი, ვფიქრობთ, ესეც იყო. იგი მომავალი თაობებისადმიც იყო გამიზნული. ამის საუკეთესო საფუძველს თვით გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობა იძლეოდა, რომელიც სრულად პასუხობდა ილია ჭავჭავაძის ძირითად კრედოს: "მამული, ენა, სარწმუნოება".

ლიტერატურა:

1. ა.ბოჭორიშვილი, გაბრიელ ქიქოძის "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", თხზ. ტ. I, თბ., 1991.

2. ილია ჭავჭავაძე, სიტყვა თქმული გაენათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად პ.ინგოროყვას რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955.

3. გაბრიელ ეპისკოპოსი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ., 1993.

4. იხ.: ნ.დობროლიუბოვის გადმოქართულებული რეცენზია არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" შესახებ, ჟ. "მნათობი", №7, 1943.

# ასაკი და სიკვდილისწინა ფიქრები*

*შენი ჭირიმე, სიკვდილო*
*სიცოცხლე შვენობს შენითა!*
ვაჟა-ფშაველა

იმ დროიდან, რაც ადამიანმა დაიწყო ფიქრი საკუთარ თავსა და სამყაროზე, სიკვდილის ფენომენის გააზრება მარადიულ პრობლემად რჩება. სიცოცხლის სასრულობაა ის სტიმული, რომელიც აიძულებს ადამიანს დაუკვირდეს ცხოვრებას, გააანალიზოს იგი და ეძებოს მისი გამართლების არგუმენტები. ყოველი არსებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ადამიანი აცნობიერებს მოკვდაობას. სიკვდილი გარკვეულწილად გვეელინება ადამიანის მსოფლმხედველობის მაკონსტრუირებელ ელემენტად, რადგანაც სწორედ მისი მეშვეობით უფიქრდება ადამიანი სიცოცხლეს, როგორც მის საპირისპირო მოვლენას და ცდილობს მისი საზრისის დადგენას.

სიკვდილი, ერთი შეხედვით, უკიდურესად მარტივ, თავიდანვე ცხად ფენომენად გვეჩვენება. მას თითქოს რთული ანალიზი, ღრმა რეფლექსია არ სჭირდება. მართლაც, სხვა რა არის სიკვდილი, თუ არა მთელი ცოცხალი სამყაროს, მათ შორის ადამიანის სიცოცხლის ბუნებრივი დასასრული?! ცხადია, რომ სიკვდილის, როგორც სიცოცხლის დასასრულის გაცნობიერება, ამ თემაზე მსჯელობა და ფიქრი მხოლოდ ისეთ არსებას შეუძლია, რომელსაც ცნობიერება და განსჯის უნარი აქვს, ანუ ადამიანს. სიკვდილი შესაძლოა განხილული იქნას ორგვარად: ერთი

---

* ნაშრომის თანაავტორია ფილოსოფიის მაგისტრანტი თამილა ცინარიძე.

მხრივ როგორც ყოველი ცოცხალი არსების ბუნებრივი დასასრული, როგორც მოვლენათა ბუნებრივი მიმდინარეობის ერთ-ერთი ფაქტი და მეორე მხრივ, როგორც ფენომენი, რომელსაც გარკვეული მიმართება აქვს ადამიანის არსებობის სპეციფიკურ წესთან, როგორც მისი ცხოვრების აუცილებელ კომპონენტთან.

ადამიანური სიკვდილი ხშირად მოიხსენიება კულტურის კონტექსტში. არსებობს უამრავი წარმოდგენა სიკვდილის შესახებ, რომელიც გატარებულია ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მუსიკაში, რელიგიასა და ფილოსოფიაში. კულტურათა უმრავლესობაში სიკვდილი დაკავშირებულია განსაკუთრებულ რიტუალებთან. სხვა კულტურებსა და რელიგიებში სიკვდილი დასასრული კი არ არის, არამედ გარდასახვაა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, არსებობის უფრო დაბალი საფეხურიდან უფრო მაღალ საფეხურზე. ზოგიერთისათვის (თუ ვილაპარაკებთ კონკრეტულ ადამიანებზე) სიკვდილი შესაძლებელია სასურველი საშუალებაა ტანჯვისა და ტკივილისაგან თავის დასაღწევად. ამგვარი გაგებით სიკვდილის შესახებ შეიძლება უამრავი აზრის ჩამოყალიბება.

მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი წარმოდგენები სიკვდილზე, რომლებიც მსოფლიო კულტურაში ჩამოყალიბდა, შესაძლოა კლასიფიცირებული იქნას გარკვეული ნიშნის მიხედვით. მათ შორის უპირველესად გამოიყოფა წინაქრისტიანული და ქრისტიანული შეხედულებები. აღმოსავლურმა კულტურებმა, დასავლურისაგან განსხვავებით, შეინარჩუნეს რწმენა კოსმოლოგიური, რელიგიური და ფილოსოფიური სისტემების სიძლიერისადმი, სადაც სიკვდილი არ განიხილება, როგორც ფიზიკური არსებობის სრული დასასრული. ქრისტიანობამ კი აღიარა ინდივიდუალური არსებობის სასრულოვნება. მასობრი-

ვი მკვდრეთით აღდგომა მხოლოდ და მხოლოდ მიწიერი ისტორიის დასასრულადაა მიჩნეული.

სიკვდილის ფენომენის ახსნა და მის წინაშე შიშის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო მცდელობა იყო სოკრატეს მოძღვრება და მისი პირადი მაგალითი. პლატონის თანახმად, სოკრატეს მიაჩნდა: "როგორც ჩანს, კაცთათვის შეუმჩნეველი რჩება, რომ მთელი მისი სიცოცხლე, ვინც უანგაროდ ემსახურება ფილოსოფიას, სხვა არა არის რა, თუ არა სამზადისი სიკვდილისათვის" (8,15).

სიკვდილის სხვადასხვა გაგება ყალიბდება ეპიკურესთან: "როცა ჩვენ ვართ, მაშინ სიკვდილი ჯერ არ არის, ხოლო როდესაც სიკვდილი მოვა, მაშინ ჩვენ აღარ ვიქნებით. ამგვარად, სიკვდილი არ არსებობს არც ცოცხლებისა და არც მკვდართათვის, რადგანაც პირველთათვის ის მართლაც არ არსებობს, მეორენი კი თავად მისთვის არ არსებობენ" (11,110).

ბევრი მოაზროვნე მიიჩნევს, რომ ადამიანის შიში სიკვდილის წინაშე თანდაყოლილია. ეს გრძნობა ადამიანის არსშია, სიცოცხლის საიდუმლოებაშია. იგი ერთ-ერთი საწყისეული განცდაა. მისი ძირები ფსიქიკის სიღრმეშია, მაგრამ სხვადასხვა ეპოქაში, გონის სხვადასხვა ღირებულებათა პრიზმაში ეს შიში სხვადასხვა ფორმას იღებს.

ლ.ტოლსტოის აზრით, "თუ სიკვდილი საშინელია, ამის მიზეზი ჩვენშია და არა სიკვდილში. რაც უფრო უკეთესია ადამიანი, მით უფრო ნაკლებად ეშინია სიკვდილის." გოეთეს ხედვით, "სიცოცხლე არის ისეთი გამოცდილება, რომლის გამოც სიამოვნებით აღარ ვკვდებით".

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე თავისი მოსაზრებები აქვს გამოთქმული დ.უზნაძესაც. მისი აზრით, მართალია ადა-

მიანის სიცოცხლე უმაღლესი ღირებულებაა, მაგრამ ადამიანურ ცხოვრებაში არსებობს რაღაც უფრო „მაღალი" და მნიშვნელოვანი, ვიდრე „კერძო, პირადი სიცოცხლე," რომელიც მხოლოდ საშუალებაა იმ უმაღლესი დანიშნულების მისაღწევად, ადამიანის არსებობას რომ ამართლებს. ამ თვალსაზრისით, ცხადია, სიკვდილი და სიცოცხლე ადამიანის დანიშნულებისათვის სულ ერთია. იგი ზოგჯერ სიკვდილს მოითხოვს (მაგალითად, ბრძოლაში მეომრის სიკვდილი) და ზოგჯერ სიცოცხლეს (9, 276; 6, 4). ამდენად, სიცოცხლე მიზანი კი არაა არსებობისა, არამედ საშუალება, რომელიც, დ.უზნაძის სიტყვით რომ ვთქვათ, მის გარეშე გაშლილ ობიექტურ მიზანთა აყვავებას ემსახურება და ზვარაკად ეწირება.

სწორედ ამიტომაა, რომ შთამომავლობა ქედს იხრის იმ ადამიანთა წინაშე, ვინც რაღაც ღირებული შექმნა, ემსახურა მაღალ იდეალებს და არ მისდევდა მხოლოდ პირად გარცხრომას. თუ ადამიანი არ ასრულებს თავის მაღალ ადამიანურ დანიშნულებას, მას ადვილად ივიწყებენ, იგი უკვალოდ ქრება სხვათა მეხსიერებიდან და საერთოდ ადამიანური ცხოვრების ისტორიიდან, - ამბობს დ.უზნაძე.

მაგრამ სამყაროში თავისი განსაკუთრებული ადგილის მიუხედავად, ადამიანი ჩვეულებრივი ცოცხალი არსებაა. იგი ემორჩილება სიცოცხლის უნივერსალურ კანონზომიერებას – იბადება, იზრდება და კვდება. ეს გარემოება თავისებურად არეკლილასახულია კიდეც თითოეული ინდივიდის ფსიქიკაში. ადამიანი მთელი სიცოცხლე სიკვდილის შიშშია გახვეული. ვით დამოკლეს მახვილი, ისე კიდია ადამიანის თავზე ულმობელი სიკვდილის საშიში ცელი. ზოგიერთი ადამიანი სიკვდილის შიშიდან გამოსავალს რელიგიაში ეძებს.

ყველაფრის მიუხედავად, დ.უზნაძე სიკვდილს ბოროტებად მაინც არ თვლის. პირიქით, მისი აზრით, ობიექტური კრიტერიუმით თუ ვიმსჯელებთ, სიკვდილის შესაძლებლობა, სიკვდილის იდეა საზღვრავს, აფორმებს, გარკვეულ სახეს და აზრს აძლევს ადამიანის სიცოცხლეს (გავიხსენოთ ვაჟას ცნობილი გამონათქვამიც).

საგულისხმოა, რომ იგივეს, ოღონდ განსხვავებული მეთოდოლოგიური საფუძვლებიდან, ამტკიცებს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი როლო მეი. ლაპარაკობს რა სიყვარულისა და სიკვდილის მიმართების პარადოქსების შესახებ, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ "მოკვდავობის შეგრძნება არა მხოლოდ ამდიდრებს სიყვარულს, არამედ შობს მას" (14, 54). რ.მეის აქვე მოჰყავს აბრაჰამ მასლოუს ანალოგიური შინაარსის გამონათქვმიც: "თუკი გვეცოდინებოდა აღარასოდეს მოვკვდებით, საეჭვოა გვექნებოდა თუ არა უნარი სიყვარულისა" (14, 53). შემდეგ ავტორი ცდილობს აღნიშნულის ინტერპრეტაციას ფსიქოანალიზური პოზიციებიდანაც. მაგრამ ეს უკვე ჩვენი თემის მიზანდასახულობას სცილდება.

• • •

ჩვენ მიზნად დავისახეთ ექსპერიმენტულად შეგვესწავლა ადამიანის სიკვდილისწინა ფიქრები და მოსაზრებანი. მართალია, შეუძლებელია ადამიანმა იცოდეს როდის აღესრულება და ყველა ერთნაირად როდი ფიქრობს სიკვდილზე, ამიტომაც თითქოს შეუძლებელია ვილაპარაკოთ სიკვდილისწინა ფიქრებზე, მაგრამ როგორც დავრწმუნდით, ადამიანებს თავისებურად მაინც აწუხებთ ეს საკითხი და გააჩნიათ თავიანთი მოსაზრებანი და მოლოდინები ამასთან დაკავშირებით.

გარდა ზოგადად სიკვდილისწინა ფიქრების შესწავლისა, ჩვენ დავინტერესდით ასეთი ფიქრებისა და განსჯა-მოსაზრებების ასაკობრივი თავისებურებებითაც. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ცდის პირები იყვნენ არა მართლაც რეალურად მომაკვდავი ადამიანები სხვადასხვა ასაკისა, არამედ სრულიად ჯანმრთელები. ამ ადამიანებს ჩვენ შესაბამისი ინსტრუქციით ვუქმნიდით სათანადო განწყობას, ე.ი. სიკვდილისწინა მდგომარეობის განწყობას. ამ შემთხვევაში განწყობის შექმნის ობიექტური ფაქტორის როლში გამოდიოდა წარმოსახული სიტუაცია. თუ გავითვალისწინებთ განწყობის ფსიქოლოგიაში არსებულ მონაცემებს, განსაკუთრებით რ.ნათაძის ექსპერიმენტულ გამოკვლევებს წარმოსახვის განმაწყობელი მოქმედების შესახებ (4, 486; 15), ეს ჩვენ შემთხვევაშიც სავსებით რეალურად უნდა მივიჩნიოთ, რაც დადასტურდა კიდეც.

ცდებს ვატარებდით როგორც ინდივიდუალური წესით, ისე ჯგუფურადაც (განსაკუთრებით სტუდენტებთან). ცდის პირებს ეძლეოდათ ასეთი სახის ინსტრუქცია: "წარმოიდგინე, რომ ნახევარ წელიწადში შენი სიკვდილი გარდაუვალია. რას გააკეთებდი, როგორ მოიქცეოდი, რა მიზნებს დაისახავდი, როგორი ცხოვრების წესით იცხოვრებდი ასეთ შემთხვევაში? ე.ი. წინასწარ თუ გეცოდინებოდა, რომ დაგრჩა მხოლოდ და მხოლოდ ნახევარი წლის სიცოცხლე, რას, რატომ და როგორ მოიმოქმედებდი მაშინ?"

მართალია, სიტყვა "სიკვდილის" ობიექტური მნიშვნელობა ერთნაირია ყველასათვის, იგი ყველა ადამიანს ერთსა და იმავეს ეუბნება, მისი პიროვნული აზრი და ზემოქმედების ხასიათი, როგორც მოსალოდნელი იყო, სრულიად განსხვავებული აღ-

მოჩნდა ახალგაზრდისა თუ მოხუცებულისათვის, ჯანმრთელი ადამიანისა თუ ავადმყოფისათვის.

ჩვენი ცდის პირები იყვნენ: 17-დან 22 წლამდე ასაკის 26 სტუდენტი, მათ შორის 10 ვაჟი, 16 გოგონა; 45-დან 55 წლამდე ასაკის 20 ცდის პირი, რომელთაგან 11 ქალია და 9 მამაკაცი და 70-75 წლის 16 ადამიანი (6 ქალი და 10 მამაკაცი).

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში ჩვენი ცდის პირების რაოდენობა განსხვავებულია. კერძოდ, ასაკის მომატებასთან ერთად მათი რაოდენობა კლებულობს. ეს იმიტომაც მოხდა, რომ ძალიან ძნელი აღმოჩნდა ახალგაზრდა მაგისტრანტისათვის (რომელიც ამ წიგნის ავტორის ხელმძღვანელობით ატარებდა ცდებს) ხანში შესული ადამიანისათვის ეთქვა... ნახევარ წელიწადში შენი სიკვდილი გარდაუვალიაო. თუმცა ვფიქრობთ, რომ ასეთი რაოდენობის ცდისპირთა შემთხვევაშიც შეიძლება ჩვენს საკითხთან დაკავშირებული ზოგადი ტენდენციის გამოვლენა.

რომელ ასაკობრივ პერიოდებს მიეკუთვნებიან ჩვენი ცდის პირები? ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, ადამიანის მთელი ცხოვრების გზა შეიძლება დავყოთ სამ დიდ პერიოდად. ესენია: მოზარდობა-დაბადებიდან დაახლოებით 20-21 წლამდე; მოწიფულობა - 21-22 წლიდან 50-55 წლამდე და მოხუცებულობა - 50-55 წლიდან სიკვდილამდე. ასეთ პერიოდიზაციას, სხვებთან ერთად, იზიარებს პროფ. შალვა ჩხარტიშვილიც (10, 42).

1965 წელს მოსკოვში ჩატარებული სპეციალური სიმპოზიუმის მიხედვით, ასაკობრივი პერიოდიზაციის სურათი ასე გამოიყურება: მოზარდობა- დაბადებიდან 20-21 წლამდე; მოწიფულობა-21-22 წლიდან 55-60 წლამდე; ხანდაზმულობა 61 წლი-

დან 74 წლამდე; მოხუცებულობა - 75-90 წლები და მხცოვანი - 90 წელს ზევით (3,59; 5).

თუ ორივე პერიოდიზაციას შევაჯერებთ, ჩვენს მიერ შესწავლილი ასაკები მიეკუთვნება მოზარდობის პერიოდს, კონკრეტულად კი ჭაბუკობის ასაკს, მოწიფულობის პერიოდს და ხანდაზმულობისა და მოხუცებულობის მიჯნას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქრონოლოგიური ასაკი" (ცხოვრების წლები) ხშირად არ იძლევა ნამდვილ სურათს მოვლენების შესახებ. კრაიგი და ბოკუმი სავსებით სამართლიანად მიუთითებენ, რომ უფრო სწორი იქნებოდა სიტუაციის განხილვა ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ასაკების მიხედვით (13). მაგალითად, 40 წლის ადამიანი, რომელმაც გადაიტანა ფილტვების მძიმე ანთება, აქვს სუსტი გული და მუდმივი წნევა, ცხადია, ბიოლოგიური ასაკით მნიშვნელოვნად განსხვავდება 40 წლის ჯანმრთელი პიროვნებისაგან, რომელსაც უფრო მეტი ალბათობით შეუძლია იცოცხლოს, ვთქვათ, კიდევ 40 წელი. ასევე, სოციალური თვალსაზრისით, 40 წლის ცოლ-შვილიანი ადამიანი თავისი „ფილოსოფიით," ფსიქოლოგიით და სტატუსის თავისებურებით არანაკლებ განსხვავდება იგივე ასაკის უცოლო ადამიანისაგან. და ბოლოს, ფსიქოლოგიური ასაკი ასახავს იმას, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს თავი გაართვას გარემოს და სოციუმის მოთხოვნებს, შეეგუოს მათ. მასში ჩართულია ინტელექტის დონე, ათვისების უნარი, აგრეთვე ისეთი თვისებები, როგორიცაა შფოთიანობა, განწყობები, მოტივები და ა.შ.

მართალია, ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ასაკები ურთიერთდაკავშირებულია, მაგრამ ამა თუ იმ პერიოდში შეიძლება წამყვანი იყოს ესა თუ ის მახასიათებელი. მაგალი-

თად, ჭაბუკობის პერიოდის თავისებურებებს, სოციალურთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ბიოლოგიური ფაქტორები (ორგანიზმის ბიოლოგიური განვითარების მიმდინარეობა, ანატომიურ-ფიზიოლოგიური გარდაქმნის დასასრული, და ა.შ.); მოწიფულობის პერიოდში წამყვანია ფსიქოლოგიური მახასიათებლები; მოხუცებულობის პერიოდის თავისებურებები კი ალბათ უფრო მეტად დამოკიდებულია ფსიქო-ფიზიკურ ფაქტორებზე.

იმის მიხედვით, თუ რომელ ასაკობრივ პერიოდში იმყოფება ადამიანი, უფრო სწორად, რომელ პერიოდს აკუთვნებს იგი საკუთარ თავს, მისთვის დამახასიათებელია შესაბამისი შინაგანი მოლოდინებიც, დაძაბულობისა და ზემოქმედების შეგრძნებები, განცდა-გაცნობიერება იმისა, თუ როდის შეიძლება იჩინოს თავი გარკვეულმა მოვლენებმა მის ცხოვრებაში. ამ მდგომარეობის აღსანიშნავად შემოიტანეს კიდეც ,,ასაკობრივი საათის" ცნება, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევიტყოთ როგორ ვმოძრაობთ ჩვენი ცხოვრების გზაზე: წინმსწრები (აჩქარებული) ტემპით თუ ჩამორჩენით, შენელებული სვლით.

ახლა ორიოდე სიტყვით დავახასიათოთ ჩვენთვის საინტერესო ასაკობრივი პერიოდები: ჭაბუკობა, მოწიფულობა და მოხუცებულობა (ხანდაზმულობისა და მოხუცებულობის მიჯნა).

ჭაბუკობა არის რომანტიზმით აღსავსე, დიდი საქმეების კეთების სურვილით გამორჩეული და საზოგადოებრივი აქტივობით დატვირთული პერიოდი. ამ პერიოდში არსებითად ფორმირდება ჭაბუკებისა და ქალიშვილების თვითცნობიერება, მათი მსოფლმხედველობის მთავარი მიმართულება. წინა პლანზე გამოდის საზოგადოებაში საკუთარი ადგილის გარკვევის, ცხოვრების მეგზურის არჩევის, ოჯახის შექმნისა და შენახვის, შრო-

მითი საქმიანობის დაწყების პრობლემებზე ფიქრი და ზრუნვა. შემთხვევით როდი ამბობენ, რომ ბავშვი ცხოვრობს დღევანდელი დღით, აწმყოთი, ჭაბუკი - ხვალინდელი დღით, მომავლით, მოხუცებული კი გუშინდელი დღით, წარსულით. გოეთეს სიტყვით რომ ვთქვათ, "ბავშვი რეალისტია, ახალგაზრდა – იდეალისტი, მამაკაცი - (მოწიფული ადამიანი - ნ.ბ.) - სკეპტიკოსი, მოხუცებული - მისტიკოსი."

რას წარმოადგენს მოწიფულობა, როგორც ასაკობრივი პერიოდი? ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს არის შინაგანი წონასწორობის, ინტელექტუალური ძალების გაფურჩქვნისა და, ამასთანავე, ,,დასასრულის დასაწყისის" ხანაც. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ფსიქოლოგიური სტაბილურობა. კეთილსინდისიერების, საიმედობის, პატიოსნებისა და თანაგრძნობის სასურველი დონე, მატერიალური და სოციალური დამოუკიდებლობა და ავტონომია. თუმცა, განსხვავებულ კულტურებში ეს მოთხოვნები შეიძლება განსხვავებული იყოს.

მოხუცებულობის ასაკში ადამიანები ხშირად გაღიზიანებულები და უკმაყოფილონი არიან, რაც მათი ფიზიკური მდგომარეობითაც არის გამოწვეული. შეინიშნება ინტელექტუალური უნარების დაქვეითებაც, თუმცა იგი ყველა ფსიქიკურ ფუნქციას ერთნაირად როდი ეხება. მოხუცები წუხან და იტანჯებიან ახლობლების, კოლეგების, მეგობრების დაკარგვის გამო. ამაში ისინი თავიანთ ხვალინდელ დღესაც ხედავენ. ურთიერთობების შემცირება-შევიწროების გარდა, მცირდება მათი მონაწილეობის ხარისხიც საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. საზოგადოება თითქოს ზურგს აქცევს ამ ასაკის ადამიანებს. არ ითხოვს მათგან ადრინდელ ენერგიულობას, დამოუკიდებლობას და შემოქმედებითობას. ცხოვრების ასეთი წესი დემორალიზაციას

უკეთებს მათ. ასაკის მიუხედავად ხომ „გული არ ბერდება.“ ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ ამაშია, ე.ი. მოხუცებულობაში კი არა, არამედ უფრო იმაში, რომ სულით ახალგაზრდები ვრჩებით.

* * *

ახლა უშუალოდ შევჩერდეთ ჩვენს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტზე. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტი, თავისი შინაარსის გამო, საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა ცდის პირებისათვის. ცხადია, იგი მათში იწვევდა არც თუ სასიამოვნო ემოციებს. ბუნებრივია, ჩვენთვისაც მისი ჩატარება გასაგებ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ჩვენ ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო მასალები მივიღეთ.

17-დან 22 წლამდე ასაკის, ე.ი. ჭაბუკობის პერიოდის ახალგაზრდები თავს ბედნიერად თვლიან და ასე მიიჩნევენ იმიტომაც, რომ ადამიანმა არ იცის, თუ როდის მოკვდება. მართალია, ერთხელ დავიბადეთ და ერთხელ უნდა მოვკვდეთო, მაგრამ ურჩევნიათ მოულოდნელად და ერთ დღეში სიკვდილი. მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ ჩვენი ინსტრუქციის მიუხედავად, არავის გაუზიარებდა თავისი აღსასრულის მოახლოებას და შეეცდებოდა თავის ტკივილთან მარტო დარჩენილიყო. ერთ-ერთი 22 წლის ცდისპირი წერს: „როცა გავიგებ, რომ ნახევარ წელში მოვკვდები, არავის ვაგრძნობინებ და არც არავის ვეტყვი ამას.“ ცხადია, ასეთ გამონათქვამებში ჩანს ახალგაზრდების უდიდესი ჰუმანიზმიც, მოყვასის სიყვარულიც და მათზე ზრუნვაც, რაც ერთგვარად გაუცხოებულ და დამძიმებულ გარემოში სასიამოვნო ფაქტად აღიქმება.

აღნიშნულთან ერთად, ახალგაზრდები ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში ისინი შეეცდებოდნენ წასულიყვნენ სამოგზაუროდ და მოენახულებინათ მათთვის საოცნებო ადგილები. არ დაისახავდნენ რაიმე შორეულ მიზნებს და იცხოვრებდნენ ყოველდღიური ცხოვრებით. ვაჟების ერთი ნაწილი კი, განსხვავებით გოგონებისაგან, ფიქრობს, რომ ალბათ მოიმოქმედებდა ისეთ რამესაც, რაც ჯერჯერობით ცხოვრებაში არასოდეს გაუკეთებია და რისი გაკეთების სურვილიც ყოველთვის ჰქონდა. გოგონები კი უფრო ერიდებიან ასეთი თამამი განცხადებების გაკეთებას.

თითქმის ყველა ამბობს, რომ დარჩენილ დროს გაატარებდა ახლობლებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად და შეეცდებოდა ისეთი სასიკეთო საქმეების კეთებას, რითაც მათი სახელი დიდხანს დარჩებოდა ამ ადამიანების ხსოვნაში. ვინც კი დაოჯახებული არაა, თვლის, რომ არავითარ შემთხვევაში არ შექმნიდა ოჯახს. ასე ფიქრობს, მაგალითად, ერთ-ერთი 21 წლის ცდისპირი: „რაც შეეხება სიყვარულს, ალბათ უსიყვარულოდ მოვკვდები, ვინმეს არ გავაუბედურებ ექვსი თვის სიყვარულისა და თანაცხოვრების გამო. ამიტომ ჩემს გრძნობებს მოვიკლავ გულში და საფლავში ჩავიტან."

ახალგაზრდების ერთი ნაწილი თვლის, რომ მოუხშირებდა ეკლესიაში სიარულს, ჩადენილი ცოდვების მონანიებას და საკუთარ სულზე ზრუნვას.

ასეთი ხასიათისაა, ძირითადად, ჭაბუკებისა და ქალიშვილების სიკვდილისწინა ფიქრები და მოსაზრებები.

45-დან 55 წლამდე ასაკის ცდისპირებს, რომლებიც მოწიფულობის პერიოდში იმყოფებიან, უფრო უჭირთ სიკვდილის წარმოდგენა. მათი გამონათქვამებით, სიცოცხლის ამ დარჩენილ პერიოდს გაატარებდნენ შვილებთან და ოჯახის სხვა წევრებ-

თან ერთად. კიდევ უფრო მეტი ძალით ჩაუნერგავდნენ შვილებს მშობლების, ახლობელი ადამიანების და სიცოცხლის სიყვარულს. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ამ ასაკის ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას სურს საკუთარი შვილები და ოჯახი გამთლიანებულ, განათლებულ, ძლიერ საქართველოში დატოვოს. აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევაში თავადაც წუთისოფელს ბედნიერნი დატოვებენ, რადგან სწორედ ესაა მათი ოცნება. აი, ამ ასაკის ერთ-ერთი მამაკაცის გამონათქვამი: „მე ბედნიერი დავტოვებ წუთისოფელს, თუკი მეცოდინება, რომ ჩემი შვილები გამთლიანებულ, აყვავებულ, ძლიერ საქართველოში იცხოვრებენ, სამშობლოს არაფერი დაემუქრება და ახალგაზრდებიც ადვილად გასწევენ ცხოვრების უღელს."

ზოგიერთები აკეთებენ ამგვარ ჰუმანურ განცხადებებსაც: „ნახევარი წლის შემდეგ მოხდება ეს, თუ ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩაიბარებს უფალი ჩემს სულს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. წუთისოფელში რომ ვართ, კეთილი საქმეები უნდა ვაკეთოთ,"- ამბობს 52 წლის ადამიანი.

ერთ-ერთ ცდის პირს კი, რომელიც უკურნებელი სენით იყო დაავადებული და ღვთის შემწეობითა და ექიმების დახმარებით სიკვდილს გადაურჩა, იმდენად აქვს გათავისებული სიკვდილი, რომ ჩვენი ინსტრუქცია მისთვის სრულიადაც არ იყო მოულოდნელი. მან განაცხადა, რომ იცხოვრებდა ჩვეულებრივი ცხოვრებით, ისე როგორც აქამდე უცხოვრია.

ზოგიერთის აზრით, ვინაიდან წინასწარ ეცოდინებოდა აღსასრულის დრო, სურვილის საწინააღმდეგოდ, იძულებული იქნებოდა ეფიქრა მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილზე. ეს კიდევ უფრო შეზღუდავდა ამ დროს და დარჩენილ სიცოცხლეს ტანჯვა-წვალებად, ჯოჯოხეთად აქცევდა. უნდა აღინიშნოს,

რომ ამ გამონათქვამების ავტორთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და მათ მიერ წარმოსახული სიტუაციის გათვალისწინებით, აქ სავსებით მოსალოდნელი სურათია დახატული.

რაც შეეხება 70-75 წლის ასაკის ადამიანებს, ე.ი. მოხუცებულებს (ან მოხუცებულობას მიტანებულებს), რომლებთანაც ობიექტური (ასაკობრივი) საზომით ყველაზე მეტად მოახლოებულია სიკვდილი, მათ ყველაზე ნაკლებად სურთ სიკვდილის წარმოდგენა. ისინი ასაკის გამოც, სპეციალური ტერმინალოგიით რომ ვთქვათ, "ასაკობრივი საათის"თავისებური კარნახითაც, ახალგაზრდებზე უფრო გამახვილებულად განიცდიან სიკვდილის საშიშროებას. ამიტომ უჭირთ სიცოცხლის დასასრულზე ფიქრი. „ცხოვრების გზასავალზე შეზღუდული არასოდეს არ ვყოფილვარ. ნურც ნახევარი წლით შემიზღუდავთ დარჩენილ სიცოცხლეს. ადამიანი რომ 70 წელს გადააბიჯებს, ისედაც სიკვდილის მოლოდინშია", – სინანულით ამბობს 73 წლის კაცი.

უმრავლესობას მიაჩნია, რომ წუთისოფელს ვალმოხდილი ტოვებენ, რადგან განვლილი ცხოვრების განმავლობაში იმდენი სასიკეთო საქმე გააკეთეს, რომ მათი სახელი დიდხანს ემახსოვრება შთამომავლობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი კვლავ და კვლავ სიკვდილამდე გააგრძელებენ კარგი საქმეების კეთებას. მაგალითად, 76 წლის ლევანი გვეუბნება: „ცხოვრება ის დღეები როდია, რომლებიც წავიდა, არამედ ისინი, რომლებიც დაგვამახსოვრდა. მსურს დარჩენილ სიცოცხლეში, ექვსი თვე იქნება ეს თუ ექვსი წელი, კიდევ რაღაც სამახსოვრო გავაკეთო და დავტოვო. შარშან შემოდგომაზე ტყეში წყაროს მივაკვლიე, მინდა იგი სოფლის შარაგზაზე გამოვიყვანო. წუთისოფლიდან წასვლის შემდეგ "ლევანის წყაროს" გამვლელ-გამომვლელი

რომ დალევს, ეს დიდი მადლი და ამ ადამიანებში ჩემი სიცოცხლის გაგრძელებაც იქნება". გლეხი კაცის ეს სიტყვები ალბათ ბევრს გაახსენებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ა. ზურაბაშვილის ცნობილ გამონათქვამს ადამიანის არსის შესახებ: ადამიანი არის არა მხოლოდ მოაზროვნე არსება, არამედ უპირველესად იგი ზნეობრივი არსებაა.

ამ ასაკის ადამიანების სურვილებში თვალში საცემია აგრეთვე მათი მისწრაფება დარჩენილი სიცოცხლე მშვიდად გაატარონ ახლობლების, ოჯახის წევრების, განსაკუთრებით კი შვილიშვილების გარემოცვაში. ზოგიერთი ჯანმრთელობაშერყეული ცდის პირი კი აცხადებს, რომ მისთვის უმჯობესია ნახევარ წელიწადში სიკვდილი, ვიდრე ხანგრძლივი და მტანჯველი ავადმყოფობა.

დასასრულ, ჩვენი მონაცემებიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. რაც უფრო მაღალია ასაკი, მით უფრო ძნელი წარმოსადგენი ხდება ადამიანისათვის სიკვდლი, მით უფრო უჭირთ, უმძიმთ მათ ამ თემაზე საუბარი. მუდამ ფხიზელი „ასაკობრივი საათის" თავისებური ინფორმაციით სასიკვდილო ასაკთან არაცნობიერი თუ ცნობიერი მიახლოება უფრო მძიმეს ხდის ადამიანებისათვის საკუთარი სიკვდილის წარმოდგენას, სიკვდილის შიში უფრო დომინირებს მათში.

2. ჩვენს ინსტრუქციაში მითითებულ "სასიცოცხლო" ნახევარ წელს ადამიანები ავსებენ საკუთარი რეალური მდგომარეობის „გათვალისწინებით", ე.ი. მათი აზრები, ფიქრები შესაძლებელი მოქმედებები მოტივირებულია მათივე ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიურიი თუ ეკონომიკური მდგომარეობით.

3. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენი ახალგაზრდებისადმი გარკვეული საყვედურის მიუხედავად, ისინი აკეთებენ უაღრესად ჰუმანურ განცხადებებს. დასკვნაში ჩვენ არ გავიმეორებთ მათ სხვა გამონათქვამებს, მაგრამ ერთი კი განსაკუთრებით აღსანიშნავია – ჩვენი ინსტრუქციის პასუხად, ჭაბუკების უმრავლესობა აცხადებს: თუ მეცოდინებოდა რომ დამრჩა ნახევარი წლის სიცოცხლე, ასეთ შემთხვევაში სიყვარულის გრძნობის მიუხედავად, ოჯახს არ შევქმნიდი. ჩემი წუთიერი, ხანმოკლე ბედნიერების ხარჯზე სხვას არ გავაუბედურებდიო. მართლაც, მაღალზნეობრივი და ამაღელვებელი სიტყვებია.

რაც შეეხება ქალებისა და მამაკაცების სიკვდილისწინა ფიქრების განმასხვავებელ თავისებურებებს, იმის გამო, რომ თითოეულ ასაკობრივ პერიოდში ცდის პირების რაოდენობა განსხვავებული, ხოლო ქალებისა და მამაკაცების რიცხვი არც თუ ისე დიდი იყო, ჩვენ ერთ ზოგად დასკვნას ვერ ვაკეთებთ. ჭაბუკობის პერიოდთან დაკავშირებით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვაჟები უფრო თამამ, გაბედულ განცხადებებს აკეთებენ, ქალიშვილები კი თავიანთ ფიქრებსა და მოსალოდნელ ქმედებებში უფრო მოკრძალებული ჩანან.


ლიტერატურა:

1. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ, 1977.
2. თ. ბოჭორიშვილი, სიკვდილის ფენომენის კულტუროლოგიური ანალიზი.
3. თ. გოგიჩაიშვილი, განვითარების ფსიქოლოგია, თბ. 2005.
4. ვ. კაკაბაძე, გამოკვლევები ფსიქოლოგიაში, ქუთაისი, 1993.
5. ბ. ლივეხუდი, ადამიანის ცხოვრების გზა, თბ. 2002.

6. ნ. მშვენიერაძე, ადამიანი როგორც შემოქმედი გონიერი არსება, თბ. 2005.
7. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ. 1977.
8. პლატონი, ფედონი, თბ. 1966.
9. დ. უზნაძე, ფილოსოფიური შრომები, ტომი 1. თბ. 1984.
10. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1974.
11. მ. ჭელიძე, ელინიზმის ფილოსოფია, თბ. 1992.
12. Т. Н. Волкова, Социальные и психологические проблемы старости. Ж."Вопросы психологии", №2, 2005.
13. Г.Крайг, Д.Бокум, Психология развития, М., 2004.
14. Ролло Мей, Любовь и воля, М., 1997.
15. Р.Натадзе, Воображеие как фактор поведения, Тб.,1972.

## ზოგიერთი არატრადიციული შეხედულება კოლექტივის შესახებ

ჩვენი დროის გამოჩენილი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი მისთვის დამახასიათებელი ორიგინალურობით ამბობდა, რომ 1917 წელს რუსეთში მოხდა საზოგადოების კოლექტიური თვითმკვლელობა. დაინგრა არსებული საზოგადოება. მთელი შემდგომი პერიოდი მიეძღვნა ახალი საზოგადოების კონსტრუქციულ შექმნას, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. საზოგადოება მანქანა არ არის, რომლის დაშლა და აწყობა შეიძლება. საზოგადოება იბადება, ხელოვნურად შექმნილი საზოგადოება კი ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, ფსევდო-სოციალური კავშირებით, სულიერი გამოფიტულობით და მრავალი სხვა მანკიერებით, რაც საბოლოო შედეგში განსაზღვრავს კიდეც მის უდღეურობას.

ასეც მოხდა. საეჭვო ექსპერიმენტებით ნაძალადევად შობილმა სოციალისტურმა ქვეყანამ დაასრულა თავისი არსებობა. მაგრამ ათეული წლების მანძილზე ადამიანებზე ზემოქმედების მისეულმა გაუმართლებელმა მეთოდებმა დაამახინჯეს ადამიანის ფსიქიკა, მისი სულიერი სამყარო. რიგ შემთხვევაში დაითრგუნა ინდივიდუალიზმი უსახური კოლექტივიზმის სასარგებლოდ. "აღზრდა კოლექტივში, კოლექტივის მეშვეობით და კოლექტივისათვის" - ასეთი იყო სოციალისტურ-კომუნისტური აღზრდის ძირითადი ფორმულა, რომელიც მაკარენკოდან მომდინარეობდა. კოლექტივის, უმრავლესობის აზრი კი ლამის უკანასკნელ ჭეშმარიტებად იყო გამოცხადებული. მაგრამ ინდივიდუალიზმის, ამ უნიკალური და უაღრესად ბუნებრივი ნიშნის მოხსნა-მოსპობა ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა. თვით-

დამკვიდრებისა და არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანი ხშირად კოლექტივისტის ნიღაბს იფარებდა, გაორებული ცხოვრებით ცხოვრობდა. მართალია, ამას მხოლოდ ობიექტურ ფაქტორებზე ვერ დაიყვან, მაგრამ სოციალისტურ-კოლექტივისტური იდეოლოგია რომ რიგ შემთხვევაში ასეთი ცხოვრების პირობებს ქმნიდა, ამასაც ვერ უარყოფ.

ყოფილ საბჭოთა სივრცეში კოლექტივისტური აღზრდის სიტემის ყოველისშემძლეობისა და ამ გზით პიროვნების ყოველმხრივ გაკეთილშობილების თეზისს იზიარებდა თითქმის ყველა მეცნიერი-პედაგოგი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ბევრი წარმომადგენელი. სხვა გზას პიროვნების სრულფასოვნი აღზრდისათვის პედაგოგიური თეორია და პრაქტიკა ვერ ხედავდა. კოლექტივი გაგებული იყო არა მხოლოდ როგორც აღზრდის ძირითადი ინსტრუმენტი, არამედ როგორც მისი მთავარი მიზანიც. ამტკიცებდნენ, რომ დასაწყისში აუცილებელია შეექმნათ აღმზრდელობითი კოლექტივი, შემდეგ კი მისი მეშვეობით აღვზარდოთ პიროვნებაც. სამწუხაროდ, ასეთი შეხედულება ინერციით, ყოველგვარი კრიტიკული შეფასების გარეშე, ფაქტობრივად დღესაც ძალაში რჩება. საიდან და რატომ დამკვიდრდა იგი აღზრდის თეორიასა და პრაქტიკაში?

ფსიქოლოგი რ. ნემოვი სწორად შენიშნავს, რომ ა. მაკარენკომ თავის დროზე მართლაც მიაღწია შესამჩნევ რეალურ წარმატებებს აღზრდის სფეროში. მან აჩვენა, რომ ჯეროვნად ორგანიზებული, განვითარებული კოლექტივი მნიშვნელოვან როლს არსულებს პიროვნების ხელახალი აღზრდის საქმეში. ეს როლი განსაკუთრებით დიდია არასრულწლოვან დამნაშავეთა, წესრიგის დამრღვევთა, უზედამხედველო ბავშვთა აღზრდის შემთხვევაში. მაგრამ დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა,

ყურადღების მიღმა დარჩა ის პირობები და აღზრდის ობიექტები, რომლებთანაც საქმე ჰქონდა ცნობილ პედაგოგს. კოლექტივისტური აღზრდის მაკარენკოსეული პრაქტიკა, რომელმაც გაამართლა ბავშვთა კოლონიებში, შემდეგში ყოველგვარი ცვლილებების გარეშე გადატანილი იქნა ნორმალურ სკოლებში, ჩვეულებრივ ბავშვებთან და გადაიქცა აღზრდის საყოველთაო "ერთადერთ სწორ" თეორიად და პრაქტიკად.

ისმება კითხვა: არის თუ არა კოლექტივი ყოველთვის მართალი, უშეცდომო და პროგრესული პიროვნების აღზრდასთან მიმართებაში? ნუთუ არ შეიძლება რეალური კოლექტივი იყოს კონსერვატიული, უპრინციპო და შურისმგებლური? განა პიროვნება თავისი ფსიქოლოგიური და ქცევითი სფეროს განვითარების დონით ყოველთვის ჩამორჩება კოლექტივს და საჭიროებს აღმზრდელობით ზემოქმედებას მისგან? როგორც ირკვევა, ყოველთვის არა. არცთუ ისე იშვიათად მაღალგანვითარებული, დამოუკიდებელი, ინტელექტით სავსე პიროვნება ბევრად აღემატება თავის რეალურ კოლექტივს და განვითარების დონით მაღლა დგას მისი წევრების უმრავლესობაზე. ცხადია, ასეთი კოლექტივი არათუ ვერ მოახდენს დადებით ზეგავლენას მის ასეთ წევრზე, არამედ, ან უნებლიედ შეუშლის ხელს მისი შემოქმედებითი ძალების განვითარებას, ანდა გაუგებრობის, შურისა და არაჯანსაღი აგრესიული ტენდენციების გამო აქტიურად უკუაგდებს მის ნააზრევს. ცხოვრებაში ჩვენ ვხვდებით მაგალითებს, როდესაც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები თავიანთი არაორდინალური აზროვნების, იდეებისა და მიზნების გამო გაუგებარნი და მიუღებელნი ხდებიან არა მარტო თავიანთ კოლექტივებში, არამედ მთლიანად საზოგადოებაშიც. ისინი განიცდიან ფარულ თუ აშკარა ზეწოლას

ამ უკანასკნელთა მხრიდან, რათა უარი თქვან თავიანთ "უცნაურ" იდეებზე და იყვნენ ისეთები, როგორებიც არიან ყველა დანარჩენები. გავიხსენოთ არც თუ ისე შორეული წარსულის ფაქტები ცნობილი მწერლების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების... ცხოვრებიდან (მ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე, ივ. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, მ. მამარდაშვილი...).

ჩვენი სკოლის სინამდვილეშიც განა იშვიათია შემთხვევები, როდესაც მოწინავე მოსწავლე, რომელიც უსწრებს თანაკლასელებს თავისი ცოდნით და განვითარებით, იგნორირებულია მათ მიერვე მხოლოდ იმიტომ, რომ განსხვავდება მათგან. ასეთ ბავშვებს არცთუ ისე იშვიათად უფრო ცუდად ექცევიან ხოლმე, ვიდრე ზარმაცებსა და დისციპლინის დამრღვევებს. ასე რომ, რეალური კოლექტივი, როგორც გვიჩვენებს ცხოვრებისეული პრაქტიკა, განსხვავებით იდეალურისაგან, რომელსაც გვიხატავენ პედაგოგიურ წიგნებსა და თეორიებში, ყოველთვის უტყუარი სიკეთის მომტანი როდია პიროვნებისა და მისი განვითარებისათვის.

აქ შეიძლება გვითხრან: მაკარენკოსა და მის მიმდევრებს მხედველობაში ჰქონდათ და აქვთ მაღალგანვითარებული საბავშვო და პედაგოგიური კოლექტივები. გარკვეულწილად ეს სწორია, მაგრამ არ იქნებოდა ბოლომდე გამართლებული იმის მტკიცება, რომ კოლექტივს, გარდა სპეციფიკურისა, შეუძლებელია არ გააჩნდეს ადამიანთა გაერთიანებებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები და თავისებურებები. ვიმეორებთ, არა მხოლოდ კოლექტივისათვის სპეციფიკური, არამედ საერთოდ ადამიანთა ჯგუფისათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად დადებითად როდი შეიძლება შეფასდეს აღმზრდელობითი თვალსაზრისით.

როგორც ირკვევა, ეს მართლაც ასეა. გარდა ამისა, ფაქტობრივი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ რეალურად მაღალგანვითარებული კოლექტივები ძალიან იშვიათობაა. ამიტომაც საკითხავია, როგორ შეიძლება ასეთ პირობებში შევინარჩუნოთ ისედაც საეჭვო დებულება იმის შესახებ, რომ კოლექტივი ასრულებს მთავარ როლს პიროვნების ფორმირებასა და განვითარებაში, რომ მის გარეშე ბავშვის აღზრდა შეუძლებელია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგები მთლიანობაში უფრო სკეპტიკურად უყურებდნენ კოლექტივისტური აღზრდის სისტემას, ვიდრე მონათესავე დარგის წარმომადგენლები. მაგალითად, ფსიქოლოგიის კლასიკოსი ს. რუბინშტეინი თავის დროზეც საკმაოდ ფრთხილად აფასებდა პიროვნების ფორმირების აღნიშნულ გაგებას. კეთდებოდა მინიშნებები საზოგადოებრივი და პირადული, კოლექტიური და კერძო ინტერესების გონივრული შეხამების აუცილებლობაზე და მის როლზე პიროვნების ფორმირებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი თანამედროვე დასავლეთელი სოციოლოგიც, ითვალისწინებს რა კოლექტივიზმისა და ინდივიდუალიზმის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს, ლაპარაკობს საუკეთესო კოლექტივისტური და ინდივიდუალისტური ღირებულებების შეერთების აუცილებლობაზე. კიდევ მეტი, ისინი ამ გზით ცდილობენ დააფუძნონ კომუნიტარიანიზმის ახალი კონცეფცია. მათი აზრით, კომუნიტარიანიზმმა ბალანსირება უნდა გაუკეთოს ინდივიდისა და კოლექტივის უფლება-მოვალეობებს. არც ჭარბი კოლექტივიზმი ვარგა და არც პიროვნების განუსაზღვრელი თავისუფლება. თუ არ მოიძებნება საჭირო ბალანსი მათ შორის, ამან შეიძლება

წარმოშვას ჩვენი საზოგადოების კიდევ უფრო მძიმე დაავადება და მკაცრი ხელის დიქტატურის იძულებითი მოთხოვნილებაც.

როგორც შესავალშივე ვთქვით, კოლექტივი უნიფიცირებას უკეთებს პიროვნებებს თავისი ზეგავლენით. ერთიანი მოთხოვნის წაყენებით ცდილობს (აკლენს ტენდენციას) ერთნაირად იმოქმედოს მის წევრებზე. კარგია ეს თუ ცუდი? პიროვნების ღირებულება და თავისებურება მის ინდივიდუალობასა და უნიკალურობაში მდგომარეობს. ერთნაირ მოთხოვნებს კი მივყავართ ისეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენამდე, რომელსაც დეინდივიდუალიზაციას და გაუპიროვნებას უწოდებენ. მაგრამ თუ რეალურად კოლექტივის წევრები მაინც განსხვავებულ ადამიანებად და არა უსახო მასად ყალიბდებიან, ეს ხდება არა კოლექტივის წყალობით, არამედ მისი ზეგავლენის მიუხედავად.

ადამიანი ფსიქოლოგიურად ფორმირდება და პიროვნებად ყალიბდება არა მხოლოდ კოლექტივის, არამედ მთელი რიგი სხვა სოციალური ფაქტორებისა და ინსტიტუტების ზემოქმედებითაც. მასზე არსებით ზეგავლენას ახდენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ლიტერატურა და ხელოვნება, ეზო და ქუჩა, სტიქიური თუ აუცილებელი ურთიერთობები მეტად განსხვავებულ ადამიანებთან კოლექტივს გარეთ და ა.შ. საკვანძოთ მართალია რ. ნემოვი, როდესაც ამბობს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ, ვისი აღმზრდელობითი ზემოქმედება პიროვნებაზე არის უფრო ძლიერი: რეალური კოლექტივებისა, თუ ყველა დანარჩენის.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ცხადია, სრულიადაც არ გამორიცხავს კოლექტივის მნიშვნელობას პიროვნების ფორმირებაში. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ კოლექტივს შეუძლია დადე-

ბითი ზეგავლენაც მოახდინოს პიროვნებაზე და უარყოფითიც. დღევანდელ საზოგადოებას სჭირდება თავისუფალი, არაორდინალურად მოაზროვნე, დამოუკიდებელი და შემოქმედი პიროვნება. ასეთი პიროვნების აღზრდისათვის საჭიროა მოვხსნათ მისი ფორმირება-განვითარების გზაზე არსებული ყველა დაბრკოლება. ერთ-ერთი ასეთი დაბრკოლებაა მაკარენკოდან მომდინარე მოთხოვნა – ბავშვი უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს კოლექტივს. აუცილებელია აგრეთვე უარი ვთქვათ ცხოვრების მიერ დაუდასტურებელ დოგმაზე იმის შესახებ, რომ კოლექტიურ აზრს უფლება აქვს იყოს პრიორიტეტული ცალკე აღებული პიროვნების აზრზე. კოლექტივის აზრი, მისი პოზიცია ყოველთვის სწორი როდია. არ შეიძლება მისი გამოცხადება უკანასკნელ ჭეშმარიტებად, მით უფრო მთელი ხალხის აზრად და ნებად. უმრავლესობით და კენჭისყრით ჭეშმარიტების დადგენა როდი შეიძლება. ნუ დაგვავიწყდება, რომ ისტორიას მაინც ქმნიდა და ქმნიხ გამორჩეული უმცირესობა ყველა დანარჩენის, ე.ი. უმრავლესობის გადარწმუნებისა და მიმხრობის გზით. უმცირესობის, ხშირად კი ერთეულების მოსაზრებებს რომ არასოდეს გაემარჯვა, საზოგადოებაშიც ბევრი არაფერი შეიცვლებოდა და კაცობრიობაც ბევრად ღარიბი იქნებოდა. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ადამიანის ქცევა, რომელიც არ პასუხობს კოლექტივის ინტერესებს, საზიანოა, საზოგადოებისათვის. მიზანშეწონილია თავის უფლებებსა და მოვალეობებში გავათანაბროთ პიროვნება და კოლექტივი, ბავშვი და უფროსი, აღმზრდელი და აღსაზრდელი. არა მხოლოდ ცალკე პიროვნებამ უნდა აიღოს საკუთარ თავზე გარკეული მოვალეობები კოლექტივის წინაშე

და შეასრულოს ისინი, არამედ კოლექტივსაც უნდა ჰქონდეს ზუსტად განსაზღვრული მოვალეობები ყოველი პიროვნების წინაშე.

იმ შემთხვევაში, როდესაც კოლექტივის წევრთა ერთი ნაწილი დაიკავებს "ხელმძღვანელ" მდგომარეობას და ზეწოლას ახდენს კოლექტვის "რიგით" წევრებზე, საქმიანმა ურთიერთობებმა შეიძლება წარმოშვას უარყოფითი მომენტები პირადი ურთიერთობის სისტემაში. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს აღსაზრდელში კონფორმიზმის, პირფერობის, სხვისადმი უაზრო მორჩილების და სხვა ნეგატიური თვისებების აღმოცენებას — ამბობს პროფ. ზურაბ ცუცქირიძე. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა საქმიანი ურთიერთობების სისტემის ყველა მონაწილის თანაბარი მდგომარეობის უზრუნველყოფა და აღიარებაც.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ კოლექტივში შეიძლება თავი იჩინოს აზროვნების ისეთმა თავისებურებამ, რომელსაც ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი დ. მაიერსი ჯგუფური სქემებით აზროვნებას უწოდებს. იგი იმაში მდგომარეობს, რომ კოლექტივს აქვს ტენდენცია უარი თქვას ალტერნატიული მოქმედების რეალისტურ შეფასებებზე. კოლექტივის წევრები ხდებიან თავისებური "ინტელექტუალური ყრუები". მათ უმუშავდებათ სტერეოტიპული ხასიათის შეხედულებები და ვისაც ეჭვი შეაქვს კოლექტივისტურ აზროვნებაში, კოლექტივის იდეებსა და გეგმებში, ისინი უპირისპირდებიან ზოგჯერ არა არგუმენტების მოშველიებით, არამედ პიროვნების ღირსების შეურაცხმყოფი დაცინვებითაც. არადა, ადამიანი ისე არასდროს

აყენებს საკითხს სწორად, როგორც მისი თავისუფალი განხილვის შემთხვევაში.

როგორც ზემოთ ვთქვით, კოლექტიური საქმიანობა გარკვეულწილად დეინდივიდუალიზაციას უკეთებს თავის წევრებს და ერთგვარ ანონიმურ ხასიათს აძლევს მათ ქცევას. თითქმის იხსნება ინდივიდუალური შეფასების შიში. ზოგიერთს უქვეითდება პასუხისმგებლობის გრძნობა და იწყებს მოქმედებას პრინციპით: ცოტა გაეცი, მაგრამ შეეცადე ბევრი მიიღო კოლექტივისაგან (შედეგიც სახეზეა: კოლექტიური მეურნეობების ეკონომიკური კრახი). სუსტდება თვითკონტროლი, თვითცნობიერება და თვითშემზღუდავი მექანიზმები, იზრდება დამყოლობა უშუალო სიტუაციის (სიტუაციური ზემოქმედების) მიმართ და მოსალოდნელია გასაქანი მიეცეს მომენტალური იმპულსების რეალიზაციას. გავიხსენოთ მაგალითად ერთობ კარგი სპორტული გუნდის მიერ არბიტრის კოლექტიური შეურაცხყოფის, ქუჩური უწესრიგობების, უხეში ჯგუფური წამოძახილების და სხვა შემთხვევები, რასაც მარტოხელა ადამიანი იშვიათად თუ ჩაიდენდა.

საგულისხმოა, რომ ფიზიკური ანონიმურობისა და დეპერსონალიზაციის მიზნით, ფაქტობრივად კი მეტი თავისუფლების მისაღწევად, ზოგიერთი ტომის მებრძოლები წინასწარ იღებავენ სახესა და სხეულს, იკეთებენ სპეციალურ ნიღბებს. აღმოჩნდა, რომ ასეთნაირად შენიღბული და დეპერსონალიზებული მებრძოლები ავლენენ მეტ აგრესიას, უფრო სასტიკად ექცევიან მოწინააღმდეგეს, არ ინდობენ ტყვეებს.

ზემოაღნიშნული საკითხი შეისწავლეს ექსპერიმენტულადაც და დაადასტურეს მოქმედების ანალოგიური ტენდენცია.

ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ჩატარებულ ერთ-ერთ ექსპერიმენტში ქალებს აცმევდნენ კუ-კლუკს-კლანელების ტანსაცმელს და თხოვდნენ მათ რომელიღაც წარმოსახული მსხვერპლისათვის (ქალისთვის) მიეყენებინათ ელექტროდენით დარტყმა. გამოირკვა, რომ ასეთნაირად შემოსილი ქალები ორჯერ უფრო დიდხანს აჭერდნენ შესაბამის ღილაკს თითს, ვიდრე ისინი, რომელთა სახეც ჩანდა და სახელებიც დიდი ასოებით იყო აღნიშნული სათანადო დაფაზე. როგორც ვხედავთ, კუ-კლუკს-კლანის სამოსმა და ფიზიკურმა ანონიმურობამ პროვოცირება გაუკეთა ცდის პირების სიმკაცრეს. ამ მაგალითების შემდეგ, ვფიქრობთ, ნათელია ფიზიკურად ანონიმური, დეინდივიდუალიზებული, გაუპიროვნებული ადამიანის მოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმი.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კიდევ ერთხელ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული სრულიადაც არ გამორიცხავს კოლექტივის მნიშვნელობას პიროვნების ფორმირებაში. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. ეს კარგადაა დასაბუთებული ტრადიციული პედაგოგიკის თეორიითა და პრაქტიკით, ფსიქოლოგიური მეცნიერების მონაპოვრებით. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ყურადღება შეგნებულად გავამახვილეთ ძირითადად ნეგატიურ მომენტებზე იმის საჩვენებლად, რომ კოლექტივს ყოველთვის როდი მოაქვს უტყუარი სიკეთე, რომ აუცილებელია მთლიანად განვთავისუფლდეთ ზოგიერთი დოგმატური შეხედულებისაგან, პირველ რიგში კი იმ აზრისაგან, რომ ყველაფრის თავი და თავი აღმზრდელობით მუშაობაში არის კოლექტივი, რომ რეალური კოლექტივის გარეთ და მის გარეშე შეუძლებელია პიროვნების ფორ-

მირება. პირიქით, ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ სრულფასოვანი პიროვნების ფორმირება შეუძლებელია სწორედ მხოლოდ კოლექტივში (ხაზს ვუსვამთ, მხოლოდ კოლექტივში), კოლექტივის მეშვეობით და კოლექტივისათვის.


ლიტერატურა:

1. ზურაბ ცუცქირიძე, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, I ნაწილი, თბ., 1997
2. Девид Майерс, Социальная психология, СПб., 2000.
3. Р.С.Немов, Психология, кн. I, М., 1998.

## შორეული მოტივაციური ქცევა და განწყობა

შორეული მოტივაციური ქცევისა და განწყობის ურთიერთობის გარკვევისათვის, პირველ რიგში, საჭიროა დავაზუსტოთ ამ ურთიერთობაში შემავალი ცნებების კონკრეტული შინაარსები. ეს მით უფრო აუცილებელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ცნებები ხშირად არაერთმნიშვნელოვნად იხმარება სპეციალურ ლიტერატურაში.

**შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევას** ჩვენ ადამიანის ისეთ აქტივობას ვუწოდებთ, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს აქტუალურ მოთხოვნილებებთან (1). ეს ქცევა არასდროს ეყრდნობა იმ მოთხოვნილების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილებლის პირობებსაც თვითონ ქმნის. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევაში კი არ მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ამასთანავე, შორეული მოტივაციური ქცევის შედეგი შეიძლება გამიზნული იყოს როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისთვის, ისე სხვა ადამიანების, კოლექტივის ან საზოგადოების ინტერესებისათვისაც. მაგრამ გასაგებია, რომ ის, რაც ადამიანის მომავალი ცხოვრების ამოცანებს შეესაბამება და საზოგადოების მოთხოვნებსაც პასუხობს, აუცილებლად ობიექტური (საზოგადოებრივი) ღირებულების მქონე უნდა იყოს, ქცევის სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობისგან დამოუკიდებლად უნდა იაზრებოდეს, იქმნებოდეს და არსებობდეს, რომ ყოველთვის აღნიშნული ფუნქცია შეასრულოს. მაშასადამე, შორეული მოტივაციური ქცევა მხოლოდ ისეთი შედეგისაკენ შეიძლება იყოს მიმართული, რომელსაც გარკვეული ობიექტური ღირებულება გააჩნია. მაგრამ ობიექტური ღირებულება, იმ შეხედულების მიხედვით, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ, ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს (5). თუკი ეს ასეა, მაშინ გამო-

დის, რომ შორეული მოტივაცია, არსებითად, ნებისმიერი ქცევის მოტივაცია ყოფილა, შორეული მოტივაციური ქცევა კი – ნებისმიერი ქცევა (1).

**განწყობის** ცნება დ. უზნაძის თეორიის ძირითად ცნებას წარმოადგენს (2, 3, 4). ავტორმა, როგორც ცნობილია, თავისი თეორია შეიმუშავა ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემის ასახსნელად. ამ თეორიის მიხედვით, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის ქცევას განწყობა განსაზღვრავს. იგი ედება საფუძვლად ადამიანის ყოველგვარ აქტივობასაც. ამ აზრით, განწყობის თეორია ქცევის ზოგად თეორიას წარმოადგენს, რომელიც ყოველი კონკრეტული ქცევის მიზანშეწონილ ხასიათს თვით მის საფუძველში არსებული განწყობის ბუნებით ხსნის. განწყობის ბუნებას, მის გარკვეულობას კი, დ. უზნაძის აზრით, ყოველთვის ორი ძირითადი ფაქტორის – მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების სიტუაციის – ერთიანობა ქმნის. მოთხოვნილება არის განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორი, სიტუაცია კი – ობიექტური.

თუ ყოველი ქცევის უშუალო განმსაზღვრელია განწყობა, მაშინ იგივე ვითარებას უნდა ჰქონდეს ადგილი (და აქვს კიდეც) შორეული მოტივაციური ქცევის შემთხვევაშიც. მართალია, შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევის განწყობაც იქმნება ორი ძირითადი ფაქტორის მონაწილეობით, მაგრამ ეს ფაქტორები სპეციფიკურ ხასიათს ატარებენ და განწყობის შემუშავებაც თავისებურ პირობებში მიმდინარეობს, თუმცა აღმოცენების შემდეგ ეს განწყობაც მოქმედებს განწყობის ზოგადი კანონზომიერების შესაბამისად.

შორეული მოტივაციური ქცევისა და განწყობის ურთიერთობის გარკვევისათვის ყველაზე მიზანშეწონილად გვესახება განწყობის თავისებურებათა ისეთი გაგება, როგორიც მოცემული აქვს პროფ. შ. ჩხარტიშვილს. განწყობას, ამ ავტორის აზ-

რით, აქვს არა სტატიკური (როგორც ეს ლიტერატურაშია დამკვიდრებული), არამედ მიმდინარე სტრუქტურა. განწყობა, რომელიც ქცევის დაწყების წინ იქმნება, ქცევის მიმდინარეობის მთელს მანძილზე უცვლელი, პირვანდელი სახით არასოდეს რჩება: "იგი აქტივობის მთელს მანძილზე უცვლელად ინარჩუნებს ქცევის ძირითად კარკასს, რაც თავის მხრივ სიტუაციის ძირითად სქემას ეფუძნება, ხოლო სიტუაციაში შემავალ კონკრეტულ სტიმულთა შესატყვის სტრუქტურასა და მიზანშეწონილი ქცევის კონკრეტული აქტების განხორციელების შესაძლებლობას იძენს გზადაგზა, ქცევის მიმდინარეობაში, დრო და სივრცის კოორდინატებზე გაშლილი სიტუაციის ყოველ ცალკე სტრუქტურულ მონაკვეთში, როცა მასში სიტუაციის ამ მონაკვეთის სტიმულაციური სტრუქტურა აისახება. ამიტომ კონკრეტული ქცევის აქტების განწყობა შედარებით მყარი და მუდამ ცვალებადი (დინებადი) სტრუქტურული მომენტების ერთიანობა წარმოადგენს" (6, 230).

თუკი ყოველი კონკრეტული ქცევის განწყობას მიმდინარე სტრუქტურა აქვს, მაშინ ეს მით უფრო ითქმის შორეული მოტივაციური ქცევის განწყობაზე, ქცევისა, რომელიც შეიძლება დროში ფართოდ გაშლილ, ერთმანეთისადმი დაქვემდებარებულ აქტივობათა მთელ სისტემას შეიცავდეს. ჩვენ ვერ მივიღებთ თეზისს შორეული მოტივაციური ქცევის განწყობით განსაზღვრულობის შესახებ, თუ არ ვაღიარებთ განწყობის სტრუქტურის ცვალებადობის შესაძლებლობას ქცევის მიმდინარეობაში. მართლაც, შორეული მოტივაციური ქცევის განწყობა, რომელიც ამ ქცევის წინ იქმნება და მთელი განსახორციელებლი აქტივობის ძირითად კარკასს ასახავს, პრინციპულად შეუძლებელია თავისი დეტალებითურთ აღნიშნული აქტივობის მთელ მანძილზე უცვლელი იყოს. შეუძლებელია მასში თავიდანვე მოცემული იყოს ყველაფერი ის, რაც უშუალოდ ქცევის პრაქტიკული მიმ-

დინარეობის დროს იჩენს ხოლმე თავს. ამრიგად, დროით გაშუალებული სტუქტურის მქონე ქცევის არსებობა, ერთი მხრივ და ამ ქცევის განწყობით განსაზღვრულობის ფაქტი, მეორე მხრივ, თავისთავად თვალსაჩინოდ მეტყველებს იმ მოსაზრების მართებულობაზე, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს განწყობის აგებულების ცვლილებას ქცევის მიმდინარეობაში.

შორეული მოტივაციური ქცევა, რომელიც შეიძლება დროში ფართოდ გაშლილ მოქმედებათა მთელ სისტემას შეიცავდეს, განსაზღვრულია ისეთი განწყობით, რომელშიც ასახულია მთელი აქტივობის მხოლოდ ძირითადი ღერძი, მისი არსებითი მხარე. ამ განწყობაში შეუძლებელია წინასწარ მოცემული იყოს განსახორციელებელი ქცევის თითოეული აქტი, ყოველი კონკრეტული მოქმედება, რომელიც საჭიროა ქცევის მიზნის (გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე რეზულტატის) მისაღწევად. ეს შეუძლებელია, რადგან შორეული მოტივაციური ქცევის განწყობა იგება მოქმედების გეგმის საფუძველზე, მოქმედების გეგმაში კი სუბიექტს ყველა აუცილებელი თუ შემთხვევითი გარემოების გათვალისწინება როდი შეუძლია. განწყობა მხოლოდ შემდეგ, გზადაგზა, მოქმედების ძირითადი გეგმის რეალიზაციის პროცესში იძენს შინაგან გარკვეულობასა და უფრო დიფერენცირებულ სახეს.

ყოველი შორეული მოტივაციური ქცევა, რაოდენ შორეულიც არ  უნდა იყოს იგი, განსაზღრულია ერთი საერთო განწყობით (1). მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ეს არ ნიშნავს, რომ ამ განწყობაში წინასწარაა მოცემული თუ სად, როდის და რა უნდა გააკეთოს სუბიექტმა. აღნიშნული ქცევის განწყობაში წინასწარ გარკვეულია მხოლოდ განსახორციელებელი აქტივობის თვისებრივი რაგვარობა, მისი ბუნება და არა კონკრეტული აქტების მიმდინარეობა. შორეული მოტივაციური ქცევის განწყობა, შ. ჩხარტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, უპირატესად

"ერთი მთლიანი - ინტეგრირებული განწყობაა, რომელშიაც წამყვანი ქცევისადმი დაქვემდებარებული სახით, ყველა დანარჩენი ქცევაა დაპროგრამებული" (6,232).

დროით გაშუალებული სტრუქტურის მქონე ყველა ქცევას, მართალია, საფუძვლად უდევს ერთი საერთო პრინციპის ნიადაგზე შემუშავებული განწყობა, მაგრამ რაც უფრო დიდია დროის აღნიშნული მონაკვეთი, რაც უფრო შორეულ პერსპექტივებს ეხება ეს ქცევა, მით უფრო ნაკლებად არის დიფერენცირებული მისი განწყობა (მით უფრო სქემატურადაა წარმოდგენილი იგი შესაბამის განწყობაში), თუმცა ქცევის სტრატეგიული მხარე თავიდანვე მკაფიოდ ასახულია მასში და უცვლელია მთელი აქტივობის დასასრულამდე. ეს გარემოება ნათელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ შორეული მოტივაციური ქცევის განწყობა ფორმირდება და თავის გარკვეულობას იძენს მოქმედების იმ გეგმის საფუძველზე, რომელსაც სუბიექტი ადგენს ქცევის დაწყების წინ და ფაქტია, რომ, რაც უფრო დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს ეს გეგმა, მით უფრო სქემატური იქნება მისი შორეული კონტურები და, მაშასადამე, მით უფრო ღარიბული – შესაბამისი განწყობაც.

დასასრულ, შევეხოთ უშუალოდ შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევის განწყობის შემუშავების ფაქტორებს. როგორც ყოველი კონკრეტული ქცევის, ასევე შორეული მოტივაციური ქცევის განწყობის შემუშავებასაც ორი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს. ვინაიდან აღნიშნული ქცევა, არსებითად, ნებისმიერ ქცევას წარმოადგენს, გასაგებია, რომ მისი განწყობის შემუშავების სუბიექტური ფაქტორის ფუნქციას ნებისყოფა ასრულებს, ობიექტური ფაქტორის როლში კი წარმოსახული (იდეური) სიტუაციის მხრიდან შემოსული ობიექტური ღირებულების ცნობიერება გამოდის. ნებისყოფა, რომელიც სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყაროს წარმოად-

გენს, გამოხატავს იმ საზოგადოებრივ მოვლენათა პერსონიფიკაციის დონეს, იმ ობიექტურ ღირებულებათა ინდივიდის ბუნებაში ჩანერგილობის ხარისხს, რომელთა ცნობიერებაც (ნებისყოფასთან მიმართებაში) შემდეგ შორეული მოტივაციური ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს. წარმოსახული ანუ იდეური სიტუაცია – შორეული მოტივაციური ქცევის ობიექტური ფაქტორი – ყოველთვის ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების მეორე დონეზე, ობიექტივაციის პლანშია ასახული. სადაც ეს ფაქტორი საკმაო სიცხადითაა მოცემული და ნებისყოფაც ქცევის მთელი ფსიქო-ფიზიკური საშუალებების მეუფეა, იქ აღნიშნული ქცევის განწყობა იქმნება ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. განწყობის ჩამოყალიბების შემდეგ კი ქცევის პრაქტიკულ განხორციელებას არაფერი ეღობება წინ, იგი, ასე ვთქვათ, პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან ეს აქტივობაც განწყობის საერთო კანონზომიერების საფუძველზე გაიშლება.

დროით გაშუალებული ქცევის განწყობა, რომელიც აღმოცენებულია ნებისყოფისა და იდეური სიტუაციის ერთიანობის საფუძველზე, ყოველთვის ობიექტურ ღირებულებაზეა მიმართული: "იგი ობიექტურ ღირებულებათა დაცვისა და შექმნის ქცევის აქტების განხორციელებისაკენ მიმართულ ტენდენციას შეიცავს" (6, 235). მასში დროის ის ძირითადი მონაკვეთია ასახული, რომელშიც შესაბამისი ქცევა უნდა გაიშალოს. აღნიშნული ქცევის განწყობა არის მზაობა ისეთი ქცევის შესრულებისაკენ, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს შეესაბამება. ეს განწყობა, თუკი იგი საკმაო სიმტკიცითაა ჩამოყალიბებული, იმორჩილებს ადამიანის ყველა მოთხოვნილებას და არ აძლევს მათ საშუალებას სხვა, მისი ბუნებისათვის შეუფერებელი, ქცევის განწყობის ორგანიზება მოახდინონ.

შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევის განწყობა არის ნებისყოფის სუბიექტის განწყობა, სუბიექტისა,

რომელიც ფორმირებულია აღზრდისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების ზეგავლენით და გარე სინამდვილეს უპირატესად საზოგადოებრივ ღირებულებათა საზომით აფასებს. მისი აქტივობის მოტივაციურ საფუძველს ყოველთვის საზოგადოებრივი ანუ ობიექტური ღირებულებანი ქმნიან.

ლიტერატურა:


1. ნ. ბარამიძე, შორეული მოცივაციები ქცევა და სწავლა, ბათ., 1995.
2. დ.უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998.
3. დ.უზნაძე, შრომები, ბათუმი ტ. II, თბ., 1960.
4. დ.უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები, შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
5. შ.ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958.
6. შ.ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975.

## ეროვნული იდეალების, პედაგოგიური ხელოვნებისა და ფსიქოლოგიური ცოდნის შერწყმის იშვიათი ნიმუში

130 წელი გავიდა იაკობ გოგებაშვილის უკვდავი "დედა ენის" პირველი გამოცემიდან. საქართველოს ისტორიაში, ქართულ სინამდვილეში ჩვენ ვერ დავასახელებთ მეორე წიგნს, რომელსაც "დედა ენის" ტოლფასი ზეგავლენა მოეხდინოს ქართველი მოზარდების თვითცნობიერების განვითარებაზე. სწორედ ამ წიგნმა იქონია ყველაზე მეტი გავლენა ჩვენი ყმაწვილების არაერთი თაობის ცნობიერების, მათი ეროვნული შეგნების ფორმირებაზე. ამიტომაც მადლიერმა ქართველმა ხალხმა "დედა ენას" ძეგლი დაუდგა. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც წიგნს ძეგლი დაუდგეს. ასეთი რამ მსოფლიოში არსად მომხდარა და საეჭვოა ოდესმე განმეორდეს.

"დედა ენის" ავტორმა და "დედა ენამაც" ბევრად გაუსწრეს ამ წიგნის შექმნის დროს. შეიძლება ითქვას – "დედა ენამ" ფაქტობრივად დრო გააჩერა ჩვენთვის, შეუძლებელი შეძლო. იგი დღესაც ისევე საინტერესოა, ისევე მუშაობს ჩვენი ბავშვების (და არა მარტო ბავშვების) ცნობიერებაზე, როგორც 130 წლის წინათ. არ არსებობს მსოფლიოში ამის ანალოგი. "დედა ენის" სული და შთაბეჭდილება თანამდევია ყველა ასაკის ქართველისათვის. შუა ხნის ადამიანს, თუ ღრმად მოხუცებულს ზოგჯერ სასიამოვნოდ აგვეკვიატება ხოლმე ბავშვობაში ნასწავლი სტრიქონები "დედა ენიდან" და გვაახალგაზრდავებს, გვახალისებს, განვლილ წლებს გვაკლებს. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ "დედა ენა" არის ეროვნული იდეალების, პედაგოგიური ხელოვნების და მეცნიერების შერწყმის იშვიათი ნიმუში. და ეს შემთხვევითი როდია. იკობ გოგებაშვილი სრულიად შეგ-

ნებულად, წინასწარგამიზნულად ქმნიდა ასეთი დანიშნულების მქონე ჭეშმარიტად ეროვნულ წიგნს.

აკი თვითონაც ამბობდა: "დედა ენის" შექმნის დროს ერთად მოქმედებდნენ ჩემი ქართული გონება და ჩემი ქართული გულიო. მართლაც, ქართულმა გულმა და სულმა, მშობლიური ხალხისა და ბავშვების თავდავიწყებულმა სიყვარულმა, ფართო განათლებამ და პედაგოგიურმა გულმოდგინებამ, ქართული ენის ბუნების საიდუმლოების და ბავშვის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნამ, ზემომადლებულმა საოცარმა მხატვრულმა ნიჭმა და ერუდიციამ მისცა საშუალება პროგრესულ იდეებზე შეექმნა ხელიხელსაგოგმანებელი ანბანის ბრწყინვალე სახელმძღვანელო "დედა ენა", რომელიც დღესაც ჩაუქრობელ ჩირაღდნად ანთია და ნორჩების სულიერი ფორმირების დაუშრეტელ წყაროდ მოედინება. ასე ლამაზად გვიხატავს "დედა ენის" შექმნის პათოსსა და სულისკვეთებას მწერალი და პედაგოგი-მეთოდისტი ა.ზოიძე, რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმო.

მოზარდების ფორმირებასა და ერის ცხოვრებაში სასკოლო სახელმძღვანელოების დიდ მნიშვნელობას რომ ეხება, იაკობ გოგებაშვილი თავის წერილში "სახელმძღვანელოების შესახებ" წერს: სახელმძღვანელო ორპირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთეც დათესოს და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლისა და ხალხის ცხოვრებაში. თუ მასში იხატება საღი, გონიერი მიმართულება, დამკვიდრებული პედაგოგიურს და ეროვნულს პრინციპებზე, სახელმძღვანელო აყენებს სწავლას სწორე და მტკიცე გზაზედ, აწარმოებს მას ნაყოფიერად და უწევს დიდს სამსახურს სკოლასაც და საზოგადოებასაც... წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმძღვანელო შეადგენს სკოლისათვის და ხალხისათვის ნამდვილს საწამლავსა.

სახელმძღვანელოს ასეთი მნიშვნელობა კარგად იცოდნენ რუსიფიკატორებმა და ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდნენ

მათი მეშვეობით სკოლა პოლიტიკურ იარაღად გამოეყენებინათ. ასეთ პირობებში იაკობ გოგებაშვილი გვევლინებოდა პედაგოგიური და ეროვნული პრინციპების საიმედო მცველად, რასაც თვალსაჩინოდ ადასტურებს მთელი მისი მოღვაწეობა, მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები, მეტადრე მისი სწორუპოვარი "დედა ენა".

აღსანიშნავია, რომ იაკობ გოგებაშვილის "დედა ენა" არა მარტო ეროვნულ პრინციპებს და პედაგოგიურ მოთხოვნებს შეესაბამება, არამედ ბავშვის ფსიქიკურ თავისებურებებსაც. "დედა ენის" ავტორმა კარგად იცოდა, რომ ამ უკანასკნელის გარეშე სახელმძღვანელო სრულყოფილად ვერ მიაღწევდა თავის ძირითად მიზანდასახულობას. მაშინაც კი, როდესაც იაკობ გოგებაშვილს თავის სახელმძღვანელოში შეჰქონდა ქართული პოეზიის მშვენების, მისი თანამედროვე პოეტის – აკაკი წერეთლის ლექსები, იგი მათ არჩევდა, აფასებდა და საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთ სიტყვასა თუ ფრაზას ცვლიდა კიდეც პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ერთგან იაკობ გოგებაშვილი თვითონვე აღნიშნავს, რომ მას აკაკისათვის სარედაქციოდ გაუგზავნია მის მიერ რუსულიდან თარგმნილი ლექსები: მანაც (აკაკიმაც – ნ.ბ.) შეასრულა თხოვნა და გამოგზავნა თავისი ხელნაწერები, თეთრად გადაწერილი, რომელიც დღემდის დაცული გვაქვს, მაგრამ ეს ხელნაწერები ჩვენ ხელუხლებლად ვერ დავბეჭდეთ. მასში, თანახმად პედაგოგიურის მოთხოვნილებისა და ბავშვის ფსიქიკისა, ჩვენ მოვახდინეთ შიგადაშიგ ზოგირეთი ცვლილებანი, – ამბობს დიდი პედაგოგი.

კიდევ მეტი, იაკობ გოგებაშვილმა თავიდანვე სწორად განსაზღვრა აზროვნების განვითარებასა და მშობლიურ ენაზე მეტყველებას შორის კავშირის მნიშვნელობა და თავისებურად მიანიშნა, რომ ენას ფესვები აქვს გადგმული გენეტიკაშიც. ამიტომაც სასურველია, ბავშვის პირველი ენა იყოს მშობ-

ლიური და უმჯობესია სწავლაც დავაწყებინოთ მას მშობლიურ ენაზე. ამასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ "დედაენა, როგორც ბუნებითი იარაღი გონებისა, მტკიცე შეკავშირებული ადამიანის სულთან და ხორცთან, უკეთესი ღონისძიებაა ნორმალური გონებითი და ზნეობრივი გახსნისათვის. ვინც ზედმიწევნით არ სწავლობს თავის ენას, ის ვერასოდეს ვერ მიეწევა ჯეროვანს სიღრმეს აზრისა და გრძნობებისას და იქნება მეტნაკლებად ფუქსავატი არსება, თუნდაც რომ მთელი დუჟინი უცხო ენები იცოდეს".

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იაკობ გოგებაშვილმა "დედა ენაში" შეიტანა ქართული სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები. ამასთანავე, "დედა ენის" კარი ყოველთვის ღია იყო ახლად შექმნილი ღირსეული საყმაწვილო ნაწარმოებებისათვის, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალზნეობრივი იდეალებითა და ეროვნული მოტივებით. ასე მაგალითად, 1895 წელს, "დედა ენის" პირველი გამოცემიდან თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ, გაზეთ "ივერიაში" გამოქვეყნდა უსათაურო ლექსი "ვარდს გაეფურჩქნა კოკორი...", რომელსაც ხელს აწერდა ვინმე სოსელო. ეს ლექსი სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოების მიერ იმთავითვე აღიარებული იქნა ლექსთა წყობის საუკეთესო ნიმუშად და ბავშვებისათვის უაღრესად მისაწვდომ პატრიოტულ ნაწარმოებად. ამიტომ სრულიად კანონზომიერად იგი შეტანილი იქნა "დედა ენის" ძველ გამოცემებში და გოგებაშვილის მიხედვით შედგენილ "დედა ენის" სხვა გამოცემებშიც სათაურით "დილა".

შემთხვევითი არაა, რომ მწერალი-აკადემიკოსი დ.შენგელაია "დედა ენას" ენციკლოპედიას ადარებს. იგი წერს: ეს ჯადო წიგნი, წიგნი კი არა, ენციკლოპედია, შედგენილია ნაირ-ნაირი მასალით, ყოველი ფურცელი გამთბარია შემოქმედების ცოცხალი სუნთქვით და ისე მჭიდროდაა შეკრული, რომ მონოლი-

თურ მთლიანობას წარმოადგენს. დიდი საბა, აკაკი, უშინსკი, ლ.ტოლსტოი და განუმეორებელი ქართული სიტყვიერება ისე ლოგიკურად განაგრძობენ ერთიმეორეს, ისე ხმატკბილად ამღერებულან, რომ ერთი საკვირველი სიმფონია იქმნება.

ასე ბრწყინვალედ გადაწყვიტა იაკობ გოგებაშვილმა დედა ენის ანბანის სახელმძღვანელოს შედგენის ურთულესი ამოცანა, რაც იმთავითვე იქნა აღიარებული. მაგალითად, მისი თანამედროვე ცნობილი გერმანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არტურ ლაისტი ამბობდა, რომ "დედა ენა" შეიძლება შედარებული იქნეს ევროპის განათლებულ ხალხთა საუკეთესო სახელმძღვანელოებთან.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის "დედა ენის" ზოგიერთ გამოცემაში გვხვდება ისეთი მასალაც, რომელიც ვერაფრით ვერ პასუხობს გოგებაშვილისეული "დედა-ენის" მოთხოვნებს. ცხადია, საჭიროა მეტი სიფრთხილე (და არა მხოლოდ სიფრთხილე), რომ ასეთ სამწუხარო ფაქტებს ავცდეთ.

130 წელია გოგებაშვილისეული "დედა ენა" ერთგულად ემსახურება ჩვენი მოზარდების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის, მათი თვითცნობიერების ფორმირების საშვილიშვილო საქმეს. ამ ისტორიულ მისიას იგი წარმატებით შეასრულებს მომავალშიც, შეასრულებს, ვინაიდან მასში სანიმუშოდაა შერწყმული ერთმანეთთან ეროვნული იდეალები, პედაგოგიური ხელოვნება და ფსიქოლოგიური ცოდნა-გამოცდილება.

## ალეზარდოთ და ვაშენოთ ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინებით!

საქართველომ მეოცე საუკუნეში ორჯერ მოიპოვა დამოუკიდებლობა. პირველ შემთხვევაში საბჭოთა რუსეთმა უხეში ძალის გამოყენებით წაგვართვა იგი. მეორედ მოპოვებულ თავისუფლებას კვლავაც ვერ ეგუება რუსეთი, მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში ეს უკვე შეუძლებელია. ამჯერად ვერავინ წაგვართმევს ქართველი ხალხის ისტორიული ნების, გონებისა და მოქმედების ნაყოფს. გვინდა ხაზი გავუსვათ, სწორედ ჩვენი შეუპოვარი მცდელობისა და შემოქმედების ნაყოფს და არა ციდან თავისით ჩამოვარდნილ ნობათს. ასეთი კვალიფიკაციის მიცემის სურთილი კი შეინიშნებოდა ორივე შემთხვევაში მოპოვებული დამოუკიდებლობისათვის.

როგორც ცნობილია, პირველი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს არსებობას მავანი მთლიანად უკავშირებდა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, რომელიც შემდეგ ბოლშევიკებმა ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალებაში გადაზარდეს. საკითხისადმი ასეთი მიდგომის შემთხვევაში გამოდიოდა, რომ ჩვენი მაშინდელი დამოუკიდებლობა ვიღაცამ გვიბოძა, ეს დამოუკიდებლობა და თავისუფლება თითქოს გარეშე ძალების ნობათია და არა ჩვენი ნების გამომხატველი, ჩვენივე მეცადინეობის შედეგი.

დაახლოებით იგივე აზრის გატარებას ცდილობდნენ ზოგიერთები დღევანდელი საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართაც, რაც აკნინებს, ჩრდილს აყენებს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

როგორ არ გავიხსენოთ აქ დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის გრიგოლ რობაქიძის სიტყვები, რომელიც ეხება

რუსეთის 1917 წლის რევოლუციის მიმართებას საქართველოს მაშინდელ თავისუფლებასთან და კატეგორიულად უარყოფს ამ მიმართების ცალმხრივ გაგებას. "არას გზით ეს გაგება მისაღები არ არის" – წერდა მაშინ, ამ მოვლენების ცხელ კვალზე, მათი მომსწრე და მოწმე გრიგოლ რობაქიძე და განმარტავდა: "ჯერ ერთი, რუსეთის რევოლუციის ავანგარდი იყო და არის საქართველო. რამდენი რაინდი რევოლუციონერი მისცა რუსეთს საქართველომ (კარლო ჩხეიძისა და კაკი წერეთლის სახელები რად ღირს! – ნ.ბ.)?! რუსეთის რევოლუციის ისტორია საქართველოს გამორიცხვით არას გზით არ დაიწერება... საქართველო რევოლუციის ცეცხლის შესანიშნავი კუთხეა და მაშასადამე "სხვისით" არ არის ნაშობი მისი თავისუფლება" (გაზ. "საქართველო", 1917 წლის 21 ნოემბერი).

ცხადია, რობაქიძე კარგად ხედავდა რუსეთის რევოლუციის მნიშვნელობას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ იგი ხედავდა მეორე მხარესაც და სიამაყით აცხადებდა: აბა ნახეთ რამდენი რაინდი მისცა თავად საქართველომ რუსეთის რევოლუციას. დიახ, თვით რუსეთი დავალებულია ქართველებისაგან, თვით რუსეთმა უნდა გვითხრას თავისი წილი მადლობისა, მონარქიის უღელი რომ მოიშორა და ყოველივე ამან თუ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა საქართველოს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე, ამაში ლომის წილი ქართველებს მიუძღვით. ასეთია რობაქიძის გამონათქვამის პათოსი.

საგულისხმოა, რომ თითქმის იგივე შეიძლება გავიმეოროთ მეორედ მოპოვებულ თავისუფლებაზეც, ადრინდელი დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტზეც. მართალია, დამოუკიდებლობის აღდგენა დაკავშირებული იყო საბჭოთა იმპერიის ნგრევასთან, მაგრამ ამაშიც თავისი წვლილი შეიტანეს ისევ

ქართველებმა, ჩვენმა მოღვაწეებმა, რომელთაგან ზოგიერთი იმპერიას ანგრევდა გარედან, ზოგიც – შიგნიდან.

ასე რომ, ყველა შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობა, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორების გათვალისწინებით, ვინმეს ნობათი კი არაა, არამედ ქართული სულის, ქართული გენის, ქართული ტემპერამენტის, მთლიანად ჩვენი შემოქმედების შედეგია.

სრულიად ბუნებრივია, რომ ყოველივე აღნიშნულის მთავარი სუბიექტი – ქართველი ხალხი, თავისი ავანგარდული როლისა და მისწრაფების შესატყვისი ტემპებით, ქვეცნობიერად მაინც, მოელოდა თავის ისტორიული მეცადინეობის შედეგის ლოგიკურ გაგრძელებას – ერთიანი, ძლიერი, აყვავებული, დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აშენებას. ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენი მივდივართ სანუკვარი მიზნისაკენ. მაგრამ მთელი რიგი ფაქტორების, ჩვენგან დამოუკიდებელი და ჩვენზე დამოკიდებული მიზეზების და, ცხადია, რუსეთის კვლავინდებური იმპერიული ზრახვების გამოისობით, ეს პროცესი საკმაოდ გაგვირთულდა, გაგვიჭიანურდა. დიდსულოვანი ქართველი ხალხი გაგებით (და არა იმედგაცრუებით) ეკიდება ამას, მაგრამ ზოგჯერ ჩვენივე მიზეზით შექმნილი პრობლემების ახსნა უჭირს. შევჩერდებით რამდენიმე დამახასიათებელ მაგალითზე.

ჩვენი ქვეყნის გარდამავალი პერიოდი, გასაგები მიზეზების გამო, ჯერაც გრძელდება. მოხდა და კვლავაც მიმდინარეობს ღირებულებათა გადაფასება. სამწუხაროა, რომ ჩვენთვის არატრადიციული ფასეულობების შემოჭრა, არც თუ ისე იშვიათად, ეროვნულის უკანა პლანზე გადაწევის ნიადაგზე ხდება. ჯერ კიდევ არ ჩანს რაიმე გამოკვეთილი ეტალონი (თუ ნიმუში), რაც შეიძლებოდა ახალგაზრდებისათვის ხატი და მოქმედების ორიენტირი გამხდარიყო. მიუხედავად აღმშენებლობისა, ქვეყნის

განმტკიცებისა, ჯარის გაძლიერებისა და ა.შ., მაინც იგრძნობა ეროვნულობის, ეროვნული იდეოლოგიის დეფიციტი. ქუჩებში, სკვერებში, მოედნებზე გამოფენილი სურათებიდანაც კი ხშირად არაქართული, არაფრისმთქმელი, უცნობი და უცხო სახეები იმზირებიან, თითქოს ოთარ კობერიძის, დოდო აბაშიძის, ნატო ვაჩნაძის, სოფიკო ჭიაურელის, ჩვენი ცნობილი სპორტსმენების, მომღერლების, მეცნიერების, წარსულისა და აწმყოს სხვა გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები ნაკლებად დაამშვენებდნენ ჩვენს გარემოს. ახალგაზრდობა (მისი ერთი ნაწილი მაინც) იდეალის არჩევის თვალსაზრისით ერთგვარად დაიბნა.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ: უცხოურის წინააღმდეგი როდი ვართ და პრინციპულად ვერც ვიქნებით, თუნდაც, ჩვენი გამოკვეთილი ევროპული ორიენტაციის გამო. გემოვნებაზეც არ დაობენ ხოლმე. აქ ლაპარაკია მხოლოდ ზომიერებაზე და გონიერებაზე, მოზარდების სულიერ სამყაროში ჩვენთვის სასურველი გამოძახილის სტიმულაციაზე და შესაბამისი მოქმედების განწყობის შემუშავებაზე.

ჩვენი ახალგაზრდები თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე განიცდიან არცთუ ჯანსაღი უცხოურის მავნე ზემოქმედებას და ქართული მენტალიტეტისათვის საჭირო, ჩვენი სულისათვის შესაბამისი ინფორმაციის შიმშილს. ლამის დაიკარგა ჩვენთვის ჩვეული სიდარბაისლის ტონი. აბა ნახეთ, რას ბეჭდავენ, რას აწვდიან, როგორი ინფორმაციით "უტენიან თავს" მოზარდებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. პატრიოტული იდეოლოგიის აშკარა დეფიციტის ფონზე მიმდინარეობს მათი ცნობიერების ტოტალური სექსუალიზაცია.

უცხოურ სერიალებზე რომ არაფერი ვთქვათ, რიგ შემთხვევაში ჩვენი "შემოქმედებაც" ბევრად სცოდავს ამ მხრივ. აბა დავუკვირდეთ, რას აძლევს მოზარდს ჩვენეული "ჯეობარის", ან მისი მსგავსი სატელევიზიო გადაცემები? ყურს ჭრის ქუჩუ-

რი, ლამის ბილწსიტყვაობამდე მისული მეტყველება, თვალში გეცემა ჩვენი ქალ-ვაჟებისათვის შეუსაბამო თავისუფალი ქცევის, მათ შორის სექსუალური თავისუფლების ფარული თუ აშკარა პროპაგანდა. ცხადია, სოციალიზაციის პროცესში მყოფი მოზარდის ყურადღებას, პირველ რიგში, ასეთი ინფორმაცია (გადაცემის ეს მხარე) იპყრობს და მასში ანალოგიური ქმედებისაკენ მისწრაფების ტენდენციას განამტკიცებს. ბევრი შეხლა-შემოხლა სწორედ ყალბი სიყვარულის, ხელოვნურად მოტივირებული სექსის ნიადაგზეც ხდება.

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს აზრით, ადამიანის მოთხოვნილებები ქმნიან იერარქიულ რიგს, რომელშიც შეიძლება განვასხვაოთ ხუთი დონე. პირველ, უმდაბლეს დონეს ქმნის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, რომელშიც შედის შიმშილი, წყურვილი, სექსი და ა.შ., მეორეს – უსაფრთხოების (ტკივილისაგან, შიშისაგან დაცვის მოთხოვნილებები), მესამეს – სოციალური კავშირების (ურთიერთობის, სითბოს, სიყვარულის მოთხოვნილებები), მეოთხეს – თვითპატივისცემის (მიღწევის, ყურადღების დაფასების), მეხუთე, უმაღლეს დონეს ქმნის თვითაქტუალიზაციის (საკუთარი ნიჭის, უნარის, შესაძლებლობების რეალიზაციის) მოთხოვნილება (Абрахам Маслоу, Мотивация и личность, СПб, 2003, გვ. 60-79).

ა. მასლოუს კლასიფიკაციაში საყურადღებოა ის, რომ მაღალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია უფრო დაბალი დონის მოთხოვნილებები. ამიტომაც ბევრი ადამიანი თავისი მაღალი მოთხოვნილებების რეალიზაციას ვერ ახდენს. მართალია, ეს მოდელი უნივერსალურად ვერ ჩაითვლება, მაგრამ არსებობს მრავალი საბუთი, როდესაც შიმშილის და სხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის დროს, ისინი გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ ადამიანის ცნობიერება-

ში და წარმართავენ მის ქცევას. გავიხსენოთ თუნდაც ნ. ლორთ-ქიფანიძის დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით დაწერილი ნაწარმოები – "ტრაგედია უგმიროდ", რომელშიც შიმშილით ცნობიერებადანისლულ მამას, გამოცხობის პროცესში, შემოეჭამა ასევე მშიერი შვილებისათვის განკუთვნილი მჭადი. ჩვენ ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ გვინდა კიდევ უფრო ნათელი გავხადოთ, თუ როგორი იქნება მოზარდებში სექსუალური ბიოლოგიური მოტივაციის ადგილი, ძალა და მნიშვნელობა ჩვენს მიერ აღწერილ პირობებში.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდობა რომანტიზმის, დიდი საქმეების კეთების, თავის გამოჩენის სურვილების პერიოდია. ჩვენი ყოფა-ცხოვრება და გარემო ხშირად ახალგაზრდების ასეთი მისწრაფებების დაკმაყოფილების საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან თავად არ შეესაბამება მაღალ მორალურ პირნციპებს, ვერ იძლევა მაგალითს აღფრთოვანებისა და მიბაძვისათვის (არჩევნების გაყალბებაზე გაუთავებელი ლაპარაკი რად ღირს მაგალითად). ამ გარემოებამ, შეიძლება რევოლუციური სულისკვეთების მქონე, მაღალი იდეალებით შთაგონებული ახალგაზრდების ერთ ნაწილში საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოიწვიოს

ჭაბუკებისა და ქალიშვილების თვითრეალიზაციის ყველაზე კარგი საშუალება მაინც არის სწავლა, როგორც მათი ქცევის ძირითადი ფორმა. მაგრამ სწავლამ (როგორც სასკოლომ, ისე გარკვეულწილად უმაღლესში სწავლამაც) დაკარგა ადრინდელი გარკვეულობა, ფასი და ღირებულება. ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა დადებით შედეგებთან ერთად მოიტანა უარყოფითი შედეგებიც. სასკოლო საგნებმა მოსწავლეების თვალში დაკარგეს მნიშვნელობა, ვინაიდან უმაღლესში ყველა სპეციალობაზე ბარდება სამი თუ ოთხი გამოცდა და, მათი აზრით, სკოლა ამ მიმართულებით ბევრს არაფერს იძლევა. არასა-

გამოცდო საგნების სწავლა კი მათთვის საერთოდ გაუგებარი და ზედმეტი გახდა. ასევე გაუგებარია ბევრისთვის უმაღლესში ოთხწლიანი საბაკალავრო განათლების მიღების მნიშვნელობაც, რომელიც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, არ იძლევა რაიმე კვალიფიკაციას და კონკრეტული მიმართულებით მუშაობის უფლებას.

დასამალი როდია, თუკი ადრე მოსწავლეები დადიოდნენ რეპეტიტორებთან შესაბამის საგამოცდო საგნებში ცოდნის მისაღებად, ახლა ისინი დადიან მათთან ერთიანი ეროვნული გამოცდებით გათვალისწინებულ საგნებში მოსამზადებლად. ვინაიდან ეს გამოცდები ყველგან და ყველასათვის ერთიანია, სკოლაში სწავლის მოტივაცია (ამ ეტაპზე მაინც) კიდევ უფრო შესუსტდა. სწავლამ მოსწავლეების თვალში ფასი დაკარგა იმ მხრივაც, რომ ისინი კარგად ხედავენ, თუ როგორ გაჭირვებაში ცხოვრობს ხშირად მცოდნე, სწავლამიღებული ხალხი – პედაგოგები, მეცნიერები, პროფესორ-მასწავლებლები და ა.შ. ერთი სიტყვით, სწავლა, მოზარდებისათვის დამახასიათებელი თვითდამტკიცების, თვითგამოვლენის, თუ თვითრეალიზაციის უძლიერესი ტენდენციის დაკმაყოფილების საშუალებას არ იძლევა. "ფულის შოვნას და ბიზნესის გაკეთებას" კი, მათი აზრით, დიდი სწავლა-განათლება არ სჭირდება. ამას პრაქტიკული უნარით, სხვა გზებითაც ახერხებენ ადამიანები, ფიქრობენ (და ხედავენ კიდეც) ისინი. ამ მიზეზებითაც სწავლაზე გულაცრუებული მოზარდი სკოლიდან (და სახლიდანაც) გადის ქუჩაში და ცდილობს სხვა მოქმედებით მოახდინოს თვითდამტკიცება: იწყებს მონაწილეობას ქუჩის გარჩევებში, ე.წ. გავლენის სფეროების განაწილებისათვის ბრძოლაში, ამყარებს ურთიერთობას სხვადასხვა მიმართულების ასოციალურ ჯგუფებთან და ა.შ. ასეთი რამ კი ხშირად სავალალო შედეგებით მთავრდება.

კიდეე ერთ სამწუხარო გარემოებას უნდა გაესვას ხაზი, რომლის რეციდივებიც აღმზრდელობითი მიმართულებითაც იჩენს თავს. უკანასკნელ პერიოდში აშკარად შეინიშნება ჩვენი ლაღი ხასიათისათვის უცხო ერთგვარი შინაგანი, ხშირად საგნობრიობას მოკლებული, ფსიქოლოგიური დაძაბულობა. ჩვენ უფრო მგრძნობიარენი და აგრესიულები გავხდით. რატომ? მიზეზი ბევრია. დავიწყოთ იმით, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შემდეგ უაღრესად შეილახა ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა. ქართველი კაცის ამაყი, მებრძოლი სული ერთგვარად დაითრგუნა. ვინაიდან ჩვენ, გარკვეული მცდელობის მიუხედავად, ჯერჯერობით ვერ გამოვედით ამ მდგომარეობიდან, ეს დამღუპველად მოქმედებს თითოეული ჩვენგანის ფსიქოლოგიაზე. ასეთი დიდი ღირებულების უარყოფითი მუხტით დატვირთული ფსიქიკური მდგომარეობა თავისებურ გენერალიზაციას განიცდის და ვრცელდება ქართველთა სულიერი სამყაროს სხვა სფეროებზეც. იგი, ნებსით თუ უნებლიედ, აისახება ინტერპერსონალურ ურთიერთობებშიც და აღმზრდელობით მუშაობაშიც.

შესამჩნევია, რომ ჩვენი საზოგადოება და მისი უმშვენიერესი ნაწილი-ახალგაზრდობა, ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ პერიოდში მომხდარი დიდი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნების გამო (და გლობალიზაციის მიზეზითაც) ემოციურად გარკვეულწილად "გაცივდა", გაუხეშდა. სამწუხაროდ, ეს ეხება, ქართველებისათვის მაინც განსაკუთრებით გამორჩეულ, დედობრივ, მშობლიურ ინსტინქტსაც. ის, რაც ათეული წლების წინათ ჩვენს მიერ სენსაციად აღიქმებოდა (უპატრონოდ მიტოვებული ბავშვები, ცხოველთა გარემოში მოხვედრილი ე.წ. "მაუგლების" შემთხვევები...), დღეს ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მხედველობაში გვაქვს მშობლის

მიერ გაყიდულ-გაჩუქებული, ქუჩაში მიგდებული, სანაგვეზე დატოვებული და საკუთარი ხელითაც მოკვდინებული ახალშობილი ბავშვები. ეს არის ჩვენი ეროვნული ტრაგედია და ყოველივე ზემოაღნიშნულზე თუ დროზე არ შემოვკარით განგაშის ზარი, პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდება.

რაში ვხედავთ გამოსავალს? ამას წინამდებარე სტატიით, თუ გნებავთ, სამეცნიერო ლაბორატორიის გამოკვლევებით ვერ უპასუხებ. ამაზე უნდა მუშაობდეს მთელი ქვეყანა. საზოგადოების ეს ნაწილი ხომ თვითონაც არის მსხვერპლი გარემოებებისა. ამ "გარემოებებს" კი მნიშვნელოვანწილად ჩვენ ვქმნით, მისი შემოქმედი ფაქტობრივად არის მთელი ჩვენი ქვეყანა – მისი ხალხით, ხელისუფლებით, დღევანდელი რეალობით და მასში შემოჭრილი გლობალიზაციის პროცესის ხილული თუ უხილავი ძაფებით.

ვფიქრობთ, სასჯელითა და კანონის გამკაცრებით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ. ეს ადვილი, რიგ შემთხვევაში საჭირო, მაგრამ ნაკლებად ეფექტური გზაა მდგომარეობის გამოსწორებისა. უპირველეს ყოვლისა უნდა მოიხსნას, მინიმუმამდე მაინც დავიდეს უმუშევრობა. დედა არ უნდა მოწყდეს ოჯახს, შვილებს. მრავალრიცხოვანი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევებით (და ყოველდღიური დაკვირვებითაც) დადასტურებულია, რომ დედის როლს ბავშვის ემოციურ აღზრდაში არათუ საუკეთესოდ ორგანიზებული ბაღი, არამედ ოჯახის ახლობელი ადამიანიც კი ვერ შეცვლის. მაგრამ მცირეხელფასიანი და იძულებით საშოვარზე გასული მშობლები, ცხადია, ჯეროვან ყურადღებას ვერ მიაქცევენ შვილებს. რეალურად უნდა ამაღლდეს სწავლის (და არა მხოლოდ სწავლის) ფასი შესაბამისი კვალიფიკაციისა და სწავლა-განათლების მქონე ადამიანებისთვის შრომითი ანაზღაურების მნიშვნელოვანი მომატების გზით.სწორედ აქეთკენაა მიმართული ხელისუფლების

მცდელობა – „საქართველო სიღარიბის გარეშე". ჯერჯერობით კი რეალობა ასეთია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე უნდა დაწესდეს გარკვეული შეზღუდვა თუ კონტროლი ეროტიკულად და სხვა მხრივაც საჩოთირო მასალის ჩვენება-გაშუქება-მიწოდების თვალსაზრისით. არსებითად უნდა გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა (და არა მხოლოდ ზედამხედველობა) მოზარდებთან როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთაც. და რაც მთავარია, წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ეროვნული იდეოლოგია, ჭეშმარიტად ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები. მართალია, წარსულს არ უნდა მივსტიროდეთ, მაგრამ ასეთი უძველესი ისტორიისა და თვითმყოფადი, მდიდარი კულტურის მქონე ქვეყანამ მოზარდი თაობა უნდა აღვზარდოთ და მომავალიც ვაშენოთ ჩვენი ეროვნული ფესვების, ჩვენივე იდეალების და საკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინების ნიადაგზე. ამის ნიმუშად ისევ და ისევ ჩვენი უკვდავი "დედა ენა" გამოდგებოდა.

# შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და "პიაჟეს ფენომენების"დაძლევის უნარის მიმართებისათვის ოპერაციამდელ სტადიაში (4-7 წლის ასაკში) *

## შორეული მოტივაციური ქცევის ფსიქოლოგიური ბუნებისათვის

შორეული მოტივაციური ქცევის ფსიქოლოგიური ბუნებისა და მისი ჩვენეული გაგების ნათელსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია გავაანალიზოთ ადამიანისათვის დამახასიათებელი შემდეგი ორი სახის აქტივობა. ეს მით უფრო აუცილებელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა (16; 18; 3; 2), ყველგან, სადაც ლაპარაკია შორეული მოტივაციაზე, შორეული მოტივების მიხედვით მოქმედებაზე, ერთმანეთისაგან გამიჯნული არაა ასეთი აქტივობებისათვის ნიშანდობლივი სრულიად სპეციფიკური თავისებურებები (29; 20; 24; 25).

ა) მოცემულ კონკრეტულ მომენტში ადამიანს აქვს რაიმე გარკვეული მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილებაც, ვთქვათ, ამჟამად არ ხერხდება. შეიძლება ამ ადამიანმა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იზრუნოს მისი დაკმაყოფილებისათვის, მიმართოს სხვადასხვა მოქმედებას, სხვადასხვა შემოვლით გზებსა და საშუალებებს იმისათვის, რომ როგორმე ეს მოთხოვნილება ახლა თუ არა, რამდენიმე ხნის შემდეგ, მომავალში მაინც დაიკმაყოფილოს;

ბ) ადამიანს ახლა არ აქვს რომელიმე, მაგალითად, საკვების მოთხოვნილება, მაგრამ მან იცის, რომ იგი მას ექნება ხვალ.

---

* 2005 წელს გამოქვეყნდა წინამდებარე ნაშრომი ციალა ტუღუშთან თანაავტორობით. ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ მის შევსებულ გამოცემას.

იმისათვის, რომ ეს მოთხოვნილება ხვალ, როცა იგი თავს იჩენს, დაკმაყოფილებულ იქნას, აუცილებელია მან დღეს, ახლა მიმართოს გარკვეულ აქტივობას, დღეს შექმნას მისი დაკმაყოფილების პირობები. ვთქვათ, მხოლოდ ამ გზით შეძლებს იგი აღნიშნული მოთხოვნილების თავის დროზე დაკმაყოფილებას. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს სულ სხვა კატეგორიის ქცევასთან.

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ქცევა ახლა, მოცემულ კონკრეტულ მომენტში მიმდინარეობს, ორივე შემთხვევაში მოთხოვნილების დაკმაყოფილება მომავალშია გათვალისწინებული, მაგრამ თავიანთი შინაარსითა და მამოძრავებელი ძალებით ეს ორი ქცევა ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველ შემთხვევაში, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, პიროვნება დაუყოვნებლივ დაიკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას, რადგან ეს უკანასკნელი ახლა არსებობს და მოქმედებს აქტუალურად, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, იგი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობებს მაშინვე აწყმოში გადმოიტანდა, მაგრამ, რადგან ეს შეუძლებელია, პიროვნება იძულებულია მომავალში მაინც უზრუნველყოს მისი დაკმაყოფილების საქმე. მაგრამ ამით პირველი ქცევის შინაარსი და მამოძრავებელი ძალა სრულიადაც არ იცვლება და არ უახლოვდება მეორე ქცევას. პირველ ქცევას თავისი წყარო მაინც აქტუალურ მოთხოვნილებაში აქვს, აქტუალური მოთხოვნილება იძლევა მისი განხორციელების იმპულსს თავიდან ბოლომდე. ქცევის მეორე შემთხვევაში კი აქტუალური მოთხოვნილება როდი განსაზღვრავს მის მიმდინარეობას და ფაქტობრივად ეს შეუძლებელიცაა, ვინაიდან ქცევის შესაბამისი მოთხოვნილების ცოცხალი ფაქტი საერთოდ არ ფიგურირებს აღნიშნულ შემთხვევაში. მოთხოვნილება შესაძლოა მხოლოდ იდეის სახითაა წარმოდგენილი ქცევის სუბიექტის ცნობიერებაში. იდეას კი, მართალია, ქცევის

მიზნის ორგანიზებაში გარკვეული ფუნქცია ეკისრება, მაგრამ საკუთრივ მას აღმძვრელი ძალა არ გააჩნია. ერთადერთი, რაც შესაძლებელს ხდის აღნიშნულ ქცევას, რისგანაც მომდინარეობს მისი განხორციელების იმპულსი, არის თვითონ პიროვნება, როგორც ნებისმიერი ქცევის სუბიექტი. ნებისყოფა, როგორც სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყარო, ედება ასეთ ქცევას საფუძვლად.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ქცევის მოტივაცია ორივე შემთხვევაში ახლა ხდება და მოქმედებაც ახლა მიმდინარეობს, ხოლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება მომავალშია გათვალისწინებული (ვთქვათ, ქცევის დაწყებიდან რამდენიმე საათის თუ დღის შემდეგ), პირველ შემთხვევაში მაინც ახლო მოტივაციასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი – შორეულ მოტივაციასთან. ადამიანისათვის, როგორც შრომის სუბიექტისათვის, მწარმოებელი არსებისათვის, ფაქტობრივად ასეთი აქტივობაა სპეციფიკური და სწორედ იგია ჩვენს მიერ კვალიფიცირებული როგორც შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე აქტივობა.

მაშასადამე, შორეული მოტივაციური სტრუქტურის ქცევას ჩვენ ადამიანის ისეთ აქტივობას ვუწოდებთ, რომელსაც უშუალო კავშირი არა აქვს აქტუალურ მოთხოვნილებებთან. ეს ქცევა არასდროს ეყრდნობა იმ მოთხოვნილების იმპულსს, რომლის დაკმაყოფილების პირობებსაც თვითონ ქმნის. იგი მიმართულია ისეთი შედეგისაკენ, რომელიც ახლა, ამავე ქცევაში კი არ მოიხმარება, არამედ მომავლისათვის არის განკუთვნილი. ამასთანავე, შორეული მოტივაციური ქცევის შედეგი შეიძლება გამიზნული იყოს, როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისათვის, ისე სხვა ადამიანების, კოლექტივის ან საზოგადოების ინტერესებისათვისაც. მაგრამ გასაგებია, რომ ის, რაც ადამიანის მომავალი ცხოვრების ამოცანებს შეესაბამება და საზოგადოების

მოთხოვნებსაც პასუხობს, აუცილებლად ობიექტური (საზოგადოებრივი) ღირეულების მატარებელი უნდა იყოს, ქცევის სუბიექტის ახლანდელი მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად უნდა იაზრებოდეს, იქმნებოდეს და არსებობდეს, რომ ყოველთვის აღნიშნული ფუნქცია შეასრულოს. მაშასადამე, შორეული მოტივაციური ქცევა მხოლოდ ისეთი შედეგისაკენ შეიძლება იყოს მიმართული, რომელსაც გარკვეული ობიექტური ღირებულება გააჩნია. მაგრამ რადგანაც ობიექტური ღირებულება (განსხვავებით სუბიექტური ღირებულებისაგან, რომელიც იმპულსურ ქცევას ედება საფუძვლად) ჩვენთვის, პროფ. შ.ჩხარტიშვილის შეხედულებიდან გამომდინარე, ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს, ცხადია, რომ შორეული მოტივაცია, არსებითად, ნებისმიერი ქცევის მოტივაცია ყოფილა, შორეული მოტივაციური ქცევა კი – ნებისმიერი ქცევა. მაგრამ, თუკი ეს ასეა, მაშინ აღნიშნული სტრუქტურის მქონე ქცევის განხორციელება არსებითად დამოკიდებული უნდა იყოს ნებისყოფაზე, მისი განვითარების დონეზე. და მართლაც, ჩვენს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა (მათ შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა) გვიჩვენა, რომ ეს სინამდვილეშიც ასეა.

## ინტელექტუალური განვითარების პიაჟესეული კონცეფციისა და მისი "ფენომენების" შესახებ

გამოჩენილმა შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების 60 წელი აზროვნებისა და ადაპტაციის საკითხების შესწავლას მიუძღვნა. ეს მუშაობა მკვლევარმა დაიწყო საკუთარ შვილებზე ჩატარებული "მინი ექსპერიმენტებით", რომელიც შემდეგში გადაიტანა სამეცნიერო ლაბორატორიებში და მრავალი ქვეყნის ფსიქოლოგი დააინტერესა თავისი ორიგინალური შემოქმედებითი მიღწევებით, მეტადრე, მისეული "ფენომენებით".

ინტელექტუალური განვითარების შესახებ პიაჟეს ზოგადი კონცეფციის არსი შემდეგში მდგომარეობს (10; 15; 8; 5; 30; 31; 32; 28; 23): ყოველი ცოცხალი ორგანიზმი მიისწრაფვის შეეგუოს გარემოს. გარემოსთან შეგუება, ანუ ადაპტაცია არის სიცოცხლის შენარჩუნების აუცილებელი პირობა. ანალოგიური მდგომარეობაა ბავშვებთანაც. მაგრამ ადაპტაციის მექანიზმი ბავშვებთან (ადამიანებთან) სრულიად განსაკუთრებულია. ადამიანს გააჩნია გარემოსთან შეგუების სპეციფიკური მექანიზმი – ინტელექტი, რომელიც ორგანიზმის გარემოსთან შეგუების ფილოგენეზურ პროცესში აღმოცენდა და ონტოგენეზშიც ამასვე ემსახურება.*

ადაპტაცია თავიდანვე გარემოსადმი ინტელექტუალური შეგუების მექანიზმების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის გზით მიმდინარეობს. ეს პროცესი სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე განსხვავებულია, მაგრამ ყოველთვის გულისხმობს ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მომენტის – **ასიმილაციისა** და **აკომოდაციის** წონასწორობას. თუ ობიექტი, ინფორმაცია, ან რაღაც გამოცდილება, რომელსაც აწყდება ადამიანი, პასუხობს მასში არსებულ მენტალურ ჩარჩოებს, ისინი ასიმილირდება. თუკი ობიექტი არ ეწერება ამ ჩარჩოებში, ტვინს შეუძლია ან უბრალოდ უკუაგდოს ისინი, ანდა მოახდინოს აკომოდაცია. ასიმილაცია – ეს არის ახალი გამოცდილების ინტერპრეტაცია უკვე არსებული მენტალური სტრუქტურების საფუძველზე, როდესაც სუბიექტი იგუებს ობიექტს, ჩართავს რა მას თავისი

---

* საგულისხმოა აღინიშნოს, რომ გარემოსთან შეგუების "პრაქტიკულ" (ზოგად) და სპეციფიკურ-ადამიანურ (გონით) მექანიზმებზე მსჯელობს თავის ადრინდელ (ფილოსოფიურ) შრომებში დ.უზნაძეც. იხ. **დ.უზნაძე**, ფილოსოფიური შრომები, ტ. I, თბ., 1984; აგრეთვე, **ნ.მშვენიერაძე**, დ.უზნაძის ანთროპოლოგიური თვალსაზრისი, წიგნში - ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2005, გვ. 219.

მოქმედების საშუალებებში, ე.წ. "სქემებში". აკომოდაცია, პირიქით, წარმოადგენს უკვე არსებული სქემების შეცვლას ძველი და ახალი გამოცდილების ინტეგრაციისათვის. ამ შემთხვევაში ობიექტი ახდენს გავლენას სუბიექტზე, ცვლის მისი მოქმედების ხერხებსა და საშუალებებს, პიაჟეს სიტყვებით რომ ვთქვათ, "სქემებს" და ეს სქემები ეგუება ობიექტს ("სქემა" არის ტიპიურ სიტუაციებში მოქმედების განმეორებადი წესი თუ ორგანიზაცია. სქემა შეიძლება შედგებოდეს როგორც უმარტივესი მოძრაობებისაგან, ისე მასში შეიძლება ჩართული იყოს უნარ-ჩვევებისა და გონებრივი მოქმედებების საკმაოდ რთული კომპლექსები). სწავლის, ათვისება-დაუფლების, ახალი სიტუაციებისადმი შეგუების პროცესი პიაჟესთან წარმოდგენილია როგორც ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესების ურთიერთმოქმედება.

გონებრივი განვითარების შესწავლის საფუძველზე პიაჟეს მიერ გამოყოფილი იქნა აზროვნების ლოგიკური სტრუქტურები – ოპერაციები, რომელიც მისი თეორიის ძირითად ცნებას წარმოადგენს. ინტელექტუალური ოპერაცია არის აზრობრივი მოქმედება, რომელიც, პერცეპტული აქტივობისაგან განსხვავებით, ხასიათდება შექცევადობით (უკუქცევითობით). აზროვნებაში ასახული მიმართებანი მუდმივნი, უცვლელნი (ზოგადნი) რჩებიან, მიუხედავად იმისა, თუ როგორ მიიღწევა მათი წვდომაგაგება. აღქმაში ასახული მიმართებები კი ცვალებადია (ოთახი ცივად ან თბილად გვეჩვენება იმის მიხედვით, თუ სად ვიყავით მანამდე – გვციოდა თუ გვცხელოდა...). შექცევადობის (აზრისა და აზროვნების ამ ძირითადი ლოგიკური მახასიათებლის) გაჩენის ფსიქოლოგიური კრიტერიუმი არის ბავშვის მიერ მუდმივობის პრინციპის დაუფლება. ოპერაცია შექცევადი მოქმედებაა.

აზროვნების ოპერაციების შექცევადობა შედეგია იმისა, რომ აზროვნების პროცესში ჩვენ ვეყრდნობით იმ სხვადასხვა

"სისტემებს", იმ "სქემებს", რომლებიც მანამდე გვაქვს შეთვისებული. ყოველი ახალი მიმართება, რომელსაც წვდება აზროვნება, "თავსდება" ამ სქემებში. აზროვნების არსიც, პიაჟეს მიხედვით, ინტელექტუალური ოპერაციების სათანადო მიმართებათა სქემაში მოთავსებასა და ოპერაციული სქემების შედგენაში მდგომარეობს. ამ მიმართებათა სქემების ფლობა უზრუნველყოფს სათანადო აზროვნების პროცესის შექცევადობას. იმის მიხედვით, თუ რა სახის მიმართებაზე ვაზროვნებთ, ჩვენ ვიყენებთ სხვადასხვა სქემას. ყველა სქემის გამოყენება ერთად არასდროს არ არის საჭირო (მაგალითად, იმისათვის, რომ შეაკეთო ველოსიპედი, სრულიადაც არაა საჭირო მოახდინო მთელი შენი გამოცდილების (ყველა სქემის) აქტუალიზაცია და ყველა მიღებულ ღირებულებათა რევიზია).

პიაჟე თვლის, რომ **ინტელექტი — ესაა ოპერაციათა სისტემა.** ამიტომ ინტელექტის განვითარებაც მასთან გაგებულია, როგორც აზროვნების ლოგიკური სტრუქტურების — ოპერაციების დაუფლების პროცესი. იგი იწყება მარტივი ლოგიკური სტრუქტურების (ოპერაციების) ჩამოყალიბებით, გრძელდება სულ უფრო და უფრო რთულ სტრუქტურებზე გადასვლით და მთავრდება ყველაზე სრულყოფილი ფორმალურ-ლოგიკური სტრუქტურების (ოპერაციების) დაუფლებით.

ძირითადი მექანიზმები, რომელთა მეშვეობით ბავშვი გადადის განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე, არის **ასიმილაცია, აკომოდაცია** და **წონასწორობა.** განვითარების პროცესში ხან ასიმილაციის სიჭარბეა, ხან აკომოდაციის, მაგრამ დგება მომენტი, როცა მათ შორის ისეთი თანაფარდობა მიიღწევა, რომლის დროსაც გარემოს მოთხოვნები და მოქმედების სქემები, რომელთაც ბავშვი ფლობს, წონასწორობაში მოდიან. ამ დროს მიიღწევა სრული ადაპტაცია, მყარდება წონასწორობა ბავშვსა და გარემოს შორის, მის ფსიქიკასა და მოქმედებას შორის და

ქცევაც უფრო გონივრული და მიზანშეწონილი ხდება. მაგრამ წონასწორობა დროებითია. გარემო ახალ-ახალ მოთხოვნებს უყენებს ბავშვს, რომლებიც კვლავ იწვევენ წონასწორობის დარღვევას, რადგან მასზე პასუხის მზა სქემები სუბიექტს არ აღმოაჩნდება. ისევ ამოქმედდებიან ასიმილაციისა და აკომოდაციის პროცესები და კვლავ თავს იჩენს წონასწორობის დამყარებისაკენ სწრაფვის ტენდენცია. ამგვარად, ასეთი სწრაფვა ბავშვის მთელი ინტელექუალური განვითარების, მისი ფსიქიკური აქტივობის სრულყოფის ძირითად ტენდენციას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ პიაჟესათვის ბავშვის ინტელექტუალური განვითარება უწყვეტი პროცესია, მასში მაინც შეიძლება გამოიყოს პერიოდები, რომლებშიც ინტელექტის თვისებრივად ახალი წარმონაქმნები აღმოცენდებიან. პიაჟე ბავშვის აზროვნების განვითარებაში გამოყოფს ოთხ ძირითად პერიოდს, რომლებიც კოგნიტური განვითარების სტადიების სახელწოდებითაც არის ცნობილი. ესენია:

*1. სენსომოტორული სტადია (დაბადებიდან 1.5-2 წლამდე).* ინტელექტუალური განვითარება იწყება ნულიდან. ბავშვი ფლობს მხოლოდ რამდენიმე რეფლექსურ რეაქციას. ის და გარემო აბსოლუტურად არ არიან ერთმანეთისაგან გამოდიფერენცირებულნი. ამ პერიოდის ბავშვები სამყაროს შეიმეცნებენ მხოლოდ პერცეპტული აქტივობისა და სხვადასხვა მოქმედებების მეშვეობთ: დათვალიერება, ხელით შეხება, კბენა, წოვა, ცქერა, მოსმენა და ა.შ. პატარა სენსომოტორული არსებაა. აზროვნებითი ფუნქციები ემყარებიან გრძნობის ორგანოებს და სხეულის მოძრაობებს. ბავშვი აქტიურად იყენებს ცდისა და შეცდომის მეთოდს. თანდათანობით იგი ეუფლება ერთმანეთთან დაკავშირებულ შედარებით სტაბილურ სენსომოტორულ მოქმედებებს. ეს აქტები ძირითადად პრაქტიკულნი არიან და ემსახურებიან

საგნებთან პერცეპტულ და მოძრაობით შეგუებას. ამ ეტაპზე ბავშვები მოკლებულნი არიან წარმოდგენებით ოპერირების ანუ სიმბოლური მანიპულაციის შესაძლებლობას.

**2. ოპერაციამდელი (წინარეოპერაციული) სტადია (2-დან დაახლოებით 7 წლამდე).** ვინაიდან ჩვენი თემა ეხება ოპერაციამდელ სტადიას, მიზანშეწონილი იქნება უფრო ვრცლად დავახასიათოდ იგი. ოღონდ ამ სტადიის დახასიათებიდან საკვლევ თემაზე უშუალოდ გადასვლის მიზნით უმჯობესია, თუ ამას გავაკეთებთ დანარჩენი ორი სტადიის მოკლედ დახასიათების შემდეგ.

***3. კონკრეტული ოპერაციების სტადია (7-დან 11-12 წლამდე).*** ბავშვები იწყებენ ლოგიკურად აზროვნებას, გამოთქვამენ ელემენტარულ ლოგიკურ მსჯელობებს "აქ და ამჟამად" არსებული საგნებისა და მოვლენების შესახებ. ადრინდელი სტადიის გონებრივი მოქმედებებიდან ყალიბდებიან ოპერაციები, რომლებიც შექცევადობით ხასიათდებიან. ბავშვები ეუფლებიან წარმოდგენებს რიცხვის (დაახლოებით 6-7 წლის ასაკი), მასის (7-8 წლის ასაკში), წონის (დაახლოებით 9-10 წლის ასაკი)... მუდმივობის შესახებ. ახდენენ ობიექტების შედარებას, მათ კლასიფიკაციას ცალკეული ნიშნების მიხედვით. შეუძლიათ მათემატიკური ცნებებით ოპერირება და კონკრეტული ოპერაციების განხორციელება რეალური საგნების მიმართ.

***4. ფორმალური ოპერაციების სტადია (დაახლოებით 11-12 წლიდან 15 წლამდე და შემდგომ).*** მოზარდებს უჩნდებათ უნარი ლოგიკური აზროვნებისა აბსტრაქტული ცნებების გამოყენებით. შეუძლიათ პირდაპირი და შებრუნებული ოპერაციების შესრულება შინაგან პლანში (გონებაში), ჰიპოთეზური ხასიათის ვარაუდებისა და მოსაზრებების ფორმულირება და შემოწმება. ამ სტადიაზე წარმოიშობა საგნობრივი მოქმედებისაგან დამოუკიდებელი "წმინდა" აზროვნება. ფორმალურ-ოპერაცი-

ული აზროვნებისათვის უკვე არაა საჭირო ფიზიკურ ობიექ-ტებთან და ფაქტიურ მოვლენებთან კავშირი, რაიმე კონკრეტუ-ლი საყრდენი. ასეთი აზროვნება საშუალებას აძლევს მოზარდს პირველად დაუსვას საკუთარ თავს ასეთი ტიპის კითხვა: "რა იქნება, რომ...?" და გასცეს მას პასუხი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოზარდებში ჩნდება უნარი სხვა ადამიანების აზრებში ჩაწვდო-მისა, მათი როლებისა და იდეალების გათვალისწინებისა, რაც შეუძლებელი იყო წინა ასაკში.

პიაჟეს აზრით, აღნიშნული სტადიები ფაქტობრივად არ იცვლებიან, არ ექვემდებარებიან ზემოქმედებას. ბავშვის გო-ნებრივი განვითარება მიმდინარეობს თავისი შინაგანი კანონ-ზომიერებით და ეს სტადიებიც თავს იჩენენ მხოლოდ განსაზღ-ვრულ ასაკობრივ საფეხურზე.

ახლა შედარებით ვრცლად შევჩერდეთ ჩვენს თემასთან დაკავშირებული **ოპერაციამდელი (2-დან 7 წლამდე) სტადიის** დახასიათებაზე. ამ სტადიაში პიაჟე გამოყოფს **ცნებამდელ** და **ინტუიციურ** (გარდამავალ) ქვესტადიებს.

ოპერაციამდელ პერიოდში წინა პლანზე გამოდის სიმბო-ლოების გამოყენება, სიმბოლური თამაში და მეტყველება. სიმ-ბოლური თამაში საშუალებას აძლევს ბავშვს თავის აზრებში გავიდეს რეალური სიტუაციიდან. სიტყვა უკვე ხდება საგნის სრულფასოვანი წარმომადგენელი. ბავშვს უკვე შეუძლია ილა-პარაკოს იმის შესახებ, რაც ამჟამად არაა. მისი მოქმედება უკვე არ არის აუცილებლად მიჯაჭვული საგნის აღქმაზე.

მაგრამ ცნებამდელ (2-4 წლები) ქვესტადიაზე ბავშვები ისევ ცდებიან ძირითად კატეგორიებში. მათ არ შეუძლიათ განა-სხვავონ მენტალური, ფიზიკური და სოციალური რეალობები. მათი აზროვნებისათვის დამახასიათებელია **ანიმიზმი** – რწმენა იმისა, რომ ყველა მოძრავი ობიექტი ცოცხალია. მაგალითად, მზე, მთვარე, მანქანები, მატარებელი, ღრუბელი, ძაღლი, ქათა-

მი, ბურთი, ნავი... ბავშვისთვის ერთნაირად ცოცხალი არსებებია. მათი აზროვნების მეორე თავისებურება არის მატერიალიზაცია: ობიექტები და ადამიანები ფანტაზიის სამყაროდან მათთვის ისევე რეალურია, როგორც ის, რაც ნამდვილად არსებობს ბავშვის გარემოში. მაგალითად, ბავშვს სჯერა, რომ რაღაც მონსტრი სიზმრიდან მართლაც იმალება საწოლის ქვეშ.

ინტუიციურ ქვესტადიაზე (4-დან 7 წლამდე) ბავშვების აზროვნება ხდება უფრო რაციონალური. მაგალითად, თუ ადრე ისინი ფიქრობდნენ, რომ ამქვეყნად ყველაფერი შექმნილია მათი მშობლების, ან რომელიღაც უფროსი ადამიანების მიერ, ახლა უშვებენ სხვა ძალების არსებობის შესაძლებლობასაც. იწყებენ იმის გაცნობიერებას, რომ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა შეხედულებაც.

ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი ოპერაციამდელთა კოგნიტურ განვითარებაში ისაა, რომ ჩნდება უნარი სიმბოლოების გამოყენებისა მოქმედებების, მოვლენებისა თუ საგნების წარმოსადგენად (გამოსახატავად). მაგალითად, როდესაც პატარა ბავშვი საქმიანი ქალის იერით ზის მანქანაში და სამსახურში მიმავალი კითხულობს გაზეთს, ეს სიმბოლური ქცევისა და სიმბოლური რეპრეზენტაციის გამოვლენაა. ზოგიერთი ავტორის აზრით, სიმბოლური თამაში აადვილებს სოციალურ ურთიერთმოქმედებას. იგი ეხმარება ბავშვებს იყვნენ უფრო ყურადღებიანი სხვა ადამიანის გრძნობებისა და შეხედულებების მიმართ. ეს გულისხმიერება, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ ეგოცენტრული აზროვნებიდან გადაიდნენ უფრო სოციოცენტრულ აზროვნებაზე. თუმცა ასეთი სოციალურად ორიენტირებული აზროვნების განვითარება-ფორმირებისათვის საჭიროა კიდევ მრავალი წელი.

მას შემდეგაც კი, როდესაც ბავშვი იწყებს სიმბოლური რეპრეზენტაციის ფართოდ გამოყენებას, მან ხანგრძლივი გზა

უნდა განვლოს, ვიდრე ისწავლის ლოგიკურად აზროვნებას. ბავშვის ქცევაზე დაკვირვება, აგრეთვე, გამოკვლევების შედეგები ადასტურებენ, რომ განვითარების ამ პერიოდში ოპერაციამდელ აზროვნებას შემდეგი ძირითადი შეზღუდვები გააჩნია: კონკრეტულობა, შეუქცევადობა, ეგოცენტრიზმი, ცენტრაცია, სინკრეტიზმი, სივრცის, დროის და თანმიმდევრულობის ცნებებით ოპერირების სიძნელეები.

ოპერაციამდელთა აზროვნების **კონკრეტულობა** იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ბავშვებს არ შეუძლიათ საქმე იქონიონ აბსტრაქციებთან. მათი აზროვნება მიმართულია იმაზე, რაც ხდება "აქ და ამჟამად", აგრეთვე, ფიზიკურ ობიექტებზე, რომლებიც მათ შეუძლიათ ადვილად წარმოიდგინონ.

პატარა ბავშვების აზროვნება ხშირად **შეუქცევადია**, ე.ი. მოვლენების განვითარება, კავშირების წარმოქმნა მიდის მხოლოდ ერთი მიმართულებით. მათ არ შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ რომელიღაც ობიექტს შეუძლია დაუბრუნდეს თავის პირვანდელ მდგომარეობას, ანდა კავშირი ობიექტებს შორის შეიძლება იყოს ორმხრივი. მაგალითად, ბავშვი ვერ ხვდება, რომ გაღუნული მავთულის გასწორება არის გაღუნვის საპირისპირო ოპერაცია, რომ გაბრტყელებული პლასტელინის ბურთულას ისევ შეიძლება დაუბრუნდეს პირვანდელი ფორმა. მართალია, სამი წლის გოგონამ იცის, რომ მას ჰყავს და ჯულიეტა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ესმის, რომ თვითონ ის ჯულიეტას დაა.

ოპერაციამდელი ბავშვის აზროვნება **ეგოცენტრულიცაა** – შეზღუდულია მისივე აღქმის ჩარჩოებით. ამიტომ ბავშვს არ შეუძლია მხედველობაში მიიღოს სხვა ადამიანის შეხედულება. იგი აღიქვამს და აფასებს მოვლენებს მხოლოდ საკუთარი "პოზიციებიდან". ბავშვები მიმართულნი არიან საკუთარ პერცეპტულ ხატებზე და ფიქრობენ, რომ ყველა დანარჩენებიც ისევე აღიქვამენ სამყაროს, როგორც თვითონ ისინი. "თუკი მე ამას

ვხედავ, შენც უნდა დაინახო ეს" – ასეთია მათი "მსოფლმხედველობა". პიაჟემ გამოიკვლია პატარების კოგნიტური შეზღუდულობა თავის ექსპერიმენტში "სამი მთით". იგი სხამდა ბავშვებს მაგიდის გარშემო. მაგიდაზე იდო მთის სერის (მთაგრეხილის) მაკეტი. პიაჟე ბავშვებს უჩვენებდა ამ მთაგრეხილის ფოტოსურათებს, რომლებიც გადაღებული იყო სხვადასხვა მხარიდან. დასაწყისში მკვლევარი თხოვდა თითოეულ ბავშვს აერჩია ფოტოსურათი იმ მთის ხედით, რომელსაც იგი ხედავდა მაგიდასთან მის მიერ დაკავებული ადგილიდან, შემდეგ კი ის სურათი, რომელზედაც მთები გამოსახულია ისე, როგორადაც მას ხედავს მისი თოჯინა, რომელიც მოთავსებულია მაგიდის სხვა ადგილზე. ბევრი ბავშვი ყოველგვარი სირთულის გარეშე ადვილად პოულობდა პირველ სურათს, მაგრამ არ შეეძლოთ საკუთარი თავი წარმოედგინათ თოჯინის ადგილზე და მისი ფიზიკური პოზიციის გათვალისწინებით სწორად აერჩიათ მთის სერის შესაბამისი ფოტოსურათი.

ამ პერიოდის ბავშვების აზროვნება ხასიათდება ცენტრაციითაც. ბავშვების აზროვნებას აქვს ცენტრირების ტენდენცია ობიექტის ან მოვლენის ერთ რომელიღაც ფიზიკრ თვისებაზე თუ განზომილებაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ არ აქვთ დეცენტრაციის უნარი. ბავშვს საგანი ეძლევა ერთი რომელიმე თვალში საცემი ნიშნით, ხოლო სხვები, ხშირად უფრო მნიშვნელოვანი ნიშნები, უყურადღებოდ რჩებიან. ეს დომინირებული ნიშანი კი მთელი საგნის მახასიათებლად იქცევა. ამ ასაკის ბავშვებს არ შეუძლიათ სიტუაციის რამდენიმე ასპექტის ერთდროულად ფიქსირება. მაგალითად, როდესაც პატარა ბავშვებს უჩვენებენ წითელი და ყვითელი ფერის ხის ბურთულებს და ეკითხებიან - წითელი ბურთულებია უფრო მეტი თუ ხის ბურთულები, ისინი სწორად ვერ პასუხობენ ამ კითხვაზე. მათ არ შეუძლიათ ერთდროულად გაითვალისწინონ ფერიც და უფრო

დიდი კატეგორიაც – მასალა, რომლისგანაც დამზადებულია ბურთულები. ესეც მუდმივობის ცნების უქონლობის ერთ-ერთი მიზეზია.

სპეციფიკურობით ხასიათდება ამ ასაკის ბავშვის მსჯელობაც. ის არც დედუქციურია და არც ინდუქციური. თუ პირველისათვის დამახასიათებელია დასკვნა ზოგადიდან კერძოსაკენ, ხოლო მეორისათვის კერძოდან ზოგადისაკენ, აქ ბავშვის მსჯელობა კერძოდან კერძოსკენ წარმოებს. ასეთ მსჯელობას პიაჟე **ტრანსდუქციურს** უწოდებს.

ბავშვის მსჯელობის მეორე თავისებურება არის მისი **სინკრეტულობა.** ბავშვი ერთიანი შთაბეჭდილების საფუძველზე ერთმანეთს უკავშირებს სრულიად სხვადასხვა, შინაგნად დაუკავშირებელ ელემენტებს. სინკრეტულ ხატს საფუძვლად უდევს ძირითადად ემოციური, გარეგანი კავშირები შთაბეჭდილებებს შორის. ამიტომაც ბავშვის მსჯელობა ხშირად მცდარია.

რაც შეეხება **დროის, სივრცის, მოვლენათა თანამიმდევრობის** ცოდნა-გაცნობიერებას, მართალია, 2-3 წლის ბავშვმა შეიძლება თქვას: შემდეგ, დღეს, ხვალ, გუშინ, შორს, შუადღით და ა.შ., რომლებიც მოწმობენ, რომ მას თითქოს ესმის წარმოთქმული ტერმინების შინაარსი, მაგრამ ეს ასე როდია. შუადღე მისთვის შეიძლება აღნიშნავდეს სადილის დროს. სადილის ორი საათით გადადების შემთხვევაშიც ეს მისთვის მაინც შუადღე იქნება. ამ ასაკის ბავშვებისათვის ძალიან ძნელია საათის, წუთის, კვირის და თვის ცნებების გააზრება. ასევე, მათ ცუდად ესმით მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები. ბავშვების მიერ წარმოთქმულ "იმიტომ, რომ"-ს არაფერი აქვს საერთო ამ სიტყვების უფროსის მიერ გაგებასთან, თუმცა ყოველივე ამის გაგება-გაცნობიერება იწყება სკოლამდელ ასაკში. იგივე შეიძლება ითქვას სივრცითი ურთიერთობების დაუფლების შესახებაც: ახლოს, შორს, შიგნით, გარეთ, მაღლა, დაბლა... ბავშვების მიერ

აითვისება საკუთარ სხეულთან ექსპერიმენტირების პროცესში (ბავშვები თვითონ ძვრებიან მაგიდის ქვეშ, ადიან სკამზე, ეცემიან დაბლა და ა.შ.). ამ საკითხებთან დაკავშირებით კრაიგი და ბოკუმი თავიანთ წიგნში იმოწმებენ ვეიკარტს, როჯერსს და სხვა ავტორებს 1971 წლის თარიღით (23, 336). საგულისხმოა, რომ სივრცის აღქმის ფაქტორების საკითხი ექსპერიმენტულად აქვს შესწავლილი რ.ნათაძესაც გაცილებით უფრო ადრე (10, 218-220; 26).

პიაჟეს მიხედვით, ოპერაციამდელი აზროვნების შეზღუდულობაზე კარგად მიუთითებს ბავშვებთან ინვარიანტულობის ანუ უცვლელობის, მუდმივობის ცნების უქონლობა. მუდმივობის თუ უცვლელობის ტერმინში იგულისხმება იმის გაცნობიერება, რომ მასალის ფორმის, გარეგნული იერ-სახის ცვლილება არ იწვევს მისი მოცულობის, მასის, რაოდენობის შეცვლას. ამ მოვლენას პიაჟე "შენახვის" კანონზომიერებას (შენახვის ცნებას) უწოდებს. იგი, როგორც ვთქვით, მიუწვდომელია ოპერაციამდელი აზროვნებისათვის, გაუგებარია ამ ასაკის ბავშვებისათვის. აღნიშნულის დასადასტურებლად შეიძლება გავიხსენოთ პიაჟეს კლასიკური ექსპერიმენტები, რომელთა შედეგები ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ცნობილია "პიაჟეს ფენომენების" სახელწოდებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის აზროვნების თავისებურებები და კერძოდ, ცნებების შემუშავება-დაუფლების საკითხი ამ ასაკში ნაკვლევი აქვთ უზნაძეს, ვიგოტსკის და სხვა ავტორებსაც (12; 21; 27). მაგრამ პიაჟეს ექსპერიმენტების სპეციფიკურობა იმაშია, რომ მან ბავშვის აზროვნებისა და მისი წარმოდგენების ბუნების შესასწავლად შეიმუშავა სრულიად ორიგინალური ამოცანები, რომლებზე გაცემული პასუხებიც ბავშვის წარმოდგენების ადექვატური დახასიათების შესაძლებლობას იძლევიან. ამ მეთოდიკით პიაჟემ დეტალურად შეისწავლა და

აღწერა საგნისა და საგანთა ერთობლიობის შესახებ ბავშვის მსჯელობის ისეთი შემთხვევები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ მას გარკვეულ ასაკამდე არ გააჩნია მუდმივობის პრინციპის წვდომის უნარი. ამ მეცნიერულად შესწავლილ და ახლა უტყუარ ფაქტად აღიარებულ მოვლენებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, "პიაჟეს ფენომენებს" უწოდებენ.

მაგალითად, **მოცულობის** მუდმივობის გაგების უნარის უქონლობა დასტურდება ასეთი ექსპერიმენტით: ბავშვს ჯერ უჩვენებენ ორ ერთნაირ ჭიქას, რომლებშიც ჩასხმულია ერთნაირი რაოდენობის წყალი (იხ. სურათი №1).

*სურათი №1*



კითხვაზე: "რომელიმე ჭიქაში მეტია, თუ ერთნაირია წყალი ჭიქებში?" ბავშვი დარწმუნებით აცხადებს: "ერთნაირია". შემდეგ ბავშვის თვალწინ ერთი ჭიქიდან წყალს გადაასხამენ უფრო ვიწროყელიან მაღალ ჭიქაში. ექსპერიმენტატორი ეკითხება ბავშვს: "ერთნაირია თუ არა წყალი ჭიქებში?". ბავშვები პასუხობენ, რომ არა. ზოგიერთი მათგანი აცხადებს კიდეც, რომ მაღალ ჭიქაში უფრო მეტი სითხეა. ნათელია, რომ აქ ბავშვის პასუხზე გავლენას ახდენს მისი აზროვნების ისეთი თვისება, როგორიცაა ცენტრაცია. ბავშვი ითვალისწინებს მხოლოდ ერთ განზომილებას, კერძოდ, წყლის სიმაღლეს და ვერ აცნობიერებს, რომ სიმაღლეში ცვლილება კომპენსირდება ჭიქის ნაკლები სიფართოვით. მისთვის ეს არის პერცეპტული და არა ლოგიკური ხასიათის პრობლემა. იგი ეყრდნობა საკუთარ თვალებსა

და ყურებს და არა აზროვნებას. აქ თავის როლს თამაშობს შეუქცევადობაც. ბავშვი თვლის, რომ შეუძლებელია სითხე მაღალი ჭიქიდან გადავასხათ უკანვე და იმავდროულად შევინარჩუნოთ მისი მოცულობა. აქაც შესამჩნევია ლოგიკური აზროვნების განუვითარებლობა.

**მასის** ინვარიანტულობის მოვლენის შესასწავლად ბავშვებს უტარებენ ასეთ ტესტირებას: ბავშვს აჩვენებენ პლასტელინის ორ ერთნაირ ბურთულას. შემდეგ ერთ-ერთ ბურთულას ბავშვის თვალწინ უცვლიან ფორმას. აგრძელებენ ძეხვივით, აბრტყელებენ ღვეზელივით და ა.შ. (იხ.სურ. №2). იმის მიხედვით, თუ რაზე მოხდება ბავშვის ყურადღების ცენტრაცია, ფორმაშეცვლილი ბურთულის სიგრძეზე შეჩერდება იგი თუ სიმაღლეზე, შესაბამისი იქნება მისი პასუხიც ეტალონური და ფორმაშეცვლილი პლასტელინების მასის შედარების მოთხოვნაზე. მაგალითად, თუ "მხედველობაში მიიღებს" ძეხვის ფორმის პლასტელინის სინგრძეს, იტყვის, რომ მასში მეტია პლასტელინი, თუ ბავშვის ყურადღება "მიეწებება" სიმაღლეს, შეუძლია თქვას, რომ მისი მასა ნაკლებია ეტალონურზე. აქაც ბავშვი აზროვნებს რა "აქ და ამჟამად" მოცემული სიტუაციის ფარგლებში, ვერ აცნობიერებს მოცემული პროცესის შექცევადობას.

*სურათი №2*



რაც შეეხება რაოდენობისა და რიცხვის ინვარიანტულობას, ეს საკითხიც დეტალურად აქვს შესწავლილი პიაჟეს და საერთოდ, საკითხი მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ანგარიშის სწავლებას დიდი დრო ეთმობა სკოლაში და მეორეც იმის გამო, რომ ციფრები და რიცხვები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თითოეული ადამიანის ცხოვრებაში (31). რაოდენობისა და რიცხვის მუდმივობაზე წარმოდგენის შესასწავლად ატარებენ ასეთ კლასიკურ პიაჟესეულ ექსპერიმენტს: დასაწყისში ექსპერიმენტატორი ბავშვის წინ დებს 12 შაქარყინულს, რომლებიც განლაგებულია 2 რიგად 6-6-ის რაოდენობით თითოეულ რიგში (იხ. სურ. №3).

*სურათი №3*



როგორც კი ბავშვი დაადასტურებს, რომ ორივე რიგში კანფეტების რაოდენობა თანაბარია, ექსპერიმენტატორი ამცირებს ერთი რიგის სიგრძეს (აჩოჩებს შაქარყინულებს ერთმანეთთან ახლოს). მეორე რიგიდან იღებს ერთ შაქარყინულს, მაგრამ დარჩენილ კანფეტებს შორის მანძილს ზრდის. თუ ბავშვისთვის მისაწვდომია რაოდენობის მუდმივობის ცნება, მან უნდა დაადასტუროს, რომ უფრო გრძელი რიგი, მისი განფენილობის მიუხედავად, შედგება ნაკლები რაოდენობის კანფეტებისაგან. 5-6 წლის ბავშვები კი, ამ რიგის მაცდუნებელი სიგრძის გამო,

ხშირად შედიან შეცდომაში და ამბობენ, რომ მასში მეტი შაქარ-ყინულია. კიდევ მეტი, არის შემთხვევები, როდესაც ბავშვი, რომელიც აკვირდება ყველა ამ ოპერაციას და რომელსაც ეუბნებიან, რომ შეუძლია შეჭამოს კანფეტი იმ რიგიდან, რომელშიც ისინი მეტია, იგი დაბეჯითებით "მუშაობს" გრძელ რიგთან, მიუხედავად იმისა, რომ იცის თვლაც.

რა შეიძლება ითქვას პიაჟეს ექსპერიმენტებისა და მისი "ფენომენების" შესახებ მათი შეფასების თვალსაზრისით? კრაიგი და ბოკუმი, მაგალითად, სხვა ავტორთა მონაცემებზე დაყრდნობით, ფიქრობენ, რომ ამ ექსპერიმენტებში ბავშვების კოგნიტური უნარები სათანადოდ არაა შეფასებული და გამოვლენილი, ვინაიდან ისინი არახელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული. თუ ამ ექსპერიმენტებს დავაყენებთ ისეთნაირად, რომ მათში გაჩნდება კონკრეტული აზრი ბავშვისათვის, პიაჟეს ამოცანები მისაწვდომი იქნება ოპერაციამდელი აზროვნებისათვისაც (უფრო პატარებისთვისაც). ხოლო ბევრ თავგზისამბნევ, დახლართულ, ბოლომდე გაუგებარ კითხვას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს მოზრდილი ადამიანიც კი. მაგალითად, ბავშვებს, რომლებიც ვერ წყვეტდნენ პიაჟეს ამოცანას მთების მაკეტით, ეკითხებოდნენ, თუ სად შეიძლება დაიმალოს ურჩი ბიჭი ისე, რომ ვერ მიაგნოს პოლიციელმა? 3 წლის ბავშვებიც კი მშვენივრად აგნებდნენ "ურჩი ბიჭის" პოზიციას. და ეს იმიტომ, რომ ყველა მათგანი თამაშობდა დამალობანას, თუმცა ექსპერიმენტში მონაწილე არცერთი ბავშვი არ დამალვია პოლიციელს.

ასევე, არის მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ოპერაციამდელები უკეთესად ართმევენ თავს სხვისი პოზიციის მიღების ამოცანას მისი გრძნობების გაგების თვალსაზრისით, ვიდრე ამას თვლიდა პიაჟე.

არიან ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბავშვის აზროვნების გაგების გასაღები – ეს არის ის, თუ რა იცის მან

მოვლენების შესახებ. პიაჟე კი უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა იმას, თუ რა არ იციან პატარებმა მაშინ, როდესაც ბავშვის ყოველდღიური გამოცდილება იძლევა საზრდოს მისი ფსიქიკური ცხოვრებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობებისათვის. პიაჟე პირდაპირ აცხადებს: "დიდი შეცდომაა ვიფიქროთ, რომ ბავშვი ეუფლება რიცხვის ცნებას და სხვა მათემატიკურ ცნებებს უშუალოდ სწავლებაში. პირიქით, იგი მნიშვნელოვანწილად ანვითარებს მათ დამოუკიდებლად და სპონტანურად. როდესაც უფროსები ცდილობენ ნაადრევად თავს მოახვიონ ბავშვს მათემატიკური ცნებები, იგი სწავლობს მათ მხოლოდ სიტყვიერად. ნამდვილი გაგება მოდის მხოლოდ მის გონებრივ ზრდასთან ერთად" (31, 121).

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოაღნიშნული ანგარიშგასაწევია, მაგრამ პიაჟეს კლასიკური ექსპერიმენტების შედეგებს ვერსად გავექცევით. მისი "ფენომენები" შესულია ფსიქოლოგიური მეცნიერების საგანძურში.

## შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობების კვლევის მეთოდი

**ექსპერიმენტის ჩატარების ზოგადი პრინციპი.** შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევის შესაძლებლობების შესასწავლად გავიმეორეთ ნ.ბარამიძის მიერ ადრე (1972-73 წლებში) ჩატარებული ექსპერიმენტი. იგი აგებულია ისე, რომ შესაძლებლობას აძლევს ცდის პირს თავისუფალი არჩევანის საუძველზე იმოქმედოს ერთ-ერთი მიმართულებით ორი განსხვავებული მიმართულებიდან, რომელთაგან ერთი შეესაბამება იმპულსური ხასიათის ახლო მოტივაციური ქცევის მიმართულებას, მეორე კი – ნებისყოფითი ბუნების შორეული მოტივაციური ქცევისას.იმის მიხედვით, თუ რომელს აირჩევს ც.პირი, რა

მიმართულებით მოქმედების გადაწყვეტილებას გამოიტანს იგი, შეინახავს თუ არა ამ გადაწყვეტილებას დროში და რამდენად მოახერხებს შემდეგში მის რეალიზებას, ჩვენ ვმსჯელობდით შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობაზე მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში და, საბოლოოდ, მოცემულ ასაკშიც.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შორეული მოტივაციური ბუნების ქცევა შეიძლება გამიზნული იყოს როგორც თვით ქცევის სუბიექტის მომავლისათვის, ისე სხვა სუბიექტის ინტერესებისათვისაც. ამჯერად ჩვენ მსჯელობა გვექნება აღნიშნული ქცევის შესაძლებლობაზე 4-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებთან იმ პირობებში, როდესაც ქცევის შედეგი პასუხობს თვით ამ ქცევის სუბიექტის მომავალს.

ცდის აღწერა. საბავშვო ბაღის აღსაზრდელის, ან პირველი კლასის მოსწავლის წინ მაგიდაზე დალაგებულია კანფეტები – ერთი ცალი ცალკე და ხუთი – ცალკე. ბავშვს ეძლევა ასეთი ინსტრუქცია: "აი, შენს წინ, მაგიდაზე დალაგებულია კანფეტები. ერთი ცალი ცალკე და ბევრი – ცალკე. ერთ ცალ კანფეტს მე ვიძლევი ახლა, ბევრს (ხუთს) კი – მხოლოდ სადილის (გაკვეთილების) შემდეგ (ცდები ტარდებოდა დილით). მე იმას მოგცემ, რომელსაც შენ აირჩევ და შეგიძლია შეჭამო იგი. მაგრამ იცოდე, რომ თუკი შენ ახლა წაიღებ ერთ კანფეტს, მაშინ სადილის (გაკვეთილების) შემდეგ ვერ მიიღებ ბევრს, ხოლო თუ ახლა არაფერს არ წაიღებ, მაშინ შეგიძლია ნასადილევს (თუ ცდის პირი მოსწავლეა, ვეუბნებით – გაკვეთილების შემდეგ) მოხვიდე ჩემთან, მე ვიქნები ამავე ოთახში და წაიღო ბევრი (5 ცალი) კანფეტი".

ასეთია ინსტრუქცია, რომელსაც ჩვენ რამოდენიმეჯერ ვუმეორებდით თითოეულ ბავშვს. როდესაც ბავშვი შეძლებდა მისი შინაარსის გადმოცემას, ე.ი. დავრწმუნდებოდით, რომ ბავშვმა კარგად გაიგო იგი, მხოლოდ მაშინ ვაძლევდით მას უფლებას

გამოეტანა გადაწყვეტილება, მოეხდინა მისთვის მიზანშეწონილი ქცევის არჩევანი. ინსტრუქციიდან გასაგებია, რომ ყველა ბავშვი როდი გამოდგებოდა ცდის პირად. კერძოდ, აზრი არ ჰქონდა ცდის ჩატარებას იმ ბავშვებზე, რომლებიც საერთოდ უარს აცხადებდნენ კანფეტების მიღებაზე, ან წინასწარ, სანამ ინსტრუქციას გავაცნობდით, ამბობდნენ, რომ მათთვის საკმარისი იყო ერთი ცალი კანფეტის ახლა მიღება. ცდებს ვატარებდით მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებიც გამოთქვამდნენ ბევრი კანფეტის მიღების სურვილს, რასაც ვავლენდით მათთან წინასწარი გასაუბრებით.

ისმება კითხვა: რა უფლება გვაქვს აღნიშნული ცდების საფუძველზე ვილაპარაკოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის - შორეული მოტივაციის, ე.ი. ისეთი მოტივაციის შესახებ, რომელიც ჩვენი გაგებით დამახასიათებელია მხოლოდ ნებისმიერი ქცევისათვის და ყოველთვის ნებისყოფის სუბიექტი რომ ახორციელებს? ვფიქრობთ, საქმის ვითარება აქ შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: მართალია, ზემოაღწერილ ცდებში ბავშვი ფაქტობრივად თავის აქტუალურ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს და ამ უკანასნელისაკენ მიმართული ქცევაც ჩვენს მიერ აღიარებულია, როგორც იმპულსური ქცევა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მოთხოვნილების დაკმაყოფილებამდე ბავშვი წყვეტს გარკვეულ ამოცანას. კერძოდ, ახლა დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება არასრულად, თუ შემდეგში უფრო სრულად? მოთხოვნილების იმპულსი, მისი ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ბავშვს უბიძგებს მოთხოვნილების დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება სწრაფად დაკმაყოფილებისაკენ. თუკი ბავშვმა მოახერხა ამ იმპულსის შეკავება, თუკი მან შეძლო უარის თქმა მოთხოვნილების ახლა, მაგრამ ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე შემდეგისათვის (მომავლისათვის) მისი უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვის ქცევა

განსაზღვრა გაცილებით მეტი ღირებულების მქონე შორეულმა მოტივმა, რომ მან მოახდინა შორეული მოტივაცია. ე.ი. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში ბავშვი მოქმედებდა, როგორც ნებისყოფის სუბიექტი. მაგრამ თუკი ბავშვი, მიუხედავად თავისი სურვილისა, ვერ გაექცა აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს, მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების შესაძლებლობის არსებობის მიუხედავად, მაინც მისი ნაწილობრივი, ოღონდ ახლა დაკმაყოფილება არჩია, ანდა ვერ შეასრულა ადრე მიღებული გადაწყვეტილება, მაშინ ყოველგვარი საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ მან ვერ მოახდინა შორეული მოტივაცია და იგი მოქმედებდა როგორც იმპულსური ხასიათის ახლო მოტივაციური ქცევის სუბიექტი.

შორეული მოტივაციური ქცევის ფსიქოლოგიური ბუნებისა და ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შორეულ მოტივაციასთან საქმე გვაქვს ყოველთვის, როდესაც: 1. ახლა უარს ვამბობთ შედარებით მცირე და ხანმოკლე სიამოვნებაზე მომავალში უფრო დიდი და ხანგრძლივი კმაყოფილების მიღების მიზნით; 2. ვასრულებთ ჩვენთვის არასასურველ მოქმედებას იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრების ხვალინდელი დღე, მომავალი გვქონდეს გარანტირებული. მაგალითად, თამაშსა და მიმზიდველ გართობაზე უარს ვამბობთ და მოცემულ მომენტში ნაკლებად სასიამოვნო სწავლის ან შრომის აქტებს ვახორციელებთ, რომ საზოგადოებრივი აღიარება მოვიპოვოთ და მომავალი ცხოვრების ბედნიერება უზრუნველვყოთ; 3. უარს ვამბობთ ისეთ საგანსა ან მოქმედებაზე, რომელიც პირად სიამოვნებას გვანიჭებს იმისათვის, რომ სხვებს, ჩვენი ოჯახის წევრებს, მეგობრებს, ჩვენს კოლექტივს თუ მთლიანად საზოგადოებას რაიმე სიკეთე მოვუტანოთ. შეიძლებოდა ამ ჩამონათვალის გაგრძელება, მაგრამ ვფიქრობთ, შორე-

ული მოტივაციური ქცევის განხორციელების შემთხვევები, პირობები და პრინციპები ჩვენთვის უკვე ნათელია.

## "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარისა და შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობების ექსპერიმენტული შესწავლის შედეგები 4-7 წლის ასაკში

ინტელექტუალური განვითარების პიაჟესეული კონცეფციის მიხედვით, ბავშვები საგანთა და მოვლენათა სხვადასხვა პარამეტრების (რაოდენობა, მოცულობა, მასა, წონა...) მუდმივობის შესახებ წარმოდგენებს (ცნებებს) ეუფლებიან სხვადასხვა ასაკში. ვინაიდან არსებული მონაცემებით ისინი ცნებებს მასისა და წონის მუდმივობის შესახებ წვდებიან გაცილებით უფრო გვიან (დაახლოებით 7 და 9 წლის ასაკში), ჩვენი საკითხი კი ეხებოდა ოპერაციამდელ სტადიას, კერძოდ, 4-დან 7 წლამდე ასაკს, ბუნებრივია, ჩვენ ძირითადი აქცენტი ავიღეთ რაოდენობისა და მოცულობის მუდმივობის უნარის ექსპერიმენტულ შესწავლაზე. ცდები ჩავატარეთ ზემოთ აღწერილი პიაჟესეული მეთოდების გამოყენებით, ოღონდ, რაოდენობასთან დაკავშირებულ ცდებში, შაქარყინულების (შაქარყინულის კოლოფების) ნაცვლად ექსპერიმენტულ მასალად გამოვიყენეთ ჩვეულებრივი სათამაშო ნარდის ქვები (6-6 ქვა თითოეულ რიგში). ამასთან, როდესაც ბავშვი დაადასტურებდა, რომ ორივე რიგში ქვების რაოდენობა ერთნაირია, თანაბარია, ჩვენ არაფერს ვაკლებდით, არ ვიღებდით ქვას ერთ-ერთი რიგიდან (როგორც ეს ზემოაღწერილ შემთხვევაშია), მაგრამ ქვებს შორის მანძილს ვზრდიდით და ასე ვაფასებინებდით ბავშვებს ნარდის ქვების რაოდენობას (ერთნაირი რაოდენობის ქვებს) განსხვავებული სიგრძის რიგებში.

ცდები ჩავატარეთ ბათუმის მე-8 და 25-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებზე და მე-6 სკოლის პირველი კლასის (6-7 წლის

ასაკის) მოსწავლეებზე. ცდებში მონაწილეობა მიიღო 4-დან 6 წლამდე ასაკის 58-მა აღსაზრდელმა და პირველი კლასის 26-მა მოსწავლემ. ცდები ტარდებოდა ინდივიდუალური წესით, დილის საათებში და მთავრდებოდა სადილამდე (გაკვეთილების გამოსვლამდე) დაახლოებით ერთი, ერთნახევარი საათით ადრე. ამასთანავე, ყოველი ცდის პირი მონაწილეობდა სამივე სერიის ცდებში, რომელთა ჩატარების თანამიმდევრობა ასეთი იყო: ჯერ ვატარებდით მოცულობის მუდმივობის შესახებ წარმოდგენის არსებობის გარკვევასთან დაკავშირებულ ცდას (ჭიქებისა და წყლის გამოყენებით), შემდეგ რაოდენობასთან დაკავშირებულ ცდას (ნარდის ქვების გამოყენებით) და ბოლოს შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებელობების შესასწავლად იგივე ბავშვს კანფეტების გამოყენებით ვაყენებდით არჩევანის თუ გარკვეული გადაწყვეტილების მიღების წინაშე, რომლის შედეგების გათვალისწინებით ვმსჯელობდით შესაბამის საკითხზე.

მართალია, ცდებში მონაწილეობდა 58 აღსაზრდელი, მაგრამ დაღლილობის, მხედველობის დეფექტების თუ სხვა მიზეზის გამო 5 ბავშვი ფაქტობრივად ვერ შევიდა ექსპერიმენტულ სიტუაციაში და, ბუნებრივია, ვერც რეალურ ცდის პირად მოგვეელინა, რაც ამ ბავშვებზე ჩატარებულმა დამატებითმა, ე.წ. საკონტროლო ცდებმაც დაგვიდასტურა.

როგორც ცხრილი №1 გვიჩვენებს, "პიაჟეს ფენომენებთან" დაკავშირებულ ცდებში მონაწილეობა აქვს მიღებული 4-დან 5 წლამდე ასაკის 26 ბავშვს (10 გოგო და 16 ბიჭი). ამათგან შორეული მოტივაციური ქცევის ცდები ჩატარებულია მხოლოდ 16 ბავშვზე (5 გოგო და 11 ბიჭი). სამივე სერიის ცდები ყველა ბავშვზე იმიტომ ვერ ჩავატარეთ, რომ III სერიაში ზოგიერთმა ბავშვმა საერთოდ უარი თქვა კანფეტების მიღებაზე ("არ მიყვარს", "ჩემთვის არ შეიძლება"-ს მოტივით), ზოგიერთი კი თავიდანვე (ინსტრუქციის გაცნობამდე) დაკმაყოფილდა ერთი ცალი კანფე-

## 4–5 წლიანები

*ცხრილი №1*

| ცა. № | ბიჭია თუ გოგონა? | "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის მდგომარეობა | | შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობანი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I სერია | II სერია | III სერია | | | |
| | | მოცულ. შემთხვ. | რაოდენ. შემთხვ. | გადაწყვეტილების მიხედვით | | შესრულების მიხედვით | |
| | | დაძლია-1 ვერ დაძლ. -0 | დაძლია-1 ვერ დაძლ.-0 | ახლო მოტივ. | შორ. მოტივ. | ახლო მოტივ. | შორ. მოტივ. |
| 1 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 2 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 3 | გოგო | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 4 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 5 | გოგო | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 6 | გოგო | 0 | 0 | | | | |
| 7 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 8 | გოგო | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 9 | გოგო | 0 | 0 | | | | |
| 10 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 11 | გოგო | 0 | 0 | | | | |
| 12 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 13 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 14 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 15 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 16 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 17 | გოგო | 0 | 0 | | | | |
| 18 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 19 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 20 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 21 | გოგო | 0 | 0 | | | | |
| 22 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 23 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 24 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 25 | გოგო | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 26 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ჯამი და % მაჩვენ. | | 0 | 0 | 11 (68,7%) | 5 (31,3%) | 4 (25,2%) | 1 (6,3%) |

ტის ახლა მიღებით. ამ სერიის ცდებს, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენ ვატარებდით მხოლოდ იმ ბავშვებზე, რომლებიც გამოთქვამდნენ ბევრი კანფეტის მიღების სურვილს, რასაც ვაელენდით მათთან წინასწარი გასაუბრებით.

ცხრილიდან ჩანს, რომ "პიაჟეს ფენომენები", როგორც მოცულობის, ისე რაოდენობის შემთხვევაში ვერ დაძლია 4-დან 5 წლამდე ასაკის ვერცერთმა ბავშვმა. ავტორის კონცეფციიდან გამომდინარე, ეს სავსებით მოსალოდნელი იყო. რაც შეეხება მესამე სერიის ცდების შედეგებს, ვინაიდან ცდის პირთა რაოდენობა 16-მდე შემცირდა და მათში გოგონებისა და ბიჭების რაოდენობაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობებზე ვიმსჯელოთ საერთო მონაცემების მიხედვით. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების სასარგებლოდ გადაწყვეტილება მიიღო 5-მა ცდის პირმა, ე.ი. ცდის პირთა საერთო რაოდენობის 31%-მა. თუ მიღებული გადაწყვეტილების შესრულების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბუნებრივია, 4-5 წლიანებს კიდევ უფრო გაუჭირდათ შორეული მოტივაციური, ანუ ნებისყოფითი ქცევის შესრულება. კერძოდ, მხოლოდ 1-მა ცდის პირმა (6%) შეძლო ასეთი ქცევის განხორციელება, ე.ი. სადილის მერე მოსვლა და ბევრის (ობიექტურად უფრო ღირებულის) მიღება.

ამრიგად, 4-5 წლიანებთან, როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე მისი შესრულების თვალსაზრისით ელემენტარული ხასიათის შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევის ერთგვარი შესაძლებლობები მაინც არსებობს, მაშინ, როდესაც "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარი საერთოდ არ აღმოაჩნდათ ამ ასაკის ბავშვებს.

ახლა გადავიდეთ 5-6 წლიანი ბავშვების მონაცემების ანალიზზე. როგორც, ცხრილი № 2 გვიჩენებს, პირველი და მეორე

## 5-6 წლიანები

*ცხრილი №2*

| ცპ. № | ბიჭია თუ გოგონა? | "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის მდგომარეობა | | შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობანი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I სერია | II სერია | III სერია | | | |
| | | მოცულ. შემთხვ. | რაოდენ. შემთხვ. | გადაწყვეტილების მიხედვით | | შესრულების მიხედვით | |
| | | დაძლია-1 ვერ დაძლ. -0 | დაძლია-1 ვერ დაძლ. -0 | ახლო მოტივ. | შორ. მოტივ. | ახლო მოტივ. | შორ. მოტივ. |
| 1 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 2 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 3 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 4 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 5 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 6 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 7 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 8 | გოგო | 0 | 0 | | | | |
| 9 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 10 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 11 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 12 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 13 | გოგო | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 14 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 15 | გოგო | 0 | 1 | | | | |
| 16 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 17 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 18 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 20 | გოგო | 0 | 0 | | | | |
| 21 | გოგო | 0 | 0 | | | | |
| 22 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 23 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 24 | ბიჭი | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 26 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 27 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ჯამი და % მაჩვენ. | | 1 | 2 | 11 (61%) | 7 (39%) | 11 (61%) | 7 (39%) |

სერიის ცდები ჩატარებულია სულ 27 აღსაზრდელზე (12 გოგო და 15 ბიჭი), მესამე სერიის ცდებში კი, ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, მონაწილეობა აქვს მიღებული მხოლოდ 18 აღსაზრდელს (8 გოგო და 10 ბიჭი). ამიტომ, ამჯერადაც უფრო მიზანშეწონილი იქნება საერთო სურათის გათვალისწინებით, ე.ი. ვაჟებისა და გოგონების მონაცემების დიფერენცირების გარეშე ვიმსჯელოთ როგორც "პიაჟეს ფენომენებთან", ისე შორეულ მოტივაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ცხრილიდან ჩანს, რომ "პიაჟეს ფენომენები" მოცულობის შემთხვევაში დაძლია 1-მა ცდის პირმა (3,7%), რაოდენობის შემთხვევაში კი – 2-მა (7,4%). რაც შეეხება შორეულ მოტივაციურ ქცევას, 4-5 წლიანებთან შედარებით, 5-6 წლის ასაკში შესამჩნევად გაზრდილია ასეთი ქცევის განხორციელების შესაძლებლობები. კერძოდ, 18 ცდის პირიდან შორეული მოტივაციური ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტილება მიიღო 7-მა ცდის პირმა, ანუ მათი საერთო რაოდენობის 39%-მა. საგულსხმოა, რომ გადაწყვეტილების შესრულების მიხედვითაც იგივე მონაცემები დადასტურდა, ე.ი. ფაქტობრივად, ყველა ცდის პირმა შეასრულა შორეული მოტივაციური ქცევის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება. ეს გარკვეული ეჭვის საფუძველს იძლევა ექსპერიმენტის ამ ნაწილის ორგანიზების თვალსაზრისით (შეიძლება ბავშვებმა ერთმანეთს შეახსენეს, ან დაინახეს, რომ სადილის შემდეგ მათი თანაჯგუფელი მიდიოდა ექსპერიმენტატორთან დანაპირები კანფეტის მისაღებად და დანარჩენებმაც იგივე გააკეთეს). ამიტომ, მეტი დამაჯერებლობისათვის საკმარისი იქნება, თუ შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობებზე ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვიმსჯელებთ მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით (გავიხსენოთ, რომ დ.უზნაძე გადაწყვეტილების მიღების აქტს ნებისყოფის არსად მიიჩნევდა (13).

აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართალია, 5-6 წლის ასაკში "პიაჟეს ფენომენები" დაძლია ორმა ბავშვმა, მაგრამ შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობები მრავალჯერ აღემატება "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარს.

რაც შეეხება 6-7 წლის ასაკის ბავშვებს, რომლებიც უკვე პირველი კლასის მოსწავლეები არიან, როგორც ცხრილიდან ჩანს, მოცულობის შემთხვევაში "პიაჟეს ფენომენები" ამჯერადაც (წინა ასაკის მსგავსად) დაძლია ერთმა ბავშვმა, რაოდენობის შემთხვევაში კი – ხუთმა, ე.ი. გაცილებით მეტმა, მაგრამ ცდის პირთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 19%-მა. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ოპერაციამდელი აზროვნებისათვის ძნელად მისაწვდომია (თითქმის მიუწვდომელია) ცნებები მოცულობისა და რაოდენობის ინვარიანტულობის (უცვლელობის) შესახებ.

შორეული მოტივაციური ქცევის უნარის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი ამ ასაკშიც ბევრად მაღალია "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარზე. გარდა ამისა, არ შეინიშნება რამდენადმე მნიშვნელოვანი კორელაცია შორეული მოტივაციური ქცევის განხორციელების შესაძლებლობებსა და "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარს შორის. ასე მაგალითად, რაოდენობის შემთხვევაში "ფენომენები" 26 ცდის პირიდან დაძლია 5-მა ცდის პირმა, მაგრამ მათგან შორეული მოტივაციური ქცევა განახორციელა მხოლოდ 1-მა ბავშვმა, რაც შემთხვევითობას უფრო მიეწერება, ვიდრე რაიმე კანონზომიერებას.

რაც შეეხება სასკოლო სწავლების როლს ჩვენთვის საინტერესო უნარების განვითარებაში და ამასთან დაკავშირებულ რაიმე სპეციფიკურობას საკითხის შესწავლაში, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლა არა მარტო ინტელექტუალური ქცევაა, არამედ შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე

## 6 – 7 წ ლ ი ა ნ ე ბ ი

*ცხრილი №3*

| ც.პ. № | ბიჭია თუ გოგონა? | "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის მდგომარეობა | | შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობანი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I სერია | II სერია | III ს ე რ ი ა | | | |
| | | მოცულ. შემთხვ. | რაოდენ. შემთხვ. | გადაწყვეტილე-ბის მიხედვით | | შესრულების მიხედვით | |
| | | დაძლია-1 ვერ დაძლ. -0 | დაძლია-1 ვერ დაძლ. -0 | ახლო მოტივ. | შორ. მოტივ. | ახლო მოტივ. | შორ. მოტივ. |
| 1 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 2 | ბიჭი | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 3 | გოგო | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 4 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 5 | გოგო | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 6 | გოგო | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 7 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 8 | გოგო | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 9 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 10 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 11 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 12 | ბიჭი | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 13 | ბიჭი | 0 | 1 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 14 | ბიჭი | 0 | 0 | | | | |
| 15 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 |
| 16 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 17 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 18 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 19 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 20 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 21 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 22 | ბიჭი | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| 23 | ბიჭი | 1 | 1 | | | | |
| 24 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 25 | გოგო | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 26 | ბიჭი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ჯამი და % მაჩვენ. | | 1 3,8% | 5 (19,2%) | 14 (58%) | 10 (42%) | 3 (70%) | 7 (30%) |

ნებისყოფითი ქცევაცაა (2). ამიტომ, თუ ვილაპარაკებთ სწავლის მეტ-ნაკლებად დადებით გავლენაზე "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარზე, იგივე შეიძლებოდა გვეთქვა მისი გავლენის შესახებ ნებისყოფის განვითარებაზეც. ასე რომ, სკოლაში შესვლით ფაქტობრივად იცვლება ბავშვის მთელი ფსიქიკის განვითარების პირობები და არა მისი რომელიმე მხარისა თუ რომელიმე ფსიქიკური ფუნქციისა. ამიტომ, ასეთ ვითარებაშიც, ცხადია, საკსებით ბუნებრივია და გამართლებული შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარის შედარებითი დახასიათება მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე.

## დასკვნა

ჩვენს მიერ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები იმას გვეუბნება, რომ "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარსა და შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობებს შორის არ შეინიშნება არავითარი დადებითი კორელაცია. ე.ი. ალბათობა იმისა, რომ ვინც დაძლევს "პიაჟეს ფენომენებს", წარმატებით შეასრულებს შორეულ მოტივაციურ ქცევასაც (ან პირიქით), ფაქტობრივად არ არსებობს. აბსოლუტური მაჩვენებლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ოპერაციამდელ სტადიაში, კერძოდ, 4-დან 7 წლამდე ასაკში, შორეული მოტივაციური ქცევის უნარი შეუდარებლად უფრო მაღალი აღმოაჩნდათ ბავშვებს, ვიდრე "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარი.

ვინაიდან "პიაჟეს ფენომენების" დაძლევა უშუალო კავშირშია ინტელექტთან, შორეული მოტივაციური ქცევა კი – ნებისყოფასთან, ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემების განზოგადების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 4-დან 7 წლამდე ასაკში ინტელექტის განვითარების დონე ბევრად ჩამორჩება

ნებისყოფის განვითარების დონეს, რომ 6 წლიანები თავიანთი პასუხისმგებლობის გრძნობითა და სოციალურ-პიროვნული ნიშნით უფრო მზად არიან სკოლისათვის, ვიდრე ინტელექტუალური განვითარების ასპექტით (?!).

რა შეიძლება ითქვას ჩვენი ექსპერიმენტებიდან გამომდინარე ასეთი, საკმაოდ მოულოდნელი დასკვნის შესახებ? პირველ რიგში ის, რომ იგი ეწინააღმდეგება ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში (და არა მხოლოდ მეცნიერებაში) დამკვიდრებულ შეხედულებას აღნიშნული საკითხის შესახებ. დღეს, ექსპერიმენტული გამოკვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე არავის ეეჭვება, რომ ჩვენი ბავშვები ინტელექტუალურად უფრო მომზადებულნი არიან, რომ აქსელერაცია უპირველეს ყოვლისა შეეხო სწორედ მათი გონებრივი განვითარების სფეროს (6; 11; 19; 7; 5), რომ ნებისყოფის განვითარება შესამჩნევად ჩამორჩება მოზარდების ინტელექტუალურ განვითარებას.

რაც შეეხება აქსელერაციას ნებისყოფის განვითარების სფეროში, გარდა კარგად ცნობილი თეორიული მოსაზრებებისა და სხვა მიზანდასახულობასთან დაკავშირებით მიღებული ზოგიერთი ექსპერიმენტული მონაცემისა (19; 22), თუ შორეული მოტივაციური ქცევის უნარის მიხედვითაც ვიმსჯელებთ, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი ავტორის (ნ.ბარამიძე) მიერ (2, 60-67) 32 წლის წინათ ჩატარებული ცდების შედეგების შედარება ზემოთ მოტანილ შედეგებთან თვალსაჩინოდ ადასტურებს, რომ არავითარ აქსელერაციას ამ სფეროში არ აქვს ადგილი. პირიქით, ნებისყოფის განვითარებაში თავი იჩინა აქსელერაციის საწინააღმდეგო ტენდენციამ – **რეტარდაციამ**. ნებისმიერი ძალისხმევის უნარი უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე შესამჩნევად დაქვეითდა. ყოველივე ეს იმას გვეუბნება, რომ დღეს ჩვენი ბავშვები ინტელექტუალურად უფრო განვითარებულები არიან, ვიდრე სოციალურ-პიროვნულად.

მაშინ როგორღა უნდა აიხსნას ზემოთ აღწერილ ექსპერიმენტებში მიღებული საწინააღმდეგო შედეგები? ჩვენი მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით ასეთია:

1. გასარკვევია, ჩავაყენეთ თუ არა ჩვენი ცდის პირები სხვადასხვა სერიის ცდებში ტოლძალოვანი (ერთნაირი სირთულის) ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვები შორეული მოტივაციური ქცევის ცდებში უფრო მარტივი ამოცანის წინაშე იდგნენ, ვიდრე "პიაჟეს ფენომენებთან" დაკავშირებულ ცდებში? იქნებ ამიტომაც გამოავლინეს მათ უფრო მეტი ნებისყოფა, ვიდრე ინტელექტუალური შესაძლებლობები;

2. შეიძლება პიაჟეს ექსპერიმენტებში ბავშვები მართლაც არახელსაყრელ პირობებშია ჩაყენებული? დასმული კითხვებიც (ამოცანები) თავგზისამბნევი, ბუნდოვანი და გაუგებარი ხომ არაა მათთვის? გავიხსენოთ თუნდაც 3 წლის ბავშვების მიერ „ურჩი ბიჭის" პოზიციის წარმატებული მიგნების მაგალითი განსხვავებულ (უფრო ხელსაყრელ) სიტუაციაში.

3. თუ დავუშვებთ, ან მივაღწევთ, რომ შორეული მოტივაციური, ანუ ნებისყოფითი ქცევის შესრულებისა და "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარის განმსაზღვრელი ამოცანები ერთნაირი სირთულისაა (რასაც დამატებითი შესწავლა და გარკვევა სჭირდება), მაშინ გამოდის, რომ ინტელექტის განვითარება, გარდა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტორებისა, უფრო ასაკის ფუნქცია ყოფილა, ვიდრე ნებისყოფის განვითარება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ინტელექტუალური ნასახებით უფრო იბადებიან, ვიდრე "ნებისყოფითი მონაცემებით". ასეთ შემთხვევაში ჩვენი ექსპერიმენტები კიდევ უფრო გაამყარებენ (დღესდღეობით კი სწორედ ასე უნდა ვიფიქროთ) პიაჟეს შეხედულებას იმის შესახებ, რომ ინტელექტუალური განვითარების მისეული სტადიები თითქმის არ იცვლებიან, ძნელად ექვემდე-

ბარებიან სწავლება-ზემოქმედებას. ბავშვის გონებრივი განვითარება მიმდინარეობს სპონტანურად, თავისი შინაგანი კანონზომიერებით და ეს სტადიებიც თავს იჩენენ მხოლოდ გარკვეულ ასაკობრივ საფეხურზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული, ვფიქრობთ, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანის ინტელექტი და ნებისყოფა ფილოგენეზურად თუმცა საერთო, მაგრამ საბოლოოდ მაინც საკუთარი ძირებიდან მოდიან, რომ ინტელექტის განვითარებასა და ნებისყოფის განვითარებას თავისი სპეციფიკური გზები გაჩნია. ეს გზები, მართალია, არ უპირისპირდება, მაგრამ არც ემთხვევა ერთმანეთს. როგორც ვხედავთ, ჩვენი ექსპერიმენტული მონაცემებიც თავისებურად ადასტურებენ შ.ჩხარტიშვილის ორიგინალური შეხედულების მართებულობას ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ (16; 17). ადამიანის ცხოვრების, მისი პრაქტიკული თუ შემოქმედებითი საქმიანობის პროცესში ინტელექტი და ნებისყოფა ავსებენ ერთმანეთს და ერთობლივად, ოღონდ საკუთარი, ე.ი. განსხვავებული გზებითა და მახასიათებლებით ემსახურებიან ერთ საერთო საქმეს, რასაც ფართო გაგებით (და პიაჟეს ტერმინოლოგიით) გარემოსადმი ადაპტაცია შეიძლება ვუწოდოთ.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება მიღებულ ექსპერიმენტულ მონაცემებთან დაკავშირებით. თუმცა, ჩვენ კარგად ვიცით, რომ ინტელექტუალური განვითარების პიაჟესეული სტადიების შესახებ არსებობს განსხვავებული შეხედულებაც (გალპერინი, ელკონინი, დავიდოვი - 1, 28). მით უფრო საინტერესოდ გვეჩვენება ჩვენ მომავალში შესასრულებელი სამუშაო დასმული საკითხების გარკვევა-დაზუსტების მიმართულებით. წინამდებარე ნაშრომი კი შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარის მიმართების შესწავლის ჩვენეული პირველი ცდის (4) ერთგვარ გაგრძელებად გვესახება.

ლიტერატურა:


1. ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგია, თბ., 1977.
2. ნ.ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათ., 1995.
3. ნ.ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევის ფსიქოლოგიური თავისებურებები, ჟ. "მაცნე", №1, 1973.
4. ნ.ბარამიძე, ც.ტუღუში, შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და "პიაჟეს ფენომენების" დაძლევის უნარის მიმართებისათვის სკოლამდელ ასაკში, ბათ., 2005.
5. თ.გოგიჩაიშვილი, მოსწავლის ასაკობრივი ფსიქოლოგია, თბ., 2001.
6. მ.ზარანდია, ბავშვის განვითარების აქსელერაციის კანონზომიერებანი, თბ., 1985.
7. ი. კეჭაყმაძე, აქსელერაცია და ექვსწლიანთა სწავლების ზოგიერთი საკითხი, ბათ. 1979.
8. ი.კოტეტიშვილი, სიმბოლური ფუნქციის განვითარებისათვის სკოლამდელ ასაკში, ბავშვის ფსიქოლოგია (სკოლამდელი ასაკი), თბ., 1964.
9. ნ.მშვენიერაძე, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თბ., 2005.
10. რ.ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1977.
11. პედაგოგიური ფსიქოლოგია, ნაწილი I, თბ., 1975.
12. დ. უზნაძე, შრომები, ტ.1, თბ., 1956.
13. დ.უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998.
14. დ.უზნაძე, ფილოსოფიური შრომები, ტ. I, თბ., 1984.
15. მ.ყოლბაია, ბავშვის ფსიქოლოგია, თბ., 1998.
16. შ.ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958.
17. შ.ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974.
18. შ.ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ. 1975.

19. შ.ჩხარტიშვილი, ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები, თბ. 1980.
20. В.Г.Асеев, Мотивация поведения и формирование личности, М., 1976.
21. Л.С.Выготский, Избранные психологические произведения, М., 1956.
22. И.В.Имедадзе, Изучение мотивационно-волевой готовности шестилеток к школьному обучению, канд. диссертация, Тб., 1978.
23. Грейс Краиг, Дон Бокум, Психология развития, М., 2004.
24. А.Н.Леонтьев, Психическое развитие ребенка в дошкольном возрасте, Вопросы психологии ребенка дошкольного возраста. Изд. АПН РСФСР, М.-Л., 1948.
25. А.Н.Леонтьев, Проблемы развития психики, М., 1972.
26. Р.Натадзе, О факторах восприятия направлений пространства, Сб. доклады на совещании по вопросам психологии, М., 1954.
27. Р.Г.Натадзе, К онтогенезу формирования понятия, Тб., 1976.
28. Р.С.Немов, Психология, кн.2, М., 1998.
29. В.С.Мерлин, Лекции по психологии мотивов человека, Пермь, 1971.
30. Жан Пиаже, Избранные психологические произведения, М., 1967.
31. Жан Пиаже, Как дети образуют математические понятия, ж. "Вопросы психологии", 1966, №4.
32. Дж. Флейвел, Генетическая психология Жана Пиаже, М., 1967.

## დიმიტრი უზნაძე და შალვა ჩხარტიშვილი – ნებისყოფის ორიგინალური თეორიის ავტორები

ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნებისა და ადამიანის სულიერ სამყაროში მისი ადგილის გარკვევის საკითხი კვლავაც აქტუალურ ამოცანად რჩება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ უკანასკნელ პერიოდში გამოცემულ სპეციალურ ნაშრომებში ისევ აზრთა დიდი სხვადასხვაობა შეინიშნება (1, 11-35), ხოლო ფსიქოლოგიის ზოგიერთ სახელმძღვანელოში საერთოდ არ განიხილება ნებისყოფის პრობლემატიკა, რაც ტრადიციულად განსაკუთრებით დამახასიათებელია ამერიკისა და დასავლეთის ფსიქოლოგიისათვის. სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია დაფიქსირდა ჩვენს სინამდვილეშიც. მაგალითად, ი. იმედაძის რედაქტორობით ახლებურად შედგენილ „ფსიქოლოგიის საფუძვლებში" (2) რატომღაც გაურბიან ნებისყოფის თითქოსდა „მისტიკურ" და „ამოუცნობ" უნარზე საგანგებო მსჯელობას. და ეს მაშინ, როდესაც ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ამ უნარის საკუთარი ბუნების ნათელსაყოფად ყველაზე მეტი გააკეთეს და ორიგინალური მოსაზრებებიც შემოგვთავაზეს ქართველმა ფსიქოლოგებმა: დ. უზნაძემ, განსაკუთრებით კი – შ. ჩხარტიშვილმა.

ნებისყოფის ფსიქოლოგიური კატეგორიის ეჭვის ქვეშ დაყენება ძალიან წამგებიანი იქნებოდა განწყობის თეორიისთვისაც, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ჩვენ უარი უნდა გვეთქვა ობიექტივაციის დონეზე შემუშავებული განწყობის აქტუალურ განწყობად გადაქცევის უზნაძისეულ მოდელზეც.

ქვემოთ ჩვენ დავალაგებთ დ.უზნაძისა და შ.ჩხარტიშვილის შეხედულებებს ნებისყოფის შესახებ. შემდეგ კი შეეცდებით ვაჩვენოთ, რომ ისინი ფაქტობრივად ავსებენ ერთმა-

ნეთს და ქმნიან ერთ მწყობრ შეხედულებას ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნებისა და მისი განსაკუთრებული ადგილის შესახებ ადამიანის ქცევაში.

დ. უზნაძე ნებისყოფის პრობლემას იხილავს განწყობის თეორიის პოზიციებიდან და ამ თეორიისვე საფუძველზე იძლევა მის გადაწყვეტას.

აღნიშნული თეორიის მიხედვით, ადამიანის ყოველგვარ ქცევას საფუძვლად უდევს განწყობა. ამ მხრივ იმპულსურ და ნებისმიერ ქცევას შორის არ არის არავითარი განსხვავება. ქცევის ამ ორი ძირითადი ფორმის განმასხვავებელი თავისებურება მათ საფუძვლად მდებარე განწყობების განმსაზღვრელი ფაქტორების სხვადასხვაობაში მდგომარეობს.

კერძოდ, იმპულსური ქცევის შემთხვევაში განწყობის შემუშავებას განსაზღვრავს აქტუალური მოთხოვნილება და აქტუალური სიტუაცია, ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში კი განწყობა იქმნება „მე"-ს მაღალი მოთხოვნილებისა და წარმოსახული ან აზრითი სიტუაციის საფუძველზე. ე.ი. ნებისმიერი მოქმედების განწყობა აზროვნების დონეზე, ობიექტივაციის პლანში შექმნილი განწყობაა. ნებისყოფის პირველი საჭიროებაც სწორედ აქ იჩენს თავს. „ნებისყოფის უშუალო ამოცანას სწორედ ეს საქმე შეადგენს — მეორე პლანზე (ე. ი. ობიექტივაციის დონეზე — ნ. ბ.) შემუშავებული განწყობა აქტუალურ განწყობად გადააქციოს, რათა იგი ნამდვილ ძალად იქნეს განცდილი, ძალად, რომელიც სუბიექტის ქცევას წარმართავს" (3, 164) — წერს დ. უზნაძე. როგორც ვხედავთ, მე-ს მაღალი მოთხოვნილებისა და წარმოსახული სიტუაციის საფუძველზე შემუშავებული განწყობა საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ქცევა გაშლილიყო. საამისოდ, დამატებით საჭირო შეიქმნა ნებისყოფის ჩარევა. ისმება კითხვა: რამ გამოიწვია საქმის აღნიშნული ვითარება? რა-

ტომ ვერ უზრუნველყო განწყობამ ქცევის შესაბამისი ძიმართულებით წარმართვა? საქმე იმაშია, რომ ადამიანის მაღალი მოთხოვნილებები, რომელთა საფუძველზეც ობიექტივაციის პლანში იქმნება ნებისმიერი მოქმედების განწყობა, დ. უზნაძის მიერ გამოცხადებულია არაქმედით მოთხოვნილებებად. მათ არ შესწევთ ძალა მომენტის აქტუალური მოთხოვნილებების მსგავსად უშუალოდ მოქმედებაში გადავიდნენ. ამ მოთხოვნილებათა არამოქმედი, არააქტუალური ბუნების გამო მოქმედების განწყობა უშუალოდ მათ საფუძველზე ვერ აღმოცენდება. საჭიროა სუბიექტმა მე-ს არააქტუალურ მოთხოვნილებებზე დაყრდნობით გამოიტანოს სათანადო გადაწყვეტილება, ე.ი. ნებისყოფის სპეციფიკურ აქტს მიმართოს, რომ მას მოქმედების განწყობა შეუმუშავდეს.

რა განსაზღვრავს სუბიექტის გადაწყვეტილებას? როგორია გადაწყვეტის აქტის წინაპერიოდი? დ. უზნაძის მიხედვით, გადაწყვეტის ყოველ აქტს წინ უსწრებს ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი საკმაოდ რთული ინტელექტუალური პროცესის სახით. სანამ სუბიექტი თავის მე-სთვის ყველაზე შესაფერის ქცევის სახეობას მონახავს, იგი ითვალისწინებს ყველა შესაძლებლობას, მსჯელობს თითოეული შესაძლო აქტის მიზანშეწონილობის შესახებ და ბოლოს, ერთერთზე ჩერდება. მაგრამ აზროვნების პროცესის წარმატებით დასრულება ჯერ კიდევ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მოხდება შესატყვისი ნებელობის აქტიც. „ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ნებელობასა და აზროვნებას შორის არავითარი განსხვავება არ იქნებოდა: მაშინ საკითხის ინტელექტუალურად გადაჭრისა და ვოლიტურად გადაწყვეტის აქტი ერთმანეთს უნდა დამთხვეოდნენ“ — ამბობს დ.უზნაძე. ამრიგად, გადაწყვეტის აქტისათვის არ არის საკმარისი ინ-

ტელექტუალური პროცესი. მას ჯერ კიდევ თავისი სპეციფიკური საფუძველი ესაჭიროება. ასეთ საფუძველს ფსიქოლოგიაში მოტივს უწოდებენ. მაშასადამე, გადაწყვეტის აქტი მოტივს ემყარება. მოტივი გაცნობიერებაა იმ ღირებულების უპირატესობისა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩემთვის და, ამ აზრით, იგი ერთ-ერთი მათგანის გამართლებაა. ფსიქოლოგიურ აზრსა და მნიშვნელობას ქცევას მოტივი აძლევს. სწორედ იგი ხდის ამა თუ იმ ფიზიკურ ქცევას გარკვეულ ფსიქიკურ ქცევად. ნებისმიერი ქცევა არსებითად მოტივის საფუძველზე ხდება შესაძლებელი. მოტივით განსაზღვრული ნებისყოფა ადამიანს ხშირად ისეთ ქცევას ჩაადენინებს, რომელიც სრულიად არ არის მისთვის მიმზიდველი და შესაძლოა ეწინააღმდეგება კიდეც მის უშუალო მოთხოვნილებებს. „ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილებების იმპულსი კი არ არის მოქმედების, ქცევის წყარო, არამედ სულ სხვა რამ, რაც შეიძლება ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს კიდეც მას“ (4, 179) – წერს დ. უზნაძე.

რას ემყარება ნებისყოფის მოტივი? რა საფუძვლები გააჩნია მას? ამ საკითხზე პასუხის გასაცემად დ. უზნაძე განიხილავს ადამიანის მოთხოვნილებათა სისტემას და ამბობს, რომ გარდა აქტუალურად მოქმედი მოთხოვნილებებისა, ადამიანისათვის დამახასიათებელია მაღალი, ზოგადი, ე. წ. „განყენებული“ მოთხოვნილებები. ეს უკანასკნელები დაკავშირებული არ არიან რომელიმე კონკრეტულ სიტუაციასთან, მაგრამ მათ ყოველ შესაძლო კერძო მომენტში აქვთ ძალა. ასეთია, პირველ რიგში, ადამიანის მორალური, ინტელექტუალური, ესთეტიკური მოთხოვნილებები. მაგრამ კაცობრიობის საზოგადოებრივ-ისტორიული განვითარების შედეგად მოთხოვნილებებმა ისეთი მოდიფიკაცია განიცადეს, რომ თვით ვიტალური მოთხოვნილებანიც კი მე-ს განყენე-

ბულ მოთხოვნილებათა წრეში შემოვიდნენ. მაგალითად, მშიერი ადამიანი ყველაფერს კი არ ჭამს, რაც ხელთ აქვს, არამედ მხედველობაში ღებულობს, რომ ეს მოთხოვნილება მას მომავალშიც ექნება და თავის დღევანდელ შიმშილს ამის მიხედვით იკმაყოფილებს. ე. ი. ადამიანი თავის ვიტალურ მოთხოვნილებას მე-ს მოთხოვნილების ანალოგიურად ეპყრობა და მისი დაკმაყოფილების დროს ამ უკანასკნელით ხელმძღვანელობს. ნებისმიერი ქცევის მოტივი, დ. უზნაძის აზრით, სწორედ ასეთ „განყენებულ" მოთხოვნილებებს ემყარება, ამ მოთხოვნილებებშია მოტივის საფუძველი, ეს არის მისი საბოლოო დასაყრდენი.

ამრიგად, დ. უზნაძის მიერ შემუშავებული კონცეფციის თანახმად ადამიანის ნებისმიერ ქცევას საფუძვლად უდევს განწყობა, რომელიც შექმნილია პიროვნების ზოგადი, „განყენებული" მოთხოვნილებებისა და სიტუაციის ნებისმიერი წარმოსახვის ერთიანობის საფუძველზე.

იხილავს რა ნებისყოფის პროცესის სამივე პერიოდს, ე.ი. გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდს, თვითონ გადაწყვეტილების პერიოდს და გადაწყვეტილების შესრულების პერიოდს, დ.უზნაძე ამბობს, რომ ნებისყოფის სპეციფიკური თავისებურების წვდომისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონეა მხოლოდ საკუთრივ გადაწყვეტილების პერიოდი. სწორედ ამ პერიოდში იჩენს თავს ნებისყოფის შინაგანი ბუნება, მისი არსი. ხოლო რაც შეეხება შესრულების პერიოდს, თვითონ მოქმედებას, იგი აქტივობის სხვა შემთხვევებშიც გვხვდება და ამდენად, ნებისყოფისათვის პირველხარისხოვან მოვლენას არ წარმოადგენს. მართლაც, მოქმედებასა თუ ქცევაში, არ ჩანს ქცევის შინაარსი, მისი ფსიქოლოგიური აგებულება, მოქმედებას არაფერში ეტყობა იმპულსურია იგი, თუ ნებისმიერი. როგორი ძნელიც არ

უნდა იყოს მოქმედების შესრულება, რა დაბრკოლებებიც არ უნდა ხვდებოდეს მას, სულ ერთია, ამით მოქმედება სრულიადაც არ იძენს ნებისმიერი ქცევის დამასახიათებელ თავისებურებას. ამის გამო ნებისყოფა აბსოლუტურად თავისუფალია ყოველგვარი ძალისხმევის მომენტისაგან, რომელიც მხოლოდ მოქმედების შესრულების პროცესში დასტურდება. ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ბუნებაზე მიუთითებს არა დაძაბულობისა და ძალისხმევის მომენტი, არამედ „მე მინდა" განცდა, როგორც სუბიექტის თვითაქტივობისა და მომავალი მოქმედებისადმი დამოკიდებულების განცდა.

ასეთია, მოკლედ, დ. უზნაძის მიერ დამუშავებული ნებისყოფის თეორია. რა შეიძლება ითქვას ამ თეორიის შესახებ?

პირველი, რაც იმთავითვე უნდა აღინიშნოს, არის ნებისყოფის აქტის მოტივით განსაზღვრულობის აღიარება. ნებისმიერი ქცევა დამოკიდებულია მოტივზე, ეს უკანასკნელი აძლევს ქცევას ფსიქოლოგიურ აზრსა და ღირებულებას. ყოველი კონკრეტული ქცევა მხოლოდ გარკვეულ მოტივს უკავშირდება. შეუძლებელია ერთი რომელიმე ქცევის პირობებში მოტივთა ბრძოლის შესახებ ვილაპარაკოთ, რადგან, ფსიქოლოგიურად იმდენი ქცევაა, რამდენი მოტივიც არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთსა და იმავე ქცევას ფსიქოლოგიურად მხოლოდ ერთი მოტივი შეიძლება ჰქონდეს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია იმპულსური და ნებისმიერი ქცევის ავტორისეული გამიჯვნის წესი. განსხვავებით იმპულსური ქცევისაგან „ნებელობის შემთხვევაში აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი არასდროს მოქმედებას არ იწვევს: ნებისმიერი ქცევა არასდროს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს არ ეყრდ-

ნობა“ (3, 164), ნებისმიერი ქცევის განწყობა ყოველთვის „მე“-სა და ქცევის ობიექტივაციის საფუძველზე იქმნება და შემდეგ ხდება მისი რეალიზაცია.

უნდა ითქვას, რომ ბევრი ღირსების მიუხედავად, დ. უზნაძის შეხედულებას ზოგიერთი ძნელად გასაზიარებელი ადგილიც გააჩნია. ამის შესახებ თავიანთი მოსაზრებები გამოთქმული აქვთ რ. ნათაძეს, შ. ჩხარტიშვილს, ვ. კაკაბაძეს და სხვებს. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მათი გაცნობაც.

დ. უზნაძის თეორიის მიხედვით ჯერ აღიარებულია, რომ ნებისყოფა დამოკიდებულია მოტივზე, ხოლო შემდეგ, მოტივის განმსაზღვრელი ზოგადი მოთხოვნილებები გამოცხადებულია ძალასა და ქმედითობას მოკლებულად. უარყოფილია ამ მოთხოვნილებების აქტუალური ხასიათი ადამიანის ნებისმიერი ჩარევისაგან დამოუკიდებლად. გაუგებარია, თუ ნებისმიერი მოქმედება საბოლოო შედეგში ზოგად მოთხოვნილებებს ემყარება, როგორ ასრულებენ ეს უკანასკნელები მოქმედების „ძრავის“ როლს მამოძრავებელი ძალის გარეშე? ანდა, შეიძლება საერთოდ, ვილაპარაკოთ მოთხოვნილებაზე, რომელიც არაა აქტუალური? მოთხოვნილება, როგორც რაიმეს დანაკლისი, ყოველთვის აქტუალურად განიცდება ადამიანის მიერ და საკუთარ თავში შეიცავს სწრაფვას თავისი დაკმაყოფილებისაკენ. მოთხოვნილება, მაღალი, ზოგადი იქნება თუ დაბალი, კონკრეტული, სულ ერთია, იგი ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სრულიად გარკვეული პროცესია და ყოველგვარი გარეგანი იძულების გარეშე თვითონ იძლევა მოქმედების იმპულსს. მოთხოვნილება, რომელსაც რაიმე იმპულსი არ გააჩნია, არაა მოთხოვნილება: არც განყენებული და არც კონკრეტული. მოთხოვნილება თუ არსებობს, იგი უეჭველად აქტუალურია.

არააქტუალური მოთხოვნილება საერთოდ არ არსებობს (შ. ჩხარტიშვილი). „სრული უარყოფა ამ (მაღალ — ნ. ბ.) მოთხოვნილებათა „მამოძრავებელი ძალისა“ ადამიანის მოქმედების მიმართ, უპირველეს ყოვლისა, თვით მოთხოვნილების ცნებას ეწინააღმდეგება“ (5, 483) — ამბობს რ. ნათაძე.

ამრიგად, ირკვევა, რომ მოთხოვნილება ყოველთვის აქტუალურია და მას კონკრეტული მოცემულობა გააჩნია. მაღალი, ზოგადი მოთხოვნილებებიც მხოლოდ კონკრეტული პიროვნების მოთხოვნილებები არიან და კონკრეტულ სიტუაციაში აღმოცენდებიან. მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ, დ. უზნაძის თეორიაში, ნებისმიერი ქცევის მოტივი, და საბოლოოდ თვით ნებისმიერი ქცევაც, აქტუალურ მოთხოვნილებაზე აღმოჩნდება დაფუძნებული. ამით ეჭვის ქვეშ დგება დ. უზნაძის მიერ ადრე წამოყენებული დებულება — „ნებისმიერი ქცევა არასოდეს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს არ ემყარებაო“. ამ დებულების უარყოფა და ნებისმიერი ქცევის საფუძვლად აქტუალურ მოთხოვნილებათა აღიარება კი ნებისმიერი ქცევის იმპულსურ ქცევაზე დაყვანას ნიშნავს. მაშასადამე, ქცევის ამ ორი ძირითადი ფორმის ურთიერთგანსხვავების საკითხი ისევ ღიად რჩება და თავის გადაწყვეტას მოითხოვს.

თუ გავყვებით დ. უზნაძის მიერ განვითარებული თეორიის აზრს და ვიგულისხმებთ, რომ პიროვნების ზოგადი მოთხოვნილებები არააქტუალურია, რომ მათ არ შესწევთ ძალა უშუალოდ გამოიწვიონ მოქმედების განწყობა, მაშინ იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ განწყობის შექმნა მხოლოდ წარმოსახული სიტუაციის საფუძველზე და ნებისყოფის არსიც წარმოსახვის აქტზე დავიყვანოთ. მაგრამ ამ უკანასკნელი თვალსაზრისის დაცვა უაღრესად საზიანო აღმოჩნდებოდა როგორც ნებისყოფის ფსიქოლოგიისათვის,

ისე თვით დ. უზნაძის ფუძემდებლური ხასიათის თეორიისთვისაც, რადგან ჯერ ერთი, ნებისყოფა გაგებული იქნებოდა ინტელექტუალურად, და მეორე, უარყოფილი იქნებოდა განწყობის შემუშავების ზოგადი პრინციპი, რომლის თანახმადაც განწყობა იქმნება მხოლოდ მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი სიტუაციის ერთიანობის საფუძველზე.

ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის მოტივის უზნაძისეულ გაგებასთან დაკავშირებით საგულისხმო მოსაზრებებს გვთავაზობს ვ.კაკაბაძეც (6). იგი ითვალისწინებს დ. უზნაძის ბოლო დრომდე გამოუქვეყნებელ ზოგიერთ მასალასაც და ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ განწყობის თეორიის ჩამოყალიბების პროცესში რამდენადმე განსხვავებულად არის გაგებული ნებისმიერი ქცევის მოტივი. ერთ შემთხვევაში მოტივი წარმოადგენს აქტუალური მოთხოვნილების მონახვის პროცესს, მეორე შემთხვევაში კი მას ეკისრება წარმოსახული მოქმედების განწყობის აქტუალურ განწყობად გარდაქმნის ფუნქცია.

ნებისყოფის უზნაძისეულ კონცეფციაში სამართლიანად მიჩნეულია, რომ ძალისხმევისა და წინააღმდეგობების გადალახვის მომენტი არაა ნებისყოფის ძირითადი თავისებურების გამომხატველი. ასეთად აღიარებულია „მე მინდა" განცდა, მაგრამ შემდეგ ნებისყოფის სპეციფიკა, არც თუ ისე მართებულად, გადაწყვეტილების აქტშია დანახული. როგორც შ. ჩხარტიშვილი მიუთითებს, ის რასაც ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას უწოდებენ, ერთნაირად შეიძლება ემყარებოდეს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსსაც, აზროვნებით პროცესსა და თვით ნებისყოფასაც. ასე რომ, ნებისყოფის არსის გადაწყვეტილების აქტით განსაზღვრა საქმის ფაქტიური ვითარების უეჭველ გამომხატველად არ უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება „მე მინდა“ განცდას, შ. ჩხარტიშვილის შეხედულებით (რომელსაც ჩვენ ქვემოთ დავალაგებთ), ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ბუნებას გამოხატავს არა ეს განცდა, არამედ „მე უნდა“ განცდა. „მე მინდა“ განცდა კი იმპულსური ქცევის ბუნების გამომხატველია. ვინაიდან ეს საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია და ფენომენოლოგიურად ფაქიზიც, შევჩერდეთ მასზე შედარებით ვრცლად, მით უფრო, რომ „მე მინდა“ განცდის, „მე“-ს განცდისა და ობიექტივაციის შესახებ საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს ბოლო პერიოდში მ. ბალიაშვილმა (7), ზ. ვახანიამ (8) და სხვა ავტორებმა (9) (ზ. ვახანია იძლევა უზნაძისეული ცნებების, მათ შორის, ჩვენი საკითხისათვის მნიშვნელოვანი ობიექტივაციის ცნების საყურადღებო დაზუსტებასა და შევსებას).

აანალიზებს რა ნებისმიერი ქცევის უდავო მაგალითებს (დილით ცივ ოთახში ადგომის ბუნებრივი სიზანტის დაძლევა, თუთუნის მოწევის ძლიერი მოთხოვნილებისაგან თავის შეკავება, ადრე გამოთქმულ და საჯაროდ მრავალგზის დაცულ შეხედულებაზე უარის თქმა და ა. შ.), დ. უზნაძე ამბობს, რომ ნებელობის ყველა შემთხვევისათვის მე-სა და ქცევის ობიექტივაციაა დამახასიათებელი. იგი წერს: „რაც შეეხება მე-ს განცდას, მას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ნებელობის შემთხვევაში: ყველა ზემოაღნიშნულ მაგალითში მე, როგორც ერთადერთი წყარო განიცდება, საიდანაც ყოველი ნებელობითი ქცევა მომდინარეობს, როგორც ერთადერთი ძალა, რომელზეც სავსებით დამოკიდებულია, თუ როგორი იქნება ქცევა, რა მოხდება: ავდგები, თუ განვაგრძობ წოლას, ისევ მოვწევ თუთუნს, თუ დავანებებ მას თავს. ერთი სიტყვით, ასე მოვიქცევი, თუ ისე, ეს ჩემზეა დამოკიდებული, ამის მიზეზი მე ვარ. ნებელობა მ ე-ს

აქტივობად, ან ნებელობაში აქტიურად, მოქმედად მე განიცდება“ (ხაზგასმა ავტორისაა (3, 178).

ისმება კითხვა: თუ ნებელობაში აქტიურად, მოქმედად „მე“ განიცდება, თუ „მე“ (ნებისყოფის სუბიექტი) მართავს ვითარებას, მოვლენებს, ქცევას და არა მოთხოვნილება, მაშინ აქედანაც გამომდინარეობს, რომ ნებელობითი ქცევისათვის მთავარი (დამახასიათებელი) ყოფილა “მე უნდა” განცდა და არა “მე მინდა” განცდა. ასეთი ქცევის სუბიექტი ამაღლებულია აწმყოს მოთხოვნილებაზე, არ მიყვება მის ხმას. მას შეუძლია იმოქმედოს საჭიროებისა და აუცილებლობის, ობიექტური გარემოებების, “მე უნდა”-ს პოზიციების გათვალისწინებით და არა თავისი სუბიექტური მდგომარეობის, “მე მინდა”-ს მიხედვით. ნებისყოფითი ქცევა თუ მის სუბიექტზეა დამოკიდებული, იმპულსური ქცევის სუბიექტი სტიქიურად, ბრმად მიყვება მოვლენებს.

დ. უზნაძის აზრით, ქცევისა და მე-ს განცდის თავისებურებაში თავს იჩენს ნებელობისათვის დამახასიათებელი მეორე მნიშვნელოვანი მომენტი. ნებისმიერი ქცევა, როგორც აწმყოს კი არა, როგორც მომავლის ფენომენი განიცდება. ზემოაღნიშნულ მაგალითებში პროცესი ასე მიმდინარეობს: სანამ გარკვეული ქცევა — ზეზე ადგომა, თუთუნის მოუწევლობა, შენი აზრების ობიექტური გადმოცემა — მოხდებოდეს, მანამ მსჯელობ, ფიქრობ, მოხდეს იგი თუ არა. ნებელობა იმ ქცევის აქტს კი არა ეხება, რომელიც აწმყოში მიმდინარეობს, არამედ იმას, რომელიც მომავალში უნდა მოხდეს: ნებელობა წინ იხედება, იგი პროსპექტული აქტია.

დ. უზნაძე აანალიზებს ნებისმიერი და იმპულსური ქცევის შემთხვევებს და უფრო ნათელს ხდის მათ შორის არსებულ დიდ განსხვავებას: ვთქვათ, წყურვილი ვიგრძენი. მივდივარ, ვიღებ ხელში ჭურჭელს, ვასხამ წყალს და ვსვამ.

ყველაფერი ეს ისე ხდება, რომ სუბიექტი (მე), ობიექტი (ჭურჭელი, წყალი) და ქცევა (მისვლა, დასხმა, სმა) ერთს მთლიან პროცესში არიან ჩართულნი და მის გარეთ და ცალ-ცალკე არ განიცდებიან: აქ არც მე-ს ობიექტივაციასთან გვაქვს საქმე და არც ქცევის ობიექტივაციასთან. გარდა ამისა, ქცევა აქ აწმყოში მიმდინარეობს, იგი აქტუალურია, იგი ახლა ხდება და მომავალზე აქ სრულიად ზედმეტია ლაპარაკი. დასასრულს ქცევა ისე განიცდება, თითქოს იგი თავისით ხდებოდეს; ყოველ შემთხვევაში, სუბიექტი აქ, ჩვეულებრივ, სრულიად არ გრძნობს, რომ ამ ქცევისათვის მას საგანგებო აქტივობის გამომჟღავნება სჭირდებოდეს: ქცევის წყაროდ მოთხოვნილება უფრო განიცდება, ვიდრე მე-ს აქტივობა (3, 179).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისყოფის სპეციფიკა დ. უზნაძის მიერ გადაწყვეტილების აქტშია დანახული და ამის საფუძველია ნებისმიერი ქცევის ძირითადი პერიოდების მისეული ანალიზი. ძალიან საინტერესოა ნებისმიერი ქცევის განწყობისა და „მე მინდა“ განცდის მიმართების უზნაძისეული დახასიათება. (ამ საკითხს, როგორც ვთქვით, ეხება მ. ბალიაშვილიც თავის ნაშრომში — „მე“-ს ცნება განწყობის ფსიქოლოგიაში (7). „მე მინდა“ განცდის აღმოცენებას დ. უზნაძე უკავშირებს გადაწყვეტილების გამოტანას და განწყობის შეცვლას. თუ გადაწყვეტილებამდე სუბიექტი ერთგვარ უმწეობას, ყოყმანს და აგზნებულობას განიცდის, გადაწყვეტის აქტის შემდეგ ქრება წინანდელი უმწეობისა და გაურკვევლობის გრძნობა და მის ნაცვლად გარკვეულობის, სიმყარისა და დამშვიდებულობის განცდა ჩნდება.

გადაწყვეტილებაში, ანდა „ნებელობის აქტში" სუბიექტის განწყობის გადახალისება გვეძლევა, და ყველა ის განცდა, რომელსაც სუბიექტის ცნობიერებაში აქვს ადგილი,

განწყობის შეცვლის ანარეკლს წარმოადგენს. ამრიგად, ნებელობის აქტი, რომელიც ფენომენოლოგიურად აქტივობის ცნობიერებაში, განცდილ აქტივობაში, „მე ნამდვილად მინდა"-ს განცდაში იჩენს თავს, სუბიექტის განწყობის შეცვლაზე (ანუ გადაწყვეტილებაზეც — ნ. ბ.) მიუთითებს: სუბიექტს სწორედ იმ ქცევის განწყობა უჩნდება, რომლის მიმართაც ის „მე მინდა"-ს განიცდის და რომლის რეალიზაციაც მისი შემდგომი მოქმედების შინაარსს წარმოადგენს" (3, 194).

მაშასადამე, დასძენს დ. უზნაძე, ნებისმიერი ქცევის განწყობა ის განწყობაა, რომლის აღმოცენების ფაქტიც გადაწყვეტის აქტის განცდებში („მე მინდა"-ში თუ „მე ნამდვილად მინდა"-ში) პოულობს თავის ანარეკლს და რომლის განწყობის შექმნაც ჩვენი ნებელობის საქმედ განიცდება.

როგორ აქვს წარმოდგენილი დ. უზნაძეს „ნებელობის საქმედ" წოდებული განწყობის შექმნის პროცესი? მიმართავს რა თვითაქტივობის განცდის ანალიზს, დ. უზნაძე წერს: „ნებელობის შემთხვევაში სუბიექტი თითონ იქმნის განწყობას; იგი აქტიურია უდაოდ. რასაკვირველია, იგი უშუალოდ და პირდაპირ როდი იწვევს განწყობას. ეს მას არ შეუძლია. ამას ის არც ცდილობს. მისი აქტიობა იმაშია, რომ წარმოსახულს, აზრითს, ერთი სიტყვით ი დ ე უ რ სიტუაციას ქმნის და ამით შესატყვისი განწყობის გამოწვევას ახერხებს. ამიტომ გასაგებია, რომ ნებელობის აქტში სუბიექტი თვითაქტივობას გრძნობს. ეს განცდა ძალიან თავისებური სახით გვეძლევა. როგორც ვიცით, მისი ადეკვატური დახასიათება ასე შეიძლებოდა: „ახლა მე ნამდვილად მინდა". აქ რამდენიმე მომენტია ერთდროულად მოცემული, და ამ თავისებურ განცდას ყველა ეს მომენტები ერთდროულად ახასიათებს. ჯერ განცდა, რომ „მე" არის აქტიური, რომ „მე"-ს უნდა. მერე მეორე განცდა, რომ მას ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ

უნდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სუბიექტისათვის ისეთი განცდაა ცნობილი, რომელშიც მას მხოლოდ უნდა და არა ნამდვილად უნდა. ნებელობის აქტში ნდომის ეს ნ ა მ დ ვ ი ლ ო ბ ა ა ხაზგასმული. დასასრულ, მესამე მომენტი ასეთია: სუბიექტი გრძნობს, რომ აი, ახლა, მას უკვე ნამდვილად უნდა. იგი თითქოს ადასტურებს, რომ აი, ახლა, მასში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, რომ „ა ი, ა ხ ლ ა მას ნამდვილად უნდა". მაშასადამე, ნებელობის განცდაში, რომელიც ერთ მთლიან განცდას წარმოადგენს, მოცემულია ერთის მხვრივ, უტყუარი „მე"-ს აქტივობის განცდა, მაგრამ ამავე დროს ისეთი აქტივობის, რომლის დაწყებაც „მე"-ზე არ არის დამოკიდებული, არამედ, თითქოს უიმისოდ ხდება. „მე" მხოლოდ ადასტურებს თითქოს, რომ „აი, ახლა უკვე ნამდვილად უნდა", ხოლო აქამდე ან არ უნდოდა, და ან ნამდვილად არ უნდოდა: თითქოს ეს ცვლილება მისი მონაწილეობის გარეშე მომხდარიყოს. ეს სპეციფიკური განცდა უეჭველი აქტიობისა და ამავე დროს უეჭველი დამოკიდებულებისაც ძალიან დამახასიათებელია ნებელობის აქტისათვის: იგი ყველა მნიშვნელოვანს ექსპერიმენტულ გამოკვლევაში დასტურდება, რომელსაც კი ნებელობის აქტის აღწერა ჰქონდა მიზნად დასახული" (3, 219).

ასეთია ნებისმიერი ქცევის, მის საფუძვლად მდებარე განწყობის და ამ ქცევის სტრუქტურაში „მე მინდა" განცდის ადგილის უზნაძისეული დახასიათება.

* * *

შევჩერდეთ ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის პრობლემის შესახებ არსებულ უფრო სისტემური ხასიათის შეხედულებაზე, რომელიც ეკუთვნის პროფ. შ. ჩხარტიშვილს.

აგებს რა თავის ორიგინალურ შეხედულებას ნებისყოფაზე, შ. ჩხარტიშვილი ამოდის იმ წანამძღვრიდან, რომ შეუძლებელია ყოველგვარი ადამიანური აქტივობის წყარო იყოს მხოლოდ მოთხოვნილება. არის ისეთი აქტივობაც, რომელიც მოთხოვნილების იმპულსით არ აღიძვრება. მართალია, „მოთხოვნილება არის ყველაზე უფრო ძირითადი ფაქტორი აქტივობისა. არ არის ქცევა, რომელსაც არა აქვს მხედველობაში მოთხოვნილება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნების ქცევა ყოველთვის აღიძვრება და წარიმართება მოთხოვნილების ცოცხალი პროცესით“ (10, 118) — ამბობს შ. ჩხარტიშვილი. მოთხოვნილება არის აქტივობის ისეთი წყარო, რომელიც საერთოა ცხოველისა და ადამიანისათვის. ადამიანს გააჩნია ამ საერთოსაგან განმასხვავებელი აქტივობის სპეციფიკური წყაროც. ავტორის აზრით, სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყაროს ნებისყოფა წარმოადგენს.

როგორია ქცევის ამ ორი წყაროს ფსიქოლოგიური ბუნება? რა თავისებურებანი ახასიათებთ მათ ცალ-ცალკე? (11). აი, ის საკითხები, რომლებსაც პირველ რიგში ეხება შ. ჩხარტიშვილი, რადგანაც სამართლიანად მიიჩნევს, რომ მათი ანალიზი ნათელს მოჰფენს იმ შეხედულების სისწორის გარკვევას, რომლის მიხედვით მოთხოვნილება გამოცხადებულია როგორც ცხოველის, ისე ადამიანის ქცევის ერთადერთ წყაროდ.

მოთხოვნილებას, შ. ჩხარტიშვილის აზრით, შემდეგი ძირითადი ნიშნები გააჩნია: იგი შეიცავს სინამდვილის გარკვეული სფეროსკენ მიმართულ აქტივობის ტენდენციას. ამ უკანასკნელის შეკავება უსიამოვნო დაძაბულობისა და შეფერხებული აქტივობის სახით განიცდება. ეს გარემოება მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ფაქტის აღმოცენების აუცილებელი პირობაა. იქ, სადაც მოთხოვნილება რაიმე

შეფერხების გარეშე აღწევს თავის საგანს, იგი ფსიქოლოგიურად შეუმჩნეველი რჩება და არ განიცდება. ჩვენ არ ვგრძნობთ, მაგალითად, მოთხოვნილებას ჰაერზე, როცა იგი საკმაოდ გვაქვს და სუნთქვის პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს. ასეა ნებისმიერი სხვა მოთხოვნილების შემთხვევაში. ვინაიდან მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ფაქტის აღმოცენებისათვის აუცილებელია შესაბამისი მიმართულების მქონე აქტივობის შეკავება, გასაგებია, რომ მოთხოვნილებისაგან ისეთი ქცევის იმპულსი მომდინარეობს, რომელმაც ამ შეკავებული აქტივობის ნორმალური გაშლა უნდა უზრუნველყოს. მოთხოვნილება გარკვეულ მიმართულებას აძლევს სუბიექტის აქტივობას, მიმართავს რა მას თავისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო საგნებისა და მოვლენებისაკენ. ამის შესაძლებლობას მოთხოვნილებას ის გარემოება აძლევს, რომ იგი თავის თავში შეიცავს სინამდვილის იმ სფეროს ბრმა, ემოციურ ასახვას, რომლის მოხმარების საფუძველზეც იგი აღმოცენდა და რომელშიც მან დაკმაყოფილება უნდა ნახოს. შიმშილში საკვების არქონა იგრძნობა, ხოლო წყურვილში სითხის დანაკლისი. ამიტომ, მშიერი საკვებს მიმართავს, მწყურვალი კი სითხეს.

ყოველი მოთხოვნილება ცალკე ავტონომიას, დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენს. იგი სხვა მოთხოვნილებებში არ ირევა და ილესება. ორი ან მეტი მოთხოვნილების ერთდროულად აღმოცენების შემთხვევაშიც თითოეული მათგანი დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას (შიმშილი შიმშილად რჩება, წყურვილი-წყურვილად) და მხოლოდ თავისთავზე და თავის დაკმაყოფილებაზე ზრუნავს. მოთხოვნილება სიცოცხლის ნორმალური მიმდინარეობის დარღვევით გამოწვეული პროცესია, მასში აქტუალური დანაკლისი იგრძნობა და იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ აღდგეს

ნორმალური მდგომარეობა, შეიკვეთოს ეს დანაკლისი. ამას იქით მოთხოვნილება საერთოდ არ იხედება. იგი მხოლოდ მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის იმპულსს იძლევა და ერთნაირად იმორჩილებს როგორც გარეგანი, ისე შინაგანი აქტივობის შესაძლებლობას.

მოთხოვნილების იმპულსი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო ახლოსაა და სრულყოფილი ის საგანი, რომელიც მას აკმაყოფილებს. ამას **მიახლოების გრადიენტი** ეწოდება. ამით აიხსნება სხვათა შორის ისეთი, ერთი შეხედვით, გასაკვირი შემთხვევები, როდესაც პატიმრები ციხიდან გარბიან განთავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე.

მოთხოვნილება აღმოცენდება ობიექტური სამყაროს რეალური საგნებისა და მოვლენების რაიმე კონკრეტული თვისებების მოხმარების პროცესში. მაგალითად, ვისაც ლუდი არ დაულევია, შეუძლებელია ლუდის მოთხოვნილება ჰქონდეს, ვისაც სიგარეტი არ მოუწევია — სიგარეტის მოთხოვნილება და ასე შემდეგ. ამიტომ არ არსებობს ზოგადი მოთხოვნილებები, რომლებიც განპირობებული არ არიან რომელიმე კონკრეტული შინაარსის აქტუალური დანაკლისით და მისი შევსებისაკენ არ ისწრაფვიან.

მოთხოვნილება ინდივიდს განაწყობს იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იქნეს მაქსიმალურად, რაც შეიძლება უმოკლეს დროში. დაყოვნება და თავშეკავება მისი ბუნებიდან გამორიცხულია. მოთხოვნილებას რომ საკუთარი იმპულსი შეეჩერებინა და დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, იგი უარყოფდა თავის თავს. მოთხოვნილებას მეორე (სხვა) მოთხოვნილების იმპულსის შეკავებაც არ შეუძლია, თუ ეს უკანასკნელი მის დაკმაყოფილებას ხელს არ შეუშლის. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად აღმოცენდება ორი მოთხოვნილება, საკითხი თავისთავად წყდება იმ მოთხოვნი-

ლების დაკმაყოფილების სასარგებლოდ, რომელსაც მეტი ძალა აღმოაჩნდება: ძლიერი მოთხოვნილება ყოველთვის იმორჩილებს სუსტს, რა ბუნებისაც უნდა იყოს იგი, რადგან მოთხოვნილებათა ურთიერთბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მათ რაოდენობრივ მხარეს და არა რომელობითს. მაგრამ თუ ადამიანი ერთი რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეს დროში გადასდებს, მეორეს დაიკმაყოფილებს, მესამეზე საერთოდ იტყვის უარს და ა. შ., ყოველივე ეს თვით მოთხოვნილების ბუნებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყაროდან — ნებისყოფიდან.

მოთხოვნილება თავისი ბუნებით ისეთია, რომ იგი მიისწრაფვის ინდივიდი დაატყვევოს საკუთარი ზეგავლენის ფარგლებში და აკეთებინოს მხოლოდ მისი დაკმაყოფილების საქმე. ამიტომ მოთხოვნილების სუბიექტი არ იხედება ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის სიტუაციის გარეთ. იგი ანგარიშს არ უწევს მოსალოდნელ შედეგებს, მან არ იცის რა შედეგი მოჰყვება ქცევის დასრულებას. მას ყოველთვის მხედველობის გარეშე რჩება ქცევის შედეგების ობიექტური ღირებულება.

მოთხოვნილებები ადამიანის ნებას არ ემორჩილებიან. ყოველი მოთხოვნილება აღმოცენდება პიროვნების განზრახვის გარეშე და მოცემულ სიტუაციაში ქმნის მხოლოდ მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის განწყობას.

ასეთია მოთხოვნილების ჩხარტიშვილისეული დახასიათების ძირითადი აზრი. აღსანიშნავია, რომ ავტორი მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ ქცევას იმპულსურ ქცევას უწოდებეს, განურჩევლად იმისა, თუ როგორი მოთხოვნილებაა ეს, ცნობიერების რომელ დონეზე მიმდინარეობს ქცევა და რა წინააღმდეგობის გადალახვა უხდება მის სუბიექტს.

მოთხოვნილების ზემოაღნიშნული დახასიათება და იმპულსური ქცევის თავისებურებაც კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ ორიოდე სიტყვით შევეხებით მოთხოვნილებით აღძრული იმპულსური ქცევის მოტივის საკითხს. შ. ჩხარტიშვილის აზრით, იმპულსური ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს გრძნობისებური განცდა, რომელიც მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ ქცევის აქტებთან უშუალოდ კავშირში იჩენს თავს და გამოხატავს იმ ღირებულებას, რომელიც ამ აქტებს აქვს მოთხოვნილების სუბიექტისათვის. ეს ემოციური განცდა იმპულსური ქცევის სუბიექტს უჩვენებს, თუ რა ღირებულება აქვს მისთვის იმ ქცევის აქტებს, რომლის განხორციელებასაც იგი აპირებს ან ახორციელებს მოცემულ მომენტში. სწორედ ეს განცდა აძლევს ქცევას ფსიქოლოგიურ აზრს და ხდის მას მისაღებად. ამრიგად, იმპულსური ქცევის მოტივს წარმოადგენს ემოციური განცდის ფორმაში მოცემული ქცევის სუბიექტური ღირებულება. იმპულსური ქცევის მოტივი, სუბიექტური ღირებულება, მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევის ერთობლივ ფუნქციას წარმოადგენს. მისი სიდიდე იცვლება მოთხოვნილების სუბიექტის მდგომარეობის ცვალებადობის შესატყვისად: მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო მისი დაკმაყოფილების კვალობაზე მცირდება. სწორედ ამიტომ უწოდებს ავტორი მას სუბიექტურ ღირებულებას.

რაც შეეხება იმპულსური ქცევის მიზანს, მოტივის ანალოგიურად, ისიც განსაზღვრულია მისი აღმძვრელი მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნებით. კერძოდ, იმპულსურ ქცევას ყოველთვის ერთადერთი მიზანი გააჩნია: რაც შეიძლება სწრაფად და მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მის საფუძველში არსებული მოთხოვნილება. სხვა რამ მას არ

აინტერესებს. ამ ქცევის სუბიექტი არ ითვალისწინებს ქცევის შედეგებს. იმპულსური ქცევა აწმყოსთვის არის განკუთვნილი და იმას, რაც ქცევის აქტების დამთავრების შემდეგ რჩება და მომავალი ცხოვრებისათვის საზიანოა ან ღირებული, მხედველობის გარეშე ტოვებს. იმპულსური ქცევა პროცესუალურია და ყოველთვის დადებით, სასიამოვნო ემოციურ ფონზე მიმდინარეობს. მისი მიზანი თვითონ ქცევაშია მოცემული. იგი ორიენტირებულია პროცესზე და არა შედეგზე.

როგორც ვხედავთ, მოთხოვნილებები მხოლოდ იმპულსური ხასიათის მქონე მოხმარებითი ქცევისათვის აღძრავენ ადამიანს. მაგრამ ადამიანისათვის ყველაზე უფრო სპეციფიკურია წარმოება — შრომა. სწორედ ასეთი სპეციფიკურ — ადამიანური აქტივობის წყარო, შ. ჩხარტიშვილის აზრით, არის ნებისყოფა.

რა ფუნქციას ასრულებს ნებისყოფა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, როგორი ნიშნებით შეიძლება დახასიათებული იქნეს მისი საკუთარი ბუნება? ფსიქოლოგების უმრავლესობა ნებისყოფის სპეციფიკას ქცევის ცნობიერ მიმდინარეობაში ხედავს. ყველგან, სადაც ქცევის მიზანი და საშუალებები წინასწარ ცნობიერდება, ნებისყოფასა და ნებისმიერ ქცევასთან გვაქვს საქმე. შ. ჩხარტიშვილი არ იზიარებს საკითხის ამგვარ გაგებას. იგი ამბობს, რომ ქცევის მიზნისა და მისი განხორციელებისათვის საჭირო საშუალებების გაცნობიერება აზროვნების საქმეა. იმის გამო, რომ ქცევა ცნობიერდება, იგი არ იძენს ახალ რაიმე თვისებას. ასეთი ქცევის დახასიათება ყოველთვის შეიძლება აზროვნებით, ინტელექტით, ცნობიერებით და არ საჭიროებს ახალი მნიშვნელობის მქონე სხვა რაიმე ცნებას. ქცევა თუ გაცნობიერებულია, ფსიქოლოგიური მეცნიერება მის აღსანიშნავად კიდეც ხმარობს

„ცნობიერი ქცევის“, ან კიდევ „ინტელექტუალური ქცევის“ გამოთქმებს. ნებისყოფისათვის აქ ადგილი არ რჩება, მისი საჭიროება არ ჩანს.

ნებისყოფის ცნობიერებაზე, ინტელექტზე დაყვანის წინააღმდეგ ყოველდღიური დაკვირვების მონაცემებიც აშკარად ლაპარაკობენ. ცხოვრებაში ხშირად გვხვდება ადამიანი, რომელსაც საკმაოდ დიდი ინტელექტი აქვს, მაგრამ იგი თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს წარმატებით იყენებს მხოლოდ იმ ქცევის განხორციელების საქმეში, რომლის გამოც მას უნებისყოფო ადამიანად თვლიან. მაგალითად, კაცი, რომელიც ვერ ახერხებს თავშეკავებას და სურვილის საწინააღმდეგოდ თავდავიწყებით ებმება აზარტულ თამაშში, ეტანება ღვინოს, სისტემატურად ეწევა თამბაქოს თუ იღებს ნარკოტიკებს, უნებისყოფო ან სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანია, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ განხორციელებულ ქცევას ცნობიერება უნათებს გზას. ამრიგად, ნებისყოფა არ დაიყვანება ინტელექტზე, მას თავისი საკუთარი ბუნება გააჩნია.

საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი ერთობ ორიგინალურად დადასტურდა ჩვენს ექსპერიმენტშიც, რომელიც სხვა მიზანდასახულობასთან დაკავშირებით გვქონდა ჩატარებული. კერძოდ, ჩვენ ვიკვლევდით შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევის შესაძლებლობისა და „პიაჟეს ფენომენების“ დაძლევის ინტელექტუალური უნარის მიმართებას ოპერაციამდელ სტადიაში. აღმოჩნდა, რომ ამ ორი მიმართულების აქტივობას შორის არ შეინიშნება არავითარი დადებითი კორელაცია. ესე იგი ალბათობა იმისა, რომ ვინც თავისი ინტელექტუალური დონით დაძლევს „პიაჟეს ფენომენებს“, წარმატებით შეასრულებს ნებისყოფით განსაზღვრულ ქცევასაც (ან პირიქით), ფაქ-

ტობრივად არ არსებობს. ეს მონაცემებიც კიდევ ერთხელ, ოღონდ თავისებურად, ადასტურებს, რომ ადამიანის ინტელექტი და ნებისყოფა ფილოგენეზურად თუმცა საერთო, მაგრამ საბოლოოდ მაინც საკუთარი ძირებიდან მოდიან, რომ ინტელექტის განვითარებას და ნებისყოფის განვითარებას თავისი სპეციფიკური გზები გააჩნია. ეს გზები, მართალია, არ უპირისპირდება, მაგრამ არც ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, განსხვავებული მახასიათებლების მქონე ინტელექტი და ნებისყოფა, ცხადია, არ დაიყვანება ერთმანეთზე (12).

ზოგიერთი ავტორი ნებისყოფის სპეციფიკას ცნობიერების სათანადო მიმართულებით, კერძოდ, ქცევის ძირითადი მომენტებისაკენ წარმართვაში ხედავს. ეს დებულება სწორი რომ იყოს, მაშინ ცნობიერების წარმართვას ყოველთვის ნებისყოფა უნდა ახდენდეს. ჩვენ ვერ უნდა აღვრიცხოთ ვერც ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც ადგილი ექნება ცნობიერების საჭირო მიმართულებით წარმართვის ფაქტს ნებისყოფის მონაწილეობის გარეშე. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ჩვენს რომელიმე დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებას ცნობიერება ჩუმად, შეუმჩნევლად მიუტაცებია თავისი დაკმაყოფილების მიმართულებით? მაგალითად, არის შემთხვევა, როცა უცებ აღმოვაჩენთ, რომ რამდენიმე გვერდი ისე გადაგვიკითხავს, მისგან ერთი სიტყვაც არ გაგვიგია. ე.ი. აქაც ჩვენს რომელიმე დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებას მიუტაცებია ჩვენი ცნობიერება და ფანტაზიაში, წარმოსახვაში გაუშლია ის ქცევა, რომელიც მის დაკმაყოფილებას უზრუნველყოფდა. მაგრამ თუ ცნობიერების წარმართვა მოთხოვნილებასაც შეუძლია, ცხადია, რომ აქ ნებისყოფისათვის ადგილი არ რჩება. ამრიგად, არც ცნობიერების წარმართვაში ჩანს ნებისყოფის სპეციფიკა.

ავტორთა ერთი ნაწილი, გრძნობს რა ნებისყოფის ინტელექტუალურ პროცესებზე დაყვანის სიძნელეს, ცდილობს ნებისყოფა დაუკავშიროს წინააღმდეგობის, გარეგანი და შინაგანი დაბრკოლებების გადალახვის მომენტს. შ. ჩხარტიშვილის მიხედვით, არც ესაა საქმის ფაქტიური ვითარების გამომხატველი. მისი შემოტანა ფაქტიურად არაფერს ცვლის. წინააღმდეგობის დაძლევა, შინაგანი ძალისხმევა ნებისყოფისა და ნებისმიერი მოქმედების სპეციფიკური თვისება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ იგი სხვა სახის აქტივობაში არ გვხვდება — სამართლიანად შენიშნავს ავტორი (13, 196). მაგრამ ყოველდღიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანი (და არა მხოლოდ ადამიანი!) ხშირად გადალახავს წინააღმდეგობას, მიმართავს დიდ ძალისხმევას ისე, რომ შეიძლება ეს მოვლენა სრულიადაც არ იყოს კავშირში ნებისყოფის მოქმედებასთან. მაგალითად, აქტუალურ მოთხოვნილებას შეუძლია ცნობიერების გარკვეული მიმართულებით წარმართვა და ადამიანის მთელი ძალების დაძაბვა წინააღმდეგობის დასაძლევად, მაგრამ აღნიშნული ვითარება ნებისყოფის გამოვლენად, ნებისმიერ მოქმედებად როდი შეიძლება ჩაითვალოს. ყველაზე დიდი ფიზიკური დაბრკოლების გადალახვა ადამიანს შეუძლია რისხვის მდგომარეობაში, რომლის დროსაც ნებისყოფა ბლოკირებას განიცდის. ამიტომ რისხვის დროს გამოვლენილი ძალისხმევა არ შეიძლება ნებისყოფით იყოს შეპირობებული. წინააღმდეგობის გადალახვისა და შინაგანი ძალისხმევის უნარი ცხოველისთვისაც არ არის უცხო. მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც ცხოველი თუ ფრინველი განსაკუთრებულ ძალისხმევას ავითარებს სიცოცხლისათვის აუცილებელი მოქმედების გზაზე წამოჭრილი დაბრკოლებების დასაძლევად (მაგალითად, ფრინველთა გადაფრენა იქნება ეს,

ცხოველთა ბრძოლა საკვებისათვის, ხვადების შეტაკება ძუს დასაკუთრებისათვის, თუ ხაფანგში გაბმული მხეცის მიერ საკუთარი თათის დაღრღნა — შემოჭმის შემთხვევა და ამ გზით განთავისუფლება, ძალების მაქსიმალურ დაძაბულობასთანაა დაკავშირებული). ამრიგად, წინააღმდეგობის გადალახვისათვის საჭირო ძალისხმევის უნარი მთელი ცოცხალი არსების გვარის დამახასიათებელი თავისებურება ყოფილა. ადამიანის შემთხვევაში ეს უნარი შეიძლება ნებისყოფით იყოს განპირობებული, მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონდეს ნებისყოფასთან. მაშასადამე, არც წინააღმდეგობის გადალახვისა და შინაგანი ძალისხმევის უნარი ყოფილა ნებისყოფის არსის გამომხატველი.

შ. ჩხარტიშვილის აზრით, ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნების გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქცევის, როგორც ნებისყოფის გამოვლენის ერთადერთი ფორმის, თავისებურებების გათვალისწინებას, მისი წყაროს, მიზნისა და მოტივის გარკვევას.

იმისათვის, რომ ნებისყოფით განსაზღვრული ნებისმიერი ქცევა განხორციელდეს, აუცილებელია გარკვეული ინტელექტუალური წანამძღვარები. პირველი ასეთი წანამძღვარია აზრი მოთხოვნილების შესახებ — მოთხოვნილების იდეა. მაგალითად, ადამიანს რომ არ ჰქონდეს შიმშილის მოთხოვნილების იდეა, მან რომ არ იცოდეს, რომ შიმშილი მეორდება ყველგან, სადაც ადამიანია, მისთვის ყოველგვარი აზრი დაეკარგებოდა იმ შრომით აქტივობას, რომელიც აუცილებელია ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო პროდუქტების შესაქმნელად. ამრიგად, მოთხოვნილება ყოველთვის მონაწილეობს ადამიანის ქცევაში — რეალური თუ იდეალური ფორმით. რეალური სახით იგი, როგორც უკვე ვნახეთ, საფუძვლად ედება იმპულსურ ქცევას, იდეალური

სახით კი მოთხოვნილება გამოდის ნებისმიერი ქცევის ერთ-ერთი ინტელექტუალური წანამძღვრის როლში. მაგრამ მოთხოვნილების იდეას თავისთავად არ შეუძლია ქცევის აქტები აღძრას, რადგან მას ენერგია არ გააჩნია. იდეა სწორედ იმიტომაა იდეა, რომ მას არ გააჩნია ფიზიკური ძალა და ენერგია, რაც რეალური არსებობის აუცილებელი პირობაა. მოთხოვნილების იდეა მისი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი საგნის იდეასაც გულისხმობს. მოთხოვნილების საგანი კი მოთხოვნილების იდეასთან მიმართებაში ობიექტური ღირებულების მქონე რეალობად ეძლევა ადამიანს. სწორედ მოთხოვნილების საგნის იდეა და მასთან დაკავშირებული ობიექტური ღირებულების ცნობიერება არის ნებისმიერი ქცევის მეორე აუცილებელი წანამძღვარი. როგორც ვხედავთ, ნებისმიერი ქცევა ყოველთვის მიმდინარეობს ობიექტურ ღირებულებათა პლანში, ესაა ამ ქცევის ერთი დამახასიათებელი თავისებურებათაგანი. თუკი მოთხოვნილება მხოლოდ თავისი თავის დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, ნებისყოფა, რომელიც ნებისმიერ ქცევაში ვლინდება, ერთნაირად მოიცავს ყველა მოთხოვნილებას და პირველ რიგში ზრუნავს იმის დაკმაყოფილებაზე, რომელსაც მეტი ობიექტური ღირებულება აქვს.

რა ასრულებს ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას? განსხვავებით იმპულსური ქცევისაგან, ნებისმიერი ქცევის მოტივი უშუალოდ ქცევის აქტებთან როდია დაკავშირებული, როგორც ამ აქტების მომენტალური სუბიექტური ღირებულება. და ეს გასაგებიცაა, რადგან ნებისმიერი ქცევა, ავტორის აზრით, ხდება არა იმისათვის, რასაც ადგილი აქვს ქცევის მიმდინარებაში, არამედ იმისთვის, რაც რჩება ქცევის დასრულების შემდეგ, როგორც გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე რეზულტატი. თუკი მოთხოვნი-

ლებით აღძრული იმპულსური ქცევა მისი სუბიექტის მომენტურ ცხოვრებას ემსახურება, თვითონ მის საფუძველში არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის და სხვას არაფერს ითვალისწინებს, ნებისმიერ ქცევას, როგორც წესი, ობიექტური ღირებულება აქვს მხედველობაში, იგი ყოველთვის ობიექტურ ღირებულებაზე არის მიმართული. სწორედ ეს ობიექტური ღირებულება ასრულებს ნებისმიერი ქცევის მოტივის ფუნქციას. ობიექტური ღირებულება იმით განსხვავდება სუბიექტურისაგან, რომ მისი არსებობა და სიდიდე სუბიექტის მომენტურ მდგომარეობაზე არაა დამოკიდებული და ამ მდგომარების მიხედვით არ ცვალებადობს. მას „ზედროული" და „ზესუბიექტური" არსებობის ფორმა გააჩნია და, ჩვეულებრივ, ლოგიკური მსჯელობის სახით ეძლევა ქცევის სუბიექტს.

ობიექტურ, საზოგადოებრივ ღირებულებასთან მიმართებაში ფორმირებული ნებისყოფა ვლინდება ორი მიმართულებით: აქტუალური მოთხოვნილების იმპულსების შეკავებისა, თუკი ეს საზოგადოებრივი ან პიროვნული თვალსაზრისით საჭიროა, და ისეთი ქცევის ორგანიზების მიმართულებით, რომელიც ობიექტური ღირებულების შექმნას, დაცვას და გამრავლებას მოემსახურება.

ნებისმიერი ქცევის შინაგანი წყარო, მისი აღმძვრელი საწყისი არის თვით პიროვნება, როგორც ნებისყოფის სუბიექტი, იმპულსური ქცევისა კი — მოთხოვნილება. ნებისყოფის სპეციფიკურ ბუნებას გამოხატავს „მე უნდა", „მე აუცილებლად უნდა" განცდა. როგორც ვხედავთ, აქ კიდევ ერთი ორიგინალური აზრია მოცემული. ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში განმტკიცებული შეხედულების მიხედვით, რასაც იზიარებს დ. უზნაძეც, „მე მინდა" განცდას მიიჩნევენ ნებისყოფის არსის გამომხატველად. შ. ჩხარტიშვილმა იმპულსუ-

რი და ნებისმიერი ქცევის მკაცრი გამიჯვნის საფუძველზე დაასაბუთა, რომ ნებისყოფის დამახასითებელ ბუნებაზე მიუთითებს „მე უნდა“ განცდა, ხოლო რაც შეეხება „მე მინდა“ განცდას, იგი მხოლოდ იმპულსური ქცევის აქტებში დასტურდება და მოთხოვნილების სუბიექტის ბუნებას უფრო გამოხატავს. „მე აუცილებლად უნდა“ განცდაში „პიროვნება განიცდის, რომ აქტივობა, რომელსაც მისგან ნებისყოფის მოცემული სიტუაცია მოითხოვს, მან აუცილებლად უნდა განახორციელოს და რომ ეს აუცილებლობა თვით მისგან მომდინარეობს“ (14, 317). „მე უნდა“ განცდა ყოველთვის გამოდის წინა პლანზე, როდესაც აქტუალური მოთხოვნილების იმპულსს იმორჩილებს ნებისყოფა, ხოლო თუ მოთხოვნილების სუბიექტი ნებისყოფის სუბიექტზე ძლიერი აღმოჩნდება, მაშინ „მე უნდა“ განცდა დგება ცნობიერების უკანა რიგში და წინ გამოდის „მე მინდა“ განცდა. თუკი „მე მინდა“ განცდის სტრუქტურაში არ შედის ობიექტური ღირებულების არავითარი ცნობიერება, „მე უნდა“ განცდას ყოველთვის ახლავს თან იმ ღირებულების ცნობიერება, რომლისთვისაც სუბიექტმა ასეთი მოქმედების განხორციელება მოინდომა.

ჩვენ არ შევჩერდებით ნებისმიერი ქცევის მიზნის ჩხარტიშვილისეული გაგების დახასიათებაზე. საკმარისი იქნება თუ ვიტყვით, რომ მისი აზრით, „ქცევის წამყვანი ფაქტორი, მოტივი და მიზანი ერთმანეთთან არსებით კავშირში იმყოფებიან და გარკვეული აზრით, ერთმანეთის ბუნებას იზიარებენ“ (15, 39).

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შ. ჩხარტიშვილი ასკვნის, რომ ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანმა ცნობიერების გვერდით ნებისყოფის სახით შეიძინა ისეთი სპეციფიკური თავისებურება, რომელიც საშუალებას

აძლევს მას განთავისუფლდეს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსების ტყვეობისაგან, დადგეს მომენტის ინტერესებზე უფრო მაღლა, ხელში აიღოს საკუთარი ქცევის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობანი და ისეთი აქტივობა განავითაროს, რომელიც მიმართულია ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროსაკენ, შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს და ამასთანავე, პიროვნების მომავალი ცხოვრების ამოცანებს პასუხობს. სწორედ ნებისყოფა არის პიროვნების არსებობის ძირითადი ფორმა, სადაც არაა ნებისყოფა, იქ არც პიროვნებაა.

ასეთია შ.ჩხარტიშვილის შეხედულება ნებისყოფაზე, ნებისმიერი ქცევის მოტივზე და "მე უნდა" განცდის ადგილზე ნებისყოფის სტრუქტურაში.

საგულისხმოა, რომ შ.ჩხარტიშვილის შეხედულებამ ნებისყოფაზე თავისი ასახვა ჰპოვა "დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის" უკანასკნელ – მესამე გამოცემაში (16, 349). მართალია, ეს ენციკლოპედია ბოლო ჭეშმარიტებად და ეტალონად თუ საზომად არ გამოდგება, მაგრამ როდესაც მეორე გამოცემისაგან განსხვავებით, მის მესამე გამოცემაში შეიტანეს ქართველი ავტორის შეხედულება, ეს თავისთავად საყურადღებო ფაქტია.

რაც შეეხება ე.ილინის ბოლოდროინდელ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ შ.ჩხარტიშვილი არასწორად გამოყოფს ნებისყოფით ქცევას მოთხოვნილებით განსაზღვრული ქცევისაგან და ნებისყოფას განიხილავს როგორც მხოლოდ წინააღმდეგობების გადალახვის მექანიზმს (1, 24-26), ვფიქრობთ, ეს შენიშვნა გაუგებრობაზეა აგებული. შ.ხარტიშვილი არსად ამტკიცებს, რომ ნებისყოფა მხოლოდ წინააღმდეგობის გადალახვის უნარია. ამაში ჩვენ ზემოთაც დავრწმუნდით. რაც შეეხება იმპულსური და ნებისმიერი ქცევების დიფერენციაციას, როგორც ვნახეთ, მკვლევარი ამას აკეთებს მა-

თი აღმძვრელი წყაროების — მოთხოვნილებისა და ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნების დეტალური და უაღრესად დამაჯერებელი ანალიზის საფუძველზე. როგორც ჩანს, ე. ილინი ძალიან მწირად იცნობს შ.ჩხარტიშვილის შრომებს, შესაბამისად, მის შეხედულებასაც და აქედან მომდინარეობს მთელი გაუგებრობის სათავე.

* * *

ვიდრე დ.უზნაძისა და შ.ჩხარტიშვილის შეხედულებების ერთგვარ შედარებით ანალიზს მოვახდენდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ დ.უზნაძე ფაქტობრივად იცნობდა შ.ჩხარტიშვილის შეხედულების ძირითად აზრს. ეს შეხედულება შ.ჩხარტიშვილმა პირველად, მეტ-ნაკლები სისრულით, დაალაგა 1950 წელს გამოცემულ ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოში (17), რომლის რედაქტორიც იყო დ.უზნაძე. სახელმძღვანელო წარმოებას გადაეცა 1950 წლის ივლისში. დ.უზნაძე, როგორც ვიცით, გარდაიცვალა იმავე წლის ოქტომბერში, მოულოდნელად, ჩვეულ სამუშაო ფორმაში ყოფნის პირობებში. უნდა ვიფიქროთ, რომ დ.უზნაძე, როგორც რედაქტორი, არათუ კარგად იცნობდა შ.ჩხარტიშვილის შეხედულებას, არამედ იწყნარებდა კიდეც მას და სახელმძღვანელოში შესატანადაც მისაღებად მიაჩნდა.

ჩვენ ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებს, რომ ვფიქრობთ, ესეც გარკვეულწილად ამართლებს ჩვენს მოსაზრებას, რომლის დასაბუთებას ქვემოთ შევეცდებით და რომლის მიხედვითაც დ.უზნაძისა და შ.ჩხარტიშვილის შეხედულებები არსებითად ავსებენ ერთმანეთს. ცხადია, აქ ბუნებრივად დაიბადება პირველი კითხვა: ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როგორ შეიძლება ერთმანეთს ავსებდეს ორი ისეთი

შეხედულება, რომელთაგან ერთი ამტკიცებს, რომ ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ბუნებას გამოხატავს "მე მინდა" განცდა, მეორე კი, ასეთად მიიჩნევს "მე უნდა" განცდას.

ერთი შეხედვით ასეთი ვითარება მართლაც შეუთავსებელია ერთმანეთთან. "მე მინდა" და "მე უნდა" განცდა სრულიად განსხვავებული ბუნების განცდებია. მაგრამ, ჩვენი აზრით, ნებისყოფით განსაზღვრული ნებისმიერი ქცევისათვის არც "მე მინდა" განცდაა უცხო და არც "მე უნდა" განცდა. ორივე ეს განცდა შედის ნებისმიერი ქცევის, ოღონდ მისი სხვადასხვა ეტაპის სტრუქტურაში.

დ.უზნაძის მიხედვით, ნებელობის უშუალო ამოცანას შეადგენს მეორე პლანზე, ე.ი. ობიექტივაციის დონეზე შემუშავებული განწყობა აქტუალურ განწყობად გადააქციოს, რათა იგი ნამდვილ ძალად იქნეს განცდილი, ისეთ ძალად, რომელიც სუბიექტის ქცევას წარმართავს. ეს ძალა არის სწორედ "მე მინდა", "ახლა მე ნამდვილად მინდა" განცდა.

ნებელობის აქტი, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში და ფენომენოლოგიურად "მე ნამდვილად მინდა"-ს განცდაში იჩენს თავს, სუბიექტის ადრინდელი განწყობის შეცვლაზე და ახალი განწყობის შექმნაზე მიუთითებს. მაშასადამე, ეს განცდა პრაქტიკული მოქმედების განწყობის ანარეკლია. ასეთი განწყობისა და მისი თანმდევი "მე მინდა" განცდის გარეშე, ნებისმიერი ქცევა ვერ განხორციელდებოდა.

როგორც ვხედავთ, საკითხი საკმაოდ ფაქიზია და მეტი სიზუსტისათვის საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ობიექტივაციის პლანში შექმნილი განწყობის მოქმედების თავისებურება და მისი შემუშავების პირობები. ამ განწყობას, დ.უზნაძის მიხედვით, სუბიექტი თვითონ იქმნის იდეური სიტუაციის შექმნის გზით. მის შემუშავებას წინ უსწრებს პიროვნებისათვის შესაფერისი აქტივობის მოძებნის

პერიოდი. ეს ე.წ. "მოძებნის", მოტივაციის, მოტივის დადგენის თუ მომავალი ქცევის არჩევის პერიოდი მთლიანად სუბიექტის მიერ თავისი თავის, უფრო სწორად, თავისი „მე"-ს მოთხოვნილებებისა და თავისი მომავალი ქცევის ობიექტივაციის დონეზე მიმდინარეობს. ამ დონისათვის დამახასიათებელია პიროვნების მაღალი მოთხოვნილებების, მისი პერსპექტივების წინ წამოწევა და მათთან მიმართებაში ასარჩევი მომავალი ქცევის გააზრება.

შ.ნადირაშვილი გვთავაზობს რა თავის ორიგინალურ შეხედულებას ინდივიდის, სუბიექტის და პიროვნების დონეზე მოქმედი განწყობების თავისებურებების შესახებ, ამბობს, რომ მართალია, ადამიანის განწყობის შეცვლა ობიექტივაციის პლანში შეიძლება მოხდეს როგორც აზროვნების, ისე ნებელობის გავლენით, მაგრამ განწყობის შეცვლას ფორმალური ხასიათი როდი აქვს. თითოეულ შემთხვევაში ამ მოვლენას საკუთარი მიმართულება და მიზანდასახულობა გააჩნია. კერძოდ, "აზროვნების გავლენით განწყობა იცვლება სინამდვილისადმი შესატყვისობის გაზრდის მიმართულებით. ნებელობის დახმარებით კი განწყობა იცვლება პიროვნების ღირებულებების მიმართულებით. მის საფუძველზე განხორციელებული ქცევა მაღალ პიროვნულ ღირებულებებს ემსახურება" (18, 132).

ამრიგად, პიროვნებისათვის მისაღები ქცევის მოძებნის პერიოდი პიროვნების ძირითადი ღირებულებების, მე-ს ცნობიერების და "მე უნდა" ("ასე უნდა მოვიქცე", "ასეა საჭირო") განცდის ფონზე მიმდინარეობს. მაგრამ მხოლოდ "მე უნდა" განცდას რომ ჰქონდეს ადგილი ნებისმიერი ქცევის ამ ეტაპზე, მაშინ ნებისმიერი ქცევის სუბიექტისათვის ასარჩევი ქცევის პრობლემა ადვილად გადაწყდებოდა. ცხადია, აქ თავს იჩენს ადამიანის აქტუალურ მოთხოვნილე-

ბებთან დაკავშირებული "მე მინდა" განცდებიც. შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ქცევის ეს პერიოდი არის სუბიექტის აწმყოს მდგომარეობასთან და მის პერსპექტივებთან, სუბიექტურ და ობიექტურ ღირებულებებთან დაკავშირებული "მე მინდა" და "მე უნდა" განცდების ბრძოლის ასპარეზი. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სუბიექტი არ განიცდიდეს აქტუალური მოთხოვნილების იმპულსის ზეგავლენას და მის წინაშე იდგეს ამოცანა ორი ნებისმიერი ქცევიდან ყველაზე უფრო ღირებულის არჩევისა. შეიძლება იყოს სხვა სიტუაციაც.

მაშასადამე, ვიდრე ნებისმიერი ძალისხმევით, ნებისყოფით, ნებისმიერი ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტილება არაა მიღებული და არაა შექმნილი შესაბამისი ქცევის განწყობა, ე.ი. არაა მონახული ყველაზე უფრო მიზანშეწონილი ობიექტური ღირებულების მქონე ნებისმიერი ქცევის მოტივი, რომელმაც უნდა განსაზღვროს გადაწყვეტილების მიღებაც, განწყობის შექმნაც და ქცევაც, მომავალი ქცევის სუბიექტის ცნობიერებაში ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებიან "მე მინდა" და "მე უნდა" განცდები, მომავალი ქცევის ობიექტურ ღირებულებასთან დაკავშირებული ვითარებები. ცხადია, გადაწყვეტილების მოსამზადებელი პერიოდი, ე.წ. "ძიების" პერიოდი სუბიექტის საკმაოდ რთულ შინაგან აქტივობას მოითხოვს და ისიც შესაბამისი დინამიკური განწყობითაა განსაზღვრული. სწორედ ამ განწყობის ანარეკლია სუბიექტის ცნობიერებაში მოცემული ზემოაღნიშნული ერთგვარი გაურკვეველი ვითარება. დ.უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, "სანამ გადაწყვეტის აქტი მოხდებოდეს, სუბიექტი ერთგვარ უმწეობას, ყოყმანს, აგზნებულობას განიცდის. გადაწყვეტის აქტი თანდათანობით როდი მწიფდება და მზად-

დება: იგი ერთბაშად ხდება, თითქოს მოულოდნელად და მოუმზადებლად. შედეგი ისაა, რომ წინანდელი უმწეობისა და გაურკვევლობის გრძნობა ქრება და მის ნაცვლად საბოლოოდ გარკვეულობის, სიმყარისა და დამშვიდებულობის განცდა რჩება" (3, 193).

გადაწყვეტილების აქტის საფუძველია ნებისყოფა, რომლის სუბიექტი ობიექტური ღირებულების მქონე მოტივით ხელმძღვანელობს და "მე უნდა" განცდაც სწორედ გადაწყვეტილების აქტში იჩენს თავს. გადაწყვეტილების აქტს და გადაწყვეტილებისათვის საჭირო შესაბამის განწყობას განსაზღვრავს თვითონ პიროვნება, როგორც ნებისყოფის სუბიექტი. იგი საჭიროების შემთხვევაში იქვემდებარებს ყველა აქტუალურ მოთხოვნილებას, მაღლდება მათ იმპულსებზე და ობიექტური ღირებულების მოტივის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას. ეს ყველაფერი კი ფენომენოლოგიურად "მე უნდა" განცდაში აისახება. ვფიქრობთ, სავსებით სწორად მსჯელობს შ.ჩხარტიშვილი, რომელიც დ.უზნაძისაგან განსხვავებით ამტკიცებს, რომ ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ბუნებას გამოხატავს არა "მე მინდა" განცდა, არამედ "მე უნდა" განცდა, როგორც პიროვნებისათვის ყველაზე უფრო მისაღები ქცევის გადაწყვეტილების განცდა. "მე უნდა" განცდას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველთვის ახლავს თან იმ ღირებულების ცნობიერება, რომლისთვისაც სუბიექტმა ასეთი მოქმედების განხორციელება მოინდომა.

ისმება კითხვა: რჩება თუ არა ადგილი ნებისმიერი ქცევის სტრუქტურაში "მე მინდა" განცდისათვის? ნუთუ იგი მხოლოდ იმპულსური ქცევის აქტებში დასტურდება და, როგორც შ.ჩხარტიშვილი ამბობს, ყოველთვის მოთხოვნილების სუბიექტის ბუნებას გამოხატავს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ "მე მინდა" განცდისათვის არათუ რჩება ადგილი ნებისმიერ ქცევაში, არამედ ასეთი განცდის (რომელიც შესაბამისი განწყობის ანარეკლია) გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა ქცევის განხორციელება (ჩვენს შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილების რეალიზება). ჩვენი აზრით, ნებისმიერი ქცევის განხორციელება, თუკი "მე უნდა" განცდა არ გადაიზარდა "მე მინდა" განცდაში, თუ იგი არ ჩაირთო პიროვნების (სუბიექტის) მოთხოვნილებათა სისტემაში, ქცევა რეალურად ვერ განხორციელდება, "მე უნდა" განცდა ვერ იქნება ქმედითი. რამდენი გადაწყვეტილება და "მე უნდა ვიმოქმედო" დარჩენილა განუხორციელებელი იმიტომ, რომ "მე მინდა"-ს სისტემაში არ ჩართულა.

"მე მინდა" განცდა, ჩვენი აზრით, სწორედ პრაქტიკული ქცევის განწყობის ანარეკლია და არა გადაწყვეტილების და მის საფუძველში მდებარე განწყობისა, როგორც ეს დ.უზნაძესთანაა წარმოდგენილი. გადაწყვეტილებისათვის საჭირო განწყობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასახულია "მე უნდა" განცდაში.

მართალია, არჩევანის გაკეთება და ამა თუ იმ ქცევის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შესაბამის განწყობას ემყარება, ამ ქცევის განხორციელებისაკენ მიმართული აქტივობის ტენდენციასაც შეიცავს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება, როგორც ვთქვით, ყოველთვის არ იძლევა იმის გარანტიას, რომ შესაბამისი ქცევა განხორციელდება. ჯერ ერთი, გააჩნია გადაწყვეტილების სიმტკიცეს, არჩეული ქცევის მიზნის სიცხადეს. თუ გადაწყვეტილება მტკიცეა და ქცევის მიზანიც ნათელი, ასეთ შემთხვევაში "მე უნდა" განცდა თავისთავად, ძალდაუტანებლად პრაქტიკული მოქმედების განწყობაში, "მე მინდა" განცდაში გადა-

იზრდება და მიზანში გათვალისწინებული ქცევის რეალიზაციაც თითქოს თავისით მოხდება. მაგრამ თუ გადაწყვეტილება არაა მტკიცე, მით უფრო, როდესაც გადაწყვეტილებასა და გადაწყვეტილების განხორციელებისათვის საჭირო აქტივობის დასაწყისს შორის საკმაოდ ხანგრძლივი დროითი ინტერვალია, ცხადია, "მე უნდა" განცდა ქცევის სუბიექტის დამატებითი ძალისხმევის გარეშე, შეიძლება ითქვას, პრაქტიკული მოქმედების განწყობის სტიმულაციისა და მისთვის უფრო დიფერენცირებული სახის მიცემის გარეშე, რაც ახალი, პრაქტიკული მოქმედების განწყობის შექმნას გულისხმობს, ვერ გადაიზრდება "მე მინდა" განცდაში. ასეთ შემთხვევაში ნებელობა ვერ შეასრულებს თავის "უშუალო ამოცანას", ობიექტივაციის დონეზე შემუშავებულ განწყობას ვერ გადააქცევს აქტუალურ განწყობად, "მე უნდა" განცდაც ვერ გადაიზრდება "მე მინდა"-ში და ვერ განხორციელდება ქცევა.

ასეთი ვითარება განსაკუთრებით კარგად იჩენს თავს შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევის განხორციელების შემთხვევაში (19). შორეული მოტივაციური ქცევა, რომელიც შეიძლება დროში და სივრცეში ფართოდ გაშლილი, ერთმანეთისადმი დაქვემდებარებული მოქმედებების მთელი სისტემისაგან შედგებოდეს, შეუძლებელია წინასწარ შემუშავებული ერთი, თუნდაც ძალიან მტკიცე ე.წ. სტატიკური განწყობის საფუძველზე განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში "მე უნდა" განცდის "მე მინდა" განცდად ტრანსფორმირებისა და მისთვის ქცევის განმსაზღვრელი ფუნქციის შენარჩუნებისათვის საჭირო ძალისხმევა კარგად ჩანს ამ ქცევის განწყობის თავისებურებაში. კერძოდ, შორეული მოტივაციური ქცევა განპირობებულია ისეთი განწყობით, რომელშიც ასახულია მთელი აქტივობის მხოლოდ ძირითადი ღერძი, მისი არსებითი მხარე. ამ

განწყობაში შეუძლებელია წინასწარ მოცემული იყოს განსახორციელებელი ქცევის თითოეული აქტი, ყოველი კონკრეტული მოქმედება, რომელიც საჭიროა ქცევის მიზნის (გარკვეული ობიექტური ღირებულების მქონე შედეგების მისაღწევად). ეს შეუძლებელია, რადგან შორეული მოტივაციური ქცევის განწყობა იგება მოქმედების გეგმის საფუძველზე. მოქმედების გეგმაში კი სუბიექტს ყველა აუცილებელი თუ შემთხვევითი გარემოების გათვალისწინება როდი შეუძლია. განწყობა მხოლოდ შემდეგ, გზადაგზა, მოქმედების ძირითადი გეგმის რეალიზაციის პროცესში იძენს შინაგან გარკვეულობას და უფრო დიფერენცირებულ სახეს. ასეთ განწყობას შ.ჩხარტიშვილი სავსებით მართებულად "ინტეგრირებულ განწყობას" უწოდებდა (20, 232).

ამრიგად, "მე უნდა" განცდის (რომელიც გადაწყვეტილების ეტაპისთვისაა დამახასიათებელი) "მე მინდა" განცდად გარდაქმნის თუ გადაზრდის გარეშე (რომელიც ქცევის განხორციელების საფუძველია), ნებისმიერი ქცევა შეუძლებელია განხორციელდეს. კიდევ მეტი, არა მარტო ნებისმიერი, არამედ იძულებითი, თავსმოხვეული ქცევის შემთხვევაშიც, ჩვენი აზრით, ანალოგიური მექანიზმი უნდა მუშაობდეს, მსგავს ვითარებას უნდა ჰქონდეს ადგილი. მოვიყვანოთ დ.უზნაძის მაგალითი: ადამიანი ზოგჯერ იძულებული ხდება ის გააკეთოს, რასაც მას უკარნახებენ, ასრულებს სხვის ნებას, თავს მოხვეულ აქტივობას, რასაც საკუთარი სურვილით ხელს არ მოკიდებდა. იძულებითი ქცევისას ადამიანი გარედან მომდინარე მოთხოვნილებას ასრულებს. რა წარმართავს ასეთ ქცევას? განწყობაზე ლაპარაკი აქ თითქოს ძნელია – ამბობს დ.უზნაძე. მაგრამ სუბიექტი ბოლოს და ბოლოს ხომ **იწყნარებს** (ხაზგასმა უზნაძისაა) ამ ქცევას და იგი მის საქმედ იქცევა. ე.ი. განწყობის სრული უარყოფა და

მისთვის დამახასიათებელი ტენდენციის გამორიცხვა, რომელიც მოთხოვნილების ("მე მინდა"-ს – ნ.ბ.) მსგავსად განიცდება, მაინც არ შეიძლება.

ისმება კითხვა: თუკი "მე უნდა" განცდა ნებისმიერი ქცევის ბუნებას გამოხატავს, "მე მინდა" - კი იმპულსურისას, მაშინ ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ პირველის მეორეში გადაზრდის შემთხვევაში ნებისმიერი ქცევაც იმპულსურ ქცევად გარდაიქმნება?

ცხადია, არა. "მე უნდა"-ს "მე მინდა" განცდაში გადაზრდა იმას როდი ნიშნავს, რომ ნებისყოფითი ქცევა იმპულსურ ქცევად გადაიქცა. შეიძლება ბოლომდე არ იყოს გამართლებული, მაგრამ საკითხის ნათელსაყოფად აქ შეიძლებოდა გარკვეული პარალელის გავლება და ყურადღების ფორმებთან დაკავშირებული მაგალითის მოყვანა. როგორც ცნობილია, ნ.დობრინინის გამოკვლევების შემდეგ განასხვავებენ უნებლიე, ნებისმიერ და ნებისმიერის შემდგომ ყურადღებას. თავისი ფსიქოლოგიური მახასიათებლებით ნებისმიერის-შემდგომ ყურადღებას აქვს ნიშნები, რომლებიც აახლოებენ მას უნებლიე ყურადღებასთან, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ნებისმიერის შემდგომი ყურადღების შემთხვევაში ქცევა ისე გაიტაცებს მის სუბიექტს, რომ ყურადღება უკვე არ მოითხოვს ნებისყოფით რეგულირებას. ამ დროს თვითონ ქცევა განიცდება როგორც მოთხოვნილება. მიუხედავად ამისა, ნებისმიერის შემდგომი ყურადღება არ დაიყვანება იმპულსურ, უნებლიე ყურადღებაზე, ვინაიდან იგი დაკავშირებულია შეგნებულად დასახული მიზნის, კერძოდ, პიროვნულად ღირებული შედეგის მიღწევასთან.

ჩვენს შემთხვევაშიც, განცდისეულად, წმინდა ფენომენოლოგიური თვალსაზრისით და მოტივაციური ფუნქციითაც, მოთხოვნილებით აღძრული იმპულსური ქცევის სუბიექტი-

სათვის დამახასიათებელი "მე მინდა" განცდა და ნებისყოფითი ქცევის დასკვნითი ეტაპისათვის დამახასიათებელი იგივე განცდა თითქოს ერთმანეთისაგან პრინციპულად არც კი უნდა განსხვავდებოდეს. ორივე მიმართულების ქცევაში არსებული ვითარება განიცდება და ეს უკანასკნელი უშუალოდაა დაკავშირებული ქცევის მოტივაციურ მხარესთან. მაგრამ ამ თითქმის იდენტური განცდების გენეზისი, მიმართულება და მათი განმცდელი სუბიექტების მიზნები არსებითად განსხვავებულია.

კერძოდ, იმპულსური ქცევის "მე მინდა" განცდა, ასე ვთქვათ, პირველადი წარმოშობისაა და მთლიანად მოთხოვნილების ფსიქოლოგიური (და არა მარტო ფსიქოლოგიური) ბუნებითაა განსაზღვრული. ნებისყოფითი ქცევის "მე მინდა" განცდა კი მეორადი წარმოშობისაა, ადამიანის ინტელექტუალური და ვოლიტური აქტივობის შედეგია. იგი ხშირად დროში შენახული გადაწყვეტილებით, ე.ი. განზრახვით, კ.ლევინის სიტყვებით რომ ვთქვათ, "კვაზიმოთხოვნილებით" და შესაბამისი სიტუაციით შექმნილი განწყობის ანარეკლია. მისი სუბიექტი ყოველთვის ობიექტური ღირებულების მქონე მოტივით, პერსპექტიული მიზნებით ხელმძღვანელობს და არა აწმყოს მდგომარეობასთან დაკავშირებული ახლო, სუბიექტური მიზნებითა და მოტივებით.

როგორც ვხედავთ, ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის სტრუქტურაში საკუთარი ადგილი მოეძებნა როგორც "მე მინდა" განცდას, ისე "მე უნდა" განცდასაც. ორივე განცდა დამახასიათებელი აღმოჩნდა ნებისმიერი ქცევისათვის, ოღონდ მისი სხვადასხვა ეტაპისთვის. საკითხის ჩვენეულმა ანალიზმა, ვფიქრობთ, გვიჩვენა, რომ "მე მინდა" განცდა

არის პრაქტიკული მოქმედების განწყობის ანარეკლი და არა გადაწყვეტილებისათვის საჭირო განწყობისა, როგორც ეს დ.უზნაძესთანაა მოცემული. გადაწყვეტილების აქტის საფუძველმდებარე განწყობის გამოვლინებაა "მე უნდა" განცდა. ნებისმიერი ქცევის მოტივიც "მე უნდა"-ს და არა "მე მინდა"- ბუნებისაა. ნებისმიერი ქცევა "მე უნდა" განცდის ფონზე, საჭიროებისა და ვალდებულების ცნობიერების ფონზე მიმდინარე ქცევაა, როგორც ამას მართებულად ასაბუთებს შ.ჩხარტიშვილი. მაგრამ რეალურად, პრაქტიკული მოქმედების საფუძველი ქცევის სუბიექტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ეს ე.წ. ფონი კი არაა, არამედ შესაბამისი ძალისხმევის საფუძველზე აღმოცენებული, ან უკვე "მე მინდა"-დ ტრანსფორმირებული "მე უნდა" განცდა. დ.უზნაძის აზრითაც, "მე მინდა" განცდის (და მასთან მიმართებაში მყოფი მოვლენების) გარეშე ქცევა ვერ განხორციელდება, მაგრამ ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში იგი ამ განცდის ადგილს და სათავეს, არცთუ ისე მართებულად გადაწყვეტილების აქტში ეძებს.

იმპულსურ ქცევაში, ასე ვთქვათ, თავიდან ბოლომდე ფიგურირებს პირველადი წარმოშობის "მე მინდა" განცდა, ნებისმიერ ქცევაში კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იგივე განცდა მეორადი წარმოშობისაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოთხოვნილებით აღძრულ იმპულსურ ქცევაში "მე მინდა" იმიტომ, რომ ახლა, ამჟამად მე მინდა ეს და მეტი არაფერი მაინტერესებს. შეგვიძლია გავიმეოროთ, რომ პირველადი წარმოშობის "მე მინდა" განცდის სტრუქტურაში არ შედის ობიექტური ღირებულების არავითარი ცნობიერება. ნებისყოფით განსაზღვრულ ნებისმიერ ქცევაში (მის დასკვნით

ეტაპზე), "მე მინდა" იმიტომ, რომ "მე უნდა" მოვიქცე ასე, რომ ასეა საჭირო ობიექტური ვითარებიდან, პერსპექტივებიდან თუ სხვა პიროვნული და საზოგადოებრივი ღირებულებებიდან გამომდინარე, ე.ი. მეორადი წარმოშობის "მე მინდა" განცდაში ყოველთვის ჩართულია ობიექტური ღირებულების ცნობიერება. იმპულსურ ქცევაში, როგორც ვიცით, ასეთი რამ გამორიცხულია, უფრო მეტიც, ეს პრინციპულად შეუძლებელია ამ ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნების გამო.

როგორც ვხედავთ, ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ ჩვენს მიერ განხილული შეხედულებები ფაქტობრივად ავსებენ ერთმანეთს. მართალია, დ.უზნაძემ სათანადო ყურადღება არ (თუ ვერ) მიაქცია მოტივაციის პროცესში, განსაკუთრებით, მის დასასრულს აღმოცენებულ, გადაწყვეტილების საფუძვლად მდებარე ვითარების ამსახველ "მე უნდა" განცდას და ნებელობის აქტის ფენომენოლოგიური მხარე მთლიანად დაუკავშირა "მე მინდა" განცდას, ხოლო შ.ჩხარტიშვილმა გადამწყვეტი როლი დააკისრა "მე უნდა" განცდას და ნებისყოფიდან არსებითად გამორიცხა "მე მინდა" განცდა, მაგრამ საკითხის თავისებურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნებისმიერი ქცევის სტრუქტურაში ორივე განცდას აქვს რეალურად ადგილი. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს შეხედულებები ნებისმიერი ქცევის ბუნების გაგების საკითხში ავსებენ ერთმანეთს და ფაქტობრივად ქმნიან ერთ მწყობრ შეხედულებას.

დ.უზნაძისა და შ.ჩხარტიშვილის შეხედულებების შეთავსებადობა იმ მხრივაც უნდა იყოს გამართლებული, რომ ორივე ავტორის აზრით, ნებელობის შემთხვევაში აქტუა-

ლური მოთხოვნილება არ არის მოქმედების წყარო, ნებისმიერი ქცევა არასდროს აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების იმპულსს არ ეყრდნობა. თუმცა, შ.ჩხარტიშვილი შენიშნავს, რომ "დ.უზნაძე ამ უაღრესად მნიშვნელოვან მოსაზრებას ბოლომდე არ გაჰყოლია. მან ნებისმიერი ქცევის ენერგიის წყაროდ საბოლოოდ მაინც ზოგადი ანუ განყენებული მოთხოვნილებები მიიჩნია" (13, 203). მაგრამ მოთხოვნილება, შ.ჩხარტიშვილის აზრით, შეუძლებელია ზოგადი, განყენებული, არააქტუალური იყოს და შესატყვისი ქცევის იმპულსს არ იძლეოდეს. ზოგადი შეიძლება იყოს აზრი, იდეა მოთხოვნილების შესახებ. თვითონ მოთხოვნილება კი ყოველთვის კონკრეტულია და აქტუალური.

შ.ჩხარტიშვილის ეს შენიშვნა სამართლიანია, ანდა ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, თუკი ვიგულისხმებთ, რომ დ.უზნაძე აღნიშნულში მოთხოვნილების ტრადიციულ გაგებას გულისხმობდა. მაგრამ გვაქვს კი ასეთი ვარაუდის უტყუარი საფუძველი? მაგალითად, მ.ბალიაშვილის აზრით (7, 25), უზნაძისეული "მე"-ს მაღალი, განყენებული, მუდმივი მოთხოვნილებები, ნებელობითი ქცევის ეს მამოძრავებელი ძალები არასწორად აღნიშნულნი არიან მოთხოვნილების ცნებით. ესაა ფაქტობრივად პიროვნების უნიკალურ ფასეულობათა სფერო, შ.ჩხარტიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტურ ღირებულებათა ის (პერსონიფიცირებული) სისტემა, რომელთა ცნობიერებაც შემდეგ ნებისმიერი ქცევის მოტივის არჩევას ედება საფუძვლად და, შესაბამისად, ასეთი ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორის ფუნქციას ასრულებს. თუკი ასე ვიმსჯელებთ, კიდევ უფრო გავამყარებთ ჩვენს მოსაზრებას (რომელიც, ცხადია, შემდგომ გა-

აზრებასა და დამუშავებას მოითხოვს), რომლის მიხედვითაც დ.უზნაძისა და შ.ჩხარტიშვილის შეხედულებები ავსებენ ერთმანეთს და ქმნიან ერთ მწყობრ შეხედულებას ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის შესახებ.

ლიტერატურა:


1. იხ. მაგ.: Е.Ильин, Психология воли, СПб., 2002.
2. ფსიქოლოგიის საფუძვლები, რედ. პროფ. ი.იმედაძე, თბ., 2005.
3. დ. უზნაძე, შრომები, ტ. VI, თბ., 1977.
4. დ. უზნაძე, შრომები, ტ. III-IV, თბ., 1964.
5. რ. ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1956.
6. ვ. კაკაბაძე, მოტივის ცნების გაგება დიმიტრი უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში, ფსიქოლოგია, ტ. XVII, თბ., 1986.
7. მ. ბალიაშვილი, „მე"-ს ცნება განწყობის ფსიქოლოგიაში, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, II, ბათ., 2006.
8. ზ. ვახანია, განწყობის ფსიქოლოგიის ფილოსოფიური საფუძვლები — ობიექტივაციის ცნება დ. უზნაძისა და შ. ნადირაშვილის თეორიებში, ფსიქოლოგია, XX, კრებული, თბ., 2007.
9. ი. კეჭაყმაძე, ობიექტივაციისა და რეფლექსიის ცნებათა მიმართებისათვის, ფსიქოლოგიური გამოკვლევები, II, ბათ., 2006
10. Ш.Н. Чхартишвили. Место потребности и воли в психологии личности, «Вопросы психологии», №2, 1958.
11. ამ საკითხებს ავტორი ეხება თავის მთელ რიგ შრომებში: შ.ნ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958. მისივე, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1974. წ. ა. ბოჭორიშვილი და შ. ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგია, თბ., 1963, თავი მე-13. მისივე, ნებისყოფა და მისი აღზრდა, თბ.;

1964. მისივე, Ш.Н. Чхартишвили. Место потребности и воли в психологии личности, «Вопросы психологии», №2, 1958.
12. ნ. ბარამიძე, ც. ტულუში, შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და „პიაჟეს ფენომენების“ დაძლევის უნარის მიმართებისათვის, ბათ., 2005.
13. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ. 1974.
14. შ. ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლება, თბ., 1958.
15. შ. ჩხარტიშვილი, ნებისყოფა და მისი აღზრდა, თბ., 1964.
16. БСЭ, третье издание, т.5, М., 1971.
17. აბოჭორიშვილი, შ.ჩხარტიშვილი, ფსიქოლოგია, თბ., 1950 (იხ. თავი ნებისყოფის შესახებ).
18. შ.ნადირაშვილი, განწყობის ანტროპული თეორია, თბ., 2001.
19. ნ.ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათ., 1995.
20. შ.ჩხარტიშვილი, განწყობა და ცნობიერება, თბ., 1975.

## შემოქმედებითად მოაზროვნე მეცნიერი და ექსპერიმენტატორი

### (პროფ. შ. ჩხარტიშვილის გარდაცვალებიდან 30-ე წლისთავის გამო)

ამ სტრიქონების ავტორს წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო პროფ. შ. ჩხარტიშვილის ასპირანტი, შემდეგ კი ემუშავა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის იმ განყოფილებაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა.

შ. ჩხარტიშვილისათვის დამახასითებელი იყო მეცნიერული კვლევის მაღალი კულტურა, ჭეშმარიტი შემოქმედებითობა, პრობლემის დანახვისა და მისი გადაწყვეტის გზების მიგნების იშვიათი უნარი. იგი იყო გაბედული მეცნიერი და ექსპერიმენტატორი. მის ნაშრომებში მოცემულია ფსიქოლოგიის არაერთი კარდინალური საკითხის ორიგინალური გადაწყვეტა. ნებისყოფის ფსიქოლოგიური ბუნების მისეული გაგება რად ღირს, მაგალითად, რომელიც ასახულია მაშინდელი საზომით ისეთ ავტორიტეტულ გამოცემაში, როგორიცაა დიდი საბჭოთა ენციკლოპედია (11). მართალია, ეს გამოცემა უკანასკნელ ჭეშმარიტებას როდი წარმოადგენს, მაგრამ ფაქტი თავისთავად საყურადღებოა, მით უფრო, როდესაც ამას ადგილი აქვს ჩვენდამი ტრადიციული მოსკოვური არაკეთილმოსურნეობის პირობებში.

შ. ჩხარტიშვილი იყო მრავალმხრივი მეცნიერი, იგი იკვლევდა ზოგადი, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის საკითხებს. ფუნდამენტური ნაშრომები დაგვიტოვა მან განწყობის ფსიქოლოგიაშიც.

ამჯერად ჩვენ ძალიან მოკლედ შევეხებით ნებისყოფის პრობლემის მისეულ გაგებას (უფრო ვრცლად იხილეთ ამავე კრებულში მოთავსებულ შესაბამის ნაშრომში) და შევჩერდებით ამ პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებულ სწავლის მოტივაციის ერთ კონკრეტულ საკითხზე, რომლებშიც ვფიქრობთ

კარგად ჩანს მეცნიერის აზროვნების არაორდინალური ხასიათი.

ნებისყოფაზე თავისი შეხედულების აგებისას, შ. ჩხარტიშვილი, უწინარეს ყოვლისა, განიხილავს მოთხოვნილების ფსიქოლოგიურ ბუნებას და ნათელყოფს, რომ შეუძლებელია ყოველგვარი ადამიანური აქტივობის წყარო იყოს მხოლოდ მოთხოვნილება. მართალია, მოთხოვნილება არის აქტივობის ყველაზე უფრო ძირითადი ფაქტორი, რომელიც ფიგურირებს ყველა ქცევაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ადამიანის ქცევა ყოველთვის აღიძვრება და წარიმართება მოთხოვნილების ცოცხალი პროცესით. მოთხოვნილება, როგორც ქცევის წყარო,საერთოა ადამიანისა და ცხოველისათვის. ადამიანს გააჩნია ამ საერთოსაგან განმასხვავებელი აქტივობის სპეციფიკური წყაროც. სპეციფიკურ-ადამიანური აქტივობის წყაროს, ავტორის აზრით, ნებისყოფა წარმოადგენს. (4; 5; 6).

მოთხოვნილების იმპულსით აღძრულ ქცევას შ. ჩხარტიშვილი იმპულსურ ქცევას უწოდებს, განურჩევლად იმისა, თუ როგორი მოთხოვნილებაა ეს, ცნობიერების რომელ დონეზე მიმდინარეობს ქცევა და რა წინააღმდეგობის გადალახვა უხდება მის სუბიექტს. იმპულსურ ქცევას, მოთხოვნილების ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ერთადერთი მიზანი გააჩნია: დაკმაყოფილდეს ამ ქცევის აღმძვრელი მოთხოვნილება. სხვა რამ (ქცევის შედეგები, მათი დადებითი ან უარყოფითი მნიშვნელობა ახლო თუ შორეული პერსპექტივისათვის, მომავალი ცხოვრებისათვის) ამ ქცევის სუბიექტს არ აინტერესებს. იმპულსური ქცევის მიზანი თვით ამ ქცევაშია მოცემული. რაც შეეხება მოტივს, ავტორის აზრით, იმპულსური ქცევის მოტივის ფუნქციას ასრულებს ემოციური განცდის ფორმაში მოცემული ქცევის სუბიექტური ღირებულება, რომელიც მისი აღმძვრელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ ქცე-

ვის აქტებთან უშუალო კავშირში იჩენს თავს და რომლის სიდიდე იცვლება მოთხოვნილების სუბიექტის მდგომარეობის ცვალებადობის შესატყვისად: მოთხოვნილების ზრდასთან ერთად იზრდება, ხოლო მისი დაკმაყოფილების კვალობაზე მცირდება. სწორედ ამიტომ უწოდებს ავტორი მას სუბიექტურ ღირებულებას.

აღნიშნულისაგან განსხვავებით, ნებისყოფით განსაზღვრული ნებისმიერი ქცევის მიზანი ყოველთვის ქცევის შედეგზე, ამ შედეგის ობიექტურ ღირებულებაზეა მიმართული. ნებისმიერი ქცევის სუბიექტს აინტერესებს იმ შედეგების ობიექტური და საზოგადოებრივი ღირებულება, რომელიც უნდა დარჩეს ქცევის დასრულების შემდეგ. ნებისმიერი ქცევის მოტივია ნივთიერ და სულიერ ღირებულებათა შექმნის, დაცვის, გამრავლებისა და შენახვის საჭიროება.

ობიექტური ღირებულებისა და საზოგადოებრივი მოთხოვნების გაცნობიერება მხოლოდ ნებისყოფასთან მიმართებაში იძენს მოტივის ფუნქციას. ნებისყოფის სუბიექტი ობიექტურ (საზოგადოებრივ) ღირებულებათა საზომით აფასებს მოვლენებს. თუკი მოთხოვნილება მხოლოდ თავისი თავის დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, ნებისყოფა ერთნაირად მოიცავს ყველა მოთხოვნილებას და პირველ რიგში ზრუნავს იმის დაკმაყოფილებაზე, რომელსაც მეტი ობიექტური ღირებულება აქვს.

ნებისმიერი ქცევის მოტივი, როგორც ვთქვით, განსხვავებით იმპულსური ქცევისაგან, არის ობიექტური ღირებულება. იგი იმით განსხვავდება სუბიექტური ღირებულებისაგან, რომ მისი არსებობა და სიდიდე არაა დამოკიდებული სუბიექტის მომენტურ მდგომარეობაზე და ამის მიხედვით არ ცვალებადობს. მას „ზედროული" და „ზესუბიექტური" არსებობის ფორმა გააჩნია და, ჩვეულებრივ, ლოგიკური მსჯელობის სახით ეძლევა ქცევის სუბიექტს.

ნებისყოფის სპეციფიკურ ბუნებას შ. ჩხარტიშვილის აზრით (დ. უზნაძისაგან განსხვავებით), გამოხატავს „მე უნდა" განცდა, ხოლო „მე მინდა" განცდა მხოლოდ იმპულსური ქცევის აქტებში დასტურდება და მოთხოვნილების სუბიექტის ბუნებას უფრო გამოხატავს.

შესაბამისი საკითხების დეტალური ანალიზის საფუძველზე, შ. ჩხარტიშვილი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანმა ცნობიერების გვერდით ნებისყოფის სახით შეიძინა ისეთი სპეციფიკური თავისებურება, რომელიც საშუალებას აძლევს მას განთავისუფლების აქტუალური მოთხოვნილების იმპულსების ტყვეობისაგან, დადგეს მომენტის ინტერესებზე მაღლა, ხელში აიღოს საკუთარი ქცევის ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობანი და ისეთი აქტივობა განავითაროს, რომელიც მიმართულია ობიექტურ ღირებულებათა სამკვიდროსაკენ, შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს და, ამასთანავე, პიროვნების მომავალი ცხოვრების ამოცანებს პასუხობს. სწორედ ნებისყოფა არის პიროვნების არსებობის ძირითადი ფორმა, სადაც არაა ნებისყოფა, იქ არაა პიროვნებაც.

ასეთია, ძალიან მოკლედ შ. ჩხარტიშვილის შეხედულების ძირითადი აზრი ნებისყოფაზე და ნებისმიერი ქცევის მოტივზე.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ შ. ჩხარტიშვილის მოღვაწეობას, მის თეორიულ ნააზრევს, დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულების გარდა, ის მნიშვნელობაც აქვს, რომ პრობლემისადმი მისი ნოვატორული მიდგომა, მისი იდეები იძლევა მძლავრ სტიმულს ახალი აზრების გაჩენისა, საკითხის სხვა კუთხით დანახვისა. გამონაკლისი არც ნებისყოფის მისეული გაგებაა, რომელთან დაკავშირებითაც ორი ასეთი კითხვა გვიჩნდება: რამდენად სწორია ნებისმიერი ქცევის სტრუქტურიდან „მე მინდა" განცდის მთლიანად გამორიცხვა და ნებისყოფის

სპეციფიკური ბუნების დაკავშირება მხოლოდ „მე უნდა" განცდასთან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნებისყოფითი ქცევის, ოღონდ მისი სხვადასხვა ეტაპის სტრუქტურაში შედის ორივე ეს სრულიად განსხვავებული ბუნების განცდა. კერძოდ, „მე უნდა" დამახასიათებელია მოტივაციის, მომავალი ქცევის არჩევის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ეტაპისათვის, „მე მინდა" განცდა კი ნებისმიერი ქცევის მესამე, დამამთავრებელი ეტაპისთვის. ამასთანავე, ნებისმიერი ქცევისათვის დამახასიათებელი „მე მინდა" განცდა მეორადი წარმოშობისაა. იგი ფაქტობრივად ადამიანის ინტელექტუალური და ვოლიტური აქტივობის შედეგად ტრანსფორმირებული, შესაბამისი განწყობის აღმოცენებით „მე მინდაში" გადაზრდილი „მე უნდა" განცდაა, რომელშიც ყოველთვის ფიგურირებს ობიე ქტური ღირებულების ცნობიერება. იმპულსური ქცევის ბუნების გამომხატველი „მე მინდა' განცდა კი პირველადი წარმოშობისაა, რომელიც იმთავითვე გამორიცხავს ობიექტური ღირებულების რაიმე ცნობიერებას (უფრო ვრცლად იხილეთ ამავე კრებულში მოთავსებულ შესაბამის ნაშრომში).

მეორე საკითხი ეხება ნებისმიერი ქცევის მიმართებას ზნეობრივ ქცევასთან. კერძოდ, ნებისმიერი ქცევის მოტივის (ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულებები) შ. ჩხარტიშვილისეული გაგება ხომ არ გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი ქცევა ყოველთვის ზნეობრივია? სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველა ნებისმიერი ქცევა არის თუ არა ზნეობრივი? ანდა პირიქით, ყველა ზნეობრივი მოქმედება არის თუ არა ნებისყოფითი"? ეს საკითხები საგანგებო მსჯელობის საგნად თვითონ ავტორს არ გაუხდია. მახსენდება, სტუდენტობისას სპეციალური პრაქტიკის ერთ მონაკვეთს გავდიოდით ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. შეხვედრები გვქონდა სხვადასხვა განყოფილების ხელმძღვანელებთან. შევხვდით ბატონ შალვასაც. სხვა საკითხებთან ერთად

მან ისაუბრა ნებისყოფის პრობლემაზეც. როდესაც მომეცა შესაძლებლობა, მე მოკრძალებით ვკითხე მას: ნებისყოფის შესახებ აქ მოსმენილი შეხედულების მიხედვით, როგორ უნდა გავიგოთ, მაგალითად, ჰიტლერს ჰქონდა თუ არა ნებისყოფა? მოქმედებდა თუ არა იგი როგორც ნებისყოფის სუბიექტი? ბატონმა შალვამ მიპასუხა: საკითხს ასე ნუ დასვამთო და იმჯერად საჭიროდ არ ჩათვალა ამ ასპექტით საუბრის გაგრძელება. სამწუხაროდ, შემდეგში ეს საკითხი ამოვარდა ჩემი ცნობიერებიდან და მხოლოდ ახლა დადგა ჩემს წინაშე მთელი სიმწვავით. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ახლა უკვე ვერ მოვისმენთ შ. ჩხარტიშვილის პასუხს ამასთან დაკავშირებით. ამ დანაკლისს ვერავინ შეავსებს. საკითხი კი სერიოზულ განსჯა-გააზრებას მოითხოვს. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება თუკი ეს გაკეთდება სპეციალურ ნაშრომში, რასაც მომავალში შევეცდებით.

* * *

ახლა გვინდა შევჩერდეთ ნებისყოფის პრობლემასთან დაკავშირებულ სწავლის მოტივაციის ერთ კონკრეტულ საკითხზე, რომელშიც ვფიქრობთ, ასევე კარგად ჩანს შ. ჩხარტიშვილის მეცნიერული აზროვნების შემოქმედებითობა.

სწავლის ფსიქოლოგიური ბუნება, წერს შ. ჩხარტიშვილი, იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ მოტივს ეფუძნება იგი. ამ საკითხის გარკვევას კი განსაკუთრებული პრაქტიკული ღირებულება აქვს, ვინაიდან სწავლების ორგანიზაციული და მეთოდური თავისებურებანი ბევრადაა დამოკიდებული ამ ფორმებზე (9; 8; 7). ავტორი მოტივაციური საფუძვლების მიხედვით განასხვავებს სწავლის სამ ძირითად ფორმას: 1. მოტივაციურ საყრდენს მოკლებული-ლატენტური სწავლა; 2. ჰეტეროგენუ-

ლი მოტივებით აგებული ცნობიერი სწავლა; 3. საკუთარ, ჰომოგენურ მოტივებზე აგებული შეგნებული სწავლა.

ჩვენ არ შევუდგებით სწავლის პირველი ორი ფორმის ჩხარტიშვილისეულ დახასიათებას (თუმცა, მათშიც არის გამოთქმული ახალი მოსაზრებები) და ძირითადად შევჩერდებით ჰომოგენურ მოტივებზე აგებული სწავლის დახასიათებაზე, რომელიც მართლაც ორიგინალურია.

საკუთარ ანუ ჰომოგენურ მოტივებზე აგებული სწავლა წარმოადგენს ქცევის დამოუკიდებელ ფორმას. ამ ქცევის აღმძვრელი წყარო, საზრისის მიმცემი მოტივი და მიზანი (მისწრაფების საგანი) შინაგანი აუცილებლობით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. შ. ჩხარტიშვილის აზრით, სწავლის ეს ფორმა არ თავსდება დ. უძნაძის მოდელში, რომლის მიხედვითაც ყოველ ქცევას საკუთარი მოტივი აქვს. რამდენიცაა მოტივი, იმდენია ქცევაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ ქცევას ერთი მოტივი შეიძლება ჰქონდეს.

სწავლა მაშინაა დამოუკიდებელი ქცევა, თუკი საკუთარი მოტივითაა აღძრული. როცა მას სხვა, ჰეტეროგენული მოტივი მართავს, იგი მოქმედებაა, რომელიც სხვა ქცევის სტრუქტურაშია ჩართული და მისი მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს. რა შეიძლება იყოს სწავლის საკუთარი, ჰომოგენური მოტივი? სწავლის რომელმა შედეგმა შეიძლება ამ ქცევის მიზნის ფუნქცია შეასრულოს?

სწავლას სამი მთავარი შედეგი მოსდევს ბუნებრივად. სწავლა იწვევს მოზარდის ინტელექტუალური ძალების განვითარებას, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს მოსწავლის სასწავლო ქცევის მიზანი, რადგანაც იგი ცნობიერების კონტროლს არ ემორჩილება. სწავლა ერთდროულად აკმაყოფილებს ორ გონებრივ მოთხოვნილებას: ინტელექტუალური აქტივობის მოთხოვნილებას და ჭეშმარიტების განცდის (ცოდნის მიღების) წყურ-

ვილს. შ. ჩხარტიშვილის აზრით, სპეციალურ ლიტერატურაში ამ ორ მოთხოვნილებას ერთმანეთისაგან არ ასხვავებენ, თეორიული მოთხოვნილების სახელწოდებით აღნიშნავენ და სწავლის საკუთარ მოტივად თვლიან, ხოლო მიზნად მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო ცოდნის მოპოვებას აღიარებენ. ეს განმარტება აკმაყოფილებს ქცევის ზემოაღნიშნულ მოდელს, მაგრამ სწავლას, როგორც დამოუკიდებელი ბუნების ქცევას, ვერ ითავსებს.

ავტორი ლაპარაკობს სწავლის უზნაძისეულ გაგებაზე (2), რომ იგი თამაშის თავისებურებებსაც იზიარებს და შრომისაც, რომ სწავლა თამაშიდან შრომაზე გარდამავალი ქცევის საფეხურს წარმოადგენს და აქვე სვამს კითხვას: შეიძლება თუ არა თეორიული მოთხოვნილება იყოს სწავლის მოტივი? რა აკმაყოფილებს თეორიულ მოთხოვნილებას? ინტელექტის აქტივობა მას შეუძლებელია აკმაყოფილებდეს. თეორიულ მოთხოვნილებას ინტელექტუალური აქტივობის შედეგთან აქვს საქმე, მას ინტელექტუალური აქტივობის რეზულტატი-ცოდნა აკმაყოფილებს. მაგრამ უკვე მიღებული ცოდნა შეუძლებელია თეორიულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. ავტორის აზრით, თეორიულ მოთხოვნილებას ახალი ცოდნის მიღების პროცესი აკმაყოფილებს და არა იმ ჭეშმარიტების განმეორებით ხილვა, გახსენება, რომელიც კარგადაა ცნობილი მისი სუბიექტისათვის.

შ. ჩხარტიშვილი აქ, მისი შეფასებითაც, გამოთქვამს მეტად გაბედულ აზრს და ამბობს: თვითონ ცოდნას, თვითონ ჭეშმარიტებას თავისთავად, საერთოდ არ შეუძლია თეორიული მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ასე რომ არ ყოფილიყო, ამ მიზნისათვის ადრე მტკიცედ ათვისებული და უზადოდ შემონახული ცოდნაც გამოდგებოდა, ჭეშმარიტების რეპროდუქციაც საკმარისი იქნებოდა. სინამდვილეში ხდება პირიქით, შეძენილი ცოდ-

ნა თეორიულ მოთხოვნილებას კი არ აკმაყოფილებს, (კი არ ხსნის მას - ნ.ბ), არამედ აძლიერებს და უფრო მეტად ენერგიულს ხდის. ყოველ კონკრეტულ ცოდნას, ყოველ კონკრეტულ ჭეშმარიტებას, თუ იგი მოპოვების შემდეგ დავიწყებული არ იქნა და ხელახლა შესაძენი არ გახდა, მხოლოდ ერთხელ შეუძლია ადამიანის თეორიული მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

ავტორის აზრით, თეორიულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს აზროვნების სიტუაციაში არსებული სიახლე და პრობლემურობა. ამ მოთხოვნილების ობიექტი პრობლემის გაჩენისა და გადაჭრის, ამოცანის გააზრებისა და ამოხსნის, მოვლენათა შორის არსებული მიმართებების ძიების, წვდომისა და გაგების მომენტში იჩენს თავს. ამრიგად, თეორიულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს არა უკვე მოპოვებული ცოდნა, ჭეშმარიტება, არამედ სიახლე. იგი პრობლემების აღმოჩენასა და გადაჭრაში პოულობს დაკმაყოფილებას.

თუ სწორია ის, რაც თეორიული მოთხოვნილების ობიექტის შესახებ ითქვა, ამბობს ავტორი, მაშინ სწავლა, რომელიც ამ მოთხოვნილებითაა მოტივირებული, იქ უნდა შეწყდეს ბუნებრივად, სადაც პრობლემის დანახვა და გადაჭრა, ამოცანის გააზრება და ამოხსნა, მოვლენათა ურთიერთმიმართების გაგება მთავრდება. მაგრამ ეს ასე არ ხდება. მოსწავლეს, ჩვეულებრივ, მასალის გაგებაზე, მის გააზრებაზე (ე.ი. იმაზე რაც თეორიულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს) უფრო ნაკლებ დროს ხარჯავს, ვიდრე ამ გზით მიღებული ცოდნის დამახსოვრებაზე და ისეთი ცოდნა-ჩვევის მტკიცედ შემუშავებაზე, რომელსაც თეორიულ მოთხოვნილებასთან არაფერი აქვს საერთო.

სწავლა რომ მხოლოდ მოთხოვნილებით იყოს აღძრული, მისი მიმდინარეობა სახალისო უნდა იყოს, მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემდეგ კი იგი უნდა წყდებოდეს. მაგრამ ასე როდია. მოსწავლე დიდ ძალისხმევას მიმართავს, რომ პროგრა-

მით გათვალისწინებული მასალა ჯეროვნად აითვისოს, დაიმახსოვროს. იგი გრძნობს პასუხისმგებლობას სასწავლო აქტივობისადმი. სწავლა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, უსათუოდ გულისხმობს თავის სტრუქტურაში საქმისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას. სწორედ ამიტომ ემსგავსება იგი შრომას. ამის გათვალისწინების გარეშე სწავლას გავაიგივებთ თამაშთან პასუხისმგებლობის, სერიოზული დამოკიდებულების ახსნა კი მხოლოდ მოთხოვნილებით, მისი ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია. მაშინ სად უნდა ვეძებოთ მისი წარმოქმნის მიზეზი? რას შემოაქვს პასუხისმგებლობა სასწავლო ქცევის სტრუქტურაში? ლოგიკურად სვამს კითხვას ავტორი და, ადამიანის ქცევის ფორმების უზნაძისეული დახასიათების გათვალისწინებით, პასუხობს: სასწავლო ქცევის ის თავისებურებანი, რითაც იგი შრომას ჰგავს, განსაზღვრულია შრომის მოტივით, იმ პროდუქტის საზოგადოებრივი ღირებულებით, რომლის შექმნა და მოპოვება სწავლის მიზანდასახულობაში შედის. ამიტომ სწავლა, როგორც დამოუკიდებელი ქცევა, არ არის მხოლოდ ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა იმპულსით განპირობებული აქტივობა. მისი ორგანიზაციის საქმეში წამყვან როლს ასრულებს ნებისყოფა, რომელიც ინტელექტუალურ მოთხოვნილებებთან ერთად და მათ გარეშეც სასწავლო ქცევას აწესრიგებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შ. ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ სწავლა თავისი არსით ორმოტივიანი ქცევაა. მისი მიმდინარეობის თავისებურებებს ერთდროულად თამაშის მოტივებიც განსაზღვრავს და შრომისაც.

ასეთია შ. ჩხარტიშვილის შეხედულება სწავლის, როგორც მოსწავლის ქცევის დამოუკიდებელი ფორმის ფსიქოლოგიური ბუნების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, გარკვეულ სიძნელეებს ხვდება, რომელთა შესახებ

ჩვენ ადრეც გვქონდა გამოთქმული მოსაზრებები (1), ვფიქრობთ, ავტორს მთლიანობაში მართლაც ორიგინალურად აქვს გააზრებული სწავლის მოტივაციური მხარე, მისი ფსიქოლოგიური ბუნება. რაც შეეხება ჩვენს მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით, გვინდა ერთ გარემოებაზე გავამახვილოთ ყურადღება.

თუკი სასწავლო ქცევაში სოციალური მოტივაცია, ნებისყოფაა წამყვანი, თუ იგი თავის საქმეს აკეთებინებს სწავლის სუბიექტს, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას შესაბამისი ინტელექტუალური მოთხოვნილება (რითაც სწავლა თამაშის ბუნებას გაიზიარებდა), მაშინ როგორ გამოდის სწავლა ორმოტივიანი ქცევა? როგორ ენიჭება თამაშისა და შრომის მოტივებს, ინტელექტუალური ფუნქციობის მოთხოვნილებასა და ნებისყოფას ერთნაირი ღირებულება მის სტრუქტურაში? როგორ შეიძლება იყოს სწავლა გარდამავალი ან ორმოტივიანი ქცევა, როცა შრომის მოტივი (ნებისყოფისეული მამოძრავებელი ძალა) წამყვანია მასში და ანგარიშს არ უწევს სხვა აღმძვრელებს? ეს აღმძვრელები ხომ, მხოლოდ თავიანთ იმპულსებს აშველებენ ნებისყოფას (სოციალურ მოტივებს), რომელიც მათ გარეშეც და მათი წინააღმდეგობის პირობებშიც სასწავლო ქცევის ძირითადი მაორგანიზებელი ძალაა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწავლა არსებითად გონებრივი შრომის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს. იგი თავისი ფსიქოლოგიური ბუნებით, მოტივაციური წყობის თავისებურებით იმდენად შორს დგას თამაშისაგან და ისე უახლოვდება (უთანაბრდება) შრომას, რომ ძნელია ილაპარაკო მასზე, როგორც გარდამავალ ქცევაზე პირველიდან მეორემდე. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ სასწავლო აქტივობა ერთი ძირითადი კატეგორიის მოტივის, სოციალური, ნებისყოფისეული მამოძრავებელი ძალის ნიადაგზე აგებული ქცევაა. ხოლო რაც შეეხება სხვა დამატებით მოტივებს (აღმძვრელებს), ისინი ისე-

ვე მონაწილეობენ მასში, როგორც შრომაში და ისევე ვერ ცვლიან სწავლის მოტივაციურ სტრუქტურას, როგორც ეს არ ძალუძთ შრომის შემთხვევაში. არათუ სწავლა, არამედ ნებისმიერი სხვა ქცევა პოლიმოტივაციური ბუნებისაა. "უცნაურიც კი იქნებოდა შრომით საქმიანობაში გამოგვერიცხა პროცესუალური მოტივაცია" (10, 87) – ამბობს ვ. ასეევი. გერმანელი ფსიქოლოგი ჰ. ვერნერიც მიუთითებს, რომ კონკრეტული სასწავლო მოქმედება ყოველთვის პოლიმოტივაციურია (13). იგივე აზრს ავითარებს ი. იმედაძეც (12). ასე რომ, სხვადასხვა მოტივის მონაწილეობა ქცევაში სრულიად ბუნებრივია, მაგრამ ყველას ერთნაირი ღირებულება როდი აქვს ამ ქცევის განხორციელებისა და მისი ფსიქოლოგიური ბუნების განსაზღვრისათვის. სწავლის შემთხვევაში, როგორც ვთქვით, წამყვანია სოციალური, ნებისყოფისეული, შორეული მოტივაცია. სწავლა, ჩვენი აზრით, არსებითად, შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ქცევას წარმოადგენს (1). იგი ყოველთვის ადამიანის ფსიქიკური აქტივობის უმაღლეს დონეზე მიმდინარეობს და პიროვნულ ქცევად გვევლინება. სწავლის ასეთი გაგება, ვფიქრობთ, შეესაბამება ადამიანის ქცევისა და მისი მოტივის ურთიერთდამოკიდებულების უზნაძისეულ მოდელსაც.

* * *

შ. ჩხარტიშვილი იყო ორიგინალური და, ამასთანავე, გაბედული ექსპერიმენტატორიც. არაერთი საკითხი შეისწავლა მან თავისი მახვილგონივრული ექსპერიმენტებით. საყოველთაოდ ცნობილია, მაგალითად, ნებისყოფის კვლევის მისეული ე.წ. "ალბომის მეთოდი" (3), რომლის პრინციპიც განზოგადებული და გამოყენებული იქნა არამარტო ქართველი, არამედ უცხოელი ფსიქოლოგების მიერაც. ეს თვალსაჩინოდ დადასტურდა, მაგალითად, 1976 წელს სიმფეროპოლში გამართულ საკავშირო

სემინარზეც, რომელიც მიეძღვნა ქცევის ემოციურ-ნებისყოფითი რეგულაციის პრობლემას. სემინარის მონაწილე ა. ვისოცკიმ თავის მოხსენებაში და ამ სტრიქონების ავტორთანაც დაადასტურა შ. ჩხარტიშვილის დამსახურება ამ მიმართულებით.

მახსენდება, ჩემს დისერტაციაზე მუშაობისას ერთობლივად განვსაზღვრეთ ჩემი საკვლევი თემის – შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობების ექსპერიმენტული შესწავლის ზოგადი პრინციპი. ბატონმა შალვამ დამავალა მეფიქრა კონკრეტიკაზე: ექსპერიმენტული სიტუაციის ორგანიზებაზე, ცდების ჩატარების მიმდინარეობაზე, ვარიანტებზე, ექსპერიმენტულ მასალაზე და ა.შ. გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც გავეცანი საჭირო მასალებს და ჩამოვაყალიბე ჩემი მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით, მივედი ბატონ შალვასთან და მოვახსენე მათ შესახებ.

ერთ-ერთი ვარიანტის ცდებში ცდისპირს (საბავშვო ბაღის აღსაზრდელს) შესაბამისი ექსპერიმენტული სიტუაციის საფუძველზე, ვაყენებდით ასეთი არჩევანის წინაშე: "მამუკა, ირაკლი, თამრიკო... აი, შენს წინ, მაგიდაზე დალაგებულია კანფეტები – ერთი ცალი ცალკე და ხუთი სხვადასხვანაირი – ცალკე. ერთ ცალ კანფეტს მე ვიძლევი ახლა, ბევრს და სხვადასხვანაირს კი – მხოლოდ სადილის შემდეგ (ცდებს ვატარებდით სადილამდე დაახლოებით ერთი-ერთნახევარი საათით ადრე). მე იმას მოგცემ, რომელსაც შენ აირჩევ და შეგიძლია შეჭამო. მაგრამ იცოდე, თუკი შენ ახლა წაიღებ ერთ კანფეტს, მაშინ სადილის შემდეგ ვერ მიიღებ ბევრს, ხოლო თუ ახლა არაფერს არ წაიღებ, მაშინ შეგიძლია ნასადილევს მოხვიდე ჩემთან, მე ვიქნები ამავე ოთახში და წაიღო ბევრი, სხვადასხვანაირი (ხუთი ცალი) კანფეტი. როგორც გინდა ისე გადაწყვიტე და მოიქეცი – ერთი ცალი გირჩევნია ახლა, თუ ბევრი სადილის შემდეგ?"

იმის მიხედვით, თუ რომელს აირჩევდა ცდისპირი, რა მიმართულებით მოქმედების გადაწყვეტილებას გამოიტანდა იგი, შეინახავდა თუ არა ამ გადაწყვეტილებას დროში და რამდენად მოახერხებდა შემდეგში მის რეალიზებას, ჩვენ ვმსჯელობდით შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისყოფითი ქცევის შესაძლებლობაზე მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში და, საბოლოოდ, შესაბამის ასაკში. კერძოდ, თუკი ბავშვი, ბევრი და მრავალფეროვანი კანფეტების მიღების წინასწარ გამოთქმული სურვილის მიუხედავად, ვერ იკავებს თავს, ვერ ახერხებს მოთხოვნილების იმპულსის შეკავებას, ვერ მაღლდება მასზე და ირჩევს მოთხოვნილების ახლა, თუნდაც ნაწილობრივ, ოღონდ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას, ცხადია, იგი მოქმედებს როგორც ახლო მოტივაციური ბუნების მქონე იმპულსური ქცევის სუბიექტი და არა შორეული მოტივაციური (ნებისყოფითი) ქცევისა.

ექსპერიმენტული მუშაობა კარგად და საინტერესოდ წარიმართა. ბატონი შალვაც კმაყოფილია შედეგებით. ერთხელ, მორიგი შეხვედრისა და ჩემი ანგარიშის მოსმენის შემდეგ იგი კითხვანარევი ტონით მეუბნება: ერთ-ერთი ვარიანტის ცდებში ექსპერიმენტულ მასალად ფული (!) ხომ არ გამოვიყენოთ? კერძოდ, ჩავატაროთ ცდები მაღალი კლასის მოსწავლეებზე და ისინი ჩავაყენოთ, ვთქვათ, ასეთი არჩევანის წინაშე: ერთი მანეთი გირჩევნია დღეს, ახლა, თუ 5 მანეთი ორი დღის შემდეგ? მივიდეთ ბატონ ვასოსთან (ინსტიტუტის დირექტორთან) და გავაფორმოთ სათანადო ხელშეკრულებაო. ასეც მოვიქეცით. როდესაც ბატონი ვასო გაერკვა საქმის ვითარებაში, პირდაპირ განაცხადა: მე ფულს მოგცემთ, მაგრამ შედეგებზე პასუხს ვერ ვაგებო. ექსპერიმენტულ მასალად ფულის გამოყენებას, და ისიც მოსწავლეებთან, ვერ გაიგებენ ან ცუდად გაგვიგებენ. შემდეგ მე მომიბრუნდა და მითხრა: შვილო, იცოდე, მოსკოვში შენი

დისერტაციის დამტკიცების თვალსაზრისითაც ეს ამბავი რისკთან იქნება დაკავშირებულიო. ჩვენ მაინც გავაფორმეთ ხელშეკრულება და სალაროდან წესისამებრ გამოვიტანე ფულიც. ჩაფიქრებულს ბატონი შალვა მეუბნება, - თქვენ საძიებელ ხარისხს აუცილებლად მიიღებთ, ნუ შეგვეშინდება, ამით ჩვენ უფრო დიდ ექსპერიმენტს ჩავატარებთ საბჭოთა მეცნიერებაში (თუ საბჭოთა მეცნიერებაზე) და თქვენ პირველი იქნებით, ვინც ექსპერიმენტულ მასალად ფული გამოიყენაო.

გავაგრძელე ექსპერიმენტული მუშაობა. ცდები, როგორც იტყვიან, ნაღდი ფულის გამოყენებით, ჩავატარე 30 ცდისპირზე. გავთამამდი და ერთ ვარიანტში ცდისპირებს ვაყენებდი ასეთი არჩევანის წინაშე: ერთი მანეთი გირჩევნია დღეს, 3 მანეთი ხვალ, თუ 6 მანეთი ორი დღის შემდეგ? შედეგები, სხვა მონაცემებთან ერთად, შევიტანე სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც წარმატებით დავიცავი 1975 წელს. საინტერესოა, რომ 1976 წელს სიმფეროპოლში გამართულ ზემოაღნიშნულ საკავშირო სემინარზე შემხვდა ის კაცი (რ. ვაისმანი), რომელსაც უმაღლესი საატესტაციო კომისიის დავალებით წაეკითხა ჩემი სადისერტაციო მასალები და დადებითი რეცენზია დაეწერა ნაშრომზე. მას ახსოვდა ჩემი დისერტაცია და გაბედული და ორიგინალური ექსპერიმენტებისათვის მადლობა მითხრა. ეს მადლობა და მოწონება კი, ცხადია, უპირველეს ყოვლისა ეკუთვნოდა ჩემს მეცნიერ-ხელმძღვანელს, ჭეშმარიტ მკვლევარსა და ექსპერიმენტატორს, პროფ. შ. ჩხარტიშვილს.

ლიტერატურა:

1. ნ.ბარამიძე, შორეული მოტივაციური ქცევა და სწავლა, ბათ., 1995.
2. დ.უზნაძე, შრომები, ტ. V, თბ., 1967.

3. შ.ჩხარტიშვილი, შვიდი წლის ბავშვის ნებელობისათვის, ფსიქოლოგია, ტ. V, თბ., 1948.
4. შ.ჩხარტიშვილი, ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა, თბ., 1958.
5. შ.ჩხარტიშვილი, ნებისყოფა და მისი აღზრდა, თბ., 1964.
6. შ.ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.
7. შ.ჩხარტიშვილი, ექვსწლიანთა სასკოლო სწავლების საკითხები, თბ., 1980.
8. შ.ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური სტრუქტურა, ჟ. "სკოლა და ცხოვრება", 1972, №10.
9. შ.ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური ფორმები, ჟ. "სკოლა და ცხოვრება", 1972, №10.
10. В.Г. Асеев, Мотивация поведения и формирования личности, М., 1976.
11. БСЭ, третье издание, т. 5, М., 1971.
12. И.Имедадзе, Полимотивация и принцип соответствия мотива и деятельности. Проблемы формирования социогенных потребностей, Тб., 1981.
13. Hening Werner, Lermotuve bei schilern, Berlin, 1978.

# Р Е З Ю М Е

## ЕЩЕ РАЗ О НЕКОТОРЫХ ПРОБЛЕМНЫХ АСПЕКТАХ ТЕОРИИ УСТАНОВКИ

Ознакомление с многочисленными теоретическими и экспериментальными исследованиями по теории установки убеждает нас, что перед этой теорией в разное время, в различных аспектах, в большей или меньшей степени стояли и в настоящее время стоят следующие основные вопросы: объяснение закономерностей действия первичной и фиксированной установки, факторы выработки установки, структуры установки, отношение установки к сознанию, проблемы т. н. строительных материалов установки и вопрос взаимоотношения восприятия и установки.

Необходимо отметить, что некоторые вопросы, и в пределах грузинской психологической школы, не разрешены и не поняты однозначно. Они требуют дальнейшей разработки, в первую очередь, с учетом этапов формирования теории установки, а также на основе надлежащего осмысления богатого научного наследия Д. Узнадзе. Автор придерживается мнения, что противном случае возникает опасность выхода из пределов и целенаправленности теории установки Д. Узнадзе.

## ВОЛЯ, КАК ОСНОВА ДЕЙСТВИЯ В СООТВЕТСТВИИ С ОТДАЛЕННЫМИ МОТИВАМИ И ВЫСОКИМИ ИДЕАЛАМИ

В работе подчеркнуто, что в наших школах с активацией учебно-познавательных интересов учащихся, особое внимание должно уделяться воспитанию их воли. Сегодня в этой области не ведется почти никакой работы. Для этой цели не используется даже тот скудный материал, которым располагает психологическая наука. Это обстоятельство довольно часто и остро напоминает о себе, и, если мы не приложим усилий, то в будущем окажемся перед многими проблемами.

## АКСЕЛЕРАЦИЯ И ОТДАЛЕННОЕ МОТИВАЦИОННОЕ ПОВЕДЕНИЕ

Сравнение полученных нами результатов эксперимента проведенного 32 года назад с данными того самого эксперимента, который был повторен с современными детьми, показало, что не только никакой акселерации не отмечается в развитии возможностей отдаленного мотивационного поведения, но, наоборот, способность осуществления такого поведения – воля в значительной степени ослаблена у современных детей. По сравнению со своими сверстниками сегодняшние дети затрудняются в осуществлении отдаленного мотивационного поведения.

## ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ О ЕПИСКОПЕ ГАВРИИЛЕ

В статье рассматривается многогранная характеристика епископа Гавриила (в миру Геронтия Кикодзе), данная Ильей Чавчавадзе. Указывается, что в ней отразилась и основная мысль главного труда Гавриила, "Оснований опытной психологии".

Автор статьи, учитывая глубоко оригинальную оценку, данную Ильей Чавчавадзе, делает вывод, согласно которому многогранная деятельность епископа Гавриила представляет собой образец самоотверженного служения своему народу, науке и вере, образец, и сегодня не потерявший своего значения.

Думается, что именно эта мысль лежала в основе характеристики, данной Ильей Чавчавадзе, и была рассчитана и на будущие поколения. Ее основой была вся жизнь епископа Гавриила, полностью отвечавшая известному кредо Ильи Чавчавадзе: "Родина, язык, вера".

## ВОЗРАСТ И ПРЕДСМЕРТНЫЕ РАЗМЫШЛЕНИЯ

В труде поддерживается мнение, по которому физический возраст (жизненные годы) часто не дает настоящую картину о фактическом положении. Необходимо рассмотрение ситуации по биологическому, социальному и психологическому возрасту.

На основе экспериментальных данных подтверждено, что чем старше человек, тем труднее ему представить смерть, тем тяжелее говорит на эту тему. Всегда трезвые

"возрастные часы" более затрудняют представление о своей смерти, все более доминирует связанный со смертью страх.

Несмотря на то, что юность – это возраст романтизма и любви, большинство юношей заявляют, что в случае неизбежно близкой смерти, отказался бы от создания семьи и кратковременного счастья в ущерб другому человеку. Такая позиция молодежи естественно указывает на их высокие моральные качества, что особенно ценно в настоящих условиях.

## НЕКОТОРЫЕ НЕТРАДИЦИОННЫЕ СООБРАЖЕНИЯ О СУЩНОСТИ КОЛЛЕКТИВА

В отличии от положения, утвердившегося в нашей действительности, автор развивает тезис, по которому реальный коллектив не всегда есть безусловное благо для личности и ее развития.

Как известно, одной из особо присущих характеристик личности является ее индивидуальность и уникальность. Однако, однообразность и идентичность требований в коллективе, приводит к деиндивидуализации и обезличиванию членов коллектива.

Не оправдывает себя тезис о том, что коллектив это всемогущий фактор формирования личности. Исходя из фактического положения, мы должны признать, что наоборот, формирование полноценной личности невозможно только в коллективе, через коллектив и для коллектива.

## ОТДАЛЕННОЕ МОТИВАЦИОННОЕ ПОВЕДЕНИЕ И УСТАНОВКА

Установка отдаленного мотивационного поведения является установкой субъекта воли – субъекта, сформировавшегося под воздействием воспитания и общественных требований и оценивающего явления действительности с точки зрения объективной ценности. Субъект отдаленного мотивационного поведения всегда руководствуется независимыми от его нынешнего состояния, отдаленными, социально обусловленными мотивами.

## РЕДЧАЙШИЙ ОБРАЗЕЦ СЛИЯНИЯ НАЦИОНАЛЬНЫХ ИДЕАЛОВ, ПЕДАГОГИЧЕСКОГО МАСТЕРСТВА И ПСИХОЛОГИЧЕСКИХ ЗНАНИЙ

"Деда эна" Якова Гогебашвили – Редчайший образец слияния национальных идеалов, педагогического мастерства и психологических знаний. Прошло 130 лет, как она успешно формирует сознание учащихся и воспитывает патриотические чувства. Поэтому благодарный грузинский народ поставил памятник книге "Деда эна".

## ВОСПИТЫВАТЬ И СТРОИТЬ С УЧЕТОМ НАЦИОНАЛЬНЫХ И ОБЩЕЧЕЛОВЕЧЕСКИХ ЦЕННОСТЕЙ

Автор разделяет мнение Григола Робакидзе об авангардной роли Грузии и грузинских деятелей в распаде Российской империи и говорит о возможности использования этого же положения и по отношению к развалу советской империи. Исходя из этого подчеркивает, что дважды завоеванная независимость Грузии является не чьим-либо подарком, а результатом нашей исторической воли и самоотверженной борьбы за свободу.

Высказано мнение, что грузинский народ, исходя из такой своей роли и стремления, ожидал (хотя бы подсознательно) более быстрых темпов строительства единого, сильного, развитого демократического национального государства. Но из-за известных и непредусмотренных событий этот процесс затянулся. Наш народ данный факт встречает с пониманием (а не разочарованием), хотя иногда ему трудно объяснить проблемы, возникшие по нашей же вине, что в первую очередь связано с дефицитом национальной идеологии. В статье проанализировано несколько характерных примеров.

## ВЗАИМОСВЯЗЬ ВОЗМОЖНОСТЕЙ ОТДАЛЕННОГО МОТИВАЦИОННОГО ПОВЕДЕНИЯ И СПОСОБНОСТИ ПРЕОДОЛЕНИЯ "ФЕНОМЕНОВ ПИАЖЕ" НА ДООПЕРАЦИОНАЛЬНЫХ СТАДИЯХ (ОТ 4-Х ДО 7 ЛЕТ)

Экспериментальное исследование вопроса показало, что фактически не существует какой-нибудь закономерной

связи (корреляции) между возможностями осуществления волевого поведения с отдаленной мотивационной структурой и интеллектуальной способностью преодоления "феноменов Пиаже".

## Д.УЗНАДЗЕ И Ш.ЧХАРТИШВИЛИ – АВТОРЫ ОРИГИНАЛЬНОЙ ТЕОРИИ ВОЛИ

В статье рассматривается взгляды Д.Узнадзе и Ш.Чхартишвили на психологическую природу воли. Детально анализируется место переживаний "я хочу" и "я должен" в волевом поведении. Отмечается, что оба совершенно различных по своей природе переживания входят в структуру волевого поведения, хотя в различные ее этапы. В частности, на фоне переживания "я должен" протекает процесс мотивации, выбора будущего поведения и принятия соответствующего решения, а переживание "я хочу" характерно для третьего, завершающего этапа волевого поведения.

Автор статьи считает, что без перехода переживания "я должен" в переживание "я хочу", предполагающего замену первоначальной установки теоретического поведения новой установкой практического поведения, фактически невозможно осуществление волевого поведения.

На основе анализа взглядов Д.Узнадзе и Ш.Чхартишвили указывается, что они практически дополняют друг-друга и создают единый стройный взгляд на психологическую природу воли и на место последнего в поведении человека.

## ОРИГИНАЛЬНО МЫСЛЯЩИЙ УЧЕНЫЙ И ЭКСПЕРИМЕНТАТОР

Ш.Чхартишвили являлся оригинально мыслящим ученым и смелым экспериментатором. Он исследовал вопросы общей, возрастной и педагогической психологии. Фундаментальные труды оставил и в сфере психологии установки. Всем известен его т.н. "метод альбома", которым, а также разновидностями этого метода, вот уже 50 лет успешно пользуются для экспериментвльного исследования воли психологи не только нащей страны. Ш.Чхартишвили видимо был первым (и единственным) советским психологом, который предлагал своему аспиранту (автору этих строк) в качестве экспериментального материала использовать деньги (советские рубли), что и было успешно реализовано в диссертационной работе.

# S U M M A R Y

## AGAIN ABOUT SOME PROBLEMATICAL QUESTION OF THE SET THEORY

The acquaintance with the numerous theoretical and experimental investigations on the occasion of the set theory convinces us, that this theory at the different time and even now with different aspects has dealt with the next basic questions: The interpretation - of the regularity of the activity of the cnitial and fixed set, of the factors of the elaboration of the set, of the structure of the set, of the consciousness and unconsciousness of the set, of the problem of so called the building materials of the set and the problem of the interactivity between the perception and the set.

It is necessary to mark that some questions are not comprehended and determined even in the Georgian psychological school itself. These questions demand to be elaborated for the first time with due regard for the stages of the shaping of the set theory and on the ground of the author's cender standing D.Uznadze rich scientifical heritage.

Otherwise there is the possibility of origin of the danger to get the point of the bounds and purposefulness of D.Uznadze set theory.

## THE WILL AS THE FOUNDATION OF AN ACTION WITH THE INTEREST OF STATE AND THE HIGH IDEAL

In the article with due regard for the basis of the real circumstances it is observed that side by side with the education and the apprehensive interests of the students it should be given every support to them for the development and strengthening of their will. Today really nothing is done in this direction. Existing in the psychological science all available data is not used for this purpose. This circumstance is very vary often remind us about itself and it we don't do anything according to it in the future we shall appear before a lot of problems.

## THE ACCELERATION AND THE REMOTE MOTIVATIONAL BEHAVIOR

The comparison of the results of our experiment which had been taken 32 years ago with the results of analogical experiment had taken at present has shown that there is not the acceleration in the development of the possibilities of the remote motivational behavior and on the contrary the ability of the realization of such behavior – the will is considerably declined at present children. In the comparison with the children of their age in the past the contemporary children have difficulties in the realization of the remote motivational behavior.

## ILIA'S POINT OF VIEW ABOUT BISHOP GABRIEL'S WORK "THE BASIS OF EXPERIMENTAL PSYCHOLOGY"

The paper deals with the characterization of Bishop Gabriel's (secular name Gerasime Kikodze) ecclesiastical, secular and scientific activities described by Ilia Chavchavadze. It is mentioned that in the characterization the aspiration of Gabriel's main work "The Basis of Experimental Psychology" is reflected According to Ilia's evaluation the Bishop's numerous activities are the examples of his devotion to the nation, science and faith which hasn't lost the value even today. This was the main aim of the speech made by Ilia Chavchavadze on the day of the Bishop's funeral. The speech was also intended for future generations. The best example of it was the Bishop's activity, with coincided with Ilia's main credo "Homeland, Language, Faith".

## AGE AND DYING THOUGHTS

The paper shares the view that physical age does not often give the real picture of the actual situation. It is necessary to discuss the situation according to biological, social and psychological age.

On the basis of the experimental data it has been confirmed that the older the person is the more difficult it is to think about the death and to speak about it. Always active "age clock"

makes it difficult to think about death. A person becomes dominated by the fear of death.

Youth is the time for love and romanticism, but most of the young people claim that in case of inevitable death they wouldn't get married and would not make others unhappy because of their short-term happiness. It indicates to the young people's high moral characteristics.

## SOME NONTRADITIONAL POINT OF VIEW ABOUT THE COLLECTIVE

In opposition to the earlier in our reality established point of view the author shares and develops the thesis, according that the real collective is not always providing the good and the development for a person.

As it is well known, one of the characteristic feature of the person is individuality and uniquety. But the monotony and the identity of the climes of the collective provokes the deindividualization and the losting of the personality face of the members of the collective.

It is not justified the thesis that it is impossible the formation of the person without the collective. according the reality to the contrary, it is necessary to acknowledge that it is impossible to form the full-bledged person only in the collective, by help of the collective and for the collective.

## THE REMOTE MOTIVATED BEHAVIOR AND THE SET

The set of the remote motivated behavior is the set of a person, the person which has been matured during bringing up and by the influence of the social requirements and he is able to appraise the occurrences of the objective values. The person of the remote motivated behavior always is guided to action by the socially determined remote motives.

## THE UNIQUE EXAMPLE OF THE COMBINATION OF THE NATIONAL IDEALS, PEDAGOGICAL MASTERY AND PSYCHOLOGICAL KNOWLEDGE

The textbook "Deda Ena" (The mother Tong) written by Iakob Gogebashvili corresponds not only to the national principles and pedagogical requirements but also to the psychological particular features of a child. The author of "Deda Ena" knew very well that in an event of the lacking of such factors it was impossible for this textbook to fulfill the basic purposefulness. Even when Iakob Gogebashvili was including the verses of Akaki Tsereteli – the outstanding poet of the Georgian poetry, - in his textbook, he was selecting, estimating these verses and sometimes changing the words and phrases according to the requirements of the pedagogical-psychological point of view. Thus the textbook "Deda Ena" is the unique example of the combination of the national ideals, pedagogical mastery and psychological knowledge. That is why this textbook is successfully shaping the consciousness of the pupils and is developing

the patriotic senses. On account of that the grateful Georgian people erected the monument to the textbook "Deda Ena".

It is the only one of such kind, when the monument was erected to the book. Such an event is not known whenever in the world.

## TO BRING UP AND CREATE ON THE VALUES OF NATIONALITY AND HUMANITY

It is said that the Georgian people, as under the Tsarist; so under the rule of the Soviet Empire, were expected to construct united, well-built, prosperous and democratic national state because of their leading role and eternal inspiration in the war of independence (even subconsciously). That process has been slowed down due to the well known but unpredicted events. Our people try to understand existed situation with comprehension but not with disappointment. Nevertheless it is often difficult for the Georgians to make out the troubles caused by them. As we think it is because of deficiency of national ideology. Some characterized samples are analyzed in the article.

## THE CONNECTION OF THE POSSIBILITY OF THE REMOTE MOTIVATIONAL BEHAVIOR AND THE ABILITY OF THE OVERCOMING OF THE "PIAGET PHENOMENONS" ON THE PREOPERATIONAL STAGES (FROM 4 UP 7)

Experimental investigation of the question has shown that really there are not any well-grounded correlation between

possibilities of the realization of the volitional behavior with the remote motivational structure and the intellectual ability of the overcoming of the "Piaget phenomenons".

## DIMITRI UZNADZE AND SHALVA CHKHARTISHVILI – IN THE ESSENCE THE AUTHORS OF CENITED DETERMINATE POINT OF VIEW IN THEIR ATTITUDE TOWARD THE WILL

In the work is discussed the opinions of D.Uznadze and Sh. Chkhartishvili about the psychological nature of the will. Minutely is analyzed the feelings "I want" and "I must" at any behaviour. It is noted, that these feelings basically with different nature are included in any behaviour, but structurally in its different stage. Particularly on the background of the feeling "I must" is passing the process of motivation, the process of an election of the making up one's mind. The feeling "I want" is specific to the third, final stage of the will behaviour.

It is suggested the supposition that really without the transposition of the feeling "I must" in the feeling "I want" impossible to carry out any behaviour.

On the basic of the analysis of the opinions of D.Uznadze and Sh. Chkhartishvili it is shown that they in the essence are filling up each other and are constructing the cenited opinion about the psychological nature of the will and about its place in the behaviour of the man.

## PECULIARLY THINKING SCINTIST AND EXPERIMENTOR

Sh. Chkhartishvili was peculiarly thinking scintist and daring experimentor. He investigated the problems of the general, pedagogical psychology and the psychology of development. He left the basic research in the sphere of the psychology of the set. It is well known, not only in our country, his "method of the album", wich, together with its varieties, is widely, successfully, used during last 50 years for experimental study of the will. Sh. Chkhartishvili evidently was the first (and the only one of this kind) soviet psychologist, student (the author of this line) in the form of experimental matorial to use the money (soviet roubles) that was successfully realized in the dissertation.

# შინაარსი


რედაქტორისაგან..... 3

სიტყვა იუბილარს! ..... 5

კიდევ ერთხელ განწყობის თეორიის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შესახებ ..... 9

ნებისყოფა, როგორც შორეული მოტივებით და მაღალი იდეალებით მოქმედების საფუძველი ..... 25

აქსელერაცია და შორეული მოტივაციური ქცევა ..... 34

გაბრიელ ეპისკოპოსის, "ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" ავტორის, ილიასეული შეფასების შესახებ ..... 55

ასაკი და სიკვდილისწინა ფიქრები ..... 63

ზოგიერთი არატრადიციული შეხედულება კოლექტივის შესახებ ..... 80

შორეული მოტივაციური ქცევა და განწყობა ..... 91

ეროვნული იდეალების, პედაგოგიური ხელოვნებისა და ფსიქოლოგიური ცოდნის შერწყმის იშვიათი ნიმუში ..... 98

აღვზარდოთ და ვაშენოთ ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინებით! ..... 103

შორეული მოტივაციური ქცევის შესაძლებლობისა და "პიაჟეს ფენომენების"დაძლევის უნარის მიმართებისათვის ოპერაციამდელ სტადიაში (4-7 წლის ასაკში) ..... 113

დიმიტრი უზნაძე და შალვა ჩხარტიშვილი – ნებისყოფის ორიგინალური თეორიის ავტორები ..... 150

შემოქმედებითად მოაზროვნე მეცნიერი და ექსპერიმენტატორი ..... 193

Резюме ..... 209

Summary ..... 217